


ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკევობით

ფასი 1,50 ლარი

14 სექტემბერი 2007

№19 (45)



ტრივიზასის ჯადოსნური ბალიშები
ნათია ხორგუაშვილის მოთხრობა
რას იტყოდა ჯერომ სელინჯერი
გიორგი ლობჯანიძის ლექსები
ინგლისელთა ზნეობანი
გალაკტიონის ცაცხვი

შინაარსი

რედაქტორის გვარდი	2	დედაბრის ლოცვა
მისარს-ინტერვიუ	4	გზა სიცოცხლის სამყაროს ერთიანობისაკენ (საუბარი ჯორჯ მაკლეინთან)
პროზა	6	გურამ ოდიშარია პრეზიდენტის კატა (რომანი)
პოეზია	16	გიორგი ლობჯანიძე გამომცემონთ სიყვარული და სხვა ლექსები
პირველი შთაბეჭდილება	19	ივანე ამირხანაშვილი ცუდი – კარგი გამოსავალი
ანეკდოტი	20	ლია კუხიანიძე ოაზისი უდაბნოში, ჭა სოფელში
	23	რალფ უოლდო ემერსონი უნივერსიტეტში (ნიგნიდან „ინგლისელთა ზნეობანი“)
ფილოზოფი	27	ფინო კი მათროპელი სჯობს... (თამარ ლონდაძეს ესაუბრება ბონდო კალანდაძე)
დებუტები	29	მენ რაბინი ალიბი
პოეტის ერთი ლექსი	36	ელა გოჩიაშვილი სინჯარა
სილუაბი	37	ეკა ბუჯიაშვილი სურათი გაუსუნარი ფერებით (ელენე შატბერაშვილი)
კრიტიკა	39	მარიამ ლანდია ლიტერატურული აკლიკაცია (ზვიად კვარაცხელიას რომანი „მარჯვე ნა“)
	41	მანანა მიქაძე რას იტყოდა ჯერომ სელინჯერი (ორი თარგმანის ენობრივ-სტილისტური ანალიზი)
ასალგაზრდავო, ან კი თქვენ	44	ნათია ხორგუაშვილი ჭეშმარიტების ბილიკამდე (ჰამბურგული დღიური)
დაუვიწყარი სახელები	47	ციალა (ეთერ) თოფურიძე ლეილა გამსახურდია
გამოსწავრება	51	გიორგი გამსახურდია ნიჰილიზმი და სიამაყე
რეპორაჟი	53	ვაჟა ზარნაძე „მახსოვს ხარაგაულის სევდიანი სადგური“
ახალი თარგმანები	55	ევგენიოს ტრივიზასი ჯადოსნური ბალიშები
მოხაიკა	63	ქალბატონი იღვალე

დამფუძნებელი „ილიონი“

მისამართი: თბილისი,
ჩუბინაშვილის №41

რედაქცია – (995 32) 96-20-62

რეკლამა – (995 77) 48-12-24

გავრცელება – (995 99) 93-18-52

ფაქსი: (995 32) 96-20-62

E-mail: info@mtserloba.ge



დაბეჭდილი საბეჭდო „ომეგა თეგი“
საბეჭდო, თბილისი, სარაჯიშვილის 17
ატელფონი: +995 32 53 03 62

PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE
TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET
TELEPHONE +995 32 53 03 62

მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე

პროზის რედაქტორი – მაკა ჯობაძე პოეზიის რედაქტორი – გიორგი ლობჯანიძე

კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი

დიზაინერი – მალხაზ იაშვილი მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია

კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – ლევან ჩხეიძე

ოპერატორი – თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი – მაკა ჯაფარიძე

გავრცელების სამსახური – ლევან ბინაძე

გარეკანზე: პარიზის ხიდი

ჯერომ სელინჯერი

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 28 სექტემბერს

დედაბრის ლოცვა

– პამფლეტების როლი მთავრობათა დამხობის საქმეში გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ერთი შეხედვით შეიძლება ეჩვენოს კაცს: ისინი ამზადებენ კატაკლიზმებს, რომელთაც შემდეგ ამბოხებული ბრბო აგვირგვინებს, – საზეიმოდ აცხადებს სახელგანთქმული პამფლეტისტი ჟან ჰიბუ, ვისაც ბასტილის კედლებში უფრო მეტი ხანი გაუტარებია, ვიდრე საკუთარ სახლში.

იგი ანატოლ ფრანსის რომანში – „ბატონ ჟერომ კუანიარის აზრები“ – გამოჩნდება პერსონაჟად, და რაკილა ეს რომანი დიალოგურ სტრუქტურაზეა აგებული პლატონის დიალოგების გავლენით და მთავარი გმირიც ახალი დროის სოკრატედ წარმოგვიდგება, ამ პერსონაჟსაც ის დანიშნულება დაჰკისრებია მწერლისაგან, რომ ერთ-ერთ თავში სწორედ მასთან საუბარი იქცეს ქადაგების ბიძგად და სიუჟეტურ რგოლად.

ეს რომანი ლამის ნახევარი საუკუნის წინათ გამოჩნდა პირველად ქართულ ლიტერატურულ სივრცეში ბაჩანა ბრეგვაძის წყალობით და ამჟამად კიდევ ერთხელ გაიმეორა გამომცემლობა „ინტელექტმა“ განმარტებულ სერიამ „ნობელის პრემიის ლაურეატები“.

ჩვენს სინამდვილეში არ განვიცდით შესანიშნავ გამოცემათა სინაკლულეს, მაგრამ უფრო ფასეული ქმნილება, ვიდრე ანატოლ ფრანსის ეს თხზულებაა, ბევრი არ დაულაგებიათ ჩვენს გამომცემლობებს.

ახალი დროის სოკრატედ წარმოგვიდგებაო

როგორც სოკრატეს სჭირდებოდა თანამოსაუბრის მონახვა, რათა თავისი ფილოსოფიურ-ესთეტიკურ-პოლიტიკური შეხედულებანი გამოეთქვა, ფრანსის რომანშიც ასევე გამოჩნდებიან და თვალს მიეფარებიან ახალ-ახალი პერსონაჟები, რათა აბატ კუანიარს საშუალება მისცენ ფილოსოფიურ-პოლიტიკურ ქადაგებათათვის.

ახლაც პამფლეტისტს რომ ელაპარაკება და მთავრობას მოიხსენიებს, როგორც ყოველად წამხდარსა და უვარგისს, ჟან ჰიბუ ძალიან გაიხარებს, თანამოაზრე ვიშოვნე და მხარში ამომიდგება მომავალ ბრძოლებშიო. პამფლეტისტების როლსაც მაშინ შესახამს ხოტბას, მაგრამ აბატი კუანიარი მოულოდნელად წყალს გადაუნურავს: სულაც არა მსურს რაიმე შეიცვალოს ჩვენს სამეფოში; და თუ შემძლება წინასწარგანჭვრეტა, რომ ჩემს თხზულებებს მსგავსი რამ მოჰყვებოდა შედეგად, არაფრისიდეებით არ დავწერდიო.

მაშ ეს რაღა იყო – ყოველად წამხდარი და უვარგისიო? თუკი მართლა ასე ფიქრობს, რაიმეს შეცვლას რატომ-ღა უფრთხის?



პამფლეტისტს ვერ აუხსნია ეს წინააღმდეგობა და ამიტომაც ჩაეკითხება დაბეჯითებით, ჰგონია, ყურმა მომატყუაო.

მაგრამ აბატი კუანიარი მტკიცედ დგას თავისაზე და საბუთად ერთი სირაკუზელი დედაბრის ამბავს გაიხსენებს, მის თვალში ბრძნული მაგალითის ძალა რომ შეუძენია.

როდესაც დიონისიოსის მიმართ უღრმესი სიძულვილითაა განმსჭვალული მთელი ხალხი, ის დედაბერი დღემუდამ ტაძარში დადის და ღმერთებს ევედრება, გვიდღეგრძელო ტირანიო.

არადა, ეს ის მმართველია, ვინც სისხლისმსმელი დესპოტის სიმბოლოდ შემორჩება ისტორიას.

იმ დედაბერს კი მის ლოცვა-კურთხევაში ამოსდის სული.

ასე რამ გადარია, თანამოქალაქეებს საქვეყნოდ რომ დაპირისპირებია?

მისი ეს გაუგონარი გულმონყალება დიონისიოსსაც გააკვირვებს და მიზეზის გაგებას მოისურვებს. მოაყვანიანებს კეთილ ქალს და გამოწვლილვით გამოჰკითხავს ყოველივეს.

ის არაფერს დაუფარავს:

– მე უკვე ბებერი ვარ, მრავლის მომსწრეს მინახავს, როგორ მოდიოდნენ და მიდიოდნენ ტირანები, მაგრამ არც ის დამრჩენია შეუმჩნეველი, რომ ავს უავესი ცვლიდა ყოველთვის. შენ ყველაზე ამაზრუნეი ხარ მათ შორის. აქედან მე ვასკვნი, რომ შენი მემკვიდრე შენზე უფრო ამაზრუნეი იქნება, თუკი ეს შესაძლებელია საერთოდ. ჰო-და, აი, მეც ვევედრები ღმერთებს, რაც შეიძლება გვიან მოგვივლინონ იგი.

ჭეშმარიტად სოკრატული მაგალითია. როგორც მის სულიერ შთამომავალს, აბატ კუანიარს არც ირონია აკლია, არც სარკაზმი, არც პარადოქსებისაკენ სწრაფვის უნარი, არც ალესილი გონება, რომლის წინაშეც მოვლენათა არსი ძალაუნებურად გადაიხსნება და ფარულ კუთხე-კუნჭულებსაც ამიშვლებს. და ამიტომაც არ გამოირჩება ეს ისტორიული და პარადოქსული ამბავი, რომლის მოშველიებითაც ასე სახიერად წარმოაჩენს ცხოვრების ტრაგიზმს, მოუწყობელი სინამდვილის შინაგან მექანიზმს და მთავრობისა და ხალხის მარადიულ ჭიდილს.

ეს დედაბერი ნამდვილი ჭკუის კოლოფი იყო, – ამიტომაც შეაგონებს პამფლეტისტს, ვინც უანგაროდ, თავდადებით, მაგრამ გულუბრყვილოდ იღვწის უკეთესი ხელისუფლებისათვის გზის გასახსნელად, – და მეც მასავით მიმანია, რომ ცხვრები ბრძნულად იქცევიან, როცა მოხუც მეცხვარეს აპარსვინებენ თავს იმის შიშით, ვაითუ მოვიდეს მეორე, უფრო ახალგაზრდა, და უფრო მოკლედ გაგვპარსოსო.

ძველი იგავის მეტად საგულისხმო ახლებური გააზრება და საზოგადოებრივ მიმოქცევაში მიზანსწრაფული შემოტანა, მაგრამ ფრანსი არა კმარობს ამ იგავის ღრმა შინაარსს და პამფლეტისტიკისა და აბატის შეურიგებელი კამათით კიდევ უფრო გულისგულიდან ამოაქვს სახელმწიფოს მონყობის უმართებულო გზა და საშუალებანი.

ჟან ჰიბუ, აბა, როგორ გაიზიარებს სირაკუზელი დედაბრის მიჩნევას ნამდვილ ჭკუის კოლოფად და ჟერომ კუანიარს აღარ მოერიდება: რა ლაჩრული სიტყვებია! და მდაბალი პრინციპები! ვაი, ბატონო აბატო, რა ცუდად ზრუნავთ საზოგადო სიკეთისათვისო.

და მისდგება და მისდგება:

თქვენ სათათრეთში უნდა დაბადებულიყავით, ანდა თურქეთში, ჩინგიზ ხანისა თუ ბაიაზეთის მონად, და არა ევროპაში, სადაც საზოგადოებრივი სამართლისა და ფილოსოფიის მაღალ პრინციპებს ნერგავენ მოაზროვნენიო. როგორ, თქვენ ითმენთ ავ მთავრობას და დამხობაც არა გსურთ მისიო?! ჩემი პროექტით აგებულ რესპუბლიკაში მსგავსი მრწამსისათვის კაცი, სულ მცირე, განდევნიდა და პატივის აყრით მაინც დაისჯებოდაო. ჩემს კონსტიტუციაში, რომელსაც ანტიკურობის პრინციპები დაედება საფუძვლად, მე შევიტან მუხლს თქვენსავით უღირს მოქალაქეთა დაუნდობლად დასჯის შესახებო. მე დავანესებ მკაცრ სასჯელს მისთვის, ვისაც შეეძლო სრულყოფილ სახელმწიფო, მაგრამ არა ჰყო.

თქვენ მე მიკარგავთ თქვენს სანაქებო რესპუბლიკაში ცხოვრების ყოველგვარ სურვილს, რადგანაც იძულება არც ისე უცხო იქნება მისთვისო, – სიცილი მოერევა აბატს, და პამფლეტისტი რომ მიუგებს: ამ იძულების მიზანი მხოლოდ სათნოებააო, – ეს პასუხი კიდევ ერთხელ დაუდასტურებს კუანიარს, რომ სირაკუზელი დედაბერი ცამდე მართალი იყო.

და თუმც ამოდ შეაგონებს ჟან ჰიბუს, მაგრამ ფრანსი ხომ ფუჭად არ ლამობს მკითხველის გამოფხიზლებას ილუზიათაგან და შეუფერადებელი სიმართლის წარმოჩენით ისევე აეჭვებს შეთქმულებითა და ამბოხებით შობილი მთავრობების მიმართ, როგორც თვითონ დაეჭვებულა, რაკილა დაბეჯითებით ამოუცვნიდა, რომ ოპოზიცია ცუდი სკოლაა მთავრობისათვის და გაქნილი პოლიტიკოსნი, რომელნიც სწორედ ოპოზიციის წყალობით ექცევიან ხელისუფლების სათავეში, მერე სულ იმის ცდაში არიან, როგორ იხელმძღვანელონ იმ პრინციპებით, რომლებიც პირდაპირ ეწინააღმდეგებიან იმას, რასაც მანამდე თვითონვე ქადაგებდნენ.

ამიტომაცაა, რომ:

– ახალი მთავრობა, რომელიც არსებითად ძველის განმეორებაა მხოლოდ, კიდევ უფრო აუტანელი იქნება.

ის უმწვავესი სატყვიარი, რაც რომანის ამ თავშია გაშლილი, მეტად პრინციპული გახლდათ მწერლისათვის და შე-

სავალში, გმირის ფსიქოლოგიური პორტრეტისა და მისი ფილოსოფიური მოძღვრების ზოგადი იერის გამოკვეთისას, საგანგებოდ შეუპირისპირებს ამ მრწამსს ჟან-ჟაკ რუსოს ფილოსოფიურ-პოლიტიკურ მოძღვრებას, რათა ხელშესახები გახადოს რუსოს იდეალების სიყალბე და ცრუ სიკაშკაშე და მისი დამღუპველობა კაცობრიობის ცხოვრებისათვის.

და მითუფრო მღელვარედ წარმოაჩენდა რუსოს მრწამსის დანაშაულებრივ არსს, რაც თვალნათლივ ხედავდა, რომ ამ მოძღვრებას ჯერჯერობით ყავლი არ გასდიოდა.

რუსოს ეშვა მარქსი, მარქსს ეშვა...

ერთი სიტყვით, ცრუწინასწარმეტყველთა გენეტიკური ხაზი გრძელდებოდა და მის ალკევამდე და ისტორიის ფურცლებზე გადანაცვლებამდე კიდევ ბევრი სისხლი და ცრემლი იდინებდა მდინარესავით.

ვიდრე მარქსს შობდა, იაკობინიზმი ეშვა და რევოლუციები დაესახა ერთადერთ გზად ალთქმული ქვეყნისაკენ.

მაქსიმილიან რობესპიერს თუ რაიმე ეამაყებოდა, რუსოს სულიერი მემკვიდრეობა, დროის გადასახედიდან კი ფრანსი შეშფოთებული გაჰყურებს მის აჩრდილს და მკითხველს უბეჯითებს, კიდევ რა უშავდა, რობესპიერი ურჩხული რომ ყოფილიყო, მაგრამ იგი დიდი გონების კაცი გახ-

ანატოლ ფრანსი



ლდათ და ურჩხულობისაც არა ეცხო რა, საუბედუროდ, ოპტიმისტი იყო და სათნოება სწამდა, ამ ტემპერამენტის სახელმწიფო მოღვაწეებს კი შესაძლებელთაგან უდიდესი ბოროტება მოაქვთ კაცთათვისო.

სათნოებას მიეყვანა რობესპიერი ტერორამდე და რევოლუციის სიშლეგესაც იმით ახსნიდა მწერალი, რომ სათნოების დამკვიდრება მიაჩნდა უპირველეს მოვალეობად დედამინაზე.

რა გამოდიოდა?

– როცა მიზნად ისახავენ კეთილ, ბრძენ, თავისუფალ, თავდაჭერილ და დიდსულოვან არსებებად აქციონ კაცნი, გარდუვალად მიდიან იქამდე, რომ უკლებლივ ყველას მუსრის გავლებას უპირებენ.

იქნებ ჟან-პოლ მარატმა მოძებნა ოქროს შუალედი სათნოებასა და ახალი პოლიტიკური სინამდვილის დამკვიდრებას შორის?

– მარატს სწამდა სამართლიანობა და ორასიათას თავს მოითხოვდა.

რობესპიერი და მარატი ერთმანეთს დაუნდობლადაც რომ ებრძოდნენ და გილიოტინაზე აჰყავდეთ, შინაგანად ერთნი არიან, სიამის ტყუპების მსგავსნი.

ფრანსს ამ ყალბი, მოჩვენებითი იდეალების ალტერნატივად ესახება აბატ ჟერომ კუანიარის მოძღვრება და ეს რომანი უპირველესად ამიტომაც ჩაუფიქრებია პოლიტიკურ პამფლეტად. თავისი გმირიც ამიტომ ესალბუნება

მის გულს ასე ძალიან, რომ მისი პრინციპები ძირფესვიანად განსხვავდება რევოლუციის პრინციპებისაგან და „ადამიანის უფლებათა დეკლარაციის“ არცერთ პუნქტს არ მოაწერდა ხელს.

მაინც რა არის ამ ორი მრწამსის უკიდურესი განსხვავების საწყისი და საფუძველი?

ჟან-ჟაკს ალბათ არაფრად ეჭაშნიკებოდა ჩვენი ფილოსოფოსის სკეპტიკური სიბრძნეო, – განსხვავების ამ მთავარ ნიშანს რომ აღნიშნავს, უფრო დეტალურადაც განუმარტავს მკითხველს, რომ:

აბატ კუანიარის ფილოსოფია –

„მთლიანად განმსჭვალულია თბილი ჰუმორით, შემწყნარებელია, მარტივი და, ჩვენი ბუნების უმტიცილობაზე დაფუძნებული, მტიცივე საძირკველს ეყრდნობა მაინც“.

რუსოს ფილოსოფიას კი –

„აკლია კურთხეული ეჭვი და მსუბუქი ღიმილი. და რაკი ვითომცდა კაცისგან განუყოფელი ბუნებრივი სიკეთის მოჩვენებით საძირკველს ემყარება, ფრიად უხერხულ მდგომარეობაში ვარდება ხოლმე, თუმც თვითონ ვერა გრძნობს, რაოდენ სასაცილოა ეს“.

რამხელა მნიშვნელობას ანიჭებს ფრანსი ექვსა და ღიმილს.

თუ ეს ორი განცდა არა მსჭვალავს ფილოსოფიურ თუ პოლიტიკურ მოძღვრებას, ის აუცილებლად განწირულია დასამსხვრევად, თუმც აურაცხელ მსხვერპლს ნაიყოლებს თან.

რასაც მადლი თვითონ არ გააჩნია, მადლს როგორღა დათესავს, მადლი კი სიცილსა და ღიმილში ამოჩნდება ხოლმე, და რა მოძღვრება შეიძლება შექმნას მან, ვისაც თავის სიცოცხლეში ერთხელაც არ გაუცინია?

ესეც ანატოლ ფრანსის ერთ-ერთი სენტენცია, სიცილის განსაკუთრებული ძალისადმი შესხმული სახოტბო სიტყვა.

და კიდევ კარგი, ზოგად შეგონებად რომ არ დაგვიტოვებდა და „ბატონ ჟერომ კუანიარის აზრებს“ განმსჭვალავდა სიცილის მრავალფერადი ათინათებით – ირონიითაც, სარკაზმითაც, სატირითაც, თბილი ჰუმორითაც და სივრცეებში ამ რწმენითა და მხნეობით შეებმოდა ჟან-ჟაკ რუსოს აჩრდილს და იაკობინიზმის გარდუფალ დამსხვრევასაც იწინასწარმეტყველებდა.

გზა სიცოცხლის სამყაროს ერთიანობისაკენ



საუბარი
ჯორჯ მაკლეინთან

ამა წლის 31 მაისს – 3 ივნისს თბილისში გაიმართა საერთაშორისო ფილოსოფიური კონფერენცია თემაზე – „პიროვნების პასუხისმგებლობა გლობალიზაციის ეპოქაში“. კონფერენციის ორგანიზატორი გახლდათ „ადამიანური პასუხისმგებლობის ქარტიის“ (საფრანგეთი) საქართველოს წარმომადგენლობა ქალბატონ ინა რენსონისა და ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორ, ქალბატონ თინათინ ბოჭორიშვილის ხელმძღვანელობით. კონფერენციაში მრავალი ცნობილი ფილოსოფოსი, პოლიტოლოგი და განათლების დარგის მუშაკი მონაწილეობდა.

გთავაზობთ დიალოგს თანამედროვეობის უმნიშვნელოვანეს ფილოსოფიურ პრობლემათა შესახებ; ქართული ფილოსოფოსი მამუკა დოლიძე ესაუბრება ცნობილ ამერიკელ ფილოსოფოსს, ჯორჯ მაკლეინს; პატრი ჯორჯ მაკლეინი, „ამერიკის კათოლიკური უნივერსიტეტის“ ემერიტუს პროფესორია ფილოსოფიაში და „კულტურათა და ღირებულებათა საერთაშორისო ცენტრის“ ხელმძღვანელი ვაშინგტონში.

– მისტერ მაკლეინ, უპირველეს ყოვლისა მსურს გამოვხატო მადლიერება იმ დიდი წვლილისა და ძალისხმევის მიმართ, რაც გასწიეთ ქართულ-ამერიკული ფილოსოფიური და კულტურული ურთიერთობების დასამყარებლად და განსამტკიცებლად.

– მადლობელი ვარ ასეთი შეფასებისათვის. 1990 წელს საქართველოს ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა ნიკო ჭავჭავაძემ ვაშინგტონში ჩამოიყვანა ახალგაზრდა ფილოსოფოსთა ჯგუფი: თინა ბოჭორიშვილი, კახა კაციტაძე, გია ნოდია და პაატა ჩხეიძე. მას შემდეგ არ შემწყდარა ჩვენი სამეცნიერო კონტაქტები. მე მეტად მაღალი აზრისა ვარ ქართულ ფილოსოფიურ სკოლაზე და, ვიმედოვნებ, რომ მომავალშიც შედეგიანი იქნება ჩვენი ურთიერთობა. კერძოდ, ვგულისხმობ მოახლოებულ მსოფლიო ფილოსოფიური კონგრესს, რომელიც გაიმართება 2008 წლის აგვისტოში, სეულში. კონგრესის მთავარი თემა გახლავთ ფილოსოფიის თვითრეფლექსია მესამე ათასწლეულის მიჯნაზე.

– სწორედ ამ მოვლენასთან დაკავშირებით მსურს შემოგთავაზოთ ერთობლივი საერთაშორისო ჟურნალის გამოცემა, სადაც ასახული იქნება ჩვენი სამეცნიერო კონტაქტები, მომავალი მსოფლიო კონგრესის პერსპექტივით. თუკი ფილოსოფიამ უნდა გადაიზაროს საკუთარი განვითარების გზა, ამ მიზანს, ვფიქრობ, შეეფერება ტრანსცენდენტური ფენომენოლოგიის კონცეფცია და მეთოდი, რაც ფილოსოფიური აზროვნების საწყისისა და ფესვების კვლევაზეა ორიენტირებული.

– ჟურნალის სახელი, „კულტურა და ფენომენოლოგია“, ვფიქრობ, გამოსადეგი იქნება ამ მხრივ.

– მინდა გავიხსენო ბატონ ნიკო ჭავჭავაძის მოსაზრება კულტურის შესახებ; რომ კულტურა მოიცავს არა მხოლოდ ადამიანის მიერ შექმნილ ობიექტებს, არამედ

განიხილავს იმ შემოქმედებით პროცესსაც, რომელიც ამ ობიექტებს წარმოშობს. მეორე მხრივ, მერაბ მამარდაშვილი აღნიშნავდა, რომ ფენომენოლოგიური აზროვნება, როგორც შემოქმედებითი აზროვნების სახე, არაერთი ფილოსოფიური სისტემის საფუძველია ანტიკურიდან დღემდე.

– კერძოდ რომელ ფილოსოფიურ სისტემებს გულისხმობთ?

– სოფისტები, პერაკლიტი, პლატონი, არისტოტელე, დეკარტი, კანტი...

– რაღაში გამოიხატება ჰუსერლის დამსახურება ფენომენოლოგიური ტრადიციის წინაშე? თუკი ფენომენოლოგიური აზროვნება ფილოსოფიის ისტორიას განეკუთვნება, ის ველარ იქნება XX საუკუნის შენაძენი, რაც მნიშვნელოვნად გააუფასურებს თანამედროვე ტრანსცენდენტურ ფენომენოლოგიას, დაუკარგავს მას თვითმყოფადობასა და სიახლეს.

– ჰუსერლის უდიდესი დამსახურებაა პროტესტი ფილოსოფიური ტრადიციის მიმართ. თუკი გავიზიარებთ ზურაბ კაკაბაძის, გივი მარგველაშვილის ინტერპრეტაციებს და აგრეთვე სიცოცხლის ფენომენოლოგიის პრინციპებს, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ XX საუკუნის ფენომენოლოგია ორიენტირებულია ფილოსოფიის ცოდნის ობიექტივაციის წინააღმდეგ, რათა ჩანდეს აზროვნების სპონტანურ, სუბიექტურ საწყისს.

– ობიექტივაციის წინააღმდეგ მსგავსი სუბიექტური იმპულსი, რაც აზროვნების შინაგან წინააღმდეგობაში გამოიხატება, ტრადიციული ფილოსოფიის თვითრეფლექსიაშიც ჩნდება.

– ტრადიციული ფილოსოფია აფასებს ამ შინაგან წინააღმდეგობას, როგორც დაბრკოლებას, რომელიც აზროვნებაში უნდა გადალახოს ობიექტური ცოდნის სიცხადის მიზნით. ჰუსერლის შეფასება საპირისპიროა. აზროვნების შინაგანი წინააღმდეგობა განიხილება, როგორც დადებითი იმპულსი, როგორც ფილოსოფიური აზროვნების სიცოცხლის დაუშრეტელი წყარო.

– ესე იგი ცოდნის ობიექტივაციის საპირისპირო სუბიექტურობა ნათელს ჰფენს თანამედროვე ფენომენოლოგიის დაუსრულებლობას, ღიაობას, ერთგვარ განუსაზღვრელობას...



– სწორედ სუბიექტურობის პოზიტიური შეფასებით შეგვიძლია ავხსნათ ცოცხალი აზროვნების ღიაობა და განუსაზღვრელობა. წონასწორობა ობიექტური ცოდნის კონსტრუირებასა და დეკონსტრუქციას შორის განაპირობებს ცოცხალი აზროვნების მთლიანობას და სამყაროს ერთიანობას წვდომას.

– ასე მგონია, ჩვენი დისკუსია კულტურათა გლობალიზაციასაც შეეხება. კომუნიკაციის საშუალებათა განვითარებამ და ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლამ მნიშვნელოვნად შეავიწროვა ადამიანური სამყაროს საზღვრები, ეთნოკონფლიქტების საშიშროება დიდად გაიზარდა და კულტურათა გლობალიზაცია, როგორც ჩანს, წინ უნდა აღუდგეს საერთაშორისო ურთიერთობათა რღვევას.

– ფენომენოლოგია ამ პრობლემის თავისებურ გადაწყვეტას გვთავაზობს. თუკი სამყაროს ყოფიერების ინდივიდუალიზაცია წარმოადგენს სიცოცხლის სამყაროს ერთიანობისაკენ მიმავალ გზას, შესაბამისად, გლობალიზაცია სულაც არ უნდა ნიშნავდეს კულტურათა ერთმანეთში

აღრევას, რათა შეიქმნას ერთიანი ზენაციონალური კულტურა; პირიქით, სწორედ ეროვნული კულტურის თვითმყოფადობისა და ორიგინალობის შენარჩუნების გზით ვალწვეთ ეფექტურ ურთიერთქმედებას კულტურათა შორის, რათა დავიცვათ სასიცოცხლო წონასწორობა სამყაროს მრავალფეროვნებასა და ერთიანობას შორის.

– ეს პრობლემა უფრო ღრმა და საფუძველიან ანალიზს მოითხოვს, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ვიგულისხმოთ ფენომენოლოგიური მიდგომა გლობალიზაციის მიმართ, მომავალი ფილოსოფიური კონგრესის პერსპექტივაში.

– ნება მომეცით ერთხელ კიდევ მაძლონა მოგახსენოთ, რომ გამონახეთ დრო ჩვენი დიალოგისათვის თანამედროვეობის ამ მნიშვნელოვანი თემის გამო.

– დიდი მაძლონა. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მაძლონა გადაგიხადოთ ყველას და განსაკუთრებით ქალბატონ თინა ბოჭორიშვილს კონფერენციის გამართვისათვის. მჯერა, რომ ჩვენი ჟურნალი დღევანდელი გამოდგება. მე და ჩემი თანაშემწე, ქალბატონი ჰუ იეპინგი მოხიბლულნი ვართ თქვენი ქალაქისა და მისი შემოგარენის სილამაზით, ჩვენი ბოლო ვიზიტის შემდეგ (2000) ბევრი რამ შეცვლილა. შთამბეჭდავი იყო ძველი მართლმადიდებლური ტაძრების მონახულება მცხეთაში და სამების ახალი გრანდიოზული ტაძრის ნახვა თბილისში.

გურამ ოდიშარია

პრეზიდენტის კატა

7

ჩემს ერთ მეგობარს გერმანული ნაგაზი ჰყავდა. დაბერდა ის ნაგაზი.

ერთ დღეს მეგობარმა ლეკვი მოიყვანა სახლში, ისიც გერმანული ნაგაზისა.

იმ ლეკვს ცალკე დაუდგა სახლაკი ეზოში და თავისი ჯალაბის წვერი გახადა.

ბებერმა ძალმა იწყინა ეს, პატრონებს ანი არ ვჭირდებიო, და სახლიდან გაიქცა.

ბაზრის ძალი გახდა, ბაზარში აჭმევდნენ და ისიც თავისებურად ემსახურებოდა ბაზარს.

ოღონდ ესაა – თავისი ყოფილი ოჯახის წევრს თუ ნახავდა ბაზარში, მივიდოდა მასთან, ალოკავდა, გვერდიდან არ შორდებოდა, მთელი ბაზარი და გზა დაჰყვებოდა, სახლამდე მიაცილებდა და, მიუხედავად იმისა, რომ მთელი ოჯახი გამოეფინებოდა ქუჩაში, ეფერებოდა და სთხოვდა, ეზოში შემოსულიყო, კვლავ უკან ბრუნდებოდა, ბაზარში.

მიიჩნევდა, რომ აწყენინეს.

ძალიან უყვარდა ის ოჯახი, მაგრამ რადგანაც ძალიან უყვარდა, წყენასაც არ ივიწყებდა.

იმ ძაღლის სიამაყეს გაუმარჯოს!

ყველამ ბოლომდე დალიოს ეს სადღეგრძელო!

8

და ჩვენ ვისხედით ციხე-სიმაგრეში, ალყაშემორტყმულეები, და ველოდით, როდის შემოგვიტყვდა მტერი. ვუჭერდით ერთმანეთს ხელებს და იარაღს ვიკრავდით მკერდში და... მტერი არ ჩანდა.

და როდესაც გაგვითავდა წყალი და პური და ვაჟკაცობა და მოთმინება, გამოვედით გარეთ, დავეყარეთ იარაღი და დავენებდით.

მაგრამ აღმოჩნდა, რომ მტრები დიდი ხნის წასულეები იყვნენ და სადღაც, ანკარა მდინარეების პირას, ასწლოვანი ხეების ჩრდილქვეშ ქეიფობდნენ, ქეიფობდნენ და სვამდნენ ჩვენს სადღეგრძელოსაც.

და ვცახცახებდით ჩვენ და ვტიროდით და ვტიროდით და ვცახცახებდით და მადლობას არ ვეუბნებოდით უფალს.

9

Первый день купания на море надо продолжить 2-3 минуты, а следующие дни постепенно увеличить до 10 и даже до 15 минут. Купаться можно 1 раз в сутки, и только люди с очень крепким здоровьем могут позволить себе купаться дважды, но с перерывом в 3-4 часа.

Советы врача.
1937 г.

გაგრძელება. იხ. „ჩვენი მწერლობა“ №18

10

გულრიფშის რაიონულ გაზეთში ვმუშაობდი. ერთხელ პატარა ინფორმაცია გამოვაქვეყნე არნივზე, რომელიც აფხაზეთის მთებში დაიჭირეს. ვნერდი, მისი ფრთების სიგრძე 2 მეტრი და 80 სანტიმეტრია-მეთქი. ჩემი ინფორმაცია საოლქო გაზეთმა გადაბეჭდა. ოღონდ საოლქო იტყობინებოდა, არნივის გაშლილი ფრთების სიგრძე 3 მეტრი და 80 სანტიმეტრიაო. ორი კვირის შემდეგ თბილისის რომელიღაც გაზეთი იუნყებოდა – აფხაზეთში დაიჭირეს არნივი, რომლის ფრთების სიგრძე 4 მეტრი და 8 სანტიმეტრიაო.

ვიანორ ფაჩულიამ ეს ინფორმაცია მოსკოვში ჟურნალ „Вокруг Света“-ში გადააგზავნა. ინფორმაცია დაიბეჭდა. ოღონდ ამჯერად და საბოლოოდ არნივის ფრთების სიგრძემ 7 მეტრს „მიაღწია“.

სოხუმში უცხოელი სპეციალისტები ჩამოფრინდნენ – „Вокруг Света“-ს ინფორმაციას გამოყენენ; გვაჩვენეთ ეს სასწაული, მსოფლიოში 1 არნივიო.

უცხოელ სპეციალისტებს ვიანორ ფანჯოვიჩი და მიხეილ თემუროვიჩი დახვდნენ.

– სამწუხაროდ, არნივი გაგვიფრინდა, – მწუხარე სახით აუწყა მათ მიხეილ თემუროვიჩმა.

ასევე დამწუხრებულმა ვიანორ ფანჯოვიჩმა კვერი დაუკრა.

შემდეგ ფანჯოვიჩმა უცხოელებს უთხრა – უტყუარი ცნობები მაქვს „თოვლის კაცის“ შესახებ – „თოვლის კაცი“ რინის ტბის მიდამოებში ცხოვრობდა და სადღაც იქვეა დამარხულიო.

ერთი თვის განმავლობაში ეძებდნენ სპეციალისტები და ვიანორ ფანჯოვიჩი „თოვლის კაცის“ საფლავს, მაგრამ უშედეგოდ.

11

– გენიოსია! – ხარხარებდა მიხეილ თემუროვიჩი, – თუ ეს სპეციალურად გააკეთა, გენიოსია!

ეს თქვა ერთ ნახევრადუტყნობ პოეტზე, როდესაც მან სოხუმის თეატრში ერთი ცნობილი მწერლის საიუბილეო საღამოზე მისასალმებელი სიტყვა წაიკითხა – აჩქარებული ნაბიჯით მივიდა მიკროფონთან, ჯიბიდან ოთხად დაკეცილი ქალაღი ამოიღო, გაშალა და ხმამაღლა, არტისტულად წარმოთქვა:

– ორი გოჭი, ოთხი ინდაური, ათი ქათამი...

დარბაზიცა და იუბილარიც ერთდროულად გაქვავდნენ.

შემდეგ ხარხარმა იფეთქა.

აღმოჩნდა, რომ იმ პოეტს, სიტყვით გამოსვლის გარდა, ბანკეტის ორგანიზებაც ჰქონდა დავალებული და მთელი დღის ნარბენსა და გადაღლილს საიუბილეო საღამოზე გამოსასვლელი სიტყვა სუფრის პროდუქტების ნუსხის ქაღალდში აერია.

12

ჩემო მოხუცო და ახალგაზრდავ და ჩემო კულტურული და ბრძენო ევროპავ, შენ არაფერი იცი ჩემი საცივისა და აჯიკის, ჩემი მინერალური წყლებისა და ღვინოების,

ჩემი ელარჯისა და ჩემი ხაჭაპურის შესახებ. არაფერი იცი ჩემი სადღეგრძელოების, ჩემი სუფრის აკადემიის შესახებ.

მე შენ ხშირად და ხანდახან თითქმის ყოველდღე გხედავ, შენ კი... თითქოს დამუქებული მინის მეორე მხარეს ვდგავარ – მე შენ გხედავ, შენ კი მე – ვერა.

ერთხელ მაინც იკითხე – როგორ ვარ, რა მიჭირს, რა მიღწინს; მითხარი – რა დავაშავე ასეთი, რაში ვარ მართალი; მირჩიე – რა გზას დავადგე.

13

ჩვენს საერთო ეზოს ერთი ლეკვი შემოეჩვია. შავი ფერისა იყო და პელე შევარქვით. მოსიყვარულე ლეკვი იყო, დიდსა და პატარას აეტორღიალებოდა და ცდილობდა, ხელები აელოკა.

ერთხელ პელე მანქანამ გაიტანა.

ადამიანივით კვებოდა, მთელი სხეულით ცახცახებდა, გახშირებულად სუნთქავდა.

ამ დროს საიდანღაც მიხეილ თემუროვიჩი გამოჩნდა, ლეკვთან დაიჩოქა, თავზე უსვამდა ხელს, ეფერებოდა, რაღაცას ეუბნებოდა. პელემ მის ხელში დალია სული.

მიხეილ თემუროვიჩი წამოდგა და უსიტყვოდ დატოვა იქაურობა.

მიხეილ თემუროვიჩის დაკრძალვაზე რომ მივედი, ვნახე, გაცვეთილი ფეხსაცმელი ეცვა. გული შემეკუმშა. მაშინაც, პელეს სიკვდილის დღეს, ის ფეხსაცმელი ეცვა.

14

„მერხეულში“ ცნობილი ჟურნალისტი კუზნეცოვი დავპატიჟეთ. მან რესტორნის შესასვლელთან მინაში ნახევრადრეაფლული ქვევრები რომ ნახა, მიხეილ თემუროვიჩს მიუბრუნდა:

– ერთი წლის წინათ აქ რომ ვიყავი, მგონი, ეს ქვევრები უფრო მომცრონი იყვნენ.

– გაიზარდნენ, – უმალ მიუგო მიხეილ თემუროვიჩმა, – ქვევრებს ხომ თიხისაგან აკეთებენ. ჰოდა, მინაში ჩაფლულები იზრდებიან.

– ეს როგორ?! – გაიოცა კუზნეცოვმა.

– იზრდებიან, – მხარი აუბეს მიხეილ თემუროვიჩს მასპინძლებმა, – აი, ნახეთ, მომავალ წელს რომ ჩამოხვალთ, რამოდენები იქნებიან.

15

თავის წიგნში – „აფხაზეთის მაგალობელი ფრინველები“, წერდა, რომ შაშვი აფხაზეთში 18 სხვადასხვა მელოდიას ასრულებს, და იმავე შაშვს სხვაგან ბევრად ნაკლები – 5-7 მელოდიის გალობა შეუძლიაო.

იმავე წიგნში რომელიღაც თუთიყუშს შაშვის თვისებებიც მიაწერა.

ამ ინფორმაციებმა ორნიტოლოგებში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. მათგან უამრავი წერილი გამოიგზავნა აფხაზეთში, რამდენიმე მეცნიერი ჩამოფრინდა კიდეც სოხუმში.

ის კი თავს იმართლებდა – ჩემი წიგნის ხარვეზები იოსებ კაპანაძის ბრალია, კორექტურა კარგად ვერ წაითხაო.

პრეზიდენტის კატა

ფანჯარა გამოაღო. მეორეც. კაბინეტში ზამთრის ზღვის თბილი სიცივე შემოქრიალდა.

1962 წლის იანვარი იდგა. უფრო ზუსტად – 13 იანვარი. ის უკვე დამეგობრებული იყო 13-თან. ადრე ძალიან აფრობოდა.

წინაღმდეგ დაათოვა ქალაქს. ბარაქიანად. 13-ში კი დილიდანვე მზე ამოვიდა და უფრო გაქათქათდა თოვლი. ცა ცისფერი იყო და თოვლის გამო კიდეც მეტად ცისფერი. ასევე, ზღვაზე მზის არეკლილი სხივების გამოც მეტად ცისფერი იყო ცა, თოვლიც – მეტად ფითქინა, მზის სხივებიც – მეტად კოსმეტიკურად ვარდისფერი – ზღვისა და თოვლის და ისევე მზის გამო.

სხვათაშორის, თავისი ლურჯითა და ვარდისფერითა და მწვანე ფერით ზღვისპირა ქალაქები ძალიან ჰგვანან ლამაზ ქალებს. და განა მარტო ლამაზ ქალებს, არამედ ქალებს, საერთოდ. განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც ამ და სხვა ფერებს თოვლის ფერიც ემატება.

არამარტო ძალიან მომწონს, მიყვარს დათოვლილი ზღვისპირა ქალაქები. იქ, იმ ქალაქებში, ერთმანეთში ირევიან მაშინ ყველაზე მოკლე წუთები, პატარავდება და ნაზდება მთელი სამყარო და ადამიანები უცნაურზე უცნაურად გაბრუნებულები გამოიყურებიან თავიანთ ხალხმრავალ მარტოობაში...

სხვათაშორის, ამ წიგნის იმ თავებში, რომლებსაც „პრეზიდენტის კატა“ აწერია, თუ სადმე „მე“-ა ნახსენები, იცოდეთ, რომ ის „მე“ მე ვარ, ამ წიგნის ავტორი. სხვა ნებისმიერი (ანუ დანომრილი) თავების „მეები“ კი სხვები არიან. იმ „მეების“ ამბები მე მხოლოდ ჩავინერე (ჩავინერე მხოლოდ), „პრეზიდენტის კატის“ ამბავს კი თვითონ ვყვები (მე ვყვები). ამიტომაც, რა გასაკვირია, რომ სხვათა ამბების ჩაწერა გამიადვილდა, „პრეზიდენტის კატისა“ კი – ძალიან მიჭირს. და აი, უკვე მერამდენე წელია, ვჯახირობ. რამდენჯერმე მივანებე კიდეც „კატას“ თავი, მაგრამ ამ უკანასკნელ ხანს ჩემში ჩასახლებული ვიღაც საშველს არ მაძლევს, ყოველ სისხამზე მაღვიძებს და მბრძანებლობს კიდეც – წერეო. წერე და წერეო. უკვე სერიოზულად ვეჭვობ, რომ ის ვიღაც თვითონ არის... ის??? მაგრამ არა, ბოლომდე დარწმუნებული როდი ვარ.

მოკლედ, 1962 წლის 13 იანვრის დილა იდგა. ძველით ახალი წლის წინაღღე.

სანამ მე აქ რალაც-რალაცებზე ვილაპარაკე, მან იქ კაბინეტის მესამე ფანჯარაც გამოაღო. ოთახში მარტო იყო და ამიტომაც მისალმების ნიშნად ხელიც კი დაუქნია დელფინის ზურგივით ლაპლაპა ზღვას და ზღვისპირა ბაღის დათოვლილი ხეების ბუსუსა მწვანე-სითეთრეს გააყოლა თვალი.

მის წინ ყველაზე ნეტარი და, უპირველესად, სწორედ ამ მიზეზის გამო, ერთდროულად, მსოფლიოში ყველაზე პატარა და ყველაზე დიდი ქალაქი განოლილიყო. აჩქარებული და მშვიდი ქალაქი. ასე მგონია, ქალაქი მხოლოდ მაშინაა შენი, როდესაც იქიდან არსად მიგჩქარება. დადიხარ და ცხოვრობ მშობლიური, მონებივრე სიხანტით. მშობლიურ ქალაქში სხვა ქალაქელებსა და სოფლელებს სწორედ ამ თვისებების არქონის გამო გამოარჩევს კაცის თვალი.

ქალაქი, საერთოდ, უამრავი, უცხო და სწრაფი მზერის, ათვალეირება-ჩათვალეირების ადგილია. განსაკუთრებით ზაფხულში. და განსაკუთრებით ქალაქი-კურორტი. თუმცა იქ ზამთარშიც უხვადაა მზერის ანცი ქიმერები, მზერადინებები, მზერანათებები. ოღონდ ესაა – ზაფხულის მზერა ოდნავ დადარაჯებულ-მოთენთილია, ზამთრისა – უფრო მშვიდი და ლალი.

მართალია, ვერ ხედავდა, მაგრამ იცოდა, რომ მოშორებით, კატერების ნავსადგურთან, ყავახანის მაგიდებზე ჭადრაკი უკვე გაეწყობა მოხუცებს და თამაშობდნენ კიდევ. თოვლის გამო ხმებდახშულ ქალაქში ის მოჭადრაკეები მდუმარე, ბიბლიურ მოხუცებად წარმოიდგინა და მათთან ყოფნა მოუნდა. ძალიან მოუნდა. მაგრამ კაბინეტში უნდა ყოფილიყო – აფხაზეთის პირველი კაცი გახლდათ. თანაც მალე თათბირი იწყებოდა. თათბირი პირველთან. ანუ მასთან. მნიშვნელოვანი.

იმ დილითაც, როგორც ხშირად ბოლო დროს, შეუძლებლის შესაძლებლობაზე ფიქრობდა – აი, რაც ყველა წესით და კანონით შეუძლებელია, მაგრამ მაინც – შეიძლება მოხდეს, გაკეთდეს, შეიქმნას, განხორციელდეს, აღსრულდეს... ხომ შეუძლებელია დროში მოგზაურობა, მაგრამ იქნებ ხვალ გახდეს შესაძლებელი საუკუნეების წინანდელ ქვეყნიერებას გამოეცხადო. ისევე, როგორც შეუძლებელი იყო კაცისთვის ცაში აფრენა, მთვარეზე გასეირნება, მაგრამ...

მსოფლიოს კედელზე აკრულ რუკას ახედა, მდინარეებს გააყოლა თვალი, მისთვის კარგად ნაცნობი ქვეყნები და ქალაქები მოიძია – კვლავაც ადგილზე იყვნენ თუ არა. მდინარეებს თავიანთი სახელები დაკლავნილად და გრძლად ეწერათ, მწვერვალები კი, ადგილის სიმცირის გამო, მხოლოდ დანომრილი იყვნენ. რა კარგია იყო მდინარე, – გაეღიმა, – არც ქალაქობა მინდა. მდინარე რომ ხარ, რუკაზე სრული სახელი გქვია, მოედინები შენთვის, გამხლართული დედამინაზე, მოგზაურობ, საკუთარ სანაპიროს მშვიდად ათვალეირებ.

ის-ის იყო კვლავ ზღვისა და ქალაქისკენ გაიხედა, რომ ფანჯრის რაფაზე მჯდარი უცხო ჩიტი შეამჩნია – მომწვანო-მოყვითალო, ნამცეცა. გაახსენდა, – ეს ხომ ის ჩიტია, წონაში ერთი გრამიც რომ მოიმატოს, ვერ იფრენს. ამის გაფიქრებაც ვერ მოასწრო, რომ ჩიტი გაქრა.

ფიქრებში მორევის ლექსი ამოუტივტივდა, დღედაღამ ნახევრად მთვრალი და ნახევრად ფხიზელი კოსტია მორევის. მორევი რომელიღაც ზღვისპირა ქალაქიდან შემოეხეტა სოხუმში. შეიძლება ითქვას, მთელი რუსული პოეზია ზეპირად იცოდა (და არა მარტო რუსული). დადიოდა სანაპიროზე და ყველაზე ხშირად პუშკინის პორნო-ლექსებს კითხულობდა. სანაპიროელები იცინოდნენ და არყისა და ღვინის ფულს ჯიბეში უუჭავდნენ კოსტია მორევს. ისე ქალაქში ყველაზე მეტად მაინც თვითონ კოსტიას ლექსები მოსწონდათ. ისიც, რადგანაც ასე მოსწონდათ მისი შემოქმედება, ელვისისწრაფით „ჩამოასხამდა“ ხოლმე ახალ ლექსებს. ასე მაგალითად, როგორც კი ნიკიტა ხრუშჩოვმა გამოაცხადა – ჩვენ დავეწიეთ და მალე გავასწრებთ ამერიკასო, მეორე დილით კოსტია მორევი კატერების ნავსადგურის წინ, კოლონადასთან იდგა და ღრიალებდა:

Мы Америку догнали по надюю молока,
А по мясу не успели, х-й спомался у быка.

იმ მეორე დილის მეორე დილას მიხეილ თემუროვიჩს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტიდან გადმოგზავნილ განსაკუთრებულ ცნობებთან ერთად ეს ლექსიც ედო მაგიდაზე. ბევრი იცინა მიხეილ თემუროვიჩმა და, როგორც მთელმა სანაპირომ, მანაც უმაღლესი ზეპირად ისწავლა მორევის ლექსი. იმავე საღამოს კი კვბ-ეს შეფს უთხრა – სერიოზულად ნუ აღიქვამთ მორევს, ის გიჟია, გიჟი რომ არ იყოს, განა ასეთ რამეებს მოჩმახავდა, ნუთუ არ იცით, რომ უიღბლო სიყვარულის გამო გაგიჟდა და დაეხეტება ახლა შავი ზღვის ქალაქებშიო. კვბ-ს შეფმა ეს ამბავი მართლაც არ იცოდა და ძალიან გაიკვირვა, ამდენი რამ საიდან იცის მიხეილ თემუროვიჩმაო, თან ცოტათი შეეცოდა კიდევ მორევი.

მაშინ პატარა ბიჭი ვიყავი, მაგრამ მეც კარგად მახსოვს კოსტია მორევი და სოხუმის სანაპიროზე გამართული მისი პოეტური ფიქერვერკები.

მიხეილ თემუროვიჩს იმ დილითაც მოუტანეს სასწრაფო ცნობები შინაგან საქმეთა სამინისტროდან. უფრო ზუსტად, ცნობა მაგიდაზე დახვდა. ღამით სანაპიროზე თვრამეტი წლის ბიჭი დანით მოუკლავთ. მისი სხეული ევკალიპტების ქვეშ მდგარი ლურჯი ბიბლიოთეკის სიახლოვეს უპოვიათ, ზღვისა და მდინარე ბესლეთის შესართავთან.

ცნობაში ეწერა, როცა ახალგაზრდა კაცი მოკლეს, თოვდაო. თოვდა და მაშინ მოკლეს? თოვდა და კაცი მოკლეს? დანაც გვერდულად დაურტყამთ (თუ დაურტყამს ვილაცას, ერთს) რამდენჯერმე. მკერდშიც, მუცელშიც, ფეხშიც.

კაბინეტიდან კარგად ჩანდნენ ის ევკალიპტები. ბიბლიოთეკა კი – არა. დათოვლილი, ვეებერთელა ევკალიპტები ახლა უფრო დამსგავსებოდნენ ჰაერობურთებს.

შემდეგ შინაგან საქმეთა მინისტრს დაურეკა, – რატომ არ წერთ, რა გვარის იყო მოკლული?! მინისტრმაც, – სულ მოკლე ხანში მოგახსენებთ, ჯერ არ არის ამოცნობილიო.

ბოლთის ცემას მოჰყვა. სადმე, შორს ნასვლის, მოგზაურობის წინ, ასე იწყებენ ხოლმე აქეთ და იქით სიარულს. ოთახში დადიან, მაგრამ სინამდვილეში უკვე გზაში არიან, დიდი მანძილით არიან გაცილებული სახლს.

მეგობარსაც დაურეკა, მას, ვისთანაც ერთად მიპატიჟებული იყო ერთ ოჯახში. ბლომად სვა წინა ღამეს კონიაკი. დილით ვილაცის სუნთქვამ გააღვიძა. თვალი გაახილა და მიშისაგან უმაღლესი დახუჭა – თავს გერმანული ნაგაზი ადგა და ხელს უყნოსავდა, სველ დრუნჩს ადებდა. შემდეგ სახის ლოკვაც დაუნყო. გაბედა და კვლავ გაახილა თვალი. საიდან გაჩნდა ოთახში ნაგაზი, არ იცოდა, არ ახსოვდა. შინ მარტო იყო იმ დღეებში. შემდეგ ამოღერდა, რომ ძალიან უყვარს ძაღლები და განსაკუთრებით გერმანული ნაგაზები. ძაღლმაც გაუფო და ლოკვას მოუხშირა.

ნამოდგა, მაცივრიდან ძეხვი გამოიტანა. ძაღლმა დაყნოსა, მაგრამ პირი არ დააკარა ძეხვს. შენ როგორი ეკოლოგიური ვინმე ყოფილხარო, შეაქო ძაღლი.

მეგობარმა კი მოახსენა – წუხელ მასპინძელმა გაჩუქა ეს ძაღლი, როგორ არ გახსოვსო. მანაც, – უნდა დავაბრუნო, თორემ ერთად ვერ გავძლებთ, ძეხვს არ ჭამსო.

თათბირის შემდეგ დიმიტრი ხვარცკიას, ქალაქის თავს, ანიშნა, დარჩიო. მართო რომ დარჩნენ, ჰკითხა, ბინას რატომ არ აძლევო? ვისო, – ხვარცკიამ. ვითომ არ იცი, იმ ქალსო. რომელ ქალსო. გრეჩკოს საყვარელსო. დიმიტრი ხვარცკიამ აუჩქარებლად გახსნა სიგარეტის ახალი კოლოფი. მას კი გაეღიმა, – სწორედ ასე ხსნიან შოკოლადის კანფეტების კოლოფს ბავშვები. დიმიტრი ხვარცკიამ სიგარეტი გააბოლა, თვალებში ჩახედა და მშვიდად უთხრა:

– იცი რა, მიხეილ თემუროვიჩ, ასე მოვილაპარაკოთ – აი, გასაღები, ნადი ქალაქის საბჭოში, დაჯექი ჩემს კაბინეტში და შენ გაეცი ბინის ორდერი იმ ბოზს.

გაეღიმა.

– დიმა, გამიგე, რა ვქნა? დამირეკა. ბოლოს და ბოლოს, მარშალია, ამოდენა ჯარის სარდალი...

შემდეგ რატომღაც დაამატა:

– თუ ერთ დროს მემუარები დავწერე, დეპეშასავით დავწერ, მოკლე წინადადებებით.

და მხრები აიჩქრა:

– ხანდახან ასე მგონია, დღიურში ვცხოვრობ. ჩემს დღიურშიც და ვილაცის დღიურშიც, თან სულ მოკლე-მოკლე წინადადებებით დანერვილ დღიურში... ამ ჩვენს დიალოგსაც იქ ჩავწერ.

და გაიცინა.

როდესაც დიმიტრი ხვარცკია გაისტუმრა, მდივანმა ქალმა ქალაღლი შემოიტანა – ღამით სანაპიროზე მოკლული კაცი ფეხბურთელი ყოფილა. გაიხსენა – მეათე ნომერი! ის ფეხბურთელი მეათე ნომერი იყო. რესტორან „რიონაში“ გვიანობამდე ქეიფობდა თურმე. ის და მისი მეგობრები იმავე რესტორანში მყოფ გაგრელებსა და გუდაუთელებს წალაპარაკებთან. სწორედ იმ გაგრელებსა და გუდაუთელებზე ეჭვობდა გამომძიებელი, ფეხბურთელი მათი მოკლული უნდა იყოსო.

თოვდა და კაცი მოკლეს...

და უცებ სავარძლიდან წამოხტა – ის ხომ ვალერა! ზინაიდას შვილი!..

მანქანა მოითხოვა. „ვოლგაზე“ უარი თქვა, „ჩაიკა“ ისურვა. მისი „ჩაიკა“ მთელი საათის განმავლობაში მოძრაობდა ქალაქში. დათოვლილ ქუჩებს ათვალეურებდა, ფეხით მოსიარულეებსაც. ფუნისკულიორზეც ავიდა, „მაიკიც“ მოინახულა, ახალი რაიონიც. დროგამოშვებით მცირედ თოვდა კიდევ.

„ჩაიკა“ პუშკინის ქუჩაზე, პოლიკლინიკის სიახლოვეს გააჩერებინა. იქ ზინაიდა დილიდან საღამომდე მზესუმზირას ყიდდა ხოლმე. იქვე ცხოვრობდა. „ჩაიკიდან“ გადმოვიდა, ტროტუარი და საერთო ეზო გადაჭრა. ზინაიდა ერთ ციციქნა სახლში ცხოვრობდა ქალიშვილთან და ვალერასთან ერთად.

სანამ სახლში შევიდოდა, შემწვარი თევზის სუნი ეცა. ზინაიდა პრიმუსზე ბარაბულკას წვავდა.

– მიხეილ თემუროვიჩ... – გაუხარდა მას.

ზინაიდამ შვილის დალუპვის შესახებ ჯერ არაფერი იცოდა.

– ზინაიდა ნიკოლაენა... – ხომ კარგად ხარ? გარეთ ვერ გნახე და ვიფიქრე, ავად ხომ არ არის-მეთქი.

მიუხედავად იმისა, რომ ლამის ბავშვობის მეგობრები იყვნენ, მაინც სახელითა და მამის სახელით მიმართავდნენ ერთიმეორეს.

– არა ვარ მთლად კარგად, მიხეილ თემუროვიჩ, ხომ იცი – მკლავს რევმატიზმი.

– ეს იმიტომ, რომ არ მოძრაობ, ნიკოლაენა, დაიხუთები ასე. რამდენჯერ გითხარი – ხშირად უნდა ისეირნო.

მიხვდა, ვერაფერს ეტყოდა შვილის შესახებ.

ზინაიდა როგორღაც პასპორტის სურათს დამსგავსებოდა. ასეთიც მოსწონდა.

ნახევარი საათით დარჩა მასთან, ბარაბულკაც შეჭამა. შეამჩნია – რაც უფრო დიდხანს ესაუბრებოდა, ქალს ნაოჭები უქრებოდა.

დამშვიდობებისას ზინაიდამ შესჩივლა – ჩემი კატა სადღაც დაიკარგაო.

– დაიკარგოს, ოღონდ ილოცე, რომ ცოცხალი იყოს. ძველ ეგვიპტეში, როცა კატა მოუკვდებოდათ, კატის პატრონები წარბებს იპარსავდნენ, – გაიღიმა მან.

ზინაიდამაც გაიღიმა.

ღამით სასტუმრო „აფხაზეთის“ რესტორანში იჯდა, მეგობრებთან, კუბეში. იმ დღეს ძალიან ჭირდებოდა მეგობრებიცა და რესტორანიც. ხანდახან კუპეს კარს ნახევრად გააღებინებდა და დარბაზს აკვირდებოდა. რესტორნის დარბაზშიც მოლალოზე უცნობი ხალხიც სჭირდებოდა. იქნებ მეტად, ვიდრე მეგობრები და თვითონ რესტორანი.

რესტორნის ფართო ფანჯარაში ქუჩაში მიმავალი კაცი-ფრინველი გამოჩნდა, ლუკიჩი. უნდოდა, ვინმესთვის ეთხოვა, რომ შემოეყვანათ ლუკიჩი, მაგრამ გადაიფიქრა.

დარბაზში ვილაცის მსუქანი სიცილი გაისმა. იცნო – პატარაჩინოსანი კაცი. მას ისეთი ხმა ჰქონდა, თითქოს სამყაროს ის ნანილი, რომელსაც რესტორანი „აფხაზეთი“ ერქვა, სწორედ მან შექმნა.

არის ბრტყელძირა ნავები, რომლებიც ერთი მტკაველი სიღრმის წყალზეც ადვილად დასრიალებენ, ანუ იქ, სადაც გემები ვერ დაცურავენ, გაიფიქრა მან. რამდენი ბრტყელძირა კაცია ამქვეყნად...

ისევ წინაღამით მოკლული ბიჭი გაახსენდა.

მათ კუბეში შემთხვევით უცხო, შეზარხოშებულმა წვეილმა შემოაბიჯა. ქალი კარტის დამას ჰგავდა, კაცი – კარტის ვალეტს. დამამ და ვალეტმა მოიბოდიშეს და წასვლა დააპირეს, კუბე შეგვეშალაო. არ გაუშვა, ჩვენი ქალაქის სტუმრები ხართ, ჩვენც მასპინძლობა მოგვენატრა, დიდი ხანია სტუმრები არ მიგვიღიაო, და მაგიდასთან დასვა ისინი, კუპეს კარები კი მიხურა და ამით დარბაზის ფივილ-ბივილი უმალ გააქრო.

ქალი კისკისებდა. კაცი კი იმშუშნებოდა, მთვრალის თავმდაბლობით.

მან სახელდახელო სადღეგრძელო შესთავაზა სუფრას.

– იმ ჰარმონიას გაუმარჯოს, როცა ქალი ღამაზია, კაცი კი – მთვრალი!

სხვებმა უსიტყვოდ დალიეს „იმ ჰარმონიის“ სადღეგრძელო.

ცოტა ხნის შემდეგ დამა ნაზად ეზუზღუნებოდა ვალეტს – შენ არ ხარ მორწმუნე, არ ხარ, არ ლოცულობო.

ვალეტმაც – დღეს სამი კარგი გამარჯობა ვთქვი, განა ეს ერთ ლოცვას არ უდრისო.

შემდეგი სადღეგრძელო სამი გამარჯვებისა შეისვა.

მერე ის დამას და ვალეტს უხსნიდა – თქვენ თუ დამა და ვალეტი ხართ, მე ტუზი ვარო. იმათაც ასე გაიგეს მისი ნათქვამი – ალბათ, მაღაზიის დირექტორი ბრძანდებითო. თითქმის გამოიცანითო, – ახარხარდა სუფრა.

დარბაზში რომელიღაც მოქიეფე მიკროფონს ხრავდა:

Самый лучший город в мире
Это город Очамчире.

როდესაც დამას ბანანი მიანოდა, სუფრას აუწყა – ხილზე სექსუალური და საშიში რამ სხვა არაფერი არ არის ამქვეყნად, მამ რატომ ქვია ხელყუმბარას ხილის სახელები – „ლიმონი“, „ფორთოხალი“, „გრეიფრუტი“.

ბანანიო, იკითხა ვილაცამ. „ბანანსაც“ მალე შექმნის კაცობრიობაო, დაიმედა სუფრა, „ანანასსაც“.

ვილაცამ კუპეს კარი გამოალო და ელვისისწრაფით მიხურა.

– აი, შევაშინეთ, გვიცნო. – თქვა მან.

მაღაზიის დირექტორის ასე ეშინიათო? – ერთხმად იკითხეს დამამ და ვალეტმა.

– აბა, როგორ გეგონათ, ეს ხომ კავკასიააო, – ხარხარებდა სუფრა.

ის კი წამოდგა და ახალი სადღეგრძელო წარმოთქვა:

– როცა ცხოვრება მთავრდება, ერთი კარი იხურება, მაგრამ უმალ იღება სხვა, მეორე კარი და ჩვენც შეშინებულები ვიყურებით იქით – რა გველის იმ კარს მიღმა?! როდესაც კარი იხურება, მას სხვა ხმა აქვს, როდესაც იღება, – სულ სხვა. წამსვლელს სხვა ხმით აცილებს კარი, მომსვლელს სხვა ხმით ხვდება. კარს გაუმარჯოს, კარებს! დახურულსა და ღია კარებს!

როდესაც გვიან ღამით რესტორნიდან გამოვიდნენ, რომელიღაც აფრიკული ხე გაიხსენა და დამასა და ვალეტს შუა ხელკავით მიმავალი სტუმრებსა და მასპინძლებს ხმამაღლა უყვებოდა:

– იმ ხეების ფოთლებს ჟირაფები და სპილოები ჭამენ, მაგრამ როდესაც კატასტროფულად მცირდება ფოთლების რაოდენობა და ხეები გადაშენების ზღვარს უახლოვდებიან, მათი ფოთლები შხამიანი ხდებიან და მაშინ უკვე ჟირაფები და სპილოები ვერ ჭამენ მათ. გარკვეული დროის შემდეგ კი, როდესაც ხეები აღიდგენენ ბალანსს და იმრავლებენ ფოთლებს, ისინი კვლავ საჭმელად ვარგისი ხდებიან.

მისი სიტყვები ფარშავანგის კუდივით ეფინებოდა და-თოვლილი ქალაქის ქუჩებს.

სტუმარ-მასპინძლები ისეთი გასხვივონებული სახით მოდიოდნენ, თითქოს ეს-ესაა აგვისტოს მოალერსე ზღვიდან ამოყვინთესო.

16

ტაიდაი კასიო იაპონელი მილიარდერი იყო.

ის მოსკოვში გაიცნო მიხეილ თემუროვიჩმა, საერთაშორისო სიმპოზიუმზე, სასტუმრო „კოსმოსის“ ჰოლში, ერთ-ერთი შესვენებისას.

ტაიდაი კასიო თანაშემწესთან ერთად ცვილონის ჩაის მიირთმევდა, თან „პრიანიკს“ აყოლებდა.

მიხეილ თემუროვიჩი შეუერთდა „კოსმოსურ“ ჩაის სმას. ისე, ჩაი მაინცდამაინც არ უყვარდა. თან მთელი ცხოვრება ამტკიცებდა, ჩაიმ და თამბაქომ გაგვიპარტახა აფხაზეთი, მინა გამოგვიფიტაო. აფხაზეთში ჩაის მომრავლებას რუსეთს აბრალებდა, თამბაქოსას კი – თურქეთს. ჩაიმ ქალები დაგვიავადმყოფა, თამბაქომ – კაცებო.

თვითონ მოცვის ჩაი უყვარდა მხოლოდ.

– მოგწონთ ცვილონის ჩაი? – თარჯიმნის დახმარებით ჰკითხა ტაიდაი კასიოს.

მიხეილ თემუროვიჩმა უკვე იცოდა, ვინც იყო ტაიდაი კასიო – მილიარდერი, რომელიც ჩაის ბიზნესს წარმართავდა.

ტაიდაი კასიომ და მისმა თანაშემწემ სინქრონულად გაიღიმეს და თავი დაუკრეს შემოსწრებულ ჩაისმსმელს.

რაც კარგია, კარგიაო, – დაახლოებით ასე უთქვამს ტაიდაი კასიოს.

გეტყობათ, თქვენ უკეთესი არ დაგიღვებიათო, – ეს უკვე მიხეილ თემუროვიჩს უთქვამს დაახლოებით ასე და ჯიბიდან გასანთლული ქალაღდის მომცრო პარკი ამოუღია.

გასანთლული ქალაღდის პარკში ჩაი ჰქონდა, მოშავო-მოლურჯო ფერის.

– ეს სადაური ჩაია? – ჰკითხა ტაიდაი კასიომ.

– აფხაზეთის ჩაია, – უპასუხა მიხეილ თემუროვიჩმა.

ტაიდაი კასიომ არ იცოდა, რა იყო აფხაზეთი, მითუმეტეს – სად იყო.

– აფხაზეთის ჩაია, – გაიმეორა მიხეილ თემუროვიჩმა,

– „უშგულის ჩაი“ შევარქვით.

ტაიდაი კასიომ არც უშგული იცოდა.

– უშგული ჩვენი ფუძიააო, – აუხსნა მიხეილ თემუროვიჩმა, – კავკასია!

ტაიდაი კასიოს თანდათანობით გონება უნათღებოდა, განთიადის სხივებით განათებულ ფუძიაშხავით.

– ჩვენ, თქვენგან განსხვავებით, რამდენიმე ფუძიაა გვაქვს, – დააკონკრეტა მიხეილ თემუროვიჩმა.

ტაიდაი კასიოს უკვე ძალიან უნათღებოდა გონება.

შემდეგ „უშგულის ჩაი“ შესთავაზა. ტაიდაი კასიო თავაზიანად დათანხმდა შემოთავაზებას, თანაშემწეც.

„უშგულის ჩაის“ უცნაური სურნელი დაჰკრავდა. ტაიდაი კასიო სვამდა და თან სადღაც, შორეთში, რომელიღაც წერტილს მიშტერებოდა. მიხეილ თემუროვიჩი ვერ გებულობდა, მოსწონდა თუ არა კასიოს „უშგულის ჩაი“.

– ეს ჩვენებური სამურაების საყვარელი სასმელი იყო, აღვადგინეთ, გადავარჩინეთ... – უთხრა ტაიდაი კასიოს.

იაპონელი მილიარდერი უშორეს წერტილს არ ამორებდა თვალს, თან „უშგულის ჩაის“ სვამდა, ნება-ნებით.

– ამ ჩაის მხოლოდ ჩვენი წყალი და ჰაერი აძლევს სრულყოფილ გემოს და არომატს, – თქვა თემუროვიჩმა.

მისთვის სრულიად გაუგებარი იყო, რას ფიქრობდა „უშგულის ჩაიზე“ ტაიდაი კასიო.

აფხაზეთში მიიპატიჟა.

ასე დაშორდნენ ერთმანეთს.

ათი დღის შემდეგ ტოკიოდან დეპეშა მიიღო.

„9 ივლისს სოხუმში ვიქნები. ტაიდაი კასიო“. – ასეთი რამ ეწერა დეპეშაში.

– სოსიკ, ჩამოდის! – დეპუტის ფრიალით შევარდა „ბე-ბეისირის აკადემიის“ ლაბორატორიაში, – ორ დღეში აქ იქ-ნება, სოსიკ, ჩემო ძვირფასო აკადემიკოსო! სასწრაფოდ „უშგულის ჩაი“!

„უშგულის ჩაის“ ხსენებისას სოსო კაპანაძე მიხვდა, ვინც ჩამოდიოდა და გადაფიქრდა.

– ნუ გეშინია, სოსიკ, მოციციც გვაქვს, მანდარინის გამ-ხმარი ყვავილებიც და ჩაიც! შორს ჩვენგან შევარდნადის ჩენჩო! გაუმარჯოს „უშგუ-ლის ჩაის“!

სოსო კაპანაძის სახეს მაინც არ დაუბრუნდა ფე-რი.

მაგრამ რამდენიმე წუთ-ში მიხეილ თემუროვიჩის მხარდამხარ ისიც შემინულ კარადებში იქექებოდა, ქი-ლებს არჩევდა, ჭურჭელს ამზადებდა.

– ჩამოდის, იოსებ სპი-რიდონოვიჩ, ჩამოდის! არ მეგონა... რას ვიფიქრებდი... რა საინტერესოა ეს ცხოვ-რება! – იმეორებდა მიხეილ თემუროვიჩი.

სალამოსათვის „უშგუ-ლის ჩაიც“ მზად ჰქონდათ; მიხეილ თემუროვიჩის რე-ცეპტით შექმნილი: 30% მანდარინის გამხმარი ყვა-ვილები, 10% გამხმარი ლურჯი მოცივი (სვანეთი-დან ჩამოტანილი, „უშგუ-ლის ჩაის“ უმთავრესი კომ-პონენტი) და დანარჩენი 60% გულდაგულ შერჩეუ-ლი ქართული ჩაი.

მეორე დილით თანამ-შრომლებს ჩაის პანანინა ნერგები ჩააყრევინეს „ბებეისირის აკადემიის“ საცდელ ფართობზე. ჩვეულებრივი ჩაის ნერგები, რომლებიც ტაი-დი კასიოს ჩამოსვლის შემდეგ უკვე „უშგულის ჩაი“ გახდე-ბოდა.

– მიხვდებიან, მიხეილ თემუროვიჩ, მიხვდებიან, რომ ეს ქართული ჩაის ნერგებია და სხვა არაფერი, – წუხდა სოსო კაპანაძე.

– „უშგულის ჩაისაა“! მთავარია, მთავაგონო შენს თავს, რომ „უშგულის ჩაისაა“ და ყველაფერი რიგზე იქნება... მა-შინ ისიც ირწმუნებს, რომ უშგულისაა. იაპონური ტრადი-ციების კაცია, სხვანაირად ვერც იფიქრებს.

ტაიდაი კასიო, მისი თანაშემწეები და ტიტესტერები ბაბუშარის აეროპორტში დაფრინდნენ. მიხეილ თემურო-ვიჩი სტუმრებს შავი „ვოლგებითა“ და ამალით დახვდა.

სალამ-ქალამის შემდეგ აჩივარისკენ გაქანდნენ, ბე-ბეისირის ტბისკენ.

ტაიდაი კასიო და მიხეილ თემუროვიჩი „ვოლგის“ უკა-ნა სავარძელში ისხდნენ. მძლოლის წინ თარჯიმანი იჯდა. ტაიდაი კასიო მანქანის სარკმილიდან შორეულ მთებს აკ-ვირდებოდა, აფხაზურ ფუძიანებს ეძებდა.

– თქვენ დრო არა გაქვთ, ტაიდაი-სან, თორემ ჩვენს მყინვარწვერებს გაჩვენებდითო, – მიუხვდა ტაიდაი კასი-ოს მიხეილ თემუროვიჩი.

იაპონელ მილიარდერს მართლაც არ ჰქონდა დრო.

ბებიაჩემი მთიელი იყო, სვანი, არის ასეთი ხალხიო, – უხსნიდა სტუმარს, – იქ გამოიყვანეს პირველად „უშგულის ჩაი“, ეს ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეორე საუკუნის პირველ ნახევარ-ში მოხდაო. მეომრების ჩაია „უშგულის ჩაი“, კაცს სიმა-მაცეს მატებს და მამაკა-ცურ ენერგიას უშვიდმაგებ-სო.

ნახევარ საათში ბებეი-სირის ტბასთან იყვნენ. გა-ლელების უზადო, აღმატე-ბული კულინარიით გამშვე-ნიერებული ორმოცკაციაანი სუფრა ზედ ყოროფას ნახე-ვარკუნძულზე იყო გაშლი-ლი.

ყოროფა რას ნიშნავსო, – იკითხა თარჯიმანმა.

ყოროფა მეგრულად სიყვარულია, ნახევარკუნ-ძული მიხეილ თემუროვიჩის მონათლულიაო, – უთხრა თარჯიმანს სოსო კაპანა-ძემ.

და აღმომჩენელიცო, – დაამატა მიხეილ თემურო-ვიჩმა.

და აღმომჩენელიცო, – გაიმეორა სოსო კაპანაძემ. აბა, ჩაი გავსინჯოთო, – ტაიდაი კასიომ, – ხვალ დილა-უთენია მივფრინავო.

ჯერ სუფრასთან უნდა დავისვენოთ, ყველამ ერთად, მხოლოდ მერე – ჩაი! ასეთია აქაური ტრადიციაო, – უთარ-ჯიმნა თარჯიმანმა მიხეილ თემუროვიჩის ნათქვამი ტაი-დაი კასიოს.

რა გაეწყობაო, – გაიღიმა და მხრებზე აიჩქრა ტაიდაი კასიომ.

ელარჯი, საცივი, ხაჭაპური, რძეში მოხარშული ციკა-ნი, გებუალია... დაიბნა ტაიდაი კასიო.

ახლა ეს მიირთვით ტაიდაი-სან, მერე ის, მერე კიდევ აი, ის, იაპონური ფაიფურის სინზე რომ აწყვიაო, – ეხმარე-ბოდა მიხეილ თემუროვიჩი ახალშეძენილ მეგობარს.

თავდაპირველად ღვინის სმაზე უარი განაცხადა ტაი-დაი კასიომ. მაგრამ ეს ჩვენი საუკუნეებამოვლილი ტრა-



მხატვარი მზია დედანაშვილი

დიციაა, ტრადიცია კი წმინდათაწმინდააო! – აღმოხდა სუფრის წევრების ქოროს მიხეილ თემუროვიჩის სოლისტობით.

დაყარა იაპონური ფარ-ხმალი მილიონერმა, მაგრამ სხვებისთვის უხილავი ყესტით თავის ტიტესტერებს ღვინის სმა აუკრძალა. თვითონ კი იმ დღეს შვიდ ჭიქამდე ღვინო დალია.

როდესაც თამადამ, ანუ მიხეილ თემუროვიჩმა... და განა სხვა ვინ უნდა ყოფილიყო თამადა მის გარდა? საერთოდ, აქ, ამ წიგნში ახლა და იმ ცხოვრებაში კი იქ და მაშინ თუ სუფრა გაიშლება (გაიშლებოდა) სადმე, მიხეილ თემუროვიჩი და მხოლოდ და მხოლოდ მიხეილ თემუროვიჩია (იყო) თამადა.

მოკლედ, როდესაც თამადამ პირველი სადღეგრძელო შესთავაზა სტუმრებსა და მასპინძლებს, ტაიდაი კასიომ იკითხა, ეს რა ხდებაო.

ტრადიცია! – მერამდენედ გაისმა იმ დღეს ეს სიტყვა.

– თქვენ ჩაის სმის ტრადიცია გაქვთ, ჩვენ – ღვინის, – უტყუარი არგუმენტით დააკონკრეტა მიხეილ თემუროვიჩმა.

– ჩაის სმისას თქვენ უფრო მდუმარებით, ჩვენ – სადღეგრძელოებს ვამბობთ, – დაამატა ცოტა ხნის შემდეგ, – თქვენი დუმილი და ჩვენი სიტყვები, ორთავე, ადამიანთა ურთიერთგაგებასა და დაახლოებას ემსახურება.

ბებეისირის ტბის მაგალობელი და არამაგალობელი ფრინველების ხმები გულწრფელმა ტაშმა დაფარა.

შემდეგი სადღეგრძელო იაპონელი და საბჭოთა ხალხების მეგობრობას მიუძღვნა. როგორც აღნიშნა, ეს ხალხები უხსოვარი ჟამიდან მეგობრობენ, ძველი წელთაღრიცხვის VII–VI საუკუნეებიდან, თუმცა არის კიდევ სხვა ვარაუდიც, რომ მეგობრობა მათი იმავე ძველი წელთაღრიცხვის XIV–XIII საუკუნეებით თარიღდება. მერე მწუხარედ ისაუბრა მეორე მსოფლიო ომისდროინდელ გაუგებრობაზე და დაამატა, ის დაპირისპირება ჩვენი მეგობრობის გამოცდა იყო და ჩვენმა ურთიერთსიყვარულმა ამ გამოცდას მაინც გაუძლო, არ შედრკაო.

ტაიდაი კასიომ, – მეც ვიბრძოდი მაშინო.

მიხეილ თემუროვიჩმა, – მეც ვიბრძოდი, ოღონდ დასავლეთის ფრონტზეო.

ტაიდაი კასიომ, – მეც დასავლეთის ფრონტზე ვიბრძოდიო.

ეს როგორ, – შეკრთა მიხეილ თემუროვიჩი.

ჩვენი დასავლეთი თქვენი აღმოსავლეთიაო, – დაამშვიდა გაღიმებულმა ტაიდაი კასიომ.

თქვენ კამიკაძე ხომ არ იყავითო, – მიხეილ თემუროვიჩმა.

კამიკაძე რომ ვყოფილიყავი, ამ სუფრასთან არ ვიქნებოდიო, – უკვე ტაიდაი კასიომ გაიცინა.

სხვებმაც გაიცინეს.

კამიკაძე ქართული გვარია, სოხუმში და გალში კამიკაძეების 12 ოჯახი ცხოვრობსო, – მიხეილ თემუროვიჩმა.

კამიკაძე – ღვთიურ ქარს ნიშნავსო, – ტაიდაი კასიომ.

მეგრულადაც ზუსტად ასეა, – მხარი აუბა მიხეილ თემუროვიჩმა, – ოღონდ შეცვლილი ნყოფით: ქარი ღვთიური – აი, ასე. აფხაზურად კამიკაძე სხვაგვარად ჟღერსო...

სანამ გაიხსენებდა, თუ როგორ ჟღერს კამიკაძე აფხაზურად, სასიამოვნო დამთხვევა აღმოაჩინა – თურმე ტაიდაი კასიო და მიხეილ თემუროვიჩი ერთ წელს და ერთ დღეს ყოფილან დაბადებულები – 1917 წლის 7 დეკემბერს. ოღონდ, დედამიწის სხვადასხვა კუთხეებში – ერთი ტოკიოში, მეორე – გუფში.

მაგრამ მე პასპორტში სხვა დღე და სხვა წელი მიწერია, შეეშალათ, ხომ იცით, რეგულაცია იწყებოდა, ტაიდაი-სან, არეულობა. ხალხსაც თავი არეული ჰქონდა. სხვათაშორის, ზოგი დღემდე ისევე არეული დარჩაო. და 1915 ჩამინერესო, – განაცხადა მიხეილ თემუროვიჩმა.

მეშვიდე სადღეგრძელო მაგალობელი ფრინველებისა და მდუმარე თევზებისა თქვა. შავი ზღვის ფრინველებისა და თევზებისა და იაპონიის ზღვის ფრინველებისა და თევზებისა.

რამდენიმე სადღეგრძელოს შემდეგ კი წარმოთქვა:

– თქვენი საკე ხოკუს გავს, ჩვენი ღვინო კი აზიური ლექსივით ვრცელია.

– კი მაგრამ, ომარ ხაიამი? – გამომცდელად იკითხა ტაიდაი კასიომ.

– ომარ ხაიამის ლექსიც ვრცელია, ოღონდ ორიგინალი; თარგმანი კი შემოკლებულია, განსაკუთრებით, იაპონური თარგმანი, – არ დაიბნა მიხეილ თემუროვიჩი, – სპარსულად თუ წაგიკითხავთ ომარ ხაიამი, ტაიდაი-სან?

ტაიდაი კასიოს სპარსულად არ ჰქონდა წაკითხული ომარ ხაიამი. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არც იცოდა სპარსული.

– სამწუხაროა... მე ახლავე მოგასმენინებთ ორიგინალს.

და ომარ ხაიამის ლექსი წაუკითხა სტუმარს, სტუმრებს, მასპინძლებს, ფრინველებსა და თევზებს, ბებეისირის ტბასა და შავ ზღვას, მთებს, ღრუბლებს... ომარ ხაიამის სპარსული ლექსი წაუკითხა ყველას დედამიწის მანამდე უცნობ, მანამდე არარსებულ ენაზე.

– საკე სატორივითაა, გაეღვებასავით, ღვინო კი – მზიან, გრძელ დღესავით. საკეს ერთი და ხანგრძლივი კუგირი აქვს, ღვინოს – მოკლე და მრავალი.

ტაიდაი კასიო გაოგნებული უსმენდა. უკვე ევროპულად გაფართოებული თვალებით.

შემდეგ ადამის ჟამინდელი:

– ჩვენს ლაბორატორიაში დედამიწის ხუთივე კონტინენტის მიწის სინჯი გვაქვს, პირადად მე ჩამოვიტანე. ხუთივე კონტინენტის მიწა ერთნაირი შემადგენლობისაა. ნყალიც. ხუთივე კონტინენტის მცხოვრებთა სისხლიც გვაქვს შესწავლილი – ჩემს აკადემიკოსებს დავავალე. მე და აკადემიკოსი სოსო კაპანაძე ვხელმძღვანელობდით ამ პროექტს (სტუმრებმა მოწინებთ გადახედეს სოსო კაპანაძეს. მასპინძლებმაც). კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ ყველას ერთი სისხლი გვაქვს. ძმები ვართ ყველანი, ოღონდ ესაა – ჯერ ყველამ არ ვიცით ეს.

შემდეგ ადამის ჟამინდელი იაპონური ამბავი გაიხსენა:

– ერთი ბატონი მეორეს ებრძოდა. ის მეორე გორაკზე იჯდა. დაბლა, ველობზე მათი სამურაები ხოცავდნენ ერთმანეთს. პირველი გორაკისკენ გაიჭრა ცხენით, ჩაუქროლა მეორეს და ხმალი მოუქნია. მეორემ საბრძოლო მარაო-

თი მოიგერია მისი შეტევა და იმ წამს შეთხზული ლექსი შესძახა, ხოკუ. ამის შემდეგ პირველი ჭყნებითვე დაეშვა ძირს და თავის სამურაებს ბრძოლა შეაჩერებინა და მათთან ერთად დაბრუნდა შინ. ტაიდაი-სან, თქვენ ხომ არ გახსოვთ ის ხოკუ?

ტაიდაი კასიოს ის ხოკუ არ ახსოვდა. არც ის ამბავი იცოდა, არც მსგავსი ამბავი გაეგო. შეიძლება გაეგო, მაგრამ არ ახსოვდა. არც თანაშემწეებმა იცოდნენ ხოკუ, არც იაპონელმა ტიტესტერებმა.

მაშინ მიხეილ თემუროვიჩმა იდუმალი ხმით წარმოთქვა ის ხოკუ (კინალამ იაპონურად წარმოთქვა, მაგრამ გაახსენდა, რომ ტაიდაი კასიო იაპონელი იყო და უმაღლე გააფიქრა):

ჭასთან ბადიას

ღამით სურო შემოხვევია,

მე მეზობლისას მივდივარ წყალზე.

ხოკუს რომ კითხულობდა, ყოროფის ნახევარკუნძულზე უკვე იაპონური მუსიკა უკრავდა.

ტაიდაი კასიოს ცრემლი მოერია... თანაშემწეებსაც. ტიტესტერებს არა, იქნებ იმიტომ, რომ ისინი მხოლოდ ჩაის სვამდნენ.

ჩემი შორეული წინაპარი გენიალური მწერალი სულხან საბა ორბელიანი იყო, – თქვა მიხეილ თემუროვიჩმა, – მან წიგნი „სიბრძნე სიცრუისა“ დაწერაო.

ტაიდაი კასიოს ერთხელ კიდევ მოერია ცრემლი.

იქნებ იმიტომაც, რომ მას არც „სიბრძნე სიცრუისა“ ჰქონდა წაკითხული.

ბანკეტის შემდეგ ნაძვების ჩრდილქვეშ გადაინაცვლეს, თეთრ-ლურჯ ზოლებიან შეზღონგებზე ჩამოწვნიენ. ორი საათის განმავლობაში ისვენებდნენ. შემდეგ „უშგულის ჩაის“ დეგუსტაცია დაიწყო.

„ბებეისირის აკადემიის“ „ტიტესტერები“ სოხუმიდან ჩამოყვანილი 20-25 წლის ქერათმიანი გოგონები იყვნენ. მათ ჩინური ფაიფურივით კრიალა სახის კანი და ლურჯი თვალები ჰქონდათ, შავი კოლგოტკები და მოკლე კაბები ეცვათ. ტაიდაი კასიო რაღაცნაირი, შეუცნობელი სევდით ადევნებდა თვალს ქერათმიან „ტიტესტერებს“.

– ექსელენთ! – დეგუსტაციის ბოლოს გაისმა ერთ-ერთი იაპონელი ტიტესტერის ხმა.

– ექსელენთ! – გალობასავით (ოლონდ მორცხვად) გაიმეორეს მიხეილ თემუროვიჩის „ტიტესტერებმა“.

შემდეგ „უშგულის ჩაის“ წარგავები დაათვალიერა ტაიდაი კასიომ.

უკვე საღამოვდებოდა, მზე ზღვაში ეშვებოდა.

მდუმარედ გახედა ჩამავალ მზეს ამომავალი მზის ქვეყნის ძალიანდიფულიანმა შვილმა – იაპონიისკენ მიცოცავდა მზე.

მე „უშგულის ჩაის“ ერთი მილიონი ნერგი მინდაო, – ტაიდაი კასიომ.

ერთ წელიწადსა და ხუთ თვეში გამოგიგზავნითო, – შეპირდა მიხეილ თემუროვიჩი.

სოსო კაპანაძემ იდაყვი გაკრა მიხეილ თემუროვიჩს, ნიშნად იმისა, რას ამბობო.

– გვინდა თუ არა, უნდა გამოვიყვანოთ „უშგულის ჩაი“, ეს არ იქნება ჩვენთვის შეუძლებელი, – გადაუჩურჩულა მიხეილ თემუროვიჩმა სოსო კაპანაძეს.

სოსო კაპანაძეს მეორეჯერაც უნდოდა იდაყვი გაეკრა მიხეილ თემუროვიჩისათვის, ამჯერადაც იმის ნიშნად – აბა, რას ამბობო, მაგრამ არ გააკეთა ეს, ჩააფიქრა მიხეილ თემუროვიჩის სიტყვებმა, მიხეილ თემუროვიჩი ამას შეძლებსო, გაიფიქრა.

მერე ტაიდაი კასიოს თანაშემწეებმა კეისებიდან ქათქათა ქაღალდები ამოაფრიალეს და მიხეილ თემუროვიჩს დაულაგეს ბალის ცისფრად შეღებილ მაგიდაზე. მიხეილ თემუროვიჩმა იფიქრა, იფიქრა და ბოლოს მაინც მოაწერა ხელი იმ ქაღალდებს.

ტაიდაი კასიო, მისი თანაშემწეები და ტიტესტერები მეორე დღით გადაფრინდნენ.

ორ კვირაში 50.000 ამერიკული დოლარი გამოგზავნა ტაიდაი კასიომ – ერთი წლისა და ხუთი თვის განმავლობაში, „უშგულის ჩაის“ ნერგების მიღების პარალელურად, კიდევ 3.000 000 ამერიკული დოლარის (სამი მილიონი!) გამოგზავნას აპირებდა.

მაგრამ დაიწყო ომი. მეომრები შემოესივნენ იქაურობას. კიდევ – მეომრების მსგავსებიც. კიდევ – მეომრების მსგავსების მსგავსებიც. სულ რამდენიმე საათში გაქრა „ბებეისირის აკადემიის“ კუთვნილი მინი-ტრაქტორები („კროტები“), ლაბორატორია. 27.000 ამერიკულ დოლარად ღირებული ელექტრომიკროსკოპიც, რომელიც ერთ-ერთი გენეტიკის ინსტიტუტის დირექტორმა აჩუქა მიხეილ თემუროვიჩს (იმ დირექტორის გულს ვერავინ იგებდა, მაგრამ ნახავდა თუ არა მიხეილ თემუროვიჩს, დნებოდა).

ომმა ყველაფერი წაიღო.

აბსოლუტურად ყველაფერი.

ომმა ყველაფერი წაიღო ომის კაცების ხელით.

ისინი ბლომად იყვნენ.

არავინ იყო მათი შემჩერებელი.

ვერც მიხეილ თემუროვიჩმა მოახერხა ეს.

17

„დიოსკურიამი“ იჯდა, რესტორანში, ძველ სოხუმელებს შორის.

„დუ იაქეთ“ სავსე ბროლის ფუჟერი ეპყრა, თანამეინახეთა თავებზე მაღლა ეჭირა, და სადღეგრძელოს ამბობდა. თან ზღვას გადაჰყურებდა.

ვინც გათვითცნობიერებული არ არის, მათ გასაგონად ვამბობ: „დუ იაქე“ მარტო წარდის თამაშისას კამათლების პოზიციას კი არ აღნიშნავს (2:1), არამედ იმ სასმელის სახელსაც, რომელიც ერთი წილი შამპანურისა და ორი წილი თეთრი ღვინისაგან შესდგება. ასეთი სასმელი, როგორც წესი, სოხუმის რესტორნებში სახელდახელოდ მიიღებოდა: გრაფინში ისხმებოდა ერთი ბოთლი შამპანური (ვთქვათ, „Советское шампанское“) და ორი ბოთლი თეთრი ღვინო (ვთქვათ, „ცოლიკაური“). ხანდახან გრაფინში ატამი, მსხალი, ან ვაშლი ჩაიჭრებოდა; ჩაიყრებოდა ყინული და რამდენიმე კუმპალი ყურძენი, რაც განსაკუთრებით აკეთილშობილებდა „დუ იაქეს“.

იყო კიდევ – „სე იაქე“ (3:1), ანუ – ერთი წილი შამპანური და სამი წილი თეთრი ღვინო. კიდევ – „იაგანი“ (თითოთითო შამპანური და თეთრი ღვინო), „დუბარა“ (ორ-ორი შამპანური და ღვინო) და ასე შემდეგ. ისე, ქეიფის ეს „წარდი“ რაღაცით დღევანდელ ყველაზე აზარტულ კომპიუტერ-

რულ თამაშებს ჩამოჰკავს. ამას იმიტომ ვწერ, რომ უფრო გასაგები გახდეს „წარსულის გადმონაშთი“ ახალგაზრდა მკითხველისთვის.

დარწმუნებული ვარ, ეს გამოგონება თავისი მნიშვნელობით არც ერთ ზომიერადმნიშვნელოვან სამეცნიერო გამოგონებაზე თუ გეოგრაფიულ აღმოჩენაზე ნაკლები როდია, მითუმეტეს, რომ ნაკარნახევია იგი შავი ზღვით, მშვენიერი ქალბატონებით, მამაკაცური თანადგომის მარადიული გრძნობით და ქალაქის ნახევრად რეალური, ნახევრად სიზმრისეული ბუნებით.

მოკლედ, ზღვას გადაჰყურებდა...

„დუ იაქეთ“ სასვებროლის ფუჟერი მალა ეჭირა და სადღეგრძელოს ამბობდა.

და ადღეგრძელებდა იმ ფაეტონს, რომელიც სოხუმში ოდესღაც, ალბათ XX საუკუნის ათიან წლებში, რომელიღაც ზაფხულში, მთელი დღით იქირავეს სოხუმელმა მოქეიფეებმა, რესტორნები და დუქნები სულ ქეიფ-ქეიფით, დოლ-გარმონ-ზურნითა და მხიარული სიმღერებით შემოიარეს.

და ადღეგრძელებდა იმ ფაეტონის ულაცს, რომელსაც იმავე მოქეიფეებმა ერთ-ერთ რესტორანში ერთი სათლი ჩაცხებული ფრანგული „შამპანი“ ასვეს, თანამეინახედ აქციეს და ასე შამპანურითა და სიმღერებით გალაღებული ულაცი პატარა ბაზართან უმშვენიერეს თეთრ ფაშატს გადაჰყარეს.

და ადღეგრძელებდა იგი იმ ალგზნებულ ულაცს, რომელმაც, მიუხედავად იმისა, რომ ფაეტონში იყო შებმული, მაინც მოახერხა, გაჭენდა და უმშვენიერეს ფაშატს წესისამებრ ზემოდან მოექცა და აყირავებულ ფაეტონში რიტმულად დაარწია, დაარწია და დაარწია მთვრალი მოქეიფეები და მუსიკოსები, რომლებიც ვერა და ვერ გარკვეულიყვნენ, რა ხდებოდა მათ თავს და აგრძელებდნენ სიმღერას, დოლ-გარმონ-ზურნაზე დაკვრას და ხელების გაშლას, ვითომ ცეკვავენო.

და ადღეგრძელებდა იგი იმ ულაცს, იმ ულაცს, იმ ფაშატს, იმ ფაშატს, იმ ქალაქს, იმ ქალაქს, იმ რიტმს, იმ რიტმს, იმ მაგიურ-ჯადოსნურ-ზღაპრულ-ღვთიურ რიტმს, რიტმ-შემომქმედს, რიტმ-სათავეს სიცოცხლისა, რომელიც თითოეული ჩვენთაგანის, თითოეული სულიერის და, საერთოდ, ვარსკვლავების, გალაქტიკების, მეგასამყაროების არსში ფეთქავს, ფეთქავს და ფეთქავს... მარადიულ და იდუმალ მუსიკასავით.

18

– რა უცნაურად მეძინება, – მორიდებულად გაიღიმა მომაკვდავმა.

მიხეილ თემუროვიჩის ცრემლი მოერია.

მერე თავსასთუმალი გაუსწორა და უჩურჩულა:

– დამიჯერე, მე უფრო დამალა ამ ცხოვრებამ, ნეტავ ახლა შენს ადგილას ვიყო, ხომ დავისვენებდი.

19

მიხეილ თემუროვიჩთან ერთად გურიამი მოვხვდი. გადაგვეყვინე მასპინძლები. ყოველი სუფრის დაწყების წინ გოგონები დოქით წყალს გამოიტანდნენ და მასპინძელი გვთხოვდა – ხელი დევიმშვენიოთო. „ხელები დაიბანეთ“ კი არა, „დევიმშვენიოთო“.

ერთ-ერთი მასპინძლის ეზოში მიხეილ თემუროვიჩმა წყარო ნახა, ზოდიში მოიხადა მასპინძლების წინაშე, ტუფლები გაიხადა და ფეხები წყაროში ჩაყო – ერთხელ კიდევ დავიბადეო.

შინ წამოსულეხს, შეღამებულზე, ზედ სუფსის ხიდან, გზა სატვირთო მანქანამ გადაგვიჭრა, ხიდი ჩაგვიკეტა და გაგვანერა. მანქანიდან ფილთა თოფებით შეიარაღებული ფირალები ჩამოცვივდნენ, მანქანიდან გადმოგვიყვანეს, ერთი-ორი გაისროლეს და... დაგვატყვევეს.

შეგვეშინდა. მართლა შეგვეშინდა.

შემდეგ სატვირთო მანქანის გრძელ ძარაზე აგვიყვანეს. იქ გაშლილი სუფრა და ძარაში ჩამალული მასპინძლების ხარხარი დაგვხვდა – ლომების ქეიფი აწი იწყებო.

გურულებმა მანქანა ზედ ზღვას მიაყენეს, სადღაც შეკვეთილთან. მთვარიანი ღამე იყო. შუა ქეიფში საჭირო საქმეზე მანქანიდან ჩამოვედი. უკან მობრუნებულს მახსოვრობაში სამუდამოდ ჩამებუჭდა ის სურათი: ზღვა, მთვარე და სატვირთო მანქანის ძარაზე მოქეიფე სტუმარ-მასპინძლები.

მიხეილ თემუროვიჩი აღფრთოვანებული იყო – შემოქმედებით სტუმარ-მასპინძლობას გაუმარჯოსო. იმღერა კიდევ – „თაო ჩემო, ბედი არ გინერია“.

ისე, ბევრს არ სვამდა. ორი ჭიქის შემდეგ ლოყები წამოუნითლდებოდა ხოლმე. ამბობდა – თუ სუფრაზე ერთი ლამაზი ქალი მაინც არის, მაშინ მეტს ვსვამ, ლამაზი ქალი ძალას მადღევსო.

შემდეგ სამეგრელოში მოვხვდი მიხეილ თემუროვიჩთან ერთად. ერთ-ერთ ასკაციან სუფრაზე მოულოდნელად შეუქი ჩაქრა, შემდეგ რომელიღაც კარი გაიღო და ერთმანეთის მიყოლებით რქებზე სანთლებმოციმციმე ცხრა ციკანი გამოჩნდა. როდესაც ციკნები ორად გაყოფილი სუფრის შუაგულში გაჩერდნენ, შუქიც აინთო. და რა ნახეს ჩემმა თვალებმა – შემწვარი, პირში მწვანილგაჩრილი ციკნები გორგოლაჭებიან სადგამებზე იდგნენ. ისინი ერთმანეთს თოკით იყვნენ გადაბმულები. თოკს კი სუფრის თავში მჯდომარე კაცი ექაჩებოდა. შემდეგ ციკნები მაგიდაზე ჩამოარეგეს.

ჩემს გვერდით ერთი ოჩამჩირელი კაცი იჯდა. სუფრის დასასრულს ხალათი აიკაპინა და მარჯვენა მკლავი მიჩვეწა. ტატუირებულ მკლავზე ეწერა „ვაჟა+“. სხვა სიტყვები ნაშლილი ჰქონდა.

– აქ ერთ დროს ეწერა „ვაჟა + ზურაბ + შოთა + ოთარი = ძმებს“. ვაჟა მე ვარ, სხვები ჩემი ძმაცაცები იყვნენ. ბევრი რამეები შეეშალათ, არ იყვნენ ჩემი ძმობის ღირსი და რალაც მუავით ნავაშლევიანე მათი სახელები. რამდენიმე წლის შემდეგ „შოთა“ კი აღვადგინე, მაგრამ იმას ისევ შეეშალა რალაცეები და ისევ ნავაშლე.

20

რინისკენ მიმავალ გზაზე, ცისფერი ტბის სიახლოვეს, ერთი ჩანჩქერია. აქაფებული ჩანჩქერი მაღალი კლდიდან გადმოჩქევს და ერთიანად თეთრია.

ერთხელაც მიხეილ თემუროვიჩის ჩინელების დელეგაცია აჰყავდა რინის ტბისკენ და გზად იმ ჩანჩქერთან შეჩერდნენ. ჩინელებს ძალიან მოეწონათ იქაურობა და მიხეილ თემუროვიჩს ჰკითხეს, რატომაა ჩანჩქერი ასეთი თეთრიო.

მანაც უპასუხა:

– წყალი არ გეგონოთ, ეს ჩანჩქერი მთლიანად რძისაა. მაღლა, მთებში, ფერმა გვაქვს, სადაც 3 ათას 567 ძროხა იმყოფება. მათ ყოველ დღე მთლიან და შემდეგ აი, ასეთი მეთოდით ხდება რძის ტრანსპორტირება რძის ქარხნისკენ, რომელიც ზღვისპირას მდებარეობს. აბა, გზა ფერმამდე არ მიდის. ჩვენი მეთოდი სუპერნოვატორულია, შედეგიც შესანიშნავი გვაქვს – რძის თვითღებულება ძალზე შევამცირეთ – ერთი ლიტრი რძე ერთი კაპიკი გვიჯდება.

შემდეგ თვითონ ჰკითხა გაცემულ ჩინელებს – რამდენი მილიონი ხართო. ჩინელებმა – თითქმის მილიარდიო. მაშინ მიხეილ თემუროვიჩმა უთხრა ჩინელებს:

– მოდით, გავერთიანდეთ, თქვენ – ჩინელები და ჩვენ – აფხაზები თითქმის კი არა, ნაღდად მილიარდი ვიქნებითო.

21

ოთხმოციანი წლების დასაწყისში სოხუმის რაიონში ვმუშაობდი.

ერთხელ მოვიდა და ითხოვა – პატარა მინა მინდა, იმ მინაზე სახლი უნდა ავაშენოო. დავეხმარეთ. გვანდრაში, ზედა ზღვისპირას ციცქნა სახლი აავსო. იქ ვხვდებოდით ხოლმე ერთმანეთს. კიდევ – პატარა რესტორან „ძიძლანში“. ისიც გვანდრაში მდებარეობდა. „ძიძლანი“ მიხეილ თემუროვიჩმა შეარქვა. „ძიძლანის“ სიახლოვეს ფაცხაბა გვქონდა.

ჩრდილო კავკასიაში დავდიოდით ხოლმე ჩვენს საქმეებზე – სოფლის მეურნეობის პროდუქტებს ვცვლიდით, მანდარინში გვაძლევდნენ ხორცს, ყველს, ნერგებს. მიხეილ თემუროვიჩიც თან დაგვყავდა – ყველგან მეგობრები ჰყავდა და გვეხმარებოდა.

სუფრაზე მასპინძლებს ჩვენს თავს აცნობდა, როგორც აკადემიკოსებს, პროფესორებს, ძალიან დიდ ხელმძღვანელებს.

ერთხელ ნალჩიკში ჰკითხეს – როგორ ახერხებთ, რომ ამდენი ეროვნება ხართ აფხაზეთში და მშვიდობიანად ცხოვრობთო. უპასუხა – ჩვენ გვაქვს ღვინო „Букет Абхазии“. ასეთი სახელი იმიტომ შევარქვით, რომ აქ ყვავილების თაიგულივით ვცხოვრობთ. ამ თაიგულში ყველა ყვავილს თავისი განუმეორებელი სურნელი აქვსო.

რუსეთში ერთ-ერთი ვიზიტისას ეგზოტიკური ქალბატონი გავიცანით – კუბის კომპარტიის წევრი. მიხეილ თემუროვიჩმა გვთხოვა – ბიჭებო, დამითმეთ ეს ქალი მე – მოხუცს, მე უფრო შემეფერება, თქვენ ახალგაზრდებს მიხედეთო.

ქალების სადღეგრძელო მისი გამორჩეული სადღეგრძელო იყო. ამ სადღეგრძელოს შემდეგ ქალებს მარცხენა მკლავზე კოცნიდა – გულთან მარცხენა ხელი უფრო ახლოს არისო.

22

„ამრაში“, კაფეში, მიხეილ თემუროვიჩი ახალგაზრდა, ქერთიან ქალთან განმარტოებით იჯდა და კონიაკს სვამდა. ქალიც სვამდა.

მიხეილ თემუროვიჩი ქალს თავის ჯიბის საათს აჩვენებდა:

– შეხედე, ტანეჩკა, შეხედე, როგორი საათი მაქვს – ხის. ხედავ, როგორი ლარიბი ვარ, ნორმალური საათიც კი არ გამაჩნია... ხის საათი მაქვს მხოლოდ, ხის. ხო ში მინმა მაჩუქა ვიეტნამში. ნუთუ არ გეცოდები, ტანეჩკა, ასეთი ლარიბი?.. არა, არა, შენ ქვის გული გაქვს, როგორც ყველა ლამაზ ქალს.

ქალი კისკისებდა. შემდეგ მიხეილ თემუროვიჩი რომელიღაც გაუგებარ ენაზე ელაპარაკებოდა ქალს. რამდენიმე წუთის განმავლობაში ელაპარაკა.

ქალმა ჰკითხა – რა ენაზე ლაპარაკობ, ვერაფერს ვგებულობო. კორეულადო, უპასუხა. კორეულის ერთ-ერთ დიალექტზე გელაპარაკები, შენ ეს დიალექტი საიდან უნდა იცოდე, ვეჭვობ, კორეულიც არ იციო, – მიხეილ თემუროვიჩმა.

ქალმა კისკისი განაგრძო.

მიხეილ თემუროვიჩიც იცინოდა.

შემდეგ ქალს ტირილი აუვარდა, გულამოსკვნილი ტიროდა. ეტყობა, წარსულიდან გულსატკენი რამ ახსენებოდა.

მიხეილ თემუროვიჩი ამშვიდებდა:

– შეხედე, რა სილამაზეა ირგვლივ, რამოდენაა და როგორი საოცარია ეს სამყარო. შენ კი ტირი, ძვირფასო... ნუ გინდა...

მიხეილ თემუროვიჩი პროფილით რომელიღაც რომაელ იმპერატორს ჰგავდა, ოქროს მონეტაზე გამოსახულს.

23

„მერხეულში“ მზარეულის თანაშემწედ ვმუშაობდი. ხრუშჩოვის სტუმრობებს რა დამაინწყებს. რომელი ერთი გავიხსენო?

საცივზე გიჟდებოდა – როგორ აკეთებთ ასეთ საცივს, с гвоздями можно ест-ო.

არაყს წყალივით სვამდა.

„პახმელიიდან“ ნიგვზიანი ეკალათი გამოდიოდა. ეკალას შეჭამდა და ათ წუთში კარგად იყო. ჩვენ ეკალას ძმრითაც ვკაზმავდით და ეს შეველოდა. გვსაყვედურობდა – რატომ არა გაქვთ ეკალას პლანტაციები მოშენებულიო.

მიხეილ თემუროვიჩი ეუბნებოდა – ეკალა აბორიგენია, მხოლოდ აქ ხარობს, თუმცა სხვაგანაც კი იხარებს, მაგრამ სხვაგან თავის ანტიპახმელიურ თვისებებს კარგავსო.

ხრუშჩოვი ცხარდებოდა – მაშინ მოაშენეთ ეკალას პლანტაციები, მთელი მსოფლიო პახმელიიდან ხალხი ჩვენმა საბჭოთა ეკალამ უნდა გამოიყვანოსო.

მიხეილ თემუროვიჩი ამისათვის განსაკუთრებულ პირობებს ითხოვდა – მაშინ თამბაქოსა და ჩაის გეგმა ჩამოგვაჭერითო.

ხრუშჩოვი თანხმდებოდა და თავის თანაშემწეს განკარგულებას აძლევდა – ჩაინერე ეს თხოვნა, აფხაზეთს გაუუქმდეს ჩაის და თამბაქოს და თუ საჭიროა, სხვა კულტურების გეგმებიც, ოღონდ ეკალას პლანტაციები მოშენდეს, ეს ჩვენი იდეოლოგიის პროპაგანდას ხელს შეუწყობსო.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



გიორგი ლოშვიანიძე

ალი მოჰამადზადეს

რადგან პოეტებს არასოდეს არა აქვთ სახლი,
 ღია ცის ქვეშ, ღამის ჩრდილში გეპატიჟები,
 დილამდე გავძლებთ
 რუსთველის და ჰაფეზის ცეცხლით,
 ვიდრე მთვარე კოცონივით მიინავლება,
 შენ, ჩემო კარგო, ხეტიალი არ გესწავლება:
 ქარივით დახვალ და ჩიტივით თავისუფალი
 ცის გუმბათებს ეყუჟები
 უცხო მხარეში...
 შოშიის ბარტყო,
 პოეტებს მხოლოდ ჰორიზონტი ელოდებათ,
 მეტი არაფერია...
 ნუ გეშინია, გამძლე არის ღამის კარავი –
 მარადიული მარტოობით განათებული,
 რათა გაიქცე,
 სულერთია, ვისთან და საით,
 ჰორიზონტი ხომ ყველგან არის –
 მოზრიალე ცის გუმბათებით
 და ვიდრე მზე არ დაილდება ქვეყნის ნათებით,
 ჩვენც ვივლით ასე,
 ცამდე ვუნვდით ხელებს მიწიანს,
 მერე რა, თუკი არსად სუფევს ყველგანმსუფევი,
 თუ ჰორიზონტმაც ქვეყნის იქით გადაინია...

* * *

გამოვიგონოთ სიყვარული,
 ისე მჭირდები,
 როგორც ჰაერი –
 სხვათა სუნთქვით შეურხეველი,
 მე წავალ და
 ამ ჰაერსაც თან წავიყოლებ,
 სუნთქვებს წამებზე გამობმულებს
 ოქროს ძაფებად...
 ამ სიცივეში სიყვარული ვერ გაიხარებს,
 სადაც გრძნობები ოქროსავით ეიაფებათ.

შაჰიდაზი

მაგრად მაკოცე,
 დილით უკვე აღარ ვიქნებით;
 დავალებაზე ორივენი უნდა გავიდეთ,
 დიდი ქალაქის ორ კიდეში გავიფანტებით
 და შეკრება აღარასდროს მოგვიხერხდება,
 კვამლად ავიწვევთ ზეცისაკენ,
 მიმოვიზიზნევით,
 და, ვინ იცის,
 იქ ეგება ვერასდროს შევხვდეთ...

მაგრად მაკოცე შიგ ტურბში
 ტანი ენით მომისინჯე,
 ნება-ნება აჰყევი სხეულს,
 ერთი ნაკვითი,
 ერთი ნიბოც არსად მიგრჩეს დაუკოცნელი,
 ხვალ ეს სხეული მტვრად იქცევა
 და ამ თვალებს ქარი წაიღებს...

სამოთხეში?

სამოთხე ჩემთვის შენთან იყო.
 სადაც გხედავდი,
 ყველაფერი იქ მიყვაროდა,
 იქ ნელდებოდა უდაბნოს ხვატი
 და ჩემს შიგნით მოიწვედა,
 რომ გულ-მკერდზე
 ფორეჯებად გამომფენოდა.
 დიახ, სამოთხე, –
 რადგან ჩემთვის აკრძალული ხილი იყავი,
 ყველა მცნებით
 აღკვეთილი,
 ბეჭედდასმული
 და სიყვარულსაც მხოლოდ მაშინ მოვახერხებდი,
 თუ საკუთარ თავს, სხეულსა და სულსაც დავთმობდი,
 დავაგდებდი, როგორც კანს და მოგეცემოდი ან
 აგიღებდი,
 რომ მსგავსი მსგავსით შეცნობილიყო...

ამიტომაც:
 შენ იყავი

ჯოჯოხეთი

და იმიტომ, რომ
 ჯოჯოხეთი შენ იყავი

ჯოჯოხეთი
 სამოთხე იყო...

სად მივდივართ, ხვალ საითკენ გავემურებით,
 დიდი ქალაქის ორ კიდეში

ნალმებით უნდა შევანგრიოთ
ჩვენთვის
უნყალოდ ჩარაზული სამოთხის ბჭენი,
უნდა დავთმოთ სხეული ჩვენი
მარადიული ნეტარების მოსაპოვებლად...
მაგრამ მანამდე
მინიერი ნეტარების აღმტაც ნუთებში

მაგრად მაკოცე.
შენი სხეულის ყველა მყესით
ჩემი ტანის ყველა მყესი დაიმასხოვრე,
იმ ადგილებს მიაგენი,
სადაც სული და სხეული ერთმანეთს ერწყმის...
სადაც სხეული სულში გადადის,
რომ
ხვალ, როცა ჩვენი თავის ნანგრევებში გავაბიჯებთ
და ნანილ-ნანილ ავალოთ ზეცაში,
მაინც მიცნო
და სიყვარული იქ გავაგრძელოთ...

* * *

დიდედა ნატო,
დიდი ნატო
თივის ზვინში მალავდა ხატებს,
რომ რწმენა და მოგონებანი
უკეთურთაგან გამოეგლიჯა...
მაგრამ დღემდე ცეცხლი თივაში ვის დაუმალავს
და ხალთიდანაც გამცემივით ბრჭყვიალებს შუბი,
მინის ბედი კი მუდამ ისე ავად ტრიალებს,
ყვავილთან ერთად გველიც უნდა ატაროს უბით.

რა საოცარი ბედი გერგო:
ზეცის შვილი ხარ,
დედამინაზე
ვერ იგუებ ჟინიან ბატონს...
შენ უნდა იდგე რწმენასავთ თავისუფალი,
რომ პოეტებმა მოციმციმე ფრესკებად გხატონ.

მაგრამ ბედია:
თივის ზვინი სხვა ქალებისთვის
იქნებ სხვა სიტკბოს გულისხმობდეს,
სულ სხვა ჟრუანტელს,
თქვენ კი ხატები უნდა მალოთ,
გადასარჩენად,
ერსა და ოჯახს სალმოზანი რომ დაუამდეს.

სხვის ტკივილების მოსარჩენად გადაგებულო,
შენ ვის უჩვენებ, მშვენიერო, უღრმეს იარებს.
მთელი ქვეყანა ერთი დიდი თივის ზვინია,
როცა შენ შიგნით მარტოობის ცეცხლით ბრიალებ.

* * *

ასე თამაშობს მეგობარი ჩემი
ყალბი მარგალიტებით,
როგორც გველი მოსისინე,
ვნებით მლუარი,
რა ქნას სანყალმა,
ითამაშოს
და ირიოშოს...
თუკი ნამდვილ წყლით ვერ აივსე
დიდი პეშვები,
რა გაენყოზა,
წყალი უნდა გამოიგონო,
რომლის მორევშიც
ნამდვილივით
გადაეშვები...

მედუზა. შროშნის თაიგული

ყველაზე მეტად ზღვა მომწონდა,
კარგად ვცურავდი,
ცისკიდურამდე
მივიდოდი
ხელურ-ტივურით,
არც ზვიგენები მაშინებდნენ,
მით უფრო მაშინ,
როცა მიყვარდი
და ჩემში ველარ ეტეოდა
ეს სიყვარული,
ზღვასავით იყო,
მანყდებოდა,
როგორც ნაპირს,
წასალეკავად.
გახსოვს?
მამჩნევდი? –
სული მაშინ კბილით მეკავა...
ყოფას ვეკიდე,
როგორც საყდარს –
ლითონის ზარი
და ჩემს შიგნით
ვგუგუნებდი
დაურეკავად.

ყველაზე მეტად ზღვა მიყვარდა
და ლალატიც – პირველი და უნამდვილესი
ზღვისაგან მახსოვს,
ზღვაზე მახსოვს,
როცა ტალღებს დაუნანებლად მივეცი თავი
და მათ სიღრმეში თავგანწირვით,
თავით ჩავეშვი,
სახით პირდაპირ მედუზაში ჩავენარცხე,
რომელიც წყალში ლოტოსივით გადაშლილიყო
და შხამიანი საცეცხები ამოეშვირა,

როგორც მკლავები –
 შეყვარებულის ჩასახვევად გამზადებული...
 და სახეზე თითქოს ასი ჭინჭარი დამცხეს,
 თითქოს ასი სიყვარულის ჭმუნვამ შემიბჟყრო,
 უცებ დავსივდი და ტუჩები ამომებურცა,
 ტკივილისაგან დამებრიცა
 და როცა თავი ამოვყავი,
 შენ გეგონა, რომ
 გიღიმოდი...

ლამით სახეზე
 სიყვარულის მთელი შხამი გამომეფინა,
 მხოლოდ ასე მოგერიე და დაგამთავრე,
 როცა თითქოს ერთიანად მომერღვა ხორცნი
 და ვბუტბუტებდი:
 ღმერთო, უკან გიბრუნებ ტუჩებს,
 აღარ მჭირდება,
 რადგან მხოლოდ მედღუზა მკოცნის
 და ვნებიანად მეკონება,
 ვით სატრფოს ბაგე,
 როგორც ნიალი –
 უკუღმართად წაღმა მბრუნავი,
 ზღვამ ეს მაჩუქა,
 ჩემთვის მხოლოდ სუსხი იკმარა,
 სატრფოს მკლავივით ამომიდო თავსასთუმალი –
 თეთრი მედღუზა,
 როგორც ველის შროშანთა გუნდი,
 გამოუცნობად მოცახცახე ხელში ეკავა
 და მანიშნებდა –
 სიყვარული სწორედ ეგ არის:
 შენს სივრცეებში გუგუნებდე
 დაურეკავად...

სუჰის ამხანაგი

ბავშვობაში ერთადერთი ძმაკაცი მყავდა.
 ბავშვობაში? –
 ალბათ უფრო სიჭაბუკეში,
 როცა მსოფლიო სევდითა ხარ გადაჟღენთილი
 და ყველაზე მეტად გინდა
 მოძმის ნუგეში.

რთული დრო იყო.
 მითუმეტეს სხვათა,
 უცხო ენას ვსწავლობდით
 და მუდმივად გვზვერავდნენ და გვაკვირდებოდნენ.
 უცხო მტერია,
 მტრის ენა კი უნდა იცოდე!
 ამიტომაც:
 სამშობლოსთვის ჩვენი ვალია –
 ხელი შევუწყოთ,
 გამოვზარდოთ მოენებები.

არცერთ მათგანს წამით თვალი არ მოაცილოთ,
 კონტროლზე გყავდეთ,
 უთვალთვალეთ,
 მიაყურადეთ,
 როცა დაგჭირდეთ,
 დააშინეთ,
 გამოიყენეთ,
 მანტაჟის თოკით გაუჭირეთ საყელურები...

ყველას გადასწვდნენ.
 მე კი – ბრიყვი ხუთოსანი –
 ჩემთვის ვხარობდი:
 არ მომაკითხეს,
 ესე იგი, კარგად ვთამაშობ...
 დებილის როლი,
 ჩანს, მშვენივრად გამომივიდა
 და ჩემზე ხელი ჩაიქნიეს
 ანუ ახლა შემიძლია მშვიდად ვისწავლო
 ენა –
 არა დასმენისთვის,
 სიყვარულისთვის,
 ხიდად ვიქცე,
 სადაც ლექსმა უნდა იაროს...

და ისიც – ჩემი მეგობარი
 ლექსივით იყო,
 უხვად შემკული სილამაზით,
 მშვიდი ბუნებით,
 ბევრი რალაცა ჩემზე უკეთ ემარჯვებოდა,
 განსაკუთრებით – ყმანვილური კალამბურები...

და მისი თვალი
 ღვთის თვალვით ყველგან მწვდებოდა,
 თითქოს ამბობდა:
 სიჭაბუკის ტკბილო ზღაპარო,
 არ ჩაიკარგო
 დღეთა ნიგნის ფარულ შრიალში,
 ბოლომდე მენდე,
 ჩქამიც კი არ გამომაპარო...

და აღსარებას თან როგორი შვება მოჰყვება,
 ყოველწამიერ მანიშნებდა ჩემი მხლებელი,
 მითუმეტეს, რომ ბასრი იყო სინამდვილეც და
 გულს გვისერავდა, როგორც შავი სამართებელი.

მისი თავი სუკმა – არა, ღმერთმა მაჩუქა,
 მარტო აღარ ვარ,
 ცათა შინა უფალს დიდება,
 რომელიც გვამცნობს:
 მეგობარი ღმერთის გულია
 და ეს გული არაფერზე არ იყიდება...

და ვერ ვძლებოდი მასთან ყოფნით,
 მასთან საუბრით,
 როგორც ობოლი –

თხუთმეტი წლის უჭმელ-უკვები,
ის საიდუმლო ცეცხლით მწვავდა
და ამ კოცონზე
მადისალმძვრელად შიშინებდნენ ღორის სუკები...

ხოლო
როცა გამოვფხიზლდი,
წამომაზიდა...
და რა თქმა უნდა ყველაფერი იცოდნენ ზემოთ,
ერთი სუნთქვა და ჩქამიც კი არ გამოჰპარვიათ...
და მე ვიგრძენი აგონია,
როცა მთელი ჩემი ცხოვრება
თვალწინ კინოლენტასავით დამიტრიალეს.

მაგრამ მივხვდი, რომ არ ვკვდებოდი,
რადგან მთავარი, როგორც ყოველთვის,
იქ, „ზემოთაც“ ვერვინ გამიგო:
როგორ მიყვარდი ამ სულსა და სხეულზე მეტად,
რა უღალატო მეგობარი მყავდი, ამიგო!

ჩემს დას – ლალის

დედა რომ მოკვდა
და ჩვენი ყოფა
ობლობისათვის რომ გაიწირა,

შენ მაშინ კრუხად იქეცი
უცებ
გადამეფარე, როგორც წინილას.
სასჯელი იყო შენთვის კრუხობა
ან ცრემლისა და სისხლის ნაზავი,
რადგან გიხმობდა ზეცა და ალბათ
გსურდა გეფრინა ტოროლასავით;
მაგრამ ცად ფრენას ვინ დაგაცლიდა,
რომ დავსხლტომოდით დღეებს – მყაფარებს,
ფრთები, რომლითაც უნდა გეფრინა,
დედური ზრუნვით გადამაფარე.
ათასი ქორი არყევდა ჰაერს,
ცაც არ მზეობდა – ბლანტი და რუხი,
მეფარებოდი საჩემო სეტყვით
ფრთებდაგლეჯილი, უმწეო კრუხი.
რომ გაიზარდა შენი წინილა,
თვით რომ ეგონა, არც ისე მალე,
მერედა მიხვდა, კრუხები რატომ
ეტანებთან მომხვდურთა თვალებს.
...
შენ დღესაც მიცავ თავგანწირული
მე – ძალად მხნეს და ჯიქურჭინიანს,
მაგრამ ამოდ..
ბრმაა ცხოვრება
და თვალთა დათხრის არ ეშინია.

1993

პირველი შთაბეჭდილება

ივანე ამირხანაშვილი

**ცუდი –
კარგი გამოსავალი**

რა ქნას კარგმა პოეტმა, როცა ყველა კარგად წერს?
დღეს მართლაც ბევრი წერს კარგად, დალაგებულად,
წესების დაცვით. დიდი ხანია ქართულმა ლექსმა შექმნა
თავისი თავი – დახვეწილი რიტმით, ეფექტური რითმით,
დამუშავებული პოეტური ფაქტურით. ფორმა არის უნაკ-
ლო, დახვეწილი, ჩამოქნილი. ტრადიციას ხომ მაინც თა-
ვისი ძალა აქვს, კეთილქმნადობის ძალა.

ფორმა – რამდენიც გნებავს, როგორც გნებავს. აიღე,
გამოიყენე, „გადაამღერე“... ოღონდ იცოდე, შენი არ იქნე-
ბა. არანაირად. პირიქით, შენ იქნები იმ ფორმისა, იმ ერ-
თფეროვნებისა.

როცა ყველა „კარგად“ წერს, კარგ პოეტს ერთი გამო-
სავალი აქვს – წეროს „ცუდად“.

გიორგი ლობჯანიძე „ცუდად“ წერს.

იგი უარს ამბობს გაზეპირებულ, „სწორ“ ფორმებზე
და სათქმელს თავისი, განსხვავებული ფაქტურით მო-
სავს.

თუ პოეტური პოზიტივიზმის ცნება ოქსიმორონი არ
არის, მაშინ გიორგი ლობჯანიძე პოზიტივისტია. ყოველ
შემთხვევაში, პოეტური განხილვის საგნად რეალურ, ფაქ-
ტისმიერ საწყისს ირჩევს და, სხვათა შორის, ეს კარგადაც
გამოსდის. ამით ორ საქმეს აკეთებს: ჯერ ერთი, ამბის
სტრუქტურა შემოაქვს ლექსში და მეორეც, მინიმუმამდე
დაჰყავს მეტაფორის გამოყენების აუცილებლობა.

დღეს თუ პოეტი მეტაფორას უარყოფს, ეს იმას ნიშ-
ნავს, რომ წერს „ცუდად“, პოპულარული წესების დარ-
ღვევით.

უცნაურია, გიორგი ლობჯანიძე „აუცილებელ“ მეტა-
ფორებს ყალბი მონეტასავით უკუაგდებს, მაგრამ, ამავე
დროს, მთლიანად ლექსს, ლექსში მოცემულ აზრს აქცევს
მეტაფორად.

ეს არის გემოვნების ნიშანი.

და კიდევ ის, რომ ლექსში შემოაქვს „გრძნობისმიერი
მატერიალიზმის“ იმდენი დოზა, რამდენიც საჭიროა ამ მა-
სალის სრულყოფილი პოეტური გარდაქმნისათვის.

გიორგი ლობჯანიძე არის იმ იშვიათ პოეტთაგანი,
რომლებიც საკუთარ თავს გარედანაც ისევე კარგად ხე-
დავენ, როგორც შიგნიდან და ეს ხედვა იგრძნობა მის
სტრიქონებში.

მასში უთუოდ არის შემოქმედისთვის აუცილებელი,
მოუხელთებელი ფაქტორი, ის შინაგანი „რალაც“, რასაც
ვერ ხედავ, მაგრამ გრძნობ, განიცდი, აღიქვამ.

ლია კუხიანიძე

ოაზისი უდაბნოში, ჭა სოფელში

ანა გავალდა, კატერინა მასეტი, ამელი ნოტომი, სარა უოტერსი, ელფრიდე იელინეკი, მაკა ჯოხაძე...

მე ვწერ მაკა ჯოხაძეზე ანუ განსხვავების იმ მიზეზებზე, რითაც ერთმანეთისგან განირჩევიან თავისუფალი და უბედო ბედის მქონე სამშობლოების მწერალი ქალები.

გრიგოლ რობაქიძე აკაკიზე წერდა: „მხოლოდ ერთი რამ არსებობდა მისთვის მთელ ქვეყანაზე, რომელსაც იგი ეთაყვანებოდა. ეს იყო საქართველო (მასთან ერთად რუსეთი). თუ ამ სიყვარულით გამოწვეულმა მისმა შემოქმედებამ ვერ მიიღო დიდი გამოსხაურება, ეს ალბათ იმის გამო, რომ მას აკლდა „ევროპა“... მარტოდ-მარტო „მამულის“ სიყვარული უნივერსალურ პოეზიას ვერ შექმნის“. მრავლისმთქმელი სიტყვებია, მრავლისმთქმელი და დამაფიქრებელი.

„ევროპა“ არ აკლიათ, არც შეიძლება აკლდეთ ზემოთ აღნიშნულ ევროპულ მწერალ ქალებს, რომლებმაც იციან, როგორ დააინტრიგონ და დააინტერესონ 21-ე საუკუნის მონყენილი მკითხველი. ზოგი უცნაურ სიუჟეტს იგონებს, ზოგი „სიძულვილის დიდოსტატს“ უწოდებს საკუთარ თავს, ზოგის სახელი ლიტერატურულ „შოკთან“ ასოცირდება, რომელიც უმოკლესი გზაა კეთილდღეობის ნირვანაში ჩაფლული ბიურგერული საზოგადოების გამოსაფხიზლებელ-აღსაფოთებლად. თავიანთი ნიჭის წყალობით არც ლიტერატურული პრემიები აკლიათ და არც პოპულარობა, მაგრამ მათ შემოქმედებას არა აქვს „მამულის“ სიყვარულის მუხტი, თუმცა მათი დავარცხნილ-გამონკეპილი სამშობლოები ამას არც საჭიროებენ. სხვა პრობლემები აქვთ.

... მაგრამ მე ვწერ მაკა ჯოხაძეზე, მწერალზე იმ ერისა, „თავისი დღენი უკეთესი ხელისუფლებისათვის კი არა, საკუთარი ხელისუფლებისათვის რომ იბრძოდა“ (ოთარ ჩხეიძე) და რომლის ერთ-ერთმა უდიდესმა შვილმა სამშობლოს სიყვარულის გამოაგნებელი გამოთქმით:

**მივდივარ, ჩემო სამშობლოვ,
უფალი მიხმობს, გშორდები,
თუ რამე ვალი მიმყვება,
იქიდან გაგისწორდები**

(ვაჟა)

ყველა დროის გონიერ ქართველს უზარმაზარი ტვირთი აჰკიდდა.

ვინც ტკივილივით მძაფრად შეიგრძნობს სამშობლოს მაჯისცემას, სამშობლოსი, რომლის „დამოუკიდებლობა გატანილა ბაზარზედა. სახელმწიფოს ჩუქნიან სხვასა და ხელქვეითობა მიუჩნევიათ ხელისუფლებად“ (ოთარ ჩხეიძე), ის უკვე ჩასწვდომია სულიერ სიღრმეს მაკა ჯოხაძისა, რომელსაც შეუძლია უჩვეულო სიმტკიცით თქვას: „მე

ვარ ქართველი ე.ი. მე ვარ ქართველი“ და ამით არსებულ რეალობაზე დაფიქრებულებს მერამდენედ „დაგვწყვიტოს“ გული იმით, რომ საქართველოზე შავი ყორანივით ადევნებული ბედისწერის მარად ძველი და მარად ახალი პრობლემების გამო მის შემოქმედებას აკლია „ევროპა“.

მაკა ჯოხაძემ საკუთარი სულიერების – აბრეშუმში გახვეული ცეცხლის წარმოჩენით დაადასტურა უკვდავება ქართველი ქალის იმ ტიპისა, ჯერ კიდევ X საუკუნეში უკეთესმა ქართველმა კაცმა ასე რომ შეაფასა: „ვხედავ ძალსა შენსა ვითარცა ლომისა ძუვისასა, რომელი იზახის ყოველსავე ზედა ოთხფეხსა, განა ვითარცა ორბი დედალი, რომელი აღვიდის სიმაღლესა ჰაერისასა უფროს მამლისა და ყოველი ქვეყანაი გუგასა თვალსა მისისა მცირესა, მარგალიტსა სწორსა შეაყენეს“.

საიდან მოდის ფენომენი მაკა ჯოხაძისა? უპირველესად, ალბათ, იქიდან, საუკუნეები რომ ქმნიდა, აყალიბებდა და ხვეწდა ფსიქოლოგიურ ტიპს ქალისას, რომელსაც ქართველს ვუნოდებთ არა მხოლოდ წარმომავლობის, არამედ სულიერი ნყოფის გამო, და რომლის შორეული, ღრმა ფესვები სავარაუდო იმამიცაა. „იაფეტური მოდგმის, ქართველური მოდგმის ძირითადი ღვთაება დედაქალღმერთი რომ იყო, რომელიც სხვადასხვა ასპექტით გვევლინებოდა ამ მოდგმის სხვადასხვა განმტოებაში და რომლის ქრისტიანული სახე ღვთისმშობელია“ (ზვიად გამსახურდია), რომლის უსაზღვროდ შემყვარებელმა ქრისტიანმა ქართველმა კაცმა ქალში დაინახა, განსაკუთრებით „თამარის ეპოქაში, არა ბოროტების საწყისი ევა, როგორც დასავლეთ ევროპაში, არამედ ბოროტების დამორღვეველი იესოს დედა“ (კორნელი კეკელიძე), რაც კიდევ უფრო ამძიმებდა მოვალეობებს და ართულებდა, სხვაგვარად მოითხოვდა თვითგამოხატვას იმ წარჩინებულ ქალთაგან, თავისი დროის განათლებული კაცების საზოგადოებაში რომ უხდებოდათ ყოფნა, კაცებისა, რომელთაგან ერთ-ერთმა, XII საუკუნის თვალსაჩინო პოეტმა, მთარგმნელმა, მნიგნობარმა, ისტორიკოსმა, საეკლესიო მოღვაწემ და საქართველოს ეკლესიის პატრიარქმა ნიკოლოზ გულაბერიძემ თავის ნაშრომში „საკითხავი სევეტიცხოველისაი კვართისა საუფლოსა და კათოლიკე ეკლესიისა“, საგანგებოდ გამოყო თავი „ღირსებისა და პატივისათვის ქალისა“.

მაშინ, როცა X-XIII საუკუნის იაპონიაში, დედოფლის მსგავსი არაჩვეულებრივი სეფექალები სეი-სიონაგონი და ნიძიო თავიანთი დღიურებით ლირიზმის ლიტერატურულ შედეგებს ქმნიდნენ, როცა ერთი სულიერივით მიმართავდა მთვარეს: „მთვარე, თვითთვითა ბედაურო... თუ საყვარელ არსებაზე ადრე მიწერია სიკვდილი, ერთს გვედრები, დეე, სიზმარში მან ალიონის ცვრის ნათელ ნვეთად მნახოსო“ (ნიძიო), მეორე კი გლიცინიის ყვავილებისა და თოვლით მოფიფქული ქლიავისფერის სილამაზით შეძრული სევდას ასე გვიზიარებდა: „ნაღვლიან დღეს, როცა გადაბმულად წვიმს, უცებ ნიგნის ფურცლებს შორის იმის წერილს ნაანყდები, ოდესღაც შენს მიერ ნიგნში ჩადებულს, ვინც გულით გიყვარდა და ფიქრი ნაგილებსო“ (სეი-სიონაგონი). საქართველოში, ბორენა დედოფლის (XI ს.) მიერ (რომელიც, ალბათ, ისეთივე სინაზით შესცქეროდა მთვარეს, ყვავილებს, თოვლის ფიფ-

ქებს, იქნებ წლების შემდეგ ისიც კითხულობდა უეცრად აღმოჩენილ ძვირფას წერილს) ინერებოდა სხვაგვარი სიტყვები:

რომელმან ეგე ევას მიუზღე ვალი, ჰრქვი რაი გაბრიელს: „ვარ უფლისა მხევალი, მე, შენი სამსტუფრე, ქვეყნად მავალი“, – დაემხო ძალი, პირველ სისხლითა მთვრალი, ქალწულო, მიხსენ ბორენა ჭირმავალი.

რომელშიც ჩანდა, ზოგადი სახე სულში მრავლისდამტევი, ჭკვიანი, ემოციური ქართველი ქალისა, გრძობების ნაკლებად განმცდელის კი არა, ნაკლებად გამომმყლავენებელისა, რომლის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ქართველი კაცის (არა თავისი გამართობ-შემაქცევარი ქალების ოფიციალური ინსტიტუტის შემქმნელის) ის სურვილი იყო, სწორედ ასეთ ქართველ ქალში, როგორც ძვირფას სარკეში, დაენახა თავისი ნამდვილი სახე და კაცობა.

„ქალწულო, მიხსენ ბორენა ჭირმავალი“, შესთხოვდა დედოფალი დაბადებულთაგან ყველაზე დიდ ქალბატონს. „მე, თამარ, მინა შენი და მიერივე, ცხებულებასა ღირს მყავ და თვისობასა“, კრძალვით ეთაყვანებოდა ღვთისმშობელს ქალთა შორის უპირველესი და ქვეყნის ისტორიული ბედისწერა უკვე გამხდარიყო განმაპირობებელი იმისა, რომ მიზეზი მათი ცხოვრების „ჭირმავლობისა“ და „მირონცხებულობის“ სიმძიმის გაცნობიერებისა მამულის ბედი თუ უბედობა იყო.

„დედობა, ცოლობა, დობა დიდი საქმე არ არის. ეს ზოგი ბუნების საქმეა, ზოგი გარემოებისა. საქმე კარგი დედაკაცობაა. ქალს სხვა ბევრი მოვალეობა აწევს საზოგადოებისა და ქვეყნის წინაშე“, ბრძანებდა ილია და ამით საბოლოოდ განსაზღვრავდა თუ შემოსაზღვრავდა ტიპს ქართველი ქალისა, რომელსაც სწორედ ზემოაღნიშნულის გამო ბევრი მომწონებელიც ჰყავდა და გაღიზიანებულნი დამწუნებელიც.

საინტერესოა და მრავლისმთქმელია ისიც, რომ ქართველი ქალი, ოდითგანვე ქვეყნის სვე-ბედში ჩახედული, სულიერად და გონებრივად ადრე მომწიფებული, სამხრეთული ტემპერამენტის არ გამომმყლავენებელი, დროთა განმავლობაში დისკომფორტის შემქმნელი გახდა ოდესლაც მისი ასეთად ჩამომყალიბებელი, შემდეგ კი დამონებული ქვეყნის პირობებისგან სახე და მოთხოვნებმცველი ქართველი კაცისა. ამის და ბევრი სხვა მიზეზის გაუთვალისწინებლობით მოხდა, ალბათ, ის, რომ კონსტანტინე კაპანელი, რომელიც ცდილობდა, ქართული

ლიტერატურისა და კულტურის საშუალებით ჩანვდომოდა ეროვნულ სულს და აეხსნა იგი, დრომ შთამომავლობისთვის თვითონვე წარმოაჩინა საუკეთესო მაგალითად ქართული რადიკალიზმისა, რის გამო მისი ძალზე საინტერესო ნაშრომები მოკლებულია ილიას მამხილებელი წერილებისა და მხატვრულ ნაწარმოებთა ჯანსაღ პათოსს, ადასტურებდა საქართველოში ქალის კულტის არსებობას: „არსად ქალი არ ყოფილა მამაკაცის ოცნებით ისე გამშვენიერებული და ღვთაებრივად გაცისკროვნებული, როგორც ჩვენში“. მაგრამ დიდ ადგილს იმის წარმოჩენამტკიცებას უთმობდა, რომ „საუკუნეთა განმავლობაში მხედრულმა, ამაზონურმა სულიერმა განწყობილებამ იგი აქცია მხოლოდ ფიზიოლოგიურ ფენომენად, მოკლებულს ინდივიდუალურობას, სექსუალურობას, ეროტიკულ ვენებას – ქალურობას, რადგან ქართველი ქალი თავის ვენებას

უმორჩილებს საზოგადოებრივ-ტრადიციულ მორალსო“.

როგორც წვეთში ოკეანე, ისე ჩანს ქვეყნის ბედი ქალის ბედში და დაპყრობილი ქვეყნის ქალებს ჰქონდათ მიზეზები იმისა, სხვანაირი ყოფილიყვნენ. ამის გამოც ვერ შეაქართულმა სინამდვილემ ზუნა ინეს დე ლა კრუსები და ჟორჟ სანდები, მაგრამ ქართველი ქალი თავგანწირვით ემსახურა სადამდეც და როგორც შექმლი ქვეყანას და „სქესთა დაპირისპირების“ მარადიულ, ფარულ ბრძოლაში თავი თუ ბოლომდე ვერ წარმოაჩინა, არც სათამაშოდ ქვეყლა მამაკაცის ხელში.

და შეიქმნა ფენომენი საინტერესო, შინაგანად ძლიერი, ეროს თვითმყოფადობის შემნახავ-გადამრჩენი, არა ყველასთვის დასანახ-შესაგრძობი ვენებით აღსავსე ქალისა, რომლის სულშიც, როგორც ძვირფას სადაფის ნიჟარაში დაივანა ერის ისტორიის გრძელ და ძნელ გზაზე გამოვლილმა საუკეთესო თვისებებმა, რომლებიც ჩვენს დროში მარგალიტით გამოჩნდა მაკა ჯოხაძის პიროვნებითა და შემოქმედებით, რომელიც მაღალი ლიტერატურით გამოხატული სამშობლოს ჭირისუფლის გრძობების ტკივილივით მძაფრი ჩვენებაა მათთვის, „ვინც გაიგებს რა ცეცხლი და გენია ტრიალებს პოეტის გულში, როცა ის გული მომწყვდეულია და გახლართული ქალის სხეულში“. (ვირჯინია ვულფი).

მაკა ჯოხაძე პოეტი, პოეტი მამინაც, როცა სათქმელი გულს ამძიმებს და სულს აფორიაქებს, მაგრამ პოეტური მზერით უსიხარულობასა და უსიყვარულობას კი არ აფერად-ალამაზებს, არამედ ღვთის სინათლითა და სითბოთი სავსე მისი სულიერებიდან არაჩვეულებრივი ქართულით ამოდის ის, რასაც სულის ნაჭური ჰქვია და რახან „მწერლობა ორმხრივი სიყვარულია“ (მაკა ჯოხაძე), მკით-



მაკა ჯოხაძე

ხველს მხოლოდ თანაგანმცდელად კი არ აქცევს, ღირსებას მატებს, უკეთესს ხდის. ეს კი მხოლოდ ჭეშმარიტ შემოქმედს შეუძლია.

ბოლოდროინდელი მისი ორი ესეი „სამოთხე უსიყვარულოდ“ და „ბავშვობად ქცეული სამშობლო“ ქართული ლიტერატურული აზროვნების ახალი ეტაპია და დასტურის იმისა, რომ ნამდვილი, ჯანსაღი ლიტერატურული ნაკადი თანამედროვეობისა განვითარების სწორი გზით მიდის.

„სამოთხე უსიყვარულოდ“ ჰერმან ჰესეს მოთხრობის „დოქტორ კნიოლგეს აღსასრულის“ განჩხრეკვა-გაანალიზებაა. „ბავშვობად ქცეული სამშობლო“ კი არაბი მწერალი ქალის მერი (მარიამ) ზიადას მღელვარე მონოლოგისა „სად არის ჩემი სამშობლო?!“ მონოლოგისა, რადგან მაკა ჯოხაძის „სისხლიანი მეტაფორის“ მსგავსად შეუძლებელია სულის კვილი ეპოსის რომელიმე სახეს მიაკუთვნო. ორივე ესეი საშუალებაა სხვისი საფიქრალიდან და ტკივილიდან საკუთარს უკეთ დანახვა-შეგრძობისა, რათა არ მოვდუნდეთ, ხელი არ ჩავიქნიოთ, არ ჩავგითრიოს მღვრიე ნაკადმა ნიჰილიზმისა, გვახსოვდეს, „გონება განლეს ხრმალთა“, წინააღმდეგ შემთხვევაში, განიარაღებულებს ამის თქმალა შეგვეძლება: „არაფერია იმაზე უფრო დამთრგუნველი, როცა გაჭრიან, გაცლიან ანმყოს და მიდის ანმყო, შენი ანმყო მიდის უშენოდ, როგორც მამისგან მიტოვებული ბიჭი, ნაწყენი და გაოგნებული, გაბითურებული და უკვე ცოტათი გამკაცრებული“ (მაკა ჯოხაძე, „მინისქვეშა“).

„სამოთხე უსიყვარულოდ“ ლიტერატურულ, ფილოსოფიურ, რელიგიურ, სოციალურ პრობლემათა ქართული ჭრილიდან აღქმას. ახსნა იმისა, ქართულ ცნობიერებაში სიხლის ნაკადებად შემოსული შპენგლერი, ნიცშე, სარტრი, კამიუ, ბეკეტი და სხვანი როგორ უწყობდა ხელს ოჯახიშვილობითა და კარგი მასწავლებლების წყალობით სულგადარჩენილ ახალგაზრდებში შინაგანად ქართველის ქმნას, რომლის „ინტელექტუალურ სამყაროში სხვადასხვა მსოფლგანცდის ადამიანები ისეთი ტოლერანტობით არსებობდნენ, როგორც თბილისის მთაგორიან რელიეფზე მეჩეთი, სინაგოგა, მართლმადიდებლური თუ კათოლიკური ტაძრები“.

ზუსტადაა ნაპოვნი მიზეზი იმისა, რატომ გახდა გონიერი ქართველი მკითხველისათვის „საყმანვილო სენივით“ მოსახდელი ეგზისტენციალისტებით გატაცება და რატომ ვერ იქცა მათი რომანები საკულტო ნიგნებად. „ჩემი თაობა უღმერთობით მოგვრილ სიცარიელის განცდას, რაგინდ გასაკვირიც არ უნდა იყოს ევროპელთა და ამერიკელთათვის, უმალ ფრანგული ეგზისტენციალიზმით ეზიარა, ვიდრე საკუთარი ცხოვრებით, ანდა თუნდაც მშობლიური ლიტერატურით. ეს, ალბათ, იმის ბრალიცაა, რომ აკრძალული ქრისტიანობის ტვირთი ქართულმა მწერლობამ მთელი ორი საუკუნე ღირსეულად ზიდა... სარტრსაც და კამიუსაც, ეგზისტენციალური ფილოსოფიის ამ თვალსაჩინო მწერლებს, ბევრი არაფერი ნაურთმევიათ სიცოცხლისმოყვარე ჩვენი ახალგაზრდული ბუნებისათვის... მიუხედავად იმისა, რომ ყბადაღებულ გაუცხოებამ ცხოვრებასთან ერთად ჩვენს მშობლიურ ლიტერატურაშიც გადაინაცვლა, მაინც ძალიან უცხო და მი-

უღებელი აღმოჩნდა ქართველებისათვის წლობით უნახავი დედის ცხედართან მდგარი კაცის უგრძობელობა კამიუს „უცხოში“.

„სამოთხე უსიყვარულოდ“ კარგი პოლიტიკოსის ნაზრევიცაა, პოლიტიკოსის, რომელიც ცხადად ხედავს, რას უქადიან გლობალიზაციის მრისხანე ტალღები მის „გეოპოლიტიკურ ჯვარზე გაკრულ“ (ოთარ ჩხეიძე) სამშობლოს და ჰერმან ჰესეს „დოქტორ კნიოლგეს აღსასრულის“ ასე ქართული პრობლემატიკიდან გაანალიზებაც ამის შედეგია.

მომავალ ანტიმესიას სამოქმედო სივრცე სჭირდება, სადაც ყველაფერი მოსწორებული იქნება. უღმერთობა და თავისუფალ ნებაზე უარის თქმა, აი, რა მიაჩნია მაკა ჯოხაძეს სამყაროს განწირულების ნიშნად. სამყაროსი, „რომელშიც ადამიანებს ერთმანეთი აღარ უყვართ“ და რახან ის თვლის, რომ „დოქტორ კნიოლგეს აღსასრულში“ – ზღაპრის ამ წვეთში ჰერმან ჰესემ არა მხოლოდ იმდროინდელი, არამედ მთელი დღევანდელი სამყაროს სახე და ბედისწერა განჭვრიტა, მით უფრო რეალური ხდება შიში იმის წარმოდგენისა, „უსიყვარულოდ დარჩენილი სამოთხის მთელ აბსურდულობას“, თავზარდამცემი უქართველებო საქართველო არ დაემატოს.

ესეი „სამშობლოდ ქცეული ბავშვობა“ დროითა და სივრცით დაშორებული ორი მწერალი ქალის სულის მიახლოების ტკბილ-მწარე განცდაა. არაბი ქალის ტკივილს „ო, ბედნიერო! ვისაც სამშობლო გაქვთ და თანამემამულენი გყავთ! მაზიარეთ თქვენს ბედნიერებას და მიწილადეთ“, დახვედრებული ქართული ტკივილი, როცა სამშობლოც გაქვს, თანამემამულეებიც გყავს, მაგრამ „სამშობლოში დარჩენილს სამშობლო გენატრება“, და გეშინია, ერის ნგრევის მომსწრეს „ჭკნობაშეპარული სული ქვიშის ყვავილივით არ ჩამოგეშალოს“ და შენი წასვლით მკაცრი, იმედიანი, გამაჟრჟოლებელი მოწოდების „ეჰა, მეომარო ქრისტესანო“ გაგონების მომლოდინე, ისედაც შეთხელებული სადიდგორო ლაშქარი უფრო არ დაპატარავდეს.

არ ვიცი, მწერლის რომელი ნათქვამი გამოდგება დღევანდელი საქართველოს უკეთ დასახასიათებლად: „ნეტავ, რა უფრო მეტი იყიდება დღევანდელ საქართველოში – პური თუ ნამალი?“ ეს, თუ ეს: „ყველა უბანს თავისი სევდის ბალი უდგას წყლის გულამოსკვნილი ნაკადებით, ოღონდ ბესიკები აღარ ჩანან არსად“. ან იქნებ ეს: „კარგი ცხოვრების ილუზიას ფელინის ხომალდივით მიარწევნენ ჯერ არნახული, ჯერ არ გაგონილი რევოლუციური ტალღები“. თუ შედარება „ადგილობრივ კონკისტადორებად“ ქცეული ქართველებისა იმ ქართველებთან, მაკა ჯოხაძის თქმისა არ იყოს, „უნუგეშო პროვინციელებად რომ რჩებიან, რადგან ფუტკარსაც კი ეროვნული ჭრილიდან უყურებენ“.

ინდოეთში არაა განსხვავება სწავლასა და გახსენებას შორის. „ეს“ იცოდი სულ და „ისწავლო“ ნიშნავს გაიხსენო შენში. გახსენების წყარო კი სუნშია. ასანა, არომატი, ასე უწოდებენ ინდოელები ამ პროცესს, რომელიც ძალიან მაგონებს მაკა ჯოხაძის დამოკიდებულებას იმ გრძობასთან, რომლის სახელი პატრია-დან მოდის და რაზეც უნდა ნერდეს იგი, ყველაფერს მიჰყვება მისი ქართული ვასანა,

„ნაკვერჩხლების დასახსრული შრიალი, გახურებული თონის კედლებზე აცახცახებული შოთების ტკაცუნი და ყოველდღიური არსებობის სურნელი საყდრიდან გამოღწეული საკმეველივით“ რომ წვდება მკითხველს და „არსობის პურში გახვეული დროის“ ყოვლისშემძლეობას შეახსენებს.

მაკა ჯოხაძემ ერთ-ერთ წერილში თავის შეკითხვას „რა არის ადამიანი?“ ასე უპასუხა: „ადამიანი სიყვარულით გალიცლიცებული ძვირფასი ჭურჭელია და ეს ჭურჭელი, ანუ სხეული თუნდაც იმიტომ არ უნდა დააზიანო

ცოდვებით, რომ რაც შეიძლება გაუზზარავად, დიდხანს ატარო სიყვარულის ღვთაებრივი სითხე. რაც შეიძლება ხანგრძლივი დროის მანძილზე იყო ოაზისად უდაბნოში, ჭად სოფელში, რათა დიდი გვალვების ჟამს მგზავრებს სული მოათქმევიყო. ჩვენ ხომ ყველანი მგზავრები ვართ“.

ახლა საქართველოს, ჩვენს სამშობლოს, დიდი გვალვა უდგას და ვინაა ერთ-ერთი ოაზისი უდაბნოში და ანკარა წყლით სავსე ჭა სოფელში შეჭირვებული, მწყურვალი, ჩრდილს მონატრებული მგზავრისათვის, ცხადზე ცხადია.

რალფ უოლდო ემერსონი

უნივერსიტეტი



ნიგნიდან
„ინგლისელთა ზნაობანი“

კემბრიჯს ბრიტანეთის უნივერსიტეტთა შორის ყველაზე მეტი განთქმული სახელი უწერია სიაში. დღესაც წინ უსწრებს ოქსფორდს აღზრდილთა შორის სახელმთხვეჭილ მეცნიერთა ჩამოთვლისას. სამწუხაროდ, ერთ დღეში უნდა მომესწრო კინგს კოლეჯის სამლოცველოს, მშვენიერი მდებარეობის, კოლეჯთა ბაღების დათვალეობა და შეხვედრა ორიოდე პროფესორთან, ვინც კემბრიჯულ მოსახლამში გამოხვეწულა.

სამაგიეროდ, ოქსფორდში მიმინვიეს, თანაც რამდენჯერმე მთხოვეს, და, აი, იქ კი ბევრი რამ ვნახე და გავიგე. ოქსფორდში ვიცნობდი დ-რ დობენის, ბოტანიკის პროფესორსა და ღვთისმეტყველების რეგიუს* პროფესორს, იურაიელის კოლეჯის საბჭოს წევრს; 1848 წლის მარტის ბოლოს ჩავედი ოქსფორდში, ვესტუმრე ჩემს მეგობარს ოურაიელში, კოლეჯის ახლოს დავბინავდი და ვტკებობდი მათი სტუმართმოყვარეობით.


ახალშეძენილმა მეგობრებმა მაჩვენეს მონასტრები, ბოდლეის ბიბლიოთეკა, რენდოლფის გალერეა, მერტონ ჰოლი და სხვა. შევხვდი მრავალ თავგანწირულ ყმანვილკაცს, ვისაც გადაწყვიტა გონების სიმშვიდისა და სიდიადისათვის გადაეღო თავი – ამ მხრივ, რა თქმა უნდა, ვერაფერს ვურჩევდი. მათმა მგზნებარე ურთიერთობამ და საზოგადოებრივმა თვისებებმა ჩვენს კემბრიჯელთა ჩვევანი გამახსენა, თუმც ინგლისელთა უპირატესობა უნდა ვალიარო – მათ უფრო მშვიდი და დახვეწილი მანერები აქვთ. დარბაზები მდიდრულადაა მორთული, კედლები და ჭერი მუხით მოუპირკეთებიათ; კედლებიდან დამარსებულთა სურათები გვიმზერენ, მაგიდებზე ფირფიტები ბრწყინავენ. ყმანვილი კაცი

მთავარ მაგიდასთან წარსდგა და წარმოსთქვა უძველესი ჭამისწინა ლოცვა; ვგონებ ეს ლოცვა აქ საუკუნეებია იკითხება: ენედიცტუს, ბენედიცატი; ბენედიცტურ, ბენედიცატურ.

ინგლისურ ნეს-ჩვეულებათა და მათი გულითადობის ახირებული დასტურია ის, რომ ყოველ სალამოს ცხრა საათზე სტუდენტებს საცხოვრებელთა კარს უკეტავენ და კარისკაცები ვალდებულნი არიან ჩაინიშნონ თვითულის გვარ-სახელი, ვისაც ცხრა საათის შემდეგ შეუშვებენ.

მაგრამ ამაზე მეტად შთამბეჭდავია ის, რომ ათას ორასი ახალგაზრდა, ფიცხი არისტოკრატი ერთად სწავლობს და ცხოვრობს და დუელი არასოდეს მომხდარა.

ოქსფორდი თვით ინგლისშიც კი გამოირჩევა სიძველითა და კონსერვატიულობით. მისი დაარსების თარიღი აღფრედამდე და თვით არტურამდეც კი აღწევს, თუკი, როგორც ამტკიცებენ, დრუიდ ფერილთს აქ სემინარი ჰქონდა. კვენხით ამბობენ, ედუარდ I-ის მმართველობისას აქ ოცდაათათასი სტუდენტი სწავლობდაო. ცხრა-მეტი ყველაზე კეთილშობილური და მდიდრული შემონირულობის წყალობით უნივერსიტეტის გაშლა დაწყებულია. ჩოსერს ოქსფორდი ისეთი მყარი და მტკიცე ეჩვენა, თითქოს მარად აქ მდგარიყოს. ბრიტანელთა გადმოცემით, ოქსფორდი, დიდი სახელებით მდიდარი, კუნძულის სკოლა და განათლებულ ევროპასთან შემაერთებული ჯაჭვია. აქეთ მოუხაროდა ერაზმუსს 1497 წელს. 1580 წელს უნივერსიტეტმა ალბერტიკუს გენტილისი იხსნა. ალბერტ ალასკი, საირედის პრინცი, კეთილშობილი პოლონელი, ვინც ინგლისის დედოფალ ელიზაბეთის სიბრძნის სახილველადა და თავყვანებისათვის ეწვია 1583 წელს, მოიხიბლა ქრისტო ჩერჩში გამართული წარმოდგენებით. საფრანგეთის მეფის ანრი IV-ის წარგზავნილი, ჯეიმზ I-ის მოწვევით ჩამოსული აიზეკ კერებონი, ქრისტო ჩერჩში მოათავსეს 1613 წელს. დავათვალეიერე ემშოლის მუზეუმი, რომელსაც 1682 წელს ელიას ემ-



* Regius (რეგიუს) – პროფესორი, რომლის კათედრაც დაარსებულია ინგლისის რომელიმე მეფის მიერ

მოღმა თორმეტი ურემი იშვიათი ძვირფასეულობა შესწირა. ჭეშმარიტად აქ გაიმართა ოლიმპიკადა ენციკლიკა ვუდისა და ობრის თამაშებისა და მინის თვითეული გოჯი მათ დიდებას ინახავს. ვუდის ტჰენაე ხონინესეს, ან ოქსფორდის მწერალთა კალენდარი, ორასწლოვან ხანას რომ მოიცავს, ცოცხალი გადმოცემაა ინგლისური წესჩვეულებებისა და ფასეულობათა და ისეთივე რანგის ეროვნული ძეგლია, როგორც ფერჩესის პილიგრიმები და ჰენზარდის ჩანანერთა ნიგნია. ოქსფორდის ყოველკუთხე-კუნჭულში სიძველისა და სახელგანთქმულ ადამიანთა სუნი ტრიალებს. ოქსფორდის კარი დაკეტილია განახლებათა ცხვირწინ. ის ჯერ კიდევ არქიებისკოპოს ლოდის სტატუსებით იმართება. ნიგნები მერტონის ბიბლიოთეკაში ჯერაც კედლებზეა ჯაჭვებით მიბმული. აქ, 1660 წლის 27 აგვისტოს, ცეცხლს მისცეს ჯონ მილტონის რო ოპულო ნგლიცანო ეფენსიო და სცონოცლასტეს. მე მოვიწახსულე სასკოლო სასამართლო ანუ კუადრენგელი, სადაც 1683 წელს უნივერსიტეტის საბჭომ ტომას ჰობსის „ლევიათანს“ საჯარო დაწვა მიუსაჯა. არც კი ვიცი, ამ განსწავლულ ორგანიზაციას სმენია თუ არა აქამომდე ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაციის შესახებ, ან იქნებ პტოლემეოსის ასტრონომია ჯერაც ინარჩუნებს თავის პოზიციას კოპერნიკის სიახლეთა წინააღმდეგ.

რაც მეტი ვაჟი გყავს, მით მეტია კეთილისმყოფელი შემომწირველიც. კეთილშობილთა შთამომავლებს ან შეძლებულ სტუდენტებს სჩვევიათ კოლეჯიდან გასვლისას დატოვონ სადმე მიკრული ფირფიტა წარწერითა თუ რაიმენაირი საჩუქრით, ააგონ შენობა, დანიშნონ სტიპენდია ან დააარსონ ბიბლიოთეკა, შესწირონ სურათი ან თუნდაც კოვზი და შეწირულობანი მუდმივად იზრდება საუკუნის დინებასთან ერთად. ჩემმა მეგობარმა დოქტორმა ჯ-მ ასეთი ამბავი მიაამბო. სერ ტომას ლორენსი ლონდონში, თავის კოლეჯში ინახავდა რაფაელისა და მიქელანჯელოს ნახატებს. ეს ფასდაუდებელი განძი შესთავაზეს ოქსფორდის უნივერსიტეტს შვიდათას ფუნტად. ამ საქმის მოსაგვარებლად შემდგარმა კომიტეტმა გადაწყვიტა შეეძინა ნახატები, შეგროვდა სამიათასი ფუნტი, თანხის შესავსებად მიმართეს მეგობრებს და, მათ შორის, ლორდ ელდონს. მან სასიამოვნოდ განაცვიფრა კომიტეტი, როცა ასი ფუნტის ნაცვლად სამიათასი ფუნტი გაიღო. და როცა კომიტეტის წევრებმა სხიარულით აღნიშნეს, დარჩენილ თანხას უკვე იოლად შევავსოვებთო, „არა“, თქვა ლორდ ელდონმა, „თქვენმა მეგობრებმა ალბათ უკვე შემოგწირეს, რაც შეეძლოთ, დანარჩენსაც მე მოგცემთ“; მან დაიბრუნა სამიათასი ფუნტიანი ჩეკი და ახალი ჩეკი გამოწერა ოთხი ათასი ფუნტზე. ეს კოლეჯია 1848 წლის აპრილში დავათვალიერე

ბოდლეის ბიბლიოთეკაში დ-რ ბენდაინელმა მაჩვენა პლატონის თხზულებათა შემცველი მანუსკრიპტი, დათარიღებული ქრისტეს შობიდან 896 წლით, რომელიც დ-რ კლარკს ჩამოუტანია ეგვიპტიდან; იმავე საუკუნის ხელნაწერი ვერგილიუსის თხზულება; აქვეა პირველი ბიბლია, დაბეჭდილი მენცში (ვგონებ, 1450 წელს); ამავე ბიბლიის ცალიც, რომელსაც ოციოდ გვერდი აკლია ბო-

ლოში. ერთ დღეს ვენეციაში ყოფნისას დ-რ კლარკმა შეიძინა ნიგნებითა და მანუსკრიპტებით, ფრაგმენტებითა და ამონაჭრებით სავსე ოთახი ოთხიათას ლუიდორად; ოთახი კონსულს ჩააკეტირა და დააბეჭდინა. შენაძენის შემომწმებისას აღმოაჩინა თავისი მენცის ბიბლიის დაკლებული ოცი გვერდი; ფურცლები რიგიანად შემონახულიყო; ოქსფორდში ჩამოიტანა დანარჩენი შენაძენთან ერთად და ნიგნში ჩაურთო. მამ ბიბლიოგრაფიაშიც ბევრი რამ ყოფილა დამოკიდებული ბედისწერაზე, დაკარგულ ნაწილებს ხელახლა რომ აერთებს. ოქსფორდში ყველაზე ძველი შენობა ორასი წლით ახალგაზრდაა იმ მყიფე მანუსკრიპტთან შედარებით, რომელიც დ-რ კლარკმა ჩამოიტანა ეგვიპტიდან. ბოდლეის ბიბლიოთეკაში არ შეიძლება არც სანთლისა და არც ცეცხლის ანთება. მისი კატალოგი სანიმუშოდ ოქსფორდის ყოველი ბიბლიოთეკის მერხზე დევს. თვითეული კოლეჯის ბიბლიოთეკაში ნითელი მეღნით აღნიშნავენ ხოლმე სათაურებს იმ ნიგნებისა, ამ კოლეჯის ბიბლიოთეკაში რომ მოეძებნებათ – ამბობენ, ბოდლეის ბიბლიოთეკაში ყველა არსებული ნიგნი მოიპოვებო. ამ მდიდარმა ბიბლიოთეკამ შარშან, 1847 წელს, 1.668 ნიგნი შეიძინა.

ინგლისში სწავლულს ინჟინერივით წვრთნიან. ოქსფორდი ბერძნულის ფაბრიკაა, ისევე როგორც უილტონია ხალიჩების საქსოვი და შეფილდი ფოლადის სამჭედლო. მათ ისევე იციან სწავლება, როგორც ცხენის განვრთნა, და ორივესაგან დიდ სარგებელს იღებენ. სტუდენტები ბევრს კითხულობენ, ბევრს დადიან, ცხენს აჭენებენ, ზომიერად ჭამენ და სვამენ, რამდენსაც შეიძლება; გამოცდამდე ორი დღით ადრე აღარ მეცადინებენ, ისვენებენ, ჯირითობენ, დარბიან, რათა საღად შეხვდნენ კოლეჯური განკითხვის დღეს. მაგისტრის წოდების მისაღებად, წესის მიხედვით, აქ შვიდი წელი უნდა დაჰყო – ფაქტობრივად კი ამისათვის, კარგა ხანია, მხოლოდ სამი წელია აქ ყოფნა საჭირო, კიდევ ოთხიოდე წელიწადს – სამსახური, იმ სამ წელიწადში კი სულ ოცდაერთი თვეა.*

„მოთიანი ფასი, ჩვეულებრივი საკოლეჯო განათლების მისაღებად ოქსფორდში, დაახლოებით თექვსმეტი გინეაა წელიწადში, ამბობს პროფესორი სიუელი. მაგრამ ამ სანდო ცნობამ შესაძლოა დააბნოს გაუთვით-ცნობიერებელი მკითხველი, ვინც არ იცის, რომ სწავლება უმთავრესად კერძო მასწავლებლებთან ხდება. და კერძო სწავლების ხარჯები უნდა ვივარაუდოთ 50-დან 70-მდე წელიწადში, ხოლო 1000 სჭირდება მთელს კურსს, სამნახევარი წლის მანძილზე. კემბრიჯში კი 750, წელიწადში, ეკონომიურ ხარჯად ითვლება, ხოლო 1500 ექსტრავაგანტობად არ მიაჩნიათ.**

სტუდენტთა და აქ მაცხოვრებელთა რაოდენობა, ხელმძღვანელთა ღირსება, შემოწირულობათა ღირებულება, ისტორია და არქიტექტურა, მთელი ბრიტანეთის აღიარებული სიმპათია ყოველივე იმისადმი, რაც აქ კეთდება, განამტკიცებს ბოლო კურსის სტუდენტებში ისეთ მისწრაფებას სწავლისადმი, როგორსაც იოლად

* ჰიუბერი, ინგლისის უნივერსიტეტების ისტორია.

** ბრისტლი, სუთი წელი ინგლისის უნივერსიტეტში

ვერ შეხვდებით ამერიკაში, სადაც დამწყები სტუდენტი ნახევრად დაეჭვებული უყურებს თავის კოლეჯს და ნაკლებმნიშვნელოვანი ჰგონია ვაჭრობასა და პოლიტიკასთან შედარებით. ოქსფორდი, ცოტა არ იყოს, თვითონ არის არისტოკრატიული, სიმრავლითა და ღირსებით ეტოლება სხვა მამულებს სამეფოში, სადაც დიდება, საუკუნეთა მანძილზე წინსვლა სწავლიდან მომდინარეობდა და იქით მიდიოდა, რასაც ერთხმად პატივს სცემს ყოველი კულტურული ერი.

არისტოკრატია, რა თქმა უნდა, თვითონვე აღადგენს თავის დანაკარგებს; ავსებს ცარიელ ადგილებს სტუდენტთა სხეულებით. სტიპენდიანტთა რაოდენობა ოქსფორდში 540-ს უდრის, რაც წელიწადში საშუალოდ მოითხოვს 200-ს. კოლეჯში რომ ცხოვრობენ და იკვებებიან. ახალგაზრდა სწავლის მოყვარულსა და სილატაკით ხელფანშეკრულ ამერიკელს რომ შესთავაზოთ სახლი, საკვები, სეირნობანი და ბიბლიოთეკა ერთ-ერთ აკადემიურ ადგილას და ათასი დოლარი წელიწადში, ხოლო, სამაგიეროდ, უცოლოდ დარჩენა მოსთხოვოთ, იგი სიხარულით აცეკვდება. და მაინც, ეს ყმანვილკაცები, ვინც ბედნიერად მოწყობილან, ვისაც ფულს უხდებიან კითხვაში, ვერ ითმენენ მცირეოდენ შეზღუდვასაც და მრავალი მათგანი ეპირება უარი თქვას სტიპენდიანტზე. მათ აუანკალბებთ იმის წარმოდგენაზე, რომ სტიპენდიანტობაში ამოხდება სული და მიმითითეს ერთ დადამბლავებულ ბერიკაცზე, ვინც ხელით შეჰყავდათ კოლეჯის შენობაში. რადგანაც კურსმეუსრულებელთა რაოდენობა ოქსფორდში 1200 თუ 1300-ია და მათი უმრავლესობა კონკურენციას ვერასოდეს გაუწევს, სტიპენდიანტთა შანსები ძალზე დიდია. ცხრამეტი კოლეჯიდან შემოსავალი საგარეოდ 150.000-ია წელიწადში.

ამგვარი სწავლა-წვრთნის შედეგი საუკეთესო ცოდნა ბერძნულისა, ლათინურისა და მათემატიკისა, ამას ემატება სიმტიციე, სოლიდურობა და გემოვნება ინგლისური კრიტიკისა. რა ილბალიც უნდა სდევდეს თან ამა თუ იმ ჯილდოს მოპოვებისას, იტონდამთავრებულ კაპიტანს ლათინურად წერა შეეძლება, აგრეთვე საკარო ცნობარის განყოფილება ჰეგზამეტრით და, ცხადია, უფროსკურსელს კლასიკურ ფილოლოგიაში შეუძლია სწორად ციტირება კორპუს ოეტარუმ-იდან და კრიტიკულად განსწავლულია ყველა ჰუმანიტარულ დარგში. ბერძნულს ასწავლიან ისისსა და ქემში, არ ვიცი მოდის კოლეჯდამთავრებულნი, ბრესენოს კოლეჯდამთავრებულნი რამდენად კარგად ფლობენ; ატმოსფერო გაჟღერებულია ბერძნულის სწავლით; მთელმა დინებამ განსაზღვრულ სიმაღლეს მიაღწია და ჰკლავს ყველანაირ სარეველას კასტილიური წყალივით. ინგლისური ბუნება კულტურას ხალისიანად ითვისებს. ასე ფიქრობდა მილტონი. კულტურა ხვენს სკანდინავიელს. ბერძნული ნაზრევის შეთვისება ამაღლებს მის გემოვნებას. ინგლისელი მწერალი ვერასოდეს შეძლებს არად ჩაადგოს მრავალრიცხოვანი მდუმარე ბრბო წმინდა სისხლის ბერძნებისა, მუდამ მის გარშემო რომ შექუჩებულან. ისინი კრეჭენ, აკოხტავენ მის ორატორულ ხელოვნებას და მიმართავენ მის კალამს, აქედანაა სტილი და განწყობა ინგლისური ჟურნალისტიკისა. ამ კაცებმა ისწავლეს

წესრიგიანობა, წვდომა, ლოგიკა და სვლა თუ სისწრაფე მუშაობისას. მათ აქვთ ფესვები, საფუძველი, გამძლეობა, სუნთქვა. და როცა დაბადებიდან კარგი აგებულება დაჰყვებათ, ისინი ქმნიან იმ კარგად მომწელებელ სასწავლო-ფაბრიკებს, თუჯისა და რკინის სიმტიციის კაცებს, ვისი ქმედების ძალა-უნარიც ჩვენთან შედარებით ისეთივეა, როგორც ორთქლის ურო მუსიკალურ ყუთთან – ქოუკები, მენსფილდები, სელდენები და ბენტლიები, და როცა აღმატებული გონება გახედნის ბრწყინვალე მერანს, შეგვემატება მსოფლიო დიდოსტატი, ვინც ერთად უყრის თავს უდიდეს საქმიან ენერჯიასა და უმაღლეს კულტურას.

იტონში, ჰაროუში, რაგბისა და უესტმოსტერში გამონწერილინი ამტიციებენ, საზოგადო განწყობილება, თვითეულ ამ სკოლაში ამაღლებული და ვაჟკაცურიანო; ჩვენს სტადიონებზე სიმამაცე საყოველთაო აღფრთოვანების საგანია, ხოლო სილაჩრე გეძულს, მამაკაცურ გრძნობებსა და ღირსეულ საქციელს ვაქებთო: და დაუნერელი კანონი ღირსებისა სავალდებულოა მაღალი წრის გათამამებული ყმანვილისთვისაც და ახალგამდირებული, გააზნაურებული ყმანვილისთვისაც, მიუდგომელი სამართალი სისულელეებს გამოუბერტყავს ორივეს და ყველაფერს აკეთებს, რათა ისინი ნამდვილ ჯენტლმენებად იქცნენო. უნივერსიტეტში, ამტიციებენ, ყველაფერი კეთდება ინგლისურ ღირებულებათა მისაღწევად, ეროვნული ყოფის ყვავილის – განათლებული ჯენტლმენის აღსაზრდელად. გერმანელი ჰიუბერი, როცა თავის თანამემამულეთ ინგლისელი ჯენტლმენის ღირსებებს აღუწერს, გულწრფელად შენიშნავს: „გერმანიაში მსგავსი არაფერი ვაგვაჩნია. ჯენტლმენს უნდა ჰქონდეს პოლიტიკური რეჟუტაცია, ფლობდეს დამოუკიდებელ და საზოგადო აზრს, ან თუ არ გააჩნია, შეთვისება უნდა შეეძლოს. საშუალო ქონების მფლობელი უნდა იყოს, თვითონ თუ არა, მისი ოჯახი მაინც. აგრეთვე, ფიზიკურად მოძრავი, აქტიური და მძლავრი, რასაც ვერ მივალწევთ ჩვენს დაწესებულებებში გამეფებული მჯდომარე ცხოვრებით. ინგლისელ ჯენტლმენტთა რასა წარმოგვიდგება ისეთი მამაკაცური გარეგნობითა და სიძლიერით, როგორსაც ვერსად იპოვნით იმავე რაოდენობის პიროვნებებში. არცერთი ერი არ ქმნის ასეთ ადამიანებს და თვით ინგლისშიც კი გაუარესდნენ. უნივერსიტეტი ყოველი ადამიანის სასარგებლოდ ხორცმესხმული განზრახვაა. და ისეთი სახელგანთქმულნი არიან უნივერსიტეტთა ბინადარნი, რომ კალენდრისათვის ერთი თვალის შევლებაკ კი დაგვარწმუნებს, რომ ვერსად მთელს მსოფლიოში, ვერ მოხვდები უკეთეს საზოგადოებაში, ვიდრე ოქსფორდის ან კემბრიჯის ერთ-ერთი ყველაზე მოზრდილი კოლეჯის წიგნში“.

ეს სასწავლებლები მაღალი კლასისათვის არსებული პანსიონებია და არა ლარიბთათვის. კერძო სკოლები ასე განისაზღვრება: „სკოლა, რომელიც ამოძირკვავს ყველაფერ იმას, რაც ადამიანს დახლის უკან დასადგომად სჭირდება“.

უეჭველია, საფუძველები დამახინჯდა. ოქსფორდი, თავისი სიდიდით მრავალ ევროპულ სახელმწიფოს რომ

უტოლდება, გამოკეტავს სალექციო კურსების კარს, არასწორად იხარჯება თანხები, გამოყოფილი იმ ყმან-ვილათთვის, ვინც „ყველაზე მეტად გამოიჩინეს ნიჭიერებით, სიღარიბითა და სწეულებით“; ფავორიტიზმი კი აყვავებულია; მრავალი კათედრა თუ სტიპენდია იოლი ხელნაშრომისა და სწავლის გამხდარა; და ისე ჩანს, რომ უნივერსიტეტს არ ეცოდინება, თუ როგორ გაუმაგრდეს და თავიდან აიცილოს საპარლამენტო შეკითხვები; უეჭველია, სასწავლო პროცესი აღარაფრად ვარგა – მაგრამ ოქსფორდის დამსახურებანი აშკარაა და აქვე ეროვნული ერთგულებისა და სიმტკიცის დასტურად სულ ვხედავ ამგვარ ცოდნას, რასაც ოქსფორდში დიდად აფასებენ, ფლობენ და გასცემენ კიდევ. და მაინც, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, სწავლაში ჩაფლული ჯგუფებებისა თუ ჯილდოებისა და საფონდო სტიპენდიითა მიმნიჭებელი გამომცდელების მიერ, განათლებას, როგორც ინგლისელებს ესმით, აღწევნა. 1848 წლის საგამოცდო უწყისებს გადავხედე, გამოცდები ჩაბარებულია სხვადასხვა სტიპენდიებსა თუ ფულად ჯილდოებზე. ლასბიში, ჰერთფორდში, დინ-აიალანდსა და უნივერსიტეტის კოლეჯებში (პირები თავაზიანად მომანოდა ბერძნულის პროფესორმა) საგამოცდო დავალებები მრავალმა მონაწილემ წარმატებით დაძლია და დავიჯერე, რომ ისინი ჩააბარებდნენ უაღრესად მკაცრ გამოცდასაც ბაკალავრის ხარისხზე იელისა თუ ჰარვარდის უნივერსიტეტებში. საერთოდ, აქ მეტწილად კვლევას ასწავლიან არჩეული მიმართულებით და ვინც დაიქანის, ცოდნა მაქვს, კიდევ წარმოაჩენს მას. ოქსფორდი ყოველწლიურად უშვებს ოც თუ ოცდაათ დიდად ნიჭიერსა და უნარიან კაცს და სამასს თუ ოთხასს – კარგად განათლებულს.

მარხულობა და მძიმე ვარჯიში სტუდენტებს შთაბერავს ერთგვარ ძალას ძველი ნორდებისა. აქაურ კოხტაპრუნას ბრძოლაც შეუძლია და მძიმე შემთხვევებში კაცურად უჭირავს თავი. ამ ყმანვილებს რომ ვუცქერდი, მჯეროდა, რომ ვხედავდი მათ უპირატესობას, ძალა იქნებოდა ეს, ინდივიდუალობა თუ ზოგადი ჩვევები, რითაც ისინი აღემატებოდნენ თავიანთი თანამედროვეთ ამერიკული კოლეჯებიდან. ძალა და ბრწყინვალეობა ამ ნაკითხი კაცებისა უთუოდ აღნაგობის სისაღისაგან მომდინარეობს. უფრო ძლიერი ჩვევებითა და ტანვარჯიშით, ხუთ მილზე მეტი სეირნობით, ან ხუთი უნციით ნაკლები ჭამით, ან უნაგირზე ჯდომითა და დღეში ოცი მილის მანძილზე ჭენებით, ციგურებითა და ნიჩბოსნობითურთ, ამერიკელი ისეთივე სილაღეს, ხალისიანობასა და მხიარულ განწყობილებას შეიძენდა, როგორც ინგლისელებს აქვთ. ხალისით ვაღიარებდი ამ უპირატესობებს, რისი შეთვისებაც ძნელი არ იქნებოდა, იმასაც რომ არ ვხედედებოდე, ისინი ჩვენზე უკეთესად კითხულობენ და წერენ კიდევ უკეთესად-მეთქი.

ინგლისური სიმდიდრე, მათ სკოლებსა და საუნივერსიტეტო წვრთნას რომ ხმარდება, საუკეთესო ავტორთა მუდმივი კითხვის საშუალებას იძლევა; დაბოლოს, იმას შეგაცნობინებს თუ სინამდვილეში როგორ გამოიყურებიან საგნები; მაშინ, როცა პამფლეტისტი თუ ჟურნალისტი კითხულობს სადისკუსიოდ, პარტიული მიზნებისათვის ან იმისათვის, რომ წეროს ან, ბოლოს და ბოლოს,

რალაც ფარული თავსმოხვეული მიზნების გამო უნდა იკითხოს, ისიც ცოტა და ნაწყვეტ-ნაწყვეტად. ჩარლზ I-ს უთქვამს, ისე მესმის ინგლისური სამართალი, როგორც ჯენტლმენს უნდა გაეგებოდესო.

ამას გარდა, ინგლისელებს წიგნებიც თავზე საყრელი აქვთ; მდიდარი ბიბლიოთეკები – მრავალათასიანი სახლიდან, თავმოყრილი თვითელში – იმ უპირატესობას ანიჭებთ, რასაც ჩვენს ქვეყანაში ვერ გავწვდებით; კაცი რომ დაფიქრდეს, რაოდენ უკეთესი იქნებოდა ის სწავლული, ვინც შეიტყობს თუ არა წიგნის შესახებ, მაშინვე ხელთა აქვს გასაცნობად, იმასთან შედარებით, ვინც წლობით დაეძებს და მდარე წიგნებს კითხულობს იმიტომ, რომ საუკეთესონი ვერ უპოვნია.

ამას გარდა, განათლებულ ადამიანთა დიდი უმრავლესობა ერთმანეთს მალალი დონის შენარჩუნებაში ეხმარება. კარგად ნაკითხ და მცოდნე ადამიანებთან შეხვედრა შეგასწავლით გამარტივებისა და შერჩევის ხელოვნებას.

უნივერსიტეტები, რა თქმა უნდა, მტრულად არიან განწყობილი გენიოსებისადმი, ვინც თავისებურად ხედავენ, თავიანთ გზას თვითონ ირჩევენ, არ ენდობიან დადგენილ წესებს: ისე, როგორც ეკლესია-მონასტრები სდევნიან ახალ წმინდანებს. და მაინც, ჩვენ ყველა ვაგზავნით ვაჟიშვილებს კოლეჯებში და თუნდაც გენიოსები იყვნენ, ბედი უნდა სცადონ. უნივერსიტეტი რეტროსპექტიული უნდა იყოს. ნიავი, რომელიც უნივერსიტეტის კომპლექსზე აღმართულ ფლუგერებს მიმართულებას აძლევს, ანტიკურობიდან მოდის. ოქსფორდი ბიბლიოთეკაა და პროფესორები ბიბლიოთეკარები უნდა იყვნენ. და ისევე წარმოვიდგენდი კინკლაობას შვეიცართან, ვისი უგვანი გამოხდომებიც ქუჩაში დაწესებულებას სახელს უტენს, კერჩისა და კინბერნის გუბერნატორთა მსგავსად, როგორც კინკლაობას პროფესორებთან, ვისაც არაფრად ეპიტნავენათ, ახალგაზრდა ნეოლოგისტები წვერში რომ სწვდებიან გამოსაწინკნად ევკლიდესა და არისტოტელეს და არა ცდილობენ ცარიელი წიგნის თაროები ასეთი ორიგინალური მწერლებით შეავსონ.

იოლია გააკრიტიკო კოლეჯები, და თუ დაველოდებით, კოლეჯი თავის გამორჩეულ სახეს უჩვენებს. აქაც სუფევს გენია, სული, მაგრამ ის თემთა პალატის გამოძახებას ვერ გამოეხმაურება. იგი იშვიათია, არამყარი, ექსცენტრიული და ბუნდოვანი. ინგლისი არის მინა შეზავებისა და მოულოდნელი განცვიფრებისა, და როცა გადაწყვეტ, უნივერსიტეტები კვდებაო, მაშინვე წამოვა პოეტური ზეგავლენა ოქსფორდის გულიდან, რათა ქალაქების შეხედულებანი ჩამოაყალიბოს, ისე მარტივად ააგოს მათი სახლები, როგორც ჩიტები იშენებენ ბუდეებს, რათა მიანიჭოს სიმართლე ხელოვნებას და ხიბლი – კაცობრიობას, როგორც ყოველთვის უნდა მოუწოდოს ზნეობრივი წესრიგისაკენ. მაგრამ გარდა ძალის მიმნიჭებელი სულისა, კემბრიჯის ორი კურსდამთავრებულიდან მომდინარეობს ძველი ფორმებით შექმნილი საუკეთესო ინგლისური პოეზია ჩვენი საუკუნისა.

ინგლისურიდან თარგმნეს
პაატა და როსტომ ჩხეიძე

ღვინო კი მათრობელი სჯობს...

თამარ ღონდაკის
ესაუბრაბა
ზონდო კალანდაკე

– ბატონო ბონდო, „ჩვენი მწერლობის“ მკითხველმა თავდაპირველად შეიძლება გაიოცოს კიდევ თქვენ მიერ შედგენილ ენციკლოპედიური ხასიათის ალბომს „მსოფლიოს მაგარი ალკოჰოლური სასმელები“ რომ წარვუდგენთ გასაცნობად და მის ირგვლივ საუბარს შევთავაზებთ. იქნებ მრავალმნიშვნელოვნადაც იკითხონ, ამ ჟურნალში ასეთი შინაარსის წიგნზე რომ არ წერონ, მწერლობაში ცოტაა წარმოსაჩენ-სასაუბროო?! თუმცა მაშინვე, ჩვენი შეხსენების გარეშეც, მოაგონდებთ პოეზიის მრავალი საუკეთესო ნიმუში თუ ექსპრესიული და შთამბეჭდავი ეპიზოდები მოთხრობებიდან და რომანებიდან, სიტყვის ოსტატებს რომ „დაუნწურავთ“ და „დასაჭაშნიკებლად“ მიუნოდებიათ ყველაზე შეუმცდარი დეგუსტატორისთვის – მკითხველისათვის.

ამ ალბომში სწორედ ასეთი საინტერესო ამბები და ეპიზოდებიცაა, რომელიც შეიძლება მწერლის შთაგონების წყაროდაც იქცეს... ამ ყველაფერს კი, რასაკვირველია, „ღვინოს დააბრალებენ“...

სჯობს, თქვენ თვითონ, ავტორმა ისაუბროთ ამ სქელტანიან წიგნზე, რომელშიც საქართველოდან დაწყებული მრავალი ქვეყნის სასმელსა და ტრადიციას შეხვდება და გაეცნობა ადამიანი...

როდიდან დაიწყეთ ამ მასალის შეგროვება, თავმოყრა და თავიდანვე გქონდათ თუ არა ასეთი წიგნის შედგენა გადანვევტილი?

– ცოტა შორიდან დავიწყებ: ამ დარგის სპეციალისტად ორმოცდახუთი წელია ვმუშაობ. ინსტიტუტი რომ დავამთავრე, წესად იყო დადგენილი, დილომის დასაცავად საწარმოო პრაქტიკაზე ანაწილებდნენ სტუდენტებს. თბილისში ადგილი არ იყო. რაიონში უნდა წავსულიყავი, მაგრამ არ შემეძლო. ხელბურთს ვთამაშობდი, ნაკრების წევრი ვიყავი და შეკრებაზე აუცილებლად თბილისში უნდა დავრჩენილიყავი. ჩემმა ხელმძღვანელმა მითხრა, რა ვქნა, თბილისში ადგილი არ მაქვს, ერთი ქარხანა აგერ ბელინსკზე (ახლა ჭოველიძის ქუჩა), იქ წახვალო?

ასე შემთხვევით აღმოვჩნდი თბილისის ლიქიორის ქარხანაში. დიდი ტრადიციის ქარხანა გახლავთ. სულ ადრე სარაჯიშვილს ეკუთვნოდა. საუბედუროდ, ჩემი მისვლისთანავე ამ ქარხნის თითქმის ყველა პასუხისმგებელი პირი დაიჭირეს. დავრჩი ამ ჩემი სადიპლომო ნამუშევრით ხელში ბედის ანაბარა. რა უნდა მელონა?! დამოუკიდებ-

ლად ბევრი ვიშრომე, დავიცავი დიპლომი და მას მერე სხვაგან ერთი დღეც არ მიმუშავია. ჩემი საქმედ იქცა ლიქიორი. ისე გამიტაცა ამ საქმემ, სხვაგან გადასვლაზე არც არასოდეს მიფიქრია.

– გქონდათ და გაქვთ საყვარელი საქმე. ყოველდღიურად ბევრს შრომობთ. ასეთი დიდი

ალბომის შედგენას კი სხვა მოცალეობა და შემართება სჭირდება. რატომ გადწევიტეთ ამ საქმეს შესჭიდებო-დით?

– სწორედ ამას მოგახსენებდით, ჯერ კიდევ წლების წინათ, საბჭოთა ეპოქაში მსოფლიო პროდუქციის გამოფენებზე საბჭოთა კავშირს ეთმობოდა ერთი პავილიონი. ამ გამოფენაზე მონაცვლეობით ხვდებოდა თითო რესპუბლიკა, მათ შორის – საქართველო.

ეს გამოფენები იმართებოდა სხვადასხვა ქვეყნებსა და ქალაქებში. ეს იყო: მონრეალი, ტოკიო, ვენა, დამასკო, პოზნანი, ვერონა... წარმომადგენლად საჭირო იყო სპეციალისტის გაგზავნა და ასე მივიღე ხუთ-ექვსი გამოფენაში მონაწილეობა. უამრავი რამ ვნახე, გავიგე, მოვიძიე, შევავაროვე. ძალიან მდიდარი მასალა დამიგროვდა. საქმისთვის, უკეთ მუშაობისთვის, ან უბრალოდ, თვალსაწიერის გასაფართოებლად, მიმაჩნია, რომ ამ ყველაფერს თავისი ადგილი მოეძებნება.

– თქვენ თვითონ ხომ მრავალგვარი ლიქიორის ავტორი ბრძანდებით. როგორ იქმნებოდა და იქმნება ის პროდუქცია, რომელიც სხვა ცნობილ ბრენდებს ტოლს არ უდებდა? რა არის ქართული პროდუქციის ყველაზე გამორჩეული ნიშანი? თქვენ რას „აზავენთ“ მათში ზემოთხსენებები შესწავლილ-ნანახიდან?

– ამჯერადაც შორიდან მოვუვლი! სხვათა შორის, ნებისმიერ გამოფენაზე მთავარი შემფასებელ-დეგუსტატორი იყო ქალი.

– რატომ?

– რატომ და, ქალს უკეთ აქვს განვითარებული ყნოსვა და გემოვნება, ვიდრე მამაკაცს... სათუთი მგრძობელობისა და, გარდა ამისა, ამ პროფესიის ადამიანს განსაკუთრებით მართებს ალკოჰოლისაგან თავშეკავება.

ამ სემინარებზე უამრავ სიახლეს ვეცნობოდი და ვსწავლობდი. მთელი ჩემი მოგზაურობა იყო შემეცნების პროცესი. ყველაფერს თავისი ხიბლი ჰქონდა, თავისი იმიჯი.

საკავშირო მასშტაბით მთელი რეცეპტების წიგნი ზეპირად ვიცოდი და სწორედ ეს მაძლევდა შემდეგ იმპროვიზაციის საშუალებას. თუმცა ეს ისე არავინ გაიგოს, რომ ყველაფერი შეიძლება ერთმანეთს შეურიო. რაც მთავარია, უხარისხო არ უნდა იყოს არცერთი სასმელი!

არადა, მოგეხსენებათ, საბჭოთა კავშირის წგრევის შემდეგ მძიმე წლები იდგა. გაჩნდა დეფიციტი. ჩვეულებ-



რივ ასე ხდება, თავდაპირველად დეფიციტის „შემავსებლად“ ჩნდება ნაირ-ნაირი ფალსიფიცირებული სასმელი. ეს იყო საკუთარ აბაზანებსა და ტაშტებში ჩამოსხმული ლიქიორი თუ არაყი.

ამას ასე გულხელდაკრეფილი ხომ ვერ შევგუებოდით?!

საბედნიეროდ, კომპანია „GWS“-ში დავინიყე მუშაობა. ერთ-ერთი დამფუძნებელი ვიყავი. ჩემი თანამოაზრეები მყავდა, საქმის პროფესიონალები – ბატონი თამაზ კანდელაკი და ქალბატონი დალი ხინგავა. ასე თანდათან ორმოცდაათი დასახელების ლიქიორ-არყის ავტორი გავხდი.

ჩვენი დამფუძნებელი საფრანგეთის მხრიდან ცნობილი და ძლიერი ფირმა „პერნო რიკარდი“ გახლდათ, რომლმაც ხელი შემიწყო და ოცდათხუთმეტი ქვეყანის ყველა დიდი სანარმო ვნახე და შევისწავლე, თვითონ სასმელიდან დაწყებული და ეტიკეტით დამთავრებული. ყველაფერი ამ წიგნშია თავმოყრილი.

ნებისმიერი წიგნი, ალბათ, ასე ჩნდება, ჯერ თვითონ უნდა იცოდეს სრულყოფილად ის, რაზეც წიგნი იწერება, რასაც ის მოიცავს.

მე არასოდეს დამზარებია და სათაკილოდ არ მიმიჩნევია არც კასრის რეცხვა, არც მუშის გვერდით არყის გაფილტვრა, ჩამოსხმა, მანქანა-დანადგარების აწყობა-დანყოფა... ყოველთვის უნდა ვიცოდე ისიც, თუ სადმე რამე შემეშალა.

– შედეგად შესატყვისია: ვფიქრობთ, ეს წიგნი ნებისმიერ ტრადიციულ ოჯახს დაამშვენებდა. ყველასთვის მოიძებნება საინტერესო მასალა – დიასახლისიდან დაწყებული და მკვლევართა დამთავრებული...

– ამოდენა გამოცდილება და ნანახ-აღქმული რამედ უნდა მექცია, ვერ ვისვენებდი. აქამდე ორი მონოგრაფია გამოვეცი, მაგრამ ეს მხოლოდ და მხოლოდ დამწყები მეღვინის სახელმძღვანელო წიგნები იყო, ანუ როგორ უნდა იმუშაოს, რომ სასმელი დაამზადოს. მაშინ ქართულ ენაზე ასეთი წიგნები არ გაგვაჩნდა და საჭირო გახდა მათი დაწერა. ახლა კი სულ სხვა ინტერესი მამოძრავებდა. ყველა სპეციალისტს ვიცნობდი, ყველა სასმელის ანაბანა ვიცოდი და შემეძლო მომეთხრო ფრანგულ კონიაკზე, მექსიკურ ტეკილაზე, იაპონურ საკეზე, ბრაზილიურ კამასაზე, პორტუგალიურ პორტვინზე...

აქ გაცნობით მსოფლიოს უმაღლესი კატეგორიის სასმელთა ისტორიას, მათი დამზადების ტექნოლოგიას პოპულარულ ენაზე, საინტერესო შენიშვნებსა და რჩევებს, როგორ და რასთან ერთად დაიგემოვნოთ და რომელი რით არის განსაკუთრებული და გამორჩეული... რომელს რა ლეგენდა ან ისტორიული ამბავი უკავშირდება.

და მაინც, ძალიან ბევრი რამ კიდევ არ ვიცი. ახალგაზრდებს ვურჩევ, ნუ შერცხვებათ იმის აღიარების, რომ რაღაც არ იციან... ისწავლონ! თავიდან ბოლომდე ჩაყვნენ. ყველაფერს მნიშვნელობა აქვს ჩვენს საქმეში, ამინდაც კი.

მოკლედ, ამ წიგნით მინდოდა ჩვენი საზოგადოებისათვის საჩუქარი მეძღვნა. მათ შეიძლება ბევრი რამ გა-



გონილი ჰქონდათ, იქნებ მიაჩნდათ, რომ საკმარისიც იცოდნენ ამა თუ იმ სასმელზე, მაგრამ... მგონია, ახლა აზრი შეეცვლებათ! თუმცა ბევრი რამ დაწერილა ქართულ ღვინოზე, ვენახზე, გლეხკაცის შრომაზე, ჩვენი წიგნი სხვა კუთხით გააცნობს დაინტერესებულ ადამიანს კიდით კიდემდე, დედამიწის ზურგზე რაც კი მაგარი სასმელია.

წარმოდგენილ წიგნში მასალა, რასაკვირველია, საქართველოთი იწყება, მაგრამ მთელ მსოფლიოს მოიცავს. შედგენისა და დაკაბადონების დროს ბევრს ვფიქრობდი, რომელი მასალა როგორ მიმეწოდებინა, რა კუთხით წარმოემჩინა, ყურადღება რაზე გამემახვილებინა.

ამ საქმის სრულყოფილად გამართვა და ხორცშესხმა კი გამომცემლობა „პეტიტის“ ახალგაზრდა, მაგრამ გამოცდილი და გემოვნებიანი, პროფესიონალი თანამშრომლების დამსახურებაა.

– თქვენი თქმით, ყველა ქვეყანის განუმეორებლობა რაღაც კუთხით აირეკლება ამ ქვეყნის გამორჩეულ მაგარ სასმელში?

– დიახ, ასეა! ყველა სასმელი, რომელიც დღეს ძალიან ცნობილია, თავდაპირველად ამა თუ იმ ქვეყნის მდაბიოთა დასალევი იყო. იმ ქვეყანაში, სადაც რა ხარობს, იმას ხდიდა გლეხკაცი. კოლუმბმა შაქრის ლერწამი რომ ჩაიტანა კარიბის ზღვის ქვეყნებში, დაიწყო შაქრის ლერწმის გამოხდა და მიიღეს სასმელი, რომელსაც რომი დაარქვეს. მერე ესპანელებმა კასრში დააძველეს ეს სასმელი და უკეთესი გახადეს. მექსიკაში ტეკილას ყველაზე დაბალი ფენის ხალხი სვამდა. ტროპიკული მცენარის ნაყოფისაგან – აგავასგან – ხდიდნენ. ყველაზე კარგი ლურჯი აგავას ნახადი გახლავთ. დაახლოებით სამოცდაათილოგრამიანი ნაყოფი აქვს. გაჭრიან, შეაგდებენ ლუმელში, გააცხელებენ. გამოიღებენ სიტკბოსაგან ნებოვან მასად ქცეულს, დაადუღებენ და გამოხდიან. ასე იყო იტალიური გრაპა, რომელიც იგივე ჭაჭაა. სიახლის ძიებაში ყველა რაღაც ახალს უმატებს, ცდილობს უკეთესი შექმნას, ორიგინალური, სრულყოფილი.

საქართველოში უწინ მაგარ სასმელს, რომელსაც ჩვენ არაყს ვეძახით, ასე არავინ იხსენიებდა. მაგალითად, ხორბლის ღვინოს ეძახდნენ ხორბლის არაყს. ვიდრე ეს სიტყვა დამკვიდრდებოდა, ყველაფერს ღვინო ერქვა – ახალგაზრდა ღვინო, განმწიდილი ღვინო, გამოხდილი ღვინო. ოღონდ, ნომრები ჰქონდა. ყველაფერი ერთად კი იყო ჭაჭა. სულხან-საბას „სიტყვის კონაში“ იყი და აბეკამქი აქვს ნახსენები. ეს იგივე არაყია. ხომ ასეა, ყველა ენა თავის სახელს მოარგებს და არქმევს. ყველაფერი იმას კი, რაც „სამთვრალი შიშვადების“, საერთო სახელი – თავლუჭი ჰქვია.

უნდა ვეძიოთ! განსაკუთრებით ახალგაზრდებს ვურჩევ, შეისწავლონ, გაერკვნენ, დაეწაფონ და მიეძალონ სწავლას, შემეცნებას და არა – თაფლუჭს, როგორც ჩვენი წინაპარი იტყოდა, თუმცა არც უამისობა ვარგა.

ქართული რაც არის, ის ჭაჭაა, ანუ ჩვენი ეროვნული სასმელი, და არა არაყი. უნგრეთში პალინკას ეძახიან, ჩე-

ხები და სლოვაკები – სლივოვიცას, გერმანიაში – აბრი-კოტსა და კირსს და ასე შემდეგ.

– და მაინც, ქართველებმა გაუთქვეს სახელი ამ მაგარ სასმელებს. ქართული კონიაკი ხომ საქვეყნოდ იყო ცნობილი?!

– სხვათა შორის, იტალიელებს აქვთ ერთი თავმოსა-ნონი არაყი, რომელსაც ერისთავი ჰქვია. რუსულად მიაჩნდათ და ასევე ეწერა, მაგრამ აგერ უკვე თორმეტი წელია, მივალნიე და შევაცვლევიანეთ წარწერა. ახლა აწერია, რომ ქართულია. ავტორი გახლავთ ნიკოლოზ ქსნის ერისთავი, რომელიც ემიგრაციაში ცხოვრობდა და იტალიაში გარდაიცვალა.

– საქართველოში არყის, კონიაკისა და ლიქიორის ქარხნული წარმოება, როგორც ვიცით, დავით სარაჯიშვილმა წამოიწყო, არა?

– დიახ, გიორგი ბოლქვაძემ და დავით სარაჯიშვილმა. ისე, თავდაპირველად, ვინც მაგარი სასმელი დააყენა, იყვნენ ალქიმისტები და შემდეგ უკვე ბერები. მონასტრებში მთელი აკადემიები იყო შექმნილი. ხშირად ამ მაგარ ნა-

ყენებს სამედიცინო, სამკურნალო დანიშნულებით იყენებდნენ. ასევე, მრავალი სასმელის სახელი და ლეგენდა მშვენიერ ქალებს უკავშირდება. სხვათა შორის, პირველი ქართული ლიქიორ-არყის ქარხანა მდინარეების, ვერემტკერის, შესართავთან აზნაურმა ქალმა ბარბაღე იმერ-ლიშვილმა დააარსა. ქუთაისში გვექონდა მაგარი სასმელების წარმოების კარგი სკოლა. იქ იყვნენ: ფელიქს ჭელიძე, ტარიელ გაბუნია, კაცია ადანაია, ძმები კოსტავები...

– ამ ალბომის გარდა, რამდენადაც ვიცით, კიდევ აპირებთ ახალი წიგნის გამოცემას. რა მასალა მოიყრის მასში თავს?

– ჯერ არ მინდა ამაზე საუბარი. ერთს კი ვიტყვი, უამრავი რამ დამიგროვდა. საქართველოზე მთლიანად საუბარი – ქართული სასმელების მატთან – დაახლოებით ასეთი რამ იქნება და ასევე ერქმევა.

ამდენი ცნობილი მარკა თუ არსებობდა მაგარი სასმელებისა, არ მოველოდი. სასიხარულო „აღმოჩენა“. როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ბევრი რამ ახალი ვიპოვე ჩვენსავე ძველში.

დეტექტივი

მენ რაბინი

ალიბი

ოქტომბრის ჯანლიან დილით, ზუსტად ათ საათსა და ხუთ წუთზე, ტომას მერედიტმა თავისი ცოლი დაახრჩო. მკვლელობის დრო იმიტომ დაამახსოვრდა, რომ მძვინვარე ბრძოლის პროცესში, უშუალოდ იმის წინ, ვიდრე ცოლის გულის ფეთქვა საბოლოოდ შეწყდებოდა, ძველებური საათი, ცოლს რომ აჩუქა ქორწინების ბოლო წლისთავეზე, ბუხრიდან იატაკზე გადმოვარდა და ისრები გაჩერდა, თუმცა საათის მექანიზმი განაგრძობდა წიკნიკს რამდენიმე სანტიმეტრის დაშორებით მარმარილოსავით გათეთრებული ულამაზესი სახიდან.

დიახ, მკვდარიც კი, მაშა რჩებოდა ყველაზე მიმზიდველ ქალად, ვინც კი ოდესმე ენახა თავის სიცოცხლეში. მისი მშვენება თითქოსდა კიდევ უფრო დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა იმ პირველ წუთებში, აღსასრულს რომ მოჰყვა. ტომასი შეჰყურებდა ცხედარს და გრძობდა, რომ უზომო მწუხარება ეუფლებოდა მთელ მის არსებას. შემდგომ არსებობას აზრი აღარ ჰქონდა. ჩადენილმა დანაშაულმა ერთბაშად მოსპო, გაანადგურა. სიცოცხლე ხდებოდა უშინაარსო და უაზრო.

და მაინც, სხვა არჩევანი არ გააჩნდა. აბსოლუტურად ბედნიერი შვიდწლიანი ოჯახური ცხოვრების შემდეგ უცრად აღმოაჩინა, რომ ცოლი ღალატობდა. მაშა შემოაკვდა გააფთრებული მრისხანების შემოტევისას, რომელიც ისევე უმნიკვლო იყო, როგორც ნდობა ცოლისა, მანამდე რომ სუფევდა გულში. და ახლა, როდესაც მაშა უსულოდ ეგდო მის ფერხთით, ტომასმა თვალი მიმოავლო

ოთახს და კიდევ ერთხელ იხილა ცოლის ღალატის მტკიცებულებანი: ორი ბოკალი შამპანურის წარჩენით, ძვირფასი სიგარეტის ნაწნვებით სავსე საფერფლე და სანოლის ძირთან მიგდებული ცხვირსახოცი მამაკაცისა ზედ ტუჩის პომადის ლაქებით ამ სანახაობამ კიდევ უფრო გაუმძაფრა ვარამი.

ნეტა რატომ არ გამოფრინდა ჩიკაგოდან თავისი ჩვეულებრივი რეისით, გვიან საღამოს რომ ჩამოიყვანდა? წლების მანძილზე, ყოველთვიურად, ერთი და იგივე მარშრუტით მიემგზავრებოდა მივლინებაში და პუნქტუალურად ერთსა და იმავე დროს ბრუნდებოდა. ამჯერად კი ნეტა რატომ დაჰყვა ლაქლაქა კლერკის რჩევას და აიღო ბილეთი უფრო ადრეინ რეისზე? მშობლიურ ქალაქში ჩამოსული, ჩვეულებისამებრ, რატომ არ გაემართა ოფისში და მაშინვე შინ გამოემუშრა?

დიახ, ეტყობა, უბიძგა მწვავე სურვილმა, სასწრაფოდ ენახა მაშა და მასთან ერთად შეესვა დილის ფინჯანი ყავა. და კიდევ, სურდა სასიამოვნოდ გაეოცებინა – ფეხის წვერებზე შესულიყო საძილე ოთახში, ნაზად დაეკოცნა და გაედვიძებინა ცოლი. წინასწარ ესახებოდა მოსახდენი: ბალიშზე გაფანტული გრძელი, შავი თმები, მშვიდი სუნთქვა მძინარისა, ხორცსავსე და ვენებიანი ტუჩების სითბო და მერე – ანაზდეული სიხარული გახელილ თვალებში, გამოწვეული იმით, რომ ხედავდა საყვარელ ქმარს.

სწორედ ამგვარ შეხვედრას ნატრობდა მერედიტი. მაგრამ საძილე ოთახში გამეფებული არეულ-დარეულობა სრულიად არ შეესაბამებოდა მის მოლოდინს. ჰაერში სუნამოსა და მაგარი სასმელის მძიმე სუნი ტრიალებდა. ცოლის ღალატის მუწჯი საბუთები ნებისმიერ სიტყვებზე უფრო მჭევრმეტყველი იყო. ის, ვინც ღამე გაატარა მასთან, უკვე გაუჩინარებულიყო.

ტომასმა ოდნავ შეახო ხელი ცოლს და გააღვიძა. ეგონა, ყველაფერს რალაცნაირად ამიხსნისო. იმედი ბუუტავ-

და, ეგებ თავი რამენაირად გაიმართლოსო. ასე უნდა ყოფილიყო. მდუმარედ ელოდა, ვიდრე მაშა გაიზმორებდა, ტკბილად დაამთქნარებდა და სავსებით გამოფხიზლდებოდა. აი, როგორც იქნა, დათრგუნა ძილი და მიაშტერდა ქმარს, მაგრამ პირფერული მობოდიშების ნაცვლად სიგარეტი მოსთხოვა.

– მაშა, ვისთან გაატარე ეს ღამე?

– კაცთან.

– მე ვიცნობ?

– არა.

– ართობდი?

– ჰო.

– კოცნიდი?

– ასე ადრე რატომ მობრძანდი? საღამომდე ხომ მივაღებდი აქაურობას.

– მაშა, მიპასუხე, რასაც გეკითხები.

– ო, ტომას, როგორი ჩლუნგი ხარ! გულის გამანვრლებელი და მოდიდან გამოსული აბეზარი ხარ. საოცარია, შვიდი წელიწადი რანაირად გიტანდი. – მაშამ კვლავ დაამთქნარა და თვალები დახუჭა, თან თითებით ეალერსებოდა ბალიშს, თითქოსდა იხსენებდა ახლახან განცდილ ნეტარებას.

– ნეტა თუ გესმის, რა ჩაიღინე?

– განქორწინება შენი ნებაა. ჩემთვის სულერთია. – მაშამ ზიზღით შეაქცია ზურგი ქმარს და ამით მიახვედრა, ლაპარაკს მოვრჩითო.

და სწორედ იმნამს ტომას მერედიტის შელახულმა თავმოყვარეობამ იფეთქა და აღვირახსნილი სისასტიკე გადმოაფრქვია. ხელები უნებურად გაექცა ცოლის ყელი-საკენ და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, წაუჭირა; ისე წაუჭირა, რომ ქალმა ვერც კი წამოიყვირა. წუთით მოახერხა გასხლტომოდა, მაგრამ კაცი დაენია სასტუმრო ოთახში და იქ მოათავა თავისი საზარელი დანაშაული მიუხედავად სასონარკვეთილი წინააღმდეგობისა, ორ წუთზე მეტხანს რომ არ გაგრძელებულა.

ცოტა ხნის შემდეგ მერედიტმა აღმოაჩინა, რომ იმყოფებოდა ქუჩაში რამდენიმე კვარტალის დაშორებით თავისი მრავალბინიანი სახლიდან. ტომასი ვერ მიმხვდარიყო, აქ როგორ ამოჰყო თავი, რა დრო დასჭირდა საამისოდ, ვინმემ ხომ არ მოჰკრა თვალი. თავს გრძნობდა სავსებით გამოფხიზლად, გზადაკარგულად, გონწართმეულად. მაშა, მისი საყვარელი მაშა მკვდარია. ვერავინ და ვერასდროს ვერ შეცვლის მას. მაშა მისთვის იყო მზის შუქი, ყანგბადი, მიზანი და აზრი არსებობისა. უმისოდ განაღირს ცხოვრება?

მერედიტი გამობრუნდა სახლისკენ. ერთადერთი რამ ენადა – სამართლიანი სასჯელი და რაც უფრო მალე ეწვეოდა, მით უკეთესი იქნებოდა მისთვის. ამქვეყნად არასოდეს გაჩენილა მკვლელი, ასე ძალუმად რომ ინანიებდა და სასჯელის მოხდას ნატრობდა. დიახ, მან გადაწყვიტა, რომ დაუყოვნებლივ აღიარებდა დანაშაულს. უწინარეს ყოვლისა, ვინმე უნდა გაჰყვეს ბინაში, რათა ჯეროვანი წესით ჩატარდეს გვამის ამოცნობა და ბრალდებულის აღიარება.

ქუჩის კუთხეში თავისუფალი ტაქსი შენიშნა. მძღოლს მისამართი უთხრა და უკანა საჯდომზე მოთავსდა. იცო-

და, ახლა რა უნდა გაეკეთებინა. როგორც კი ჩვენს სახლში ვინმე შეიტყობს, ქმარს მაშა მოუკლავსო, მაშინვე პოლიციაში წავალ და დანაშაულს ვაღიარებო. საქმე ის გახლდათ, რომ მას არ ძალუძდა ხელახლა ენახა მკვდარი ცოლი.

დაახლოებით ერთ წუთში ტაქსი გაჩერდა მათი სახლის სადარბაზოსთან.

– აქ დამელოდეთ, – უთხრა ტომასმა შოფერს და შესასვლელი კარისკენ გაემართა.

პირისახეზე ოფლის წვეთები ჩამოსდიოდა და თხემით ტერფამდე კანკალს აეტანა. რაიმონდი, ხანდაზმული მეკარე, მინის ტიხრიდან გამოეგება. „ეს ბებერი რამეს მოახერხებს“, – გადაწყვიტა მერედიტმა. გულს უმძიმებდა ფიქრი, რომ ვინ იცის, ეგებ, უკანასკნელად ელაპარაკებოდა ამ მეკარეს, რომელსაც ყოველთვის გულთბილად ესალმებოდა ხოლმე, როდესაც მივლინებიდან შინ ბრუნდებოდა თავის სანატრელ მაშასთან.

– გამარჯობათ, მისტერ მერედიტ, – გაუღიმა რაიმონდმა. ბეც თვალეებს ჭუტავდა. – ვიმედოვნებ, თქვენმა მივლინებამ ჩიკაგოში წარმატებით ჩაიარა.

ტომასი ოდნავ შეცბუნდა. რალაც არ იყო რიგზე, ფოკუსიდან ამოვარდნილიყო. მოხუცს, ჩანს, დაავიწყდა, რომ დილით უკვე შეხვდნენ ერთმანეთს. მაგრამ ახლა აზრი არ ჰქონდა შეეხსენებინა მეკარისთვის მისი გულმავიწყობა.

– რაიმონდ, ყურადღებით მისმინე. მინდა, რომ სამსახური გამინიო.

– ყველაფერს გავაკეთებ, რასაც ინებებთ, მისტერ მერედიტ.

– ლაპარაკია ჩემს ცოლზე. საქმე ისაა, რომ მე...

მეკარემ სიტყვა გაანწყვეტინა.

– დიახ, სერ. მე ყველაფერი ვიცი. ნახევარი წუთის წინ ველაპარაკებოდი თქვენს ცოლს. მთხოვა, ავსულიყავი თქვენს ბინაში. მითხრა, რომ საცაა თქვენც გამოჩნდებოდით.

– მაგრამ ეს შეუძლებელია!

მოხუცი ყურს აღარ უგდებდა. სწრაფად გაეშურა თავის მომცრო საწოლის ნიშში და რალაცის ძებნას შეუდგა.

– აი, ვიპოვე, – თავისი თავშესაფრიდან დაიყვირა მეკარემ, – თქვენმა ცოლმა მთხოვა, ეს თქვენთვის გადმოემცა. თქვა, ალბათ იწვიმებსო.

გაოცებისგან პირდაღებული და შეძრწუნებული მერედიტი ადგილზე გაქვავდა. ამასობაში რაიმონდი ისევ მიუახლოვდა და ქოლგა გაუნოდა. ტომასმა იცნო საკუთარი ქოლგა და გაოგნებული შებარბაცდა.

– მისტერ მერედიტ, ცუდად ხომ არა გრძნობთ თავს?

– ნეტა ვიცოდე, რა შარში მხვევ...

– არ მესმის, რას მეუბნებით. განა ეს თქვენი ქოლგა არ არის?

– დიახ, ჩემია. მაგრამ შენთან საიდან მოხვდა?

– ხომ გითხარით, თქვენმა ცოლმა...

– გეყოფა! – დაიღრიალა მერედიტმა და მოხუცს ხელიდან გამოსტაცა ქოლგა. – ნუ თვალთმაქცობ, ვითომდა მაშამ გადმოგცა ქოლგა და ვითომდა დღეს პირველად მხედავდე.

– მაგრამ სწორედ მან გადმომცა ეს ნივთი, – შეეპასუხა მეკარე. – და დღეს მართლაც პირველად გხედავთ. განა აეროპორტიდან არ მობრძანდით?

– შენ მგონი გააფრინე! – ნამოიძახა ტომასმა. – აქ ერთი საათის წინ ვიყავი. შენ კარი გამიღე და თქვი, საკვოი-აულებს ლიფტამდე წაგიღებთო. ერთმანეთი მოვიკითხეთ. მერე ავედი შინ და ჩემი ცოლი დავახრჩე. ახლა ხომ გესმის, რომ ამ ქოლგას ვერანაირად ვერ გადმოგცემდა?! ის მკვდარია. მე მოვკალი. ნახევარი საათიც არ იქნება გასული მას შემდეგ, რაც მოვკალი.

– ბოდიშს გიხდით, სერ. მე მგონი, ამ დილაადრიან არ უნდა გექეიფათ, – მეკარემ გამომცდელი მზერა მიაპყრო მერედიტს.

ტომასმა უკან დაიხია, როდესაც რაიმონდმა სცადა ხელი ჩაეელო მისთვის, მთვრალი არ წაიქცესო. «ყველა ვირთაგან ეს ყველაზე ჯიუტია, – გაიფიქრა მკვლელმა. – ვერაფერს გააგებინებ“. ტომასს გაახსენდა, რომ ერთხელ მოხუცი დიდხანს და აბნეულად უამბობდა თავის უიღბლო ოჯახურ ცხოვრებას და არწმუნებდა, კარიერა ცოლმა გამოიხარაო. მერედიტს ისიც გაახსენდა, რომ მეკარეს ახალგაზრდობაში თითქოსდა კარგი თანამდებობაც ეჭირა რომელიღაც კომპანიაში. შესაძლოა, ჩვეულებრივ ვითარებაში შეწყნარებით მოჰკიდებოდა მოხუცის გულმავნიობას, მაგრამ ახლა – ვერასდობდა.

მერედიტმა ქოლგა იატაკზე მოისროლა, მიბრუნდა და ტაქსისაკენ გასწავა. მანქანის კარი რომ მიიხურა, მძღოლს უბრძანა, უახლოეს პოლიციის უბანში წამიყვანეო. ტაქსისტმა თანხმობის ნიშნად თავი დაუკრა და მოტორი ჩართო. ავტომობილი ადგილს მოსწყდა.

არაქათგამოცლილი ტომასი გადაწვა საჯდომზე. რაიმონდთან ინციდენტს არ შეურყევია მისი გადანყვეტილება მკვლელის ალიარებაზე. ნუთუ მოხუცი ამას ვერაფრით ვერ მიხვდა? ბოროტება ჩადენილია. მერედიტს სურდა, რომ სასტიკად დასჯილიყო; სურდა ეგემა ტანჯვა; სურდა, რომ დაუყოვნებლივ გაემწესებინათ ციხეში. თვალელები დახუჭა და იმაზე მიეცა ფიქრს, თუ რა უნდა ეთქვა პოლიციაში. მალე, ძალიან მალე ყურადღებით მოუსმენენ და მის ნათქვამს შეამოწმებენ. მალე ეღირსება სიმშვიდე და მოსვენება ცალკე საკანში.

უცებ ტაქსი გაჩერდა და შოფერმა მრიცხველის სახელური გაატკაცუნა.

– მოვედით.

ტომასი გამოერკვა ფიქრებიდან, ხელი ჯიბეში ჩაიყო და ერთდოლარიანი ამოაძვრინა. შოფერს გაუწოდა და ხურდისთვის აღარ დაუცდია, ისე გააღო მანქანის კარი.

– ჰეი! ერთი წამით! – დაიყვირა მძღოლმა. – ჩემო ბატონო, დანარჩენი ფული სადღაა? მრიცხველს შეხედეთ ერთი.

ტომასი გაკვირვებით მიჩერდა მინის პანია ეკრანს. ზედ აღნიშნული იყო თანხა – ცხრა დოლარი და ორმოცდახუთი ცენტრი.

– აქ რალაც შეცდომაა. ამდენი არ უნდა დაწერილიყო.

– მას თქვენ ამტკიცებთ, რომ ჩემი მრიცხველი ტყუილის? – დაიღრინა მძღოლმა და თავისი ტლანქნაკეთიანი, გაუპარსავი პირისახე მიაბჯინა მერედიტს. იფიქრებდი, ცოტაც და მუშტით გაუმასპინძლებოდა მგზავრს. –

მოგახსენებთ, რომ სულ რალაც ორი დღის წინ ინსპექტორმა შეამონმა მრიცხველი. და გარდა ამისა, მე ხშირად დამყავს მგზავრები აეროპორტში და აეროპორტიდან. ერთი გზობა მანძილი ჯდება დაახლოებით ცხრა დოლარი.

ტომასმა თვალელები მოიფშვინა და ლამობდა, მოეკრიბა გონება.

– მაგრამ მე აეროპორტში ხომ არ ჩავმჯდარვარ თქვენს მანქანაში. აგერ, რამდენიმე წუთის წინ დაგიქირავეთ, ორ მილზე მეტი არ გაგვივლია.

მძღოლმა თავი გააქნია და წარბები შეჭმუხნა.

– მისტერ, თქვენ, ალბათ, ჰალუცინაციები გაქვთ ანდა რალაც ამდაგვარი. ერთ საათზე მეტი იქნება, რაც გასერიწებთ. გამოვიარეთ მთელი გზა აეროპორტიდან. გზაში მცირე ხნით შეყოვნდით სახლთან, სადაც თქვენ ცხოვრობთ, მერე აქ მოყვანა მთხოვეთ. ახლა კი გადამიხადეთ, რაც მერგება, თორემ ძალიან გაგიჯავრდებით.

ტომასმა იგრძნო თავბრუსხვევა, ამჯერად უფრო ძლიერი; თვალწინ უცნაური ციციანთელები აუციმციმდნენ, ცალი ხელი ანგარიშშიუცემლად ეკრუნჩხებოდა. ამაოდ ლამობდა ნერწყვის გადაყლაპვას. შიგანში ყველაფერი ერთ გუნდად შეეკუმშა. რაც ძალი და ღონე ჰქონდა დაიძაბა, რომ გონს მოსულიყო. როდესაც ალაპარაკდა, სიტყვები ნაწყვეტ-ნაწყვეტ ამოსდიოდა პირიდან, თითქოსდა ვიღაც მუშტს უბრაგუნებდა მუცელზე.

– თქვენ გამოძალავს ენევით... თქვენ ხედავთ, რომ ნერვებაშლილი ვარ... და ამიტომაც ცდილობთ წამგლიჯოთ ზედმეტი... მაგრამ არ გაგივით... თქვენს საქციელზე ვაცნობებ, სადაც ჯერ არს... თქვენს სახელს და სარევის-ტრაციო ნომერს დავიმახსოვრებ...

ტომასმა კარი გააღო და სცადა გამოსვლა ავტომობილიდან. მძღოლი მკლავში ისე ჩაეჭიდა, თითქოს მარწუხებში უნდა მოაქციოსო.

– ახლავე გამიშვი ხელი, შე იდიოტო! – დაიღრიალა მერედიტმა.

– არ გაგიშვებ, სანამ მთლიანად არ გადამიხდი. ფული ჩამოყაჭე ანდა მთელი დღე ვიჯდებით მანქანაში. აბა გადანყვიტე, რომელი გირჩევინა.

მერედიტი მიხვდა, რომ დავის გაგრძელება ფუჭი იყო. დათმობა ამჯობინა. „ბოლოს და ბოლოს, – გაიფიქრა მან. – ახლა რალაში მჭირდება ფული“. მან ხომ ყველაზე ძვირფასი, ყველაზე საყვარელი არსება დაკარგა. სამუდამოდ დაკარგა. დანარჩენს აღარაფერს აღარ ჰქონდა მნიშვნელობა.

– აი, აიღე, – უთხრა მძღოლს და ათდოლარიანი კუპიურა გაუწოდა. – ხურდა არ მინდა.

– დიდი მადლობა, – გესლიანად ჩაიცინა ტაქსისტმა.

მერე საზურგეზე გადაწვა და მოტორი ჩართო.

– ჰეი! მოიცა! ეს რა ქენი?! – კვლავ იყვირა მერედიტმა. – სად მომიყვანე?! ეს ხომ პოლიციის უბანი არ არის!

– მე იქ მოგიყვანეთ, მისტერ, სადაც თქვენ მიბრძანეთ.

– სტყუი. ეს ორმოცდამეთოთხმეტე ქუჩაა. აქ მდებარეობს ოფისი, სადაც მე ვმსახურობ. რა ხდება? აქ რატომ მომიყვანე?

მძღოლმა თავი გამოჰყო გვერდითა სარკმლიდან და მერედიტს თითი დაუქნია მუქარის ნიშნად.

– მისმინეთ, მისტერ. თქვენ უკვე მეორეჯერ მინოდებთ მატყუარას. კიდევ ერთხელ თუ წამოგცდებათ ეს, მანქანიდან გადმოვალ და ნაკუნ-ნაკუნ აგჩეხავ.

– რა ხდება? ყველაფერი ამეზნა თავში. აუცილებლად უნდა გამოვცხადდე პოლიციაში.

– მისტერ, კარის სახელურს ხელი უშვით!

– მე ხომ ჩემი ცოლი მოვკალი. მოვკალი-მეთქი! და მიხდა, რომ ყველაფერი ვალიარო.

– ეს თქვენი საქმეა. მაგრამ მე შემეშვით, ნუ მაკავებთ. ლუკმა პურის საშოვნელად გამოვსულვარ. მეჩქარება. – ტაქსისტმა ისევ ჩართო მობტორი და ვიდრე საბოლოოდ დასძრავდა მანქანას, თავისი გულისწყრომა გამოთქვა. – თქვენს ადგილას ასე არ გამოვთვრებოდი. დილიდანვე სმა ხეირს არ დაგაყრით, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ათასგვარ ჩმახს აფრქვევთ.

ავტომობილი ადგილს მოსწყდა და უმაღლეს თვალს მიეფარა. მერე დიტი რამდენიმე წუთი გაუძრევლად იდგა. აზროვნება უჭირდა და გრძნობდა, რომ გონების უკანასკნელი ნატამალი ამოეგლიჯათ მისგან, როგორც პეპელას ფრთებს რომ დაადრობენ ხოლმე. ტომასს ვერ გაეგო, რა ხდებოდა. ეჩვენებოდა, რომ რალაც საზარელი კომმარის ტყვეობაში ჩავარდნილიყო.

ჯიუტი შეუპოვრობით განაგრძობდა ბრძოლას თვითკონტროლისათვის. არა, ნამდვილად არ ბოდავდა და არც მთვრალი ყოფილა. ტომასმა კვლავ მოიჭლიტა ტვინი და საკუთარ თავს უბრძანა: „იფიქრე! გაიხსენე ფაქტები! ერთია ცხადი – შენ მოკალი შენი ცოლი. ეს არის ობიექტური, ფიზიკური, უეჭველი და უდავო ფაქტები. ამაში სხვებიც უნდა დაარწმუნო. და როცა ეს მოხერხდება, თავში გაჩენილი დომხალი თავისთავად გაქრება“.

მერე დიტმა იგრძნო, რომ მოძრაობდა. ფეხებმა თავისით წაიყვანეს იმ შენობაში, სადაც მისი ოფისი იყო მოთავსებული. „ჰო, იქ არის გამოსავალი, – გაიფიქრა მან. – უნდა შევხვე და დავარწმუნო ის კაცი, რომელიც კარგად გვიცნობს მეც და მამასაც. დაველაპარაკები, ყველაფერი გაირკვევა და გონებაც სასეებით გამინათდება“.

მათი საპროექტო ბიურო განლაგებული იყო მესამე სართულზე. იქ, ალბათ, იქნებოდა ბენ როსი და არც ფოლი, მისი ძველისძველი პარტნიორები და კოლეგები. და თუმ-

ცა ახლო მეგობარი არც ერთი იყო და არც მეორე, ტომასს სჯეროდა, რომ ისინი, უთუოდ, შეენოდნენ.

ლიფტში შესვლისას ისევ გაიფიქრა, რომ დაპატიმრებისა და დანაშაულისათვის სასჯელის ზღვარზე იმყოფებოდა. თვლიდა, რომ ცხოვრობს საზოგადოებაში, სადაც ბატონობს კანონიერება და წესრიგი, რომ რამდენიმე წუთში დანაშაულის ტვირთი ნაწილობრივ მოეხსნება გულიდან და მას მოეპყრობიან ისე, როგორც ეს მიღებულია ცივილიზებულ ქვეყნებში.

– მისტერ როსი აქ ბრძანდება? – ჰკითხა ახალგაზრდა მდივანქალს, მაგიდას რომ უჯდა მისაღებში. მან თავი დაუქნია, დიახო, გულითადად გაუღიმა და მიუთითა შესასვლელ კარზე. ტომასმა ზღურბლს გადააბიჯა.

– აჰ, ეს შენა ხარ ტომ. გელოდებოდი. ნახევარ საათში მოვლენ „მაკგროუს“ ფირმის წარმომადგენლები. ვიმედოვნებ, მშენებლობის გეგმები თანა გაქვს. მაგრამ, უწინარეს ყოვლისა, ჩიკაგოში შენი მივლინების შედეგებზე მიაბე.

გულწრფელი კილოთი მოლაპარაკე კაცი მსუქანი და მელოტი იყო. ტომასი მიიჩნევდა ბენ როსს მიზანსწრაფულ სპეციალისტად, რომელიც განსაკუთრებული წარმოსახვით არ გამოირჩეოდა, რათა თვალსაჩინო პიროვნება გამხდარიყო, მაგრამ სჩვეოდა ყურადღებით მოესმინა თანამოსაუბრისათვის და, ცხადია, მას ენდობოდა კაცი.

– ბენ, რალაც უნდა გითხრა, – დაიწყო მერე დიტმა.

– ნახაზებს გულისხმობ? – დაინტერესდა კოლეგა.

– არ წამომიღია. ჩემს პორტფელში დავტოვე. შინ დამრჩა. იცი რა, დილით შევიარე, მამა რომ მენახა. მეგონა, გავახარებდი, მაგრამ...

როსი ზეზე წამოდგა და ფართე ღიმილი მოეფინა სახეზე.

– მე ყველაფერი ვიცი.

– ყველაფერი იცი?

– რასაკვირველია. მამამ დამირეკა. ხუთი წუთის წინ დამირეკა. შენზე მითხრა, ნუ აღელდება, პორტფელი შინ რომ დარჩაო. მე მოვუვლი, არ დაეკარგებაო. როგორი წინდახედული ცოლი გყავს, ძმაო. თვალის ჩინივით უნდა გაუფრთხილდე.

ჭკუის შემშლელმა კომმარმა ისევ შეიპყრო მერე დიტი. იგრძნო, რომ ღრმად ეშვებოდა თავბრუდამხვევ უფსკრულში. სუნთქვა შეეკრა. თავის ტკივილი აუტანელი შეიქნა, თითქოს შიგნიდან ურტყამდნენ ჩაქუჩს თავის ქა-



ლაზე. იმის შეგნებამ, რომ კომპარი გრძელდებოდა, საშინლად შესძრა. თითქოს ნისლში ხედავდა თავისი საქმიანი პარტნიორის გულითად, მომღიმარ და გულწრფელობით აღსავსე პირისასხეს.

– არაფერი მესმის, – ჩაიბუტბუტა ტომასმა.

– შენს მამაზე ვლასპარაკობ, – განაგრძობდა როსი. – ჩანს, მართლაც შეიძლება დაენდო. როგორც უკვე ვთხარი, ხუთი წუთის წინ დამირეკა და მაცნობა, რომ ავიაკომპანიის თანამშრომლებმა აღმოაჩინეს შენი პორტფელი, თვითმფრინავში რომ დაგრჩენია, და აინტერესებდათ, სად გავგზავნოთო. მამამ სთხოვა, რომ პორტფელი აქ, ოფისში მოეტანათ, რადგან იცოდა, რომ თათბირი გვექნებოდა „მაკგროუს“ ფირმის წარმომადგენლებთან.

ტომასს მერედითი სავარძელში ჩაეშვა. უკვე ვეღარ იკავებდა მტანჯველ შეშფოთებას.

– ბენ, გეთაყვა, – შეევედრა კოლეგას. – ღვთის გულისათვის, ასე ნუ მექცევი, არ გინდა! ამას არ ველოდი შენგან.

– რას არ ელოდი? – ჰკითხა როსმა და შენუხებული გამომეტყველებით მიუახლოვდა.

– ნუ მეუბნები, მამამ დარეკაო. ის ვერ დარეკავდა.

– მაგრამ მან მართლაც...

– შეეშვი ტყუილებს! გეყოფა!

– ტომ, თავი აიყვანე ხელში. ახლავე დაფუძახებ არტს. ისიც აქ იყო ჩემთან, როცა მამამ დარეკა. მასაც ესმოდა მისი ნათქვამი, ავიაკომპანია მანდ გამოგზავნის თავის კურიერს, რომელიც პორტფელს მოიტანსო.

ტომასმა მოიშორა როსის ხელი, მხარზე მოთათუნებას რომ უპირებდა და გამომწვევად წამოხტა ფეხზე.

– მამ არტიც მონანილებას ამ შეთქმულებაში! მაგრამ ნეტავი რატომ? ასე რატომ ირჯებით ყველა?

– რას ვირჯებით?

– ყველანი მეუბნებით, მამა ცოცხალი არისო. მე კი ვიცი, რომ მოკვდა. მე მოკვალი. დიახ, დღეს დილით დავახრჩე.

– ტომ...

– შენ გესმის ჩემი? მამა მკვდარია. აი რატომ ვერ დარეკავდა აქ და ვერ იტყოდა, ტომს პორტფელი თვითმფრინავში დარჩაო. გარდა ამისა, პორტფელი ხელთ მქონდა, როცა მამა მოკვალი. და ეს პორტფელი ჯერ ისევ იქ არის, ჩემს ბინაში, სასტუმრო ოთახში. მამას გაციებულ და უსულო სხეულის გვერდით დევს!

ბენ როსი მშვიდად იდგა, არც კი განძრეულა. როდესაც მერედითმა შეწყვიტა თავისი ისტერიული წამოყვირებანი, პარტნიორმა ოთახი გადაკვეთა, კარადიდან ვისკის ბოთლი გადმოიღო და ჭიქა სანახევროდ შეავსო.

– დალიე ეს, ტომ... ვისკი მოგიხდება.

მერედითმა მაშინაღურად შესვა. არაფერი უგრძენია. უეცრად მკლავში სტაცა ხელი როსს, თითქოსდა ცდილობდა მწვავე ტკივილისა და უკიდურესი მღელვარების შეგრძნება გადაეცა თავისი კოლეგისათვის.

– გეთაყვა, ბენ, გეთაყვა. დამიჯერე, თუ ღმერთი განამს. მე მოკვალი მამა. შენ ხარ ერთადერთი, ვისაც ეს გავანდე. ყველაფერი თავდაყირა დადგა მას შემდეგ, რაც შინიდან წამოვედი. მაგრამ აი, იცოდე ის, რაშიც აბსოლუტურად ვარ დარწმუნებული: მამა მკვდარია და მე თვით-

მფრინავში არ დამრჩენია პორტფელი, სადაც ნახაზები მედო. პორტფელი შინ მქონდა, როცა მამას ვახრჩობდი. დამეხმარე გეთაყვა, მიშველე რამე.

– რა გინდა, რომ გავაკეთო?

– დარეკე პოლიციაში. უთხარი, რომ მე მოკვალი ჩემი ცოლი. უთხარი, რომ მინდა დავისაჯო ამ დანაშაულისათვის. მე მიყვარდა მამა, მაგრამ მევე მოკვალი ის. დარეკე პოლიციაში, დაუყოვნებლივ დარეკე!

ბენ როსმა ამოიოხრა, მხრები აიჩეჩა და ხელი გაიწვინა ტელეფონისკენ, სანერ მაგიდაზე რომ იდგა. ტომასი მაღლიერებით ადევნებდა თვალს. ბოლოს და ბოლოს დაეკონტაქტება პოლიციას! ბოლოს და ბოლოს დატრი-ალდება იურიდიული სამართლიანობის დოლაბი!

კარზე დააკაკუნეს.

– მობრძანდით, – შეეხმიანა ბენი და ტელეფონის ყურმილს სწვდა.

ნახევრად გაღებულ კარში თავი შემოჰყო როსის მდივანქალმა, რომელიც უკვე ენახა ტომასს. ახალგაზრდა ქალის სახეზე საბოდიშო გამომეტყველება ეწერა, თითქოს იძულებული ხდებოდა ჩარეულიყო მნიშვნელოვანი საუბრის მსვლელობაში. ზურგსუკან რაღაც ეჭირა.

– რა მოხდა, მისს ტორი?

– ბოდიშს ვიხდი, მისტერ როს. ეს-ესაა აეროპორტიდან შიკრიკი მოვიდა. მისტერ მერედითის პორტფელი მოგვართვა.

მდივანქალმა ზურგსუკან გამოსწია ხელი, რომელშიც ყვითელი ფერის პორტფელი ეჭირა. ეს, უეჭველად, მერედითის პორტფელი იყო. მისს ტორიმ ღიმილით გაუწოდა პორტფელი ტომასს და უთხრა:

– შიკრიკი მისაღებში იცდის. ხელი უნდა მოანეროთ, დაკარგული ნივთი დამიბრუნესო.

ტომასმა ხელი სტაცა პორტფელს, აღელვებით შეეხო ესოდენ ნაცნობ, ცივ ზედაპირს. სხეული ანგარიშმიუცემლად ისევ აუკანკალდა. დამფრთხალი მდივანქალი კაბინეტიდან გაიძურნა.

ბენ როსმა კოლეგის სახეზე ელდა და უკიდურესი დაბნეულობა რომ შენიშნა, საჩქაროდ შესთავაზა:

– მე წავალ და მოვანერ ხელს.

– არა, არა! – წამოიძახა ტომასმა და გაიჭრა კარისაკენ, გზად სკამი გადააბრუნა. – უნდა ვნახო ის კაცი, ვინც პორტფელი მოიტანა. უნდა ვაიძულო, რომ სიმართლე თქვას.

უაღრესად აღელვებული მერედითი მისაღებში შეეჩეხა ტანმაღალ, ხმელ-ხმელ და არაფრით გამორჩეულ ოცდაათიოდე წლის მამაკაცს.

– ეს სად აიღეთ? – იყვირა ტომასმა და ხელით ანიშნა პორტფელზე. – ახლავე თქვით სიმართლე!

მოულოდნელობისგან შემკრთალმა შიკრიკმა დაბნეულად და შიშით დაახამხამა თვალები.

– აეროპორტში, ჩემი ცვლის უფროსთან.

მერედითმა შიკრიკს ხელი ჩაავლო პიჯაკის საყელს გადანაკეცზე და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, შეაჯანჯლარა.

– შე მატყუარავ! შე მატყუარავ, შენა! შენ ჩემს ბინაში ბრძანდებოდი. შენ ეს პორტფელი სასტუმრო ოთახში აიღე.

– მისტერ, თქვენ სრულ ჭკუაზე ხართ?! – აღშოთოდა შიკრიკი. ცდილობდა, რომ ხელიდან დასხლტომოდა მერედიტს. – ხელი გამიშვით! არასოდეს ვყოფილვარ თქვენს ბინაში. არც კი ვიცი, სად ცხოვრობთ. აეროპორტიდან მოვდივარ. შეფმა მითხრა, სასწრაფოდ უნდა მიიტანო.

– არა, მატყუარავ, შენ ნახე მამა. შენ დაინახე ის, იატაკზე მწოლარე სწორედ იქ, სადაც დავტოვე გვამი. ახლავე გამოტყდი! ეშმაკმა წაგიღოს, გამოტყდი-მეთქი!

მერედიტი უკვე ანგარიშს აღარ აძლევდა თავს იმაზე, თუ რას აკეთებდა. განაგრძობდა უთავბოლო ფრაზების წარმოთქმას და ანჯღრევდა შიკრიკს, რომელიც მაგრად იყო შეშინებული. მრისხანების ცრემლებით სავსე თვალები ტომასისა ვერაფერს ხედავდნენ. სადღაც შორიდან აღწევდა მასთან მისი ტორის ისტერიული ქვითინი, ბენ როსისა და არტ ფოლის მანუგეშებელი ხმები, რომლებიც ამაოდ ლამობდნენ შიკრიკი ეხსნათ მისგან.

ბოლოს ბენმა და არტმა მოახერხეს მერედიტის დაშოშინება – ბრინჯაოს სტატუეტი სთხლიშეს თავში მარცხენა ყურს ზემოთ. ტომასი უგრძობლად გაიშლართა პარკეტზე და წყვილიაღმა ჩაუბნელა ცნობიერება.

მერედიტს წარმოდგენა არ ჰქონდა, თუ რამდენ ხანს იმყოფებოდა უმწეო მდგომარეობაში. როდესაც გონს მოვიდა, დაინახა, რომ ტახტზე იწვა. თავზე სველი პირსახოცის კომპრესი დაედოთ. ცნობიერება ნელ-ნელა უნათღებოდა. თვალი მოავლო იქაურობას და მყისვე დაინახა ნაცნობი ნივთები: მაგიდის ლამპა, საფერფლე, წიგნის თაროები. დიახ, თავის ბინაში იმყოფება, სასტუმრო ოთახში, და წევს ერთი მეტრის დაშორებით იმ ადგილიდან, სადაც დაახრჩო მამა. მისთვის იღუმალი მანქანებით დაბრუნებულა დანაშაულის ადგილზე. ტომასმა ნელა მიაბრუნა აგუგუნებული თავი და მიაჩერდა იატაკს, სადაც თავისი ცოლის გვამი ეგულებოდა. იქ არაფერი იყო. ყველაფერი თავ-თავის ადგილზე იდგა, ბუხარს ზემოთ, თაროზე მოთავსებული ძველებური საათიც უშფოთველად წიკნიკებდა და ისრები ჩვეულებისამებრ მოძრაობდნენ. მერედიტმა გაიფიქრა, მძინავს და სიზმარსა ვხედავო. ის, რაც ცხადად წარმოესახებოდა თვალწინ, შეიძლება მომხდარიყო რომელიღაც წარმოდგენელ სატელევიზიო ფილმში. მან ხომ მართლაც მოკლა მამა. თვალწინაოფლივ ახსოვდა მკვლელობის ყოველი დეტალი, თავისი ყოველი განცდა მომხდარ დრამაში. ის, რაც მას შეემთხვა, იყო სინამდვილე. და ვერაფერი და ვერავინ ვერ შეურყევდა ამ რწმენას. მაგრამ მაშინ სხეული სადღაა? და ასე გულდასმით რატომ მიულაგებიათ ოთახი, სადაც მკვლელობა მოხდა?

მერედიტს ხმები მოესმა და თავი იქით მიაბრუნა. მისი ორი თანამშრომელი ფანჯარასთან იდგა. ისინი წყნარად ესაუბრებოდნენ კაცს, რომელსაც ტომასი პირველად ხედავდა. მწოლარე აცეცებდა თვალებს და ბოლოს შენიშნა ფორმიანი პოლიციელი, კართან რომ იდგა და რაღაცას ინერდა უბის წიგნაკში.

მერედიტმა სცადა წამომჯდარიყო. მიხვდა, რომ ვიღაცას გამოუძახია პოლიცია. ალბათ პოლიციელთა მითითებით მოაწესრიგეს სასტუმრო ოთახი, სანამ ის უგრძობლად იყო. ჩანს, მამას სხეულს, როგორც წესი და რიგია, ფოტო გადაუღეს, აღწერეს და მორგში წაასვენეს გასაკვეთად. ის კაცი კი, რომელიც მის თანამშრომლებს ელაპარაკება,

ეტყობა, დეტექტივია. მაგრამ ფორმიანი პოლიციელებიც, რა თქმა უნდა ელოდებიან, როდის მოვა გონს ტომასი, რომ დააპატიმრონ. რას იზამ, აგერ მათი ჯერიც დამდგარა.

მერედიტი რის ვაივავლახით წამოჯდა. ჩაახველა, გონს მოვედიო. იმ კაცმა, რომელიც როსსა და ფოლის ესაუბრებოდა, მათ მოუბოდიშა და მერედიტს მიუახლოვდა. მუქი ფერის თმა ჰქონდა და დიდრონი, ნალვლიანი თვალები. თანაგრძნობით ოდნავ გაუღიმა ტომასს, თითქოსდა აპირებდა, რომ ცუდი ამბავი ეუწყებინა.

– ლეიტენანტი ფერანტი გახლავართ, სისხლის სამართლის საგამომძიებო განყოფილებიდან.

– მამა იპოვეთ? ესე იგი – მისი სხეული?

– დიახ, ვიპოვეთ.

– მკვდარია?

– დიახ, მკვდარია.

ტომასმა კმაყოფილებით დაუქნია თავი და ტახტის საზურგეზე გადაწვა.

– მე მზად ვარ, რომ სრული და გულწრფელი აღიარება მოგახსენოთ. არაფერი მაქვს დასამალი. ახლა კი შეგიძლიათ დამაპატიმროთ.

დუმილი ჩამოვარდა. მერედიტმა შეხედა ლეიტენანტს. მან კი სკეპტიკური მზერა შეაგება.

– რა მოხდა? ასე რატომ მიყურებთ? – ჰკითხა მერედიტმა.

– ეგებ სჯობდეს, რომ ისევე წამოწვეთ. თქვენ საკმაოდ მაგრად მოგხვდათ თავში. როგორც ჩანს, კვლავ ექიმის გამოძახება მომიწევს.

ლეიტენანტმა რაღაც ანიშნა თავის ხელქვეითს. მან ჯიბეში ჩაიღო უბის წიგნაკი და ოთახიდან გავიდა.

– მიპასუხეთ, აქ რა ხდება? – ახსნა-განმარტება მოითხოვა ტომასმა.

– არაფერიც არ ხდება.

– მაშ რატომ არ მაპატიმრებთ? რაღას ელოდებით? ცოლი დავხრჩე. მალაატობდა. ამიტომაც მოვკალი. სწორედ ამ ოთახში მოვკალი. დამაპატიმრეთ! სად არის ხელბორკილი?

– თქვენი ცოლი დაიღუპა უბედური შემთხვევის შედეგად, – ბოლოს და ბოლოს წარმოთქვა პოლიციელმა. – აბაზანაში დაიხრჩო. შხაპს რომ იღებდა, ეტყობა, ფეხი დაუცდა საპნის ნაჭერზე.

– არა, არა და კიდევ ერთხელ არა! – დაიყვირა მერედიტმა პროტესტის ნიშნად.

ხელისგულები ძალუმად მიიჭირა ყურებზე, პოლიციელის სიტყვები რომ აღარ გაეგონა.

– ეს შეუძლებელია. ნუთუ თქვენ არ გესმით, რომ ეს შეუძლებელია?

– მაგრამ ეს მართლაც ასე მოხდა. როდესაც სხეული აღმოვაჩინეთ, წყალი კიდევ მოდიოდა.

– ვინ აღმოაჩინა?

– თქვენმა კოლეგებმა და მე აღმოვაჩინეთ. ოფისში თქვენი ქცევით აღეგებულმა როსმა და ფოლიმ დამირეკეს. ერთმანეთს შევხვდით თქვენი სახლის სადარბაზოსთან, სადაც უგრძობლად მყოფი მოგიყვანეს. მერე აქ შემოგიყვანეთ. და მაშინვე დავინახეთ წყლით სავსე აბაზანაში თქვენი ცოლის სხეული. დაახლოებით ოცი წუთის მკვდარი იქნებოდა. ამგვარი ინციდენტები შხაპთან დაკავშირებით უფრო ხშირად ხდება, ვიდრე თქვენ გგონიათ.

– მაგრამ ეს უბედური შემთხვევა არ ყოფილა. ჩემი ცოლი მე მოვკალი.

– მისტერ მერედიტი, მერნმუნეთ. უკვე ოცდაორი წელია გამოძიებებს ვატარებ. მე და ჩემს თანამშრომლებს ძალგვიძს განვასხვავოთ უბედური შემთხვევა წინასწარ განზრახული მკვლელობისგან. ჩვენ, რა თქმა უნდა, დაგაპატიმრებდით, უმცირესი საფუძველი რომ გვქონდეს თქვენზე ეჭვის მისატანად.

– მაგრამ...

მერედიტს სიტყვა გაანყვეტინა ფორმიანი პოლიციელისა და ლოყებლაჟღაჟა ტანმორჩილი სუბიექტის გამოჩენამ, რომელსაც სამედიცინო საკვოიაჟი ეჭირა ხელში.

– ეს გახლავთ ექიმი ნიუმენი საგამოძიებო სამმართველოდან, – ასე წარადგინა ახალმოსული ლეიტენანტმა ფერანტემ.

ლოყებლაჟღაჟამ პროფესიონალურად მოუსინჯა თავი მერედიტს.

– სერიოზული დარტყმაა. შესაძლოა, შიდა ჰემატომა იყოს. ახალგაზრდავ, თქვენ წოლითი რეჟიმი უნდა დაიცვათ.

ტომასმა მკლავში ჩაავლო ხელი ექიმს.

– ექიმო, თქვენ ჩემი ცოლი გასინჯეთ? ჰოდა მითხარით, რომ იგი მოკვდა სულის შეხუთვისგან. ხომ ხედავთ, მინდა, რომ დანაშაულისთვის გამასამართლონ. ამიტომაც, ძალიან გთხოვთ, დაარწმუნეთ ესენი, რომ ჩემი ცოლი მოვკალი.

– არ შემიძლია, ბატონო ჩემო.

მერედიტი შეცბუნდა.

– მაგრამ რატომ არ შეგიძლიათ, რატომ?

– იმიტომ, რომ ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ისინი ამტკიცებენ. თქვენი ცოლი მოკვდა უბედური შემთხვევის შედეგად. მოკვდა აბაზანაში. დაეცა, გრძნობა დაკარგა და დაიხრჩო. მომხდარი დაფიქსირებულია სამედიცინო ოქმში, რომელსაც ხელი მოვანერე. ეს დოკუმენტი უკვე გადავეცი, რომ დაურთონ საქმეს და არაფრის შეცვლა აღარ შემიძლია. ბოლოს და ბოლოს, მე ვადასტურებ იმას, რაც ჩემი თვალით ვნახე.

მერედიტზე მიმართული მზერა ექიმისა იყო მტკიცე და შეუვალე, თითქოს ნიუმენი ერთხელ და სამუდამოდ არწმუნებდა ბინის პატრონს, გამოტანილი სამედიცინო დასკვნა უდავო არისო. ტომასს არაფერი უთქვამს. მისი თითები მოსწყდა ექიმს და ხელები უსიცოცხლოდ დაუშვა მუხლებზე.

ცოტა ხნის შემდეგ ექიმმა მერედიტს გაუნოდა რამდენიმე ვარდისფერი აბი და ჭიქა წყალი.

– დალიეთ ეს. წამალი დაგაძინებთ. ხვალ კი გაცილებით უკეთესად იგრძნობთ თავს.

ტომასმა მორჩილად შეასრულა ექიმის რეკომენდაცია. მერე ექიმმა დაკეტა თავისი საკვოიაჟი და შეკრებილთ ურჩია, დაიშალეთო. ერთიმეორის მიყოლებით – ჯერ ფორმიანმა პოლიციელმა, მერე როსმა და ფოლიმ – ექიმის კვალდაკვალ დატოვეს ოთახი. ოღონდ ლეიტენანტი ფერანტე არ ჩქარობდა წასვლას. კართან შეყოვნდა და თითქოს კიდევ მეტი თანაგრძნობით მისჩერებოდა მერედიტს. საბოლოოდ ისიც მისწვდა კარის სახელურს წასასვლელად. ტომასმა უკანასკნელი ძალ-ღონე იხმო და თქვა:

– მაგრამ მე მოვკალი ცოლი, ლეიტენანტო.

– ამას მხოლოდ თქვენ ამტკიცებთ, მისტერ მერედიტი.

– თქვენ მაინც რატომ არ გჯერათ ჩემი?

– გენბავთ, რომ აგიხსნათ ეს „რატომ“? იმიტომ რომ, მე მომეპოვება, სულ ცოტა, ექვსი მონე, რომლებიც პუნქტიდან პუნქტამდე გააბათილებენ ნებისმიერ თქვენს აღიარებას. ეს მონენი გვამცნობენ, რომ იცოდნენ ყოველი თქვენი ნაბიჯი, დანყებული აეროპორტში ჩამოსვლიდან. ეს კი ისეთი უჭოჭმანო ალიბია, რომელსაც ვერც ერთი ნაფიც მსაჯულთა სამსჯავრო ეჭვქვეშ ვერ დააყენებს. ვერავინ ვერ დაიჯერებს, რომ თქვენ ერთი ბენოთიც კი ავებთ პასუხს თქვენი ცოლის სიკვდილზე.

– და თქვენც არ გჯერათ, რომ მე ვაგებ პასუხს მის მკვლელობაზე?

– მე რატომ უნდა უარყო ამ ექვსი მონის ჩვენებანი? ლეიტენანტი ისევ მისწვდა კარის სახელურს.

– მოითმინეთ! – სასონარკვეთილი ხმით შეევედრა მერედიტი. – მითხარით ერთი, რატომ არავის არ ანუხებს ჩემი მდგომარეობა? რატომ არის, რომ რამდენიმე კაცი, ზოგი მათგანი სრულიად უცნობია ჩემთვის, ნებაყოფლობით ცდილობს ამაყდინოს პასუხისგება? რატომ არის, რომ თითქოს პირი შეუკრავთ საიმისოდ, რათა მიხსნან სასამართლოსგან?

– წარმოდგენა არა მაქვს, – მხრები აიჩეჩა ლეიტენანტმა.

– არა, თქვენ იცით. მითხარით, გეთაყვა. მეც მინდა, რომ ვიცოდე.

ლეიტენანტი გაუბედავად გაშეშდა და მერედიტს არ აშორებდა მზერას, სადაც ჩაგუბებულიყო გულისხმიერი და ცხოვრებით დაბრძენებული კაცის გამომეტყველება. ბოლოს ჰკითხა მერედიტს:

– თქვენ გიყვარდათ ის, არა?

– სიცოცხლეზე უფრო მეტად.

– და უეცრად აღმოაჩინეთ, რომ მან გიღალატათ, არა?

– ამიტომაც მოვკალი. უგონო მრისხანებამ შემიპყრო და მოვკალი.

– მშვენივრად მესმის თქვენი. ჩვენ ყველანი ვყოფილვართ თქვენს ტყავში.

– რას გულისხმობთ? – ჰკითხა მერედიტმა და უცებ იგრძნო, რომ გამოცანის გამოცნობა სულ ახლოს იყო.

– მისტერ მერედიტი, ნუთუ არ მოგსვლიათ თავში, რომ შეიძლება არსებობდეს, ვთქვათ, მამაკაცთა ჯგუფი, ესე იგი იმ პირთა ჯგუფი, რომელთაც სხვადასხვა სოციალური მდგომარეობა უჭირავთ – სადარბაზოს მეკარიდან ექიმამდე – და რომლებმაც ოდესღაც იგემეს დარტყმა, ანალოგიური თქვენს მიერ განცდილისა. ყოფილი ქმრები, რომლებიც თქვენს მსგავსად მოულოდნელად დაბრუნდნენ შინ და განიცადეს აუტანელი დამცირება, თავისი უსაზღვრო სიყვარულისა და ნდობის კრახი. ერთი სიტყვით, სწორედ ის, რაც თქვენ განიცადეთ დღეს დილით.

– განაგრძეთ, – წყნარად წარმოთქვა ტომასმა.

– განვაგრძობ. და აი, მამაკაცთა ასეთი ჯგუფი გაერთიანდა რალაც ორგანიზაციაში, რომელიც მიზნად ისახავს ამგვარი ტრაგიკული შერყევის უბედურ მსხვერპლთა დაცვას, ესე იგი ბრმად შეყვარებული და ცინიკურად ნალალატევი ქმრების დაცვას.

– მე არა მჯერა თქვენი, – წაიჩურჩულა მერედიტმა.

- დაფიქრდით, - მკაცრად გაანწყვეტინა სიტყვა ლეიტენანტმა ფერანტემ, - ამ ორგანიზაციის წევრები რა სასახურს გაუნევენდენ გაუბედურებულ მსხვერპლს? მიუხედავად ყოველგვარი დაბრკოლებისა და შედეგებისა უნდა შეუქმნან მყარი ალიბი. ნუთუ თქვენ არ გესმით, რომ ამგვარი შემწეობის წყალობით, ციხისა და მასთან დაკავშირებული დამატებითი ტანჯვა-წვალების ნაცვლად ეს უბედური არსება, მკვლელი ქმარი, თვითონვე რომ გამოუტანა სასჯელი საკუთარ თავს, ბოლოს და ბოლოს შეძლებდა სიმშვიდე მოეხვეჭა და ახალი ცხოვრება დაეწყო? განა იგი არ იმსახურებს ასეთ შეღავათს?

- მე მგონი, იმსახურებს, - ჩაიბუტბუტა მერედიტმა. უკვე ერეოდა ძილი. აბებს თავისი გაჰქონდათ. - მაგრამ განა მართლა არსებობს ასეთი ორგანიზაცია? მე იმას ვგულისხმობ, რომ საკუთარი თავის პატივისმცემელი

ადამიანები განა შეიძლება გაერთიანდნენ საიმისოდ, რათა შეუქმნან ცრუ-ალიბი მოტყუებულ ქმრებს, რომელთაც თავიანთი მოლაღატე ცოლები მოუკლავთ? არა, ეს შეუძლებელია. უბრალოდ, ამას ვერც კი წარმოიდგენს კაცი. ამგვარი რამ არასოდეს არ მომხდარა და არც მოხდება.

ლეიტენანტმა ფერანტემ ნაღვლიანად გაიღიმა და ამაყად ასწია ხელი დამშვიდობების ნიშნად.

- ჩაენერეთ ჩვენს კლუბში. საწევრო წიგნაკსა და იმის რეკომენდაციებს, თუ როგორ უნდა იმოქმედოთ შესაძლებელ ექსტრემალურ შემთხვევებში, მომდევნო კვირაში მიიღებთ.

მერე კარი გააღო და გავიდა.

თარგმნა
ლასა გიორგაძემ

მთარგმნელისაგან

მილიონიდან, ალბათ, ერთი შანსი იქნება იმისა, რომ დამნაშავემ საჯაროდ აღიაროს თავისი დანაშაული, ვთქვათ, მკვლელობა. მუშა იქნება თუ გლეხი, სწავლული თუ უსწავლელი, ბიზნესმენი თუ მინისტრი, მენესტრელი თუ ტორეადორი... აბა რომელი მათგანი იტყვის, ეს ჩემი ნახელავიაო? თუნდაც ჩაედინოთ მკვლელობა დღისით, მზისით, ათასი მონმის თვალწინ.

ვის არ გადააბრალდებენ - მეზობელს, მეგობარს, ნათესავს, ეშმაკსა და ქაჯს, შესაძლოა მკრეხელურად ღვთის ხელსაც კი მიაწერონ დანაშაული (გაიხსენეთ მარადონა!), ყველას და ყველაფერს მიაწერონ (სიგიჟეს, სიბრმავეს, შიმშილს, წყურვილს, ცოფს და ა.შ.), ოღონდ სასჯელი აიციდნონ თავიდან, დამსახურებული სასჯელი!

და აი, ვკითხულობთ ამერიკელი მწერლის დეტექტიურ მოთხრობას, სადაც აღწერილია მკვლელობა და მკვლელობის შემდგომი ამბებიც. ჩვენს თვალწინ იშლება პარადოქსული სურათი: მკვლელი გულწრფელად აღიარებს თავის დანაშაულს და ითხოვს, დამსაჯეთო, ხოლო მონმენი თავგამოდებით არწმუნებენ, უბედური შემთხვევა მოხდა, შენ არაფერ შუაში ხარო.

მკვლელს დეტალურად ახსოვს ყველაფერი, მაგრამ მონმენი სრულიად სხვას ამბობენ და ლამის ჭკუიდან შეშლილად

შერაცხონ მონანიებითა და სანატრელი სასჯელის მოლოდინით შეპყრობილი კაცი. აბა თავად განსაჯეთ, ვინ არ გაგიჟდება ამგვარ ვითარებაში!

ექიმი ამშვიდებს, ანუგეშებს, საძილე წამალს აძლევს და მკვლელს მაინც ვერ დაუჯერებია თავისი უდანაშაულობა.

ერთი სიტყვით, წინააღმდეგ ტრადიციისა, დამნაშავე კი არ ეძიებს თავის ალიბის, არამედ მონმენი ერთსულოვნად, ერთობლივი ძალებით ქმნიან მისი უდანაშაულობის მტკიცებულებებს ანუ ცრუ-ალიბის.

მკვლელთან ერთად მკითხველიც, ცხადია, გაოგნებით მიჰყვება ავტორს, რათა ამოხსნას ამ უკიდურესად ირეალური ამბის საიდუმლოება.

დაუჯერებელი, წარმოუდგენელი, არნახული და გაუგონარი ფინალი ამშვენებს ამ უაღრესად ორიგინალურსა და, თავისებურად, უნიკალურ ნაწარმოებს.

აბა ახლა გვიბრძანეთ, რა მნიშვნელობა აქვს, რამდენი წლისაა მისი ავტორი, უმაღლესი განათლება აქვს თუ უმდაბლესი, სად დაიბადა, სად გაიზარდა, რამდენი ენა იცის, რამდენი ცოლი და რამდენი შვილი ჰყავს, რამდენი მოთხრობა თუ რომანი დაუწერია. ერთი სიტყვით, თქვენ ხილი იხილეთ, მებაღეს რასა კითხულობთ?!

კოეტიის ერთი ლექსი

ელა გოჩიაშვილი

სინჯარა

დგახარ და ეხინკლავები მოყვრად შემომძვრალ იქედნეს; ვის დაკარგვიხარ! - უბრალოდ, კოლბაში ჩამოიხედეს.

ბედნიერი ხარ, თუ გიქვს დედას პური და ხვანჭყარა; იმან, - დაგხედა, უბრალოდ, სინჯარა შეაჭანჭყარა...

ვაი, დაკლულ მამულო, ოთხი ლურსმანი გარჭვია, -

რალა ნოტიო ბაყაყი, რალა თავვი და ბაჭია.

რა ძალისძალად გაძლობენ გობში ჩაყრილი იელით; ნუ შეჭამ! - გაიხარებენ მტერი და გადაზღვიელი.

მისატირებელი:

სინჯარა საქართველოა, ცდისპირი ჩვენ ვართ ყველაო, აღარც რო ტურფა მდელოა, აღარც რო დელი-დელოა; შევუხმამწაროთ ერთმანეთს: ვაჰმე, როგორა ბნელო...

ეკა ბუჯიაშვილი

სურათი გაუხუნარი ფერებით

ასეთი თვალეები შატბერაშვილებს აქვთო – ქართული ფრესკებიდან მომზირალი, ფაიუმების პორტრეტებისთვის დამახასიათებელი, დიდრონი, რალაცნაირი უჩვეულო სევდით სავსე.

ელენეც (ეკი) შატბერაშვილი იყო.

ეკისაც რალაც დიდი სევდა ჰქონდა, ეგონათ, რომ აი, ამ დიდრონი თვალეებით დაჰქონდა, ოღონდ სულ უკვირდათ:

ნეტავ რატომ?!

როგორ?!

რანაირად?!

ან ის გარინდებაც რა უცნაური იცოდაო, ჯერ კიდევ ბავშვობაში თამაშის დროს უცებ რომ ჩაფიქრდებოდა, ჩაფიქრდებოდა... და სადღაც შორს, სივრცეებში გაექცეოდა მზერაო.

გაექცეოდა და გაუჩრდებოდა...

სულ რამდენიმე წამით...

ამ სურათზე კი ის წამიც მარადიულობად ქცეულიყო...

ეკი ერთი მეოცნებე გოგო იყო.

საოცრად კარგად ხატავდა.

სამშობლო უყვარდა.

ოჯახი უყვარდა...

ან სულაც თავად ქცეულიყო სიყვარულად და დაქროდა, დაქროდა... გაზაფხულის ქარივით მზისა და სინათლის სითბო დაჰყვებოდა თან. აი, თვალეები კი...

ახლა მის სახლში, ეკის ავტოპორტრეტს რომ ვუყურობ, სწორედ ის უცნაური სევდა მაკრთობს მათი...

შატბერაშვილებს აქვთ ასეთი თვალეებიო, – მეუბნება ეკის დედა, ქალბატონი ქეთევან რამიშვილი და მისი სამყაროს კარს მიღებს.

იჯდა და ხატავდა.

ჯერ იყო და პატარა ხელებით აფერადებდა მზეს, ყვავილებს, აყვავებდა ხეებს, „აშენებდა“ ეკლესიებს...

დრო გადიოდა...

ეკიც ზღაპრული ფერიასავით თვალსა და ხელს შუა მშვენდებოდა.

ბევრს კითხულობდა. ბარათაშვილის, ვაჟას, აკაკის, გალაკტიონის, ანას ბევრი ლექსი იცოდა ზეპირად. მისი სულიც პოეტურად ანთებულიყო, ფუნჯის სიყვარულს კი არა და არ გადაევიღო.

იჯდა და ხატავდა.

ნლები გასულიყო და მასაც ახლა სამყაროს სიღრმეები და სიმაღლეები უნდოდა შეეცნო.

ეს ნიჭიც ალბათ ჰაპა გიორგისგან გამოჰყოლოდა, მწერალი გიორგი შატბერაშვილიც ხომ კარგად კვეთდა ხეზე.

მერე ეკიმ სამხატვრო აკადემიაში ჩააბარა.

მისი მასწავლებელი, ცნობილი მხატვარი თემო მაჭავარიანი ხშირად ეუბნებოდა თურმე:

გამოდი ჩემთან ერთად ქუჩაში და ჩვენი ვერის ლამაზი პეიზაჟები ვხატოთ.

მაშინ ვერ გაბედა.

ვერც სიმორცხვე გადალახა და სითამამეც დააკლდა თავისი მანქანის გვერდით დგომისა.

დრო კი გადიოდა, არავის ეკითხებოდა თავის წასვლა-მოსვლას და ერთხელაც, უკვე აკადემიის სტუდენტი ეკი თავის თანაკურსელებთან ერთად პირველად რომ გაემგზავრა ახალქალაქში პრაქტიკაზე, თვალსადახელშუა გაქრა ის სიმორცხვეც და გაუბედაობაც – მაშინ მან მთელი სერია შექმნა თავისი პირველი პეიზაჟებისა.

უაღრესად ექსპრესიულიაო...

კიდევ ჰაეროვანიაო...

კიდევ ავტორის სული იგრძნობაო... ასე აფასებდნენ მის ნახატებს

გარშემომყოფნი, ეკის მეგობარი, ელენე სირაძე კი მოიგონებს: ჩვენი პედაგოგი ფერწერაში, ქალბატონი ნელი ჩიქოვანი რომ დახედავდა ხოლმე ეკის ნამუშევარს, ეტყოდა: ძვირფასო, ეს ხომ ღვთიური ნიჭია, ბევრი უნდა იმუშაო, რომ განავითარო.

ჰოდა მუშაობდა.

განსაკუთრებით იმპრესიონისტები იტაცებდა – ხან ვან გოგით აღფრთოვანდებოდა, ხან სეზანით, ლოტრეკით, მატისით, დეგათი...

მერე ასე აღფრთოვანებული ხატავდა, ხატავდა... და რომ დაასრულებდა, ღიმილით იტყოდა: ა-ლა სეზან!.. ა-ლა ვანგოგ!

ერთხანს რემბრანდტის შემოქმედებამ გაიტაცა, შესწავლაც დაიწყო, სინათლისა და წყვიადის მისეული გადანწყვეტილების შეცნობა სურდა. ასევე გატაცებით სწავლობდა ქართულ ფრესკულ მხატვრობასა და ხატწერას. შექმნა კიდევ მშვენიერი მინიატურული ხატი – ღვთისმშობელი ყრმით.

კიდევ ადამიანის სხეული და პლასტიკა აინტერესებდა. ეტიუდების მთელი სერიაც აქვს სხვადასხვა რთულ მოძრაობაში გამოსახული ტორსებისა, ე.წ. „ნიუებისა“, თუმცა... გამორჩეულად მაინც პორტრეტი შეიყვარა – ადამიანთა სულების ქარტეხილების სამზეოზე გამოტანა განეზრახა თითქოს.

გამორჩეული სიყვარულით ხატავდა შეილებს, მათ ტკივილსა თუ სიხარულს...



ელენე შატბერაშვილი

კიდევ მათთან ერთად პატარა-პატარა ფიგურების: ცხოველების, ფანტასტიკური არსებების ძერწვა უყვარდა პლასტილინისაგან, მერე ბრინჯაოთი ფარავდა, აფერადებდა, თითქოს სულსაც ჩაბერავდა და თამაშობდა, თამაშობდა... რეალობასაც და ზღაპარსაც.

მისი რეალობაც ხომ ზღაპარით იყო...

სრულიად ახალგაზრდას მოურჩენელ სენად სხეულში დასასრული რომ ჩაუსახლდა, სასწაულს მოეჭიდა ხავსივით... ძალს ის იყო და ძალს ეს.

გაოგნებულები იყვნენ ექიმები: აქეთ გვამხნევებს, გვაცინებს, ისე გულიანად გადაიკისკისებს, ჩვენც ვტყუუვდებით და ვფიქრობთ: იქნებ სასწაული მოხდესო...

სიცოცხლეს დღეებს სტაცებდა.

მერე წუთებს...

მერე წამებს...

სასწაული არ ხდებოდა...

თვითონაც ზღაპარს ემგვანებოდა...

იყო და თანაც აღარ იყო...

* * *

კავთისხევეში კატაულას მთიდან თუ გადმოგიხედავთ, ბაზილიკასავით მოჩანს შატბერაშვილების სახლი.

აქ ცხოვრობდა მწერალი პოლიტიკატიმრობის წლებში, როცა თბილისში ჩასვლა ეკრძალებოდა.

ექისაც ყველაზე მეტად ამ სახლის ხატვა უყვარდა, პაპისეული კერისა და კავთისხევის პეიზაჟების, რალაცნაირი უჩვეულო მაღლი რომ დაჰყვებოდა.

მის გენებშიც მაღლი დავანებულიყო, ღირსეულ წინაპართა მაღლი...

- ქაქუცა ჩოლოყაშვილისადმი მიძღვნილი ლექსი საბედისწეროდ ექცეოდა გიორგი შატბერაშვილს, - მიაბობს ქალბატონი ქეთევანი, - ეროვნული იდეალებისადმი სწრაფვას არ აპატიებდნენ, გადაასახლებდნენ, მერე შინ დაბრუნებულს თბილისში ჩასვლას აუკრძალავდნენ და მწერალიც იქვე, კავთისხევის სკოლაში დაინყებდა პედაგოგად მუშაობას. უხაროდათ, უხაროდათ თანასოფლელებს, მათ გვერდით ცოცხალი ლეგენდასავით დადიოდა სამშობლოს გრძნობით შეპყრობილი კაცი.

ქაქუცას სახება მეც ბავშვობიდან მახსოვს, რადგან მაშინ, როცა ეროვნულზე საუბარიც კი აკრძალული იყო, ჩვენს ოჯახში იკრიბებოდნენ და სამშობლოზე, მის მომავალზე მსჯელობდნენ ღირსეული ქართველები.

ამ ღირსებით ზრდიდა ჩემს ტყუულებს: ეკის და გოგის მზია მაშიდა - გიორგი შატბერაშვილის ქალიშვილი, ვინც წლების მანძილზე ჟურნალ „მნათობში“ პოეზიის განყოფილებას ხელმძღვანელობდა, ახლა კი შვილიშვილებს ევლება თავს -

ეკის შვილებს: დათუნასა და ოთუნას...

დედაჩემი, ბარბარე (ბაბო) წერეთელი პირველი ეროვნულ-დემოკრატიის, ცნობილი პუბლიცისტის ვასილ წერეთლის ქალიშვილი იყო. ვიდრე სკოლაში ასწავლიდა, ქართველ კლასიკოსებს ისეთი სულისკვეთებით აზიარებდა თავის მოწაფეებს, „ნაციონალისტური ტენდენციების გაღვივება“ დააბრალეს. მერე პირველ ქართულ ენციკლოპედიას მუშაობდა; ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით ზემოიმერული ლექსიკონიც შეადგინა. მთარ-

გმნელობით ასპარეზზეც მოღვაწეობდა. შვილიშვილები ხშირად იგონებდნენ ხოლმე ბებოს მოყოლილ ზღაპრებს.

დედაჩემი, თინათინ წერეთელი, ცნობილი იურისტი, ძალზე მკაცრი ქალის სახელი რომ ჰქონდა, აქ რომ მოვიდოდა, ამ ბავშვების ტოლი ხდებოდა, მათთან ერთად თამაშობდა, სეირნობდა და ყველაზე ბედნიერიც ამ დროს იყო.

დიდი მეცნიერი, აღმოსავლეთმცოდნე გიორგი წერეთელი, ვინც პირველმა წაიკითხა არმაზის ბილინგვა და ქართულ მეცნიერებას უმნიშვნელოვანესი ნაშრომები დაუტოვა, ბიძა იყო ჩემი.

ბავშვობიდან კი სულ მახსოვს ოჯახურ ტრაგედიად ქვეული ისტორია მიხაკო წერეთლისა - ვასილ წერეთლის უმცროსი ძმისა, ევროპაში რომ გადახვეწილიყო და საშინელი, ტრაგიკული ნოსტალგია ფერფლად აქცევდა მის სულს. და ამ სულიერი ჭიდილის ფონზე ქმნიდა უნიკალურ ნაშრომებს. ოცნებაში ხვდებოდა საქართველოს, ფიქრით დადიოდა ქართულ მინაზე, სიცოცხლის უკანასკნელ წლებში კი იხვეწებოდა: ჩემი მშობლების გვერდით, ქართულ მინაზე დამასაფლავეთო...

ლევიალში დაკრძალეს ქართველმა ემიგრანტებმა, ვიქტორ ნოზაძისა და გრიგოლ რობაქიძის გვერდით... და მას მერე „ძვლებიც ფიქრობენ საქართველოზე“...

აი, ამ ადამიანთა სახელები ესმოდათ ჩემ შვილებს, მათი მრწამსით იზრდებოდნენ, თავადაც სამშობლოს გრძნობით შეპყრობილები.

მე და ჩემი მეუღლე - ბედი არქეოლოგები ვართ. ბედი ბრინჯაოს ხანაზე მუშაობს, ბევრი უნიკალური ძეგლის (მაგალითად: ბედენის ყორღანების, აშურიანის ველის...) გათხრებში მონაწილეობდა.

მე ადრეულ ფეოდალურ ხანაზე ვმუშაობ, მცირე ხელოვნების ძეგლებზე...

ცვხოვრობთ...

და ვითვლით დღეებს... ეკის გარეშე...

* * *

ფერები იცვლებოდნენ ამ უცნაურ სამყაროში, ის ფერები, თავის ნახატებში რომ დაენთო ავტორს...

თანდათან უფერულდებოდა სამყარო...

თვითონაც ამ სამყაროსავით ფერმკრთალდებოდა.

ბოლო ხანს ბიბლიის და სახარების თემებზე სურათების მთელი ციკლის შექმნა გადანყვიტა.

გამალებით მუშაობდა.

და რჩებოდა: „ხარება“, „ეგვიპტეს ლტოლვა“, „ევას ცდუნება“...

ბევრი რამ ვერ მოასწრო.

ვერც გამოფენის გამართვა - საზოგადოების წინაშე წარდგენას დიდ პასუხისმგებლობად თვლიდა და ფიქრობდა, რომ ჯერ კიდევ ბევრი უნდა ემუშავა.

მუშაობდა კიდევც...

სიცოცხლისთვის გამოტაცებულ დღეებში...

წუთებში...

წამებში...

თან რუსთაველის სტრიქონები ამოეჩემებინა: „ვხედავცა, ჩემო, სოფელი რათა საქმეთა მქმნელია, რაზომცა ნათობს სინათლე, ჩემთვის ეგრეცა ბნელია“...

სინათლისა და წყვიდადის საზღვრის შეცნობაც ალბათ ამიტომ გადაეწყვიტა.

სილუეტი

ის გარინდებაც ალბათ ამიტომ სჩვეოდა.

სევდასაც ამიტომ დაატარებდა.

დიდრონი თვალებიც ამიტომ ჰქონდა – ეს ყველაფერი რომ დაეტია.

მეუღლე – გიორგი ჭკუასელი და მეგობრები ცდილობდნენ გაენათებინათ მისი ნაღველი, მისი წილი ნუთისოფლის დაღამება გადაევადებინათ.

ხან ბოდბეში წაიყვანეს...

ხან ფოკაში...

ყველაზე მძიმე წუთებს მის გვერდით მეუღლე იზიარებდა. მხრებით დაჰქონდა ეკის სიცოცხლის დღეების სიმძიმე. ახლა კი ამ უსამველოდ დაცარიელებულ სამყაროში ტვირთად ტკივილი დააქვს.

დღესდღეობით ამ ადამიანებს სურთ ქვეყნიერებას გაცნონ ეკი (ელენე) შატბერაშვილი, მის დაუკითხავად

გამოფენაც გაუმართონ და სამზეოზე ახლა მისი სულის ქარტეხილები გამოიტანონ.

ეკი კი... არის!

ამ ადამიანების გულში ცხოვრობს.

შვილებში აგრძელებს სიცოცხლეს...

აი, აგერ, ზის და ხატავს...

ხან უცნაურად, უფრო სწორად, საცნაურად გარინდება... შორს, სივრცეებში გაექცევა მზერა...

მერე ისევ მიუბრუნდება ფერებს... და ხატავს...

ხატავს სიცოცხლეს...

ხატავს სიკეთეს...

იმ სიყვარულს ხატავს, ადამიანთა ნუთისოფელში რომ დატოვა.

დრო გადის, გადის დრო... ოღონდ ამ სურათის ფერებს ის უკვე ვეღარაფერს აკლებს.

პრიტიკა


მარიამ ლანდია

ლიტერატურული აპლიკაცია

ჩემს ხელთაა რომანის სახელით შემოთავაზებული ცხოვრების ფერადი სურათი, ერთგვარი აპლიკაცია. ბოდბეში რომანის ნაბუშარ ჟანრს მიაკუთვნებდა და მიიჩნევდა, რომ მას მხოლოდ ერთი დაბრკოლება და საფრთხე ახლდა – უსასრულო თავისუფლება. სწორედ ამიტომაც, ლიტერატურულ ჟანრთა შორის, ალბათ, რომანი გამოირჩევა ექსპერიმენტთა მრავალფეროვნებით.

ზვიად კვარაცხელიას რომანი ბუნებრივად ეწერება ამ განსაზღვრების ჩარჩოებში, რადგან მასში უჩვეულო ფორმის მოძებნაა მთავარი. ამიტომაც ეს ტექსტი უპირველესად ექსპერიმენტულია. ავტორი ახლის, განსაკუთრებული, ორიგინალურის ძიებაშია, ცდილობს მიაგნოს რაღაც ისეთ ფორმას სათქმელის გამოსახატავად, რომელიც შეაცბუნებს მკითხველს.

ეს არის ერთგვარი მეტარომანიც, რადგან ავტორი თხრობას ურთავს ახსნა-განმარტებებს, გზას უკვალავს მკითხველისკენ. მისივე განმარტებით, შემოთავაზებული მხატვრული ტექსტი არის „არეულ თავ(თავ)ებად განყოფილი ყველაფრობის პრეზენტაცია, შთაბეჭდილებათა დაულაგებელი აგონია, ერთმანეთზე უკიდევანოდ, სრულიად განუსაზღვრელად გადაბმული გამძლეობა, უგმირო, სიუჟეტს გაღმა გაბიჯებული ხუთი დასაწყისი, ხუთი შუათქმა და ხუთი დასასრული“.



აი, ამგვარ ჩარჩოში მოქცეულია გაბმული ესეისტური მსჯელობანი ეგზისტენციურ საკითხებზე, ამიტომაც თხრობაში შემოიჭრება მითოლოგიური, რელიგიური და ფილოსოფიური ნაკადები, მოტივები, პარადიგმები, სახეები, ხან სიღრმისეულად, ხან ზედაპირულად, მთავარია, რომ ავტორი ცდილობს მთელი ცხოვრება მოიცვას თავისი ავითა და კარგით, თავისი რწმენითა და ურწმუნოებით, სიძულვილითა და სიყვარულით.

ავტორი მკითხველს ავალბებს, კითხვისას გაამთელოს მის მიერ ნაკუნებად შემოთავაზებული ნახატი და შექმნას ლიტერატურული აპლიკაცია. ასე რომ, თავიდანვე შემოთავაზებულია კითხვა, როგორც თამაში. ამგვარ ლიტერატურულ პროვოკაციებში განაფულია თანამედროვე მკითხველი-მომამაშე და თამამად მიჰყვება ავტორს ფიქრთა, გრძნობათა თუ მსჯელობათა ლაბირინთებში.

რომანი კი ყველაფერზეა, რაც ახალგაზრდა კაცის გონებამ, გულმა და სულმა შეიძლება დაიტოს. ეს არის ერთგვარი ნარცისული რომანი. ყველაფერი ავტორის გარშემო ტრიალებს, ის არის წიგნში წარმოჩენილ ზნეობრივ, ესთეტიკურ თუ სხვა ღირებულებათა იერარქიის შემქმნელი. მართალია ეს იერარქია დრო-სივრცეში გამოცდილ ნაცნობ სქემებს ხშირად ემთხვევა, მაგრამ ამით არ მცირდება ნაწილი ყველაფრის შესახებ საკუთარი დამოკიდებულების გამომჟღავნებისა. რომანის მთავარი გმირი სწორედ ეს უჩინარი „მეა“ – ავტორი, რომელიც გადმოაფრქევს უხვად, ხან დალაგებულად, ხან არეულად, ხან ე.წ. მიზოფრენიული დისკურსით თავის სათქმელს. რა თქმა უნდა, ტექსტი შეიძლება გაიზომოს პოსტმოდერნისტული „პარამეტრებით“. ამ თვალსაზრისით, ის თამამად

შეიძლება გამოჩნდეს თანამედროვე ლიტერატურულ „პოდუიმებზე“.

რომანში ბევრი რამ არის საგულისხმო აზრისა თუ მხატვრული სახის თვალსაზრისით, მაგრამ მაინც ეს ყველაფერი ჰგავს დიდი, ლამაზი და ორიგინალური შენობის ასაშენებლად მოტანილ მასალას. ვფიქრობ, ეს ნაწარმოები ავტორისთვის ერთგვარი მზადებაა სხვა ტექსტისთვის, სადაც ისეთი შესაგრძობი აღარ იქნება მისი ახალგაზრდული პროტესტანტიზმი, უფრო მეტად შერჩევა სათქმელი და არ იქნება მხოლოდ ერთი ამოსუნთქვა. თითქოს ყველაფერი უნდა, რომ ამ რომანში ჩატიოს, რაც განუცდია, რაც სტკენია, რაც გახარება. აქ არის გადაძახილები ქართულ კლასიკასთან, ამავე დროს, მსოფლიო ლიტერატურასთან. რომანში კარგად იგრძნობა თანამედროვეობის რიტმი. ზუსტად და ზედმინვნით ხატავს ავტორი „დაკარგული ადამიანების“ სულიერ ტანჯვას. მისი დაკვირვებული მხერვა გამოარჩევს მნიშვნელოვან სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენებსაც. რომანში პარალელურად წარმოჩნდება ადამიანის ცხოვრების ორი მნიშვნელოვანი და ძირითადი რიტმი – გარეგანი-ხორციელი და შინაგანი-სულიერი. საინტერესო დაკვირვებებია და განსჯანი პიროვნების ზნეობრივი განვითარების შესახებ. მწერალი თვალს მიადევნებს, როგორ ინახავს თუ ამრავლებს კაცი ღვთისგან მიანიჭებულ „ტალანტებს“ – სინდისსა და სარწმუნოებას. ამ თვალსაზრისით, ის თამამად და ხშირად შემადრწუნებელი ნატურალიზმით ხატავს განცდილ მოვლენებს, თუმცა ყოველთვის იგრძნობა გულწრფელობა და ნამდვილი ტკივილი: „ახლა ღამეა და ღმერთთან დასამადლი არაფერია. მე არ ვლოცულობ. ხატი უპირველესად ჰკიდია კედელზე, ღამე თუხთუხებს და ვნება ნაწილაკებადაა დაშლილი. მე ფეხმოდრეცილი ვზივარ ფანჯარასთან და უკუნეთს გავცქერო“.

რომანს მსჭვალავს სიტყვების სიყვარული და მათ არსში წვდომის წყურვილი, მაგრამ სამი სიტყვა ქმნის ტექსტის ხერხემალს: ყველაფერი, არაფერი, გაუგებარი.

ავტორისთვის, ყველაფერი ღმერთის სახელია, არაფერი – კაცისა, გაუგებარი კი დროისა. რადგან „ახალი არაფერი იქმნება და არც არაფერი შეიქმნება“, სხვა რა დარჩენია მწერალს, თუ არა ძველი ნაწერების დაჭრისა, დაქუცმაცებისა და შემდეგ ახლებურად გამთელებისა. და თუ გვერდით არავინ აღმოჩნდება ამ საქმეში წამახალისებელი და გამამხნეველები, შენი ერთგული მკითხველი „მე“ არასოდეს გიღალატებს. ასე რომ, ზვიად კვარაცხელია-მკითხველი სრულიად საკმარისი შეიძლება არა, მაგრამ სრულიად აუცილებელია ზვიად კვარაცხელია-მწერლისთვის, ამიტომაც ყურს მიუგდებს მის შეფასებას: „შინაგანად თავისუფალი!“ რჩევასაც: „დროსთან დამეგობრებას ნუ ეცდები... ადამიანსაც ნუ მიენდობი“; და მთავარი: „ეცადე მანამ, ვიდრე დაგენერება“.

რომანის სათაური, ვფიქრობ, მარჯვედ არის შერჩეული. „მარჯვე ნა“ შეიძლება გავიაზროთ, როგორც მარჯვე კალამი. რუსთაველთან „ნა“ მეტაფორულად წერნეტ ტანს აღნიშნავს („მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად მე ნა რხეული“). რა თქმა უნდა, რომანის ყდაზე დახატული მარჯვენა მიუთითებს ავტორზე, ეს ერთგვარი

ფაქსიმილეა მისი. აქაც თამაშის ელემენტი მოჩანს და ბავშვური ალტაცება, თითებს ხაზებს რომ შემოავლებს პირველად და თეთრ ფურცელზე საკუთარი მარჯვენის მონახავს დაინახავს. ერთი სიტყვით, ასეა თუ ისე, ავტორმა, მართლაც მარჯვედ მოხაზა ჩვენი ცხოვრება, დახატა დღევანდელი ქართველი და თანამედროვე, რეკლამის თაობის ადამიანი საზოგადოდ.

მკითხველის შეცბუნების მიზანსაც მიაღწია თამამი ექსპერიმენტებით, მრწამსისა და მამო ჩვენოს, ათი მცნების თავისებური ვარიაციებით. ეს თამაში რელიგიური თუ ფილოსოფიური სიმბოლოებით ავტორს სჭირდება ჩვენი უახლესი წარსულის, ანწყოსა და მომავლის წარმოსაჩენად: „ზოგჯერ ნებას გვრთავენ მოვიპაროთ თვით თვითმფრინავი, მერე დაუნდობლად გვხვრეტენ და ნაგავსაყრელზე გააქვთ ჩვენი გვამები. ჩვენ მაინც არაფერს ვამბობთ „რადგან მწყემსი გვყავს ისეთი კეთილი, ისეთი ლამაზი, ისეთი ახალგაზრდა, რომ... გაგიჟდები“.

ავტორი ცდილობს, თავი დააღწიოს „საკონტროლო წერასავით გადაწერილ ერთფეროვან ცხოვრებას“. ხანდახან რომანში ჩაერთვის ნოველასავით ამბები, ხან მოსწრებული მსჯელობანი. აქაც პოსტმოდერნისტული ნონსელექციის პრინციპი მოჩანს.

რომანი გამოირჩევა სტილური მრავალფეროვნებითაც, ავტორს შეუძლია დახვეწილი წერაც და სხვადასხვა „მთხრობელად“ გარდასახვაც,

ამ თვალსაზრისით, ნიღაბს ხშირად იცვლის. თუმცა ალაგ-ალაგ შეგვხვდა, ვფიქრობ, გაუმართლებელი გრამატიკული ლაფსუსები.

რომანში ძალიან საინტერესოა „თავთაშორისები“ – ეს არის მეტაფიზიკური განსჯანი, დამადასტურებელი ავტორის ერთდროისა და ფართო თვალსაწიერისა.

ზემოთაც ვახსენეთ, რომ ავტორი რომანის ორიგინალური ფორმაზე ზრუნავს თავდავიწყებით. ამ ფორმის შემადგენელი ნაწილია აკროსტიხები. აკროსტიხში დაწერილია გამოჩენილ ხელოვანთა და მათ ნაწარმოებთა სახელები. აქ არის თავისებური „ანბანთქებაც“ ჩართული, ყოველი ახალი აბზაცის ყოველი სიტყვა თანამიმდევრობით, ანიდან ჰომემდე, ერთ რომელიმე ასოზე იწყება. ასე რომ, ახალი ამ რომანში, რა თქმა უნდა, ხშირად „კარგად დავინწყებული ძველია“. მთავარია, რომ ავტორი „მღვიძარეა“ და ჯიუტად აკაკუნებს პროზის ჩაყანგებულ ალყაფზე იმის რწმენით, რომ გაუღებენ.

ბენზინითა და ბაზრის სუნით გაჟღენთილ ზუგდიდში, გელა ლურძკაიას ქუჩაზე, საყანე ბოტანიკური ბაღის გვერდით, მწვანე ჭიშკრიან მე-11 ნომერში, მეორე სართულზე, „მონოფარდაგებულ“ ოთახში (ლიტერატურული მისტიფიკაცია თუ რეალობა?!) ცხოვრობს კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძალიან უყვარს და ახლა ალბათ რაიმე მონოლოგს წერს, აბა, სად გაექცევა ასეთ დამპყრობელ თემებს: „მე – ტკივილი, მე – სევდა, მე – სიყვარული, მე – სამშობლო, მე სიტყვა...“ რაკი წერას აუტანია, მეც წარმატებას ვუსურვებ ამ ხშირად აღწერილ, ყველაფრისმომცველ და არაფრისმომცემ, ბევრჯერ ახსნილ, მაგრამ მაინც გაუგებარ გზაზე.

მანანა მიქაძე

რას იტყობა ჯერომ სელინჯერი



ორი თარგმანის
ენობრივ-სტილისტური ანალიზი

ჯერომ სელინჯერის „თამაში ჭვავის ყანაში“ ქართველმა მკითხველმა XX საუკუნის 60-იან წლებში გაიცნო ვახტანგ ჭელიძის არაჩვეულებრივი თარგმანით. ორიოდე წლის წინათ გამოჩნდა იგივე ნაწარმოები გია ჭუმბურიძის თარგმანით.

ჩვენ არ შევუდგებით ვახტანგ ჭელიძის მთარგმნელობითი შემოქმედების ქება-დიდებას. უახლესი ქართული ლიტერატურის კრიტიკამ სავსებით სამართლიანად შეაფასა მისი მთარგმნელობითი ნაღვანი. ვახტანგ ჭელიძეს, რომელმაც არაერთი ინგლისურენოვანი ნაწარმოები ქართულად უბადლოდ აამეტყველა, ეს არ სჭირდება. ჩვენ სულ სხვა რამ გვაინტერესებს. როგორია ვახტანგ ჭელიძის „თამაში ჭვავის ყანაში“ ენობრივ-სტილური თვალსაზრისით და რა კონკურენციას უწევს მას ამ თვალსაზრისით გია ჭუმბურიძის „კლდის პირზე, ჭვავის ყანაში“?

ჯერომ სელინჯერის ეს რომანი XX საუკუნის ამერიკული ლიტერატურის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებია, რომელიც არაერთ ენაზე ითარგმნა და მისი მთავარი გმირის, ანუ მთხრობელის – ჰოლდენ კოლფილდის, სულიერ სამყაროს თანამონაწილედ აქცია მკითხველი. კოლფილდის ბუნება მრავალნაზნაგაა, მისი ფსიქოლოგიური განცდები ღრმა, ხოლო ყველაფრისადმი ემოციური, ირონიულ-კრიტიკული დამოკიდებულება კიდევ ერთხელ წარმოაჩენს 16 წლის ყმაწვილის გაუცნობიერებელ ამბოხს სამყაროსადმი. იგი ნაადრევად მომწიფებული ახალგაზრდა კაცია, რომელსაც სწავლაზე ხელი აუღია, მაგრამ ყველასა და ყველაფრისადმი საკუთარი დამოკიდებულება აქვს. საოცარი სიფაქიზე ახასიათებს ამ ერთი შეხედვით ტლანქ მოზარდს, პატარა დის, გარდაცვლილი ძმის, საყვარელი გოგონას მიმართ, და ეს ყოველივე ნაწარმოებში ისეა წარმორჩენილი, თუ კაცს დაბადების დღიდან არ გააჩნია, მას ვერასოდეს შეიძენ. სწორედ ამ დამოკიდებულებებით ამბობენ იგი მთელ დედამიწას. მთავარი გმირის ხასიათს კი მისი თავისებური მეტყველება ხსნის.

თარგმნის სპეციფიკური ნიჭი მთარგმნელს აძლევს ძალას შევიდეს ნაწარმოების სიღრმეში და ისე გადმოიტანოს, მკითხველისათვისაც იყოს ფასეული მხატვრულად, ემოციურად, ინტელექტუალურად და ყველა თვალსაზრისით. მწერლის სტილის გადმოტანა აუცილებელია,

რადგანაც ყველა მწერალს თავისი ზოგადი სტილი აქვს, რომლითაც იგი გამოირჩევა სხვა მწერლებისაგან. ამავე დროს მწერალი თითოეული ნაწარმოებისათვის ცალკე სტილისტურ სისტემას ქმნის. თუ მთარგმნელმა ეს ვერ შეამჩნია, თუ ვერ განასხვავა ერთი ნაწილი მეორისაგან თვით ერთი მწერლის შემოქმედებაშიც, ის არ იქნება ჭეშმარიტი ოსტატი, ჭეშმარიტი მთარგმნელი.

როგორი მდიდარი და განვითარებულიც უნდა იყოს ენა, მაინც შეუძლებელია მთარგმნელს ყველა შემთხვევაში ჰქონდეს მზამზარეული მასალა, გამოთქმა თუ ტერმინი. ვნახოთ როგორ იყენებენ ქართულსათვის შესაფერის ბუნებრივ ფორმებს მთარგმნელები:

„If you really want to hear about it, the first thing you'll probably want to know is where I was born, and what my lousy childhood was like, and how my parents were occupied and all before they had me, and all that David Copperfield kind of crap, but I don't feel like going into it, if you want to know the truth“ (p. 27).

„მართლა თუ გაინტერესებთ ჩემი თავგადასავლის მოსმენა, პირველად, ალბათ, იმას მკითხავთ, სად დაიბადე, რა საძაგელი ბავშვობა მქონდა, მშობლები რას აკეთებდნენ, და ათასგვარ დავით კოპერფილდისებურ აბაღებდას. მაგრამ, მართალი თუ გინდათ, სულაც არ მეპიტნავება ამეების გახსენება“ (ვ. ჭელ., გვ. 3).

„ისე, თუ მართლა ჩემი ამბის გაგება გინდათ, არ დამინყოთ ახლა - სად დაიბადეო, შენი საცოდავი ბავშვობა სად გაატარეო, მშობლები კიდე რას საქმიანობდნენ შენამდგომ და საერთოდ, მთელი ეს ბაზარი დევიდ კოპერფილდის სტილში... მართალი გითხრათ, სულაც არ მეპიტნავება ამ ძველმანებში ქექვა“ (გ. ჭუმბ., გვ. 3).

„They're quite touchy about anything like that, especially my father. They're nice and all - I'm not saying that - but they're also touchy as hell. Besides, I'm not going to tell you my whole goddam autobiography or anything“ (p. 27).

„ძალიან ახლოს მიაქვთ ხოლმე ამისთანა ამბები გულთან, განსაკუთრებით მამაჩემს. რა მეთქმის, კარგი ხალხია... განა იმას ვამბობ... მაგრამ საშინელი ფზუკიანები არიან. ეგეც რომ არ იყოს, ვის რაში სჭირდება, რომ ავდგე და მთელი ჩემი წყეული ავტობიოგრაფია წვრილად ჩავუკაკლო“ (ვ. ჭელ., გვ. 3).

„ეგეთი რამეები მაგრა გულზე ხვდებათ, მამაჩემს განსაკუთრებით. არა, ისე არა უშავთ რა - კაი ტიპები არიან და რამე, ოღონდ ძაან ბუტიები და უცბად იქუშებიან ყველაფერზე. ბოლო-ბოლო, არც იმას ვაპირებ ახლა მთელი ჩემი CV ჩამოგიკაკლოთ“ (გ. ჭუმბ., გვ. 3).

გია ჭუმბურიძის თარგმანში „ეგეთი, ძაან, იქუშებიან“ დიალექტიზმებია. აქ თითქოს შეიძლება მთარგმნელს მოეუნონოთ ავტობიოგრაფიის მაგიერ „CV“-ის გამოყენება, მაგრამ განა სელინჯერი ორიგინალში „ავტობიოგრაფიას“ არ იყენებს?

ქართული წინადადების ღერძს ზმნა წარმოადგენს. უძიძოდ ქართული წინადადება თითქმის არ არსებობს. ეს მშვენივრად ესმის ვახტანგ ჭელიძეს, იგი საგანგებო ყურადღებით ეკიდება წინადადების გადმოქართულებას. ეძებს და უსადაგებს ექსპრესიულობით დატვირთულ გამომსახველობითი ძალის მქონე ზმნებს:

„It was the last game of the year, and you were supposed to commit suicide or something if old Pency didn't win“ (p. 28).

„სეზონის უკანასკნელი მატჩი **ვახლდათ** და პენსის ძველი გუნდის წაგებას თავის მოკვლას და ამოწყვეტას **ვამჯობინებდით** ყველანი“ (ვ. ჭელ., გვ. 5).

„You **could see** the whole field from there, and you **could see** the two teams bashing each other all over the place“

„იქიდან ხელისგულივით **ჩანს** მინდორი, იმასაც დიდებულად **გაარჩევ**, როგორ **ასკდება** ორი გუნდი ერთმანეთს“ (ვ. ჭელ., გვ. 5).

დავაკვირდეთ „You could see“ – რომელიც ორიგინალში ორჯერ მეორდება – ვახტანგ ჭელიძისეულ შესატყვისებს: „ჩანს“ და „გაარჩევ“, ისინი ლექსიკურ დუბლეტებად გამოიყენა მთარგმნელმა და სტილური თვალსაზრისითაც მოიგო. გია ჭუმბურიძესთან ეს ადგილი მთლიანად აზრობრივი თარგმანითაა შესრულებული და აღნიშნული წინადადებებიც გამოტოვებული.

„He **wrote** me this note saying he **wanted** to see me before I **went** home. He **knew I wasn't coming** back to Pencey“ (p. 29).

„წერილი **გამომიგზავნა**, მანამ შინ **ნახვიდოდე**, უსათოოდ **მომინახულო**. **იცოდა**, რომ აღარ **დავბრუნდებოდი**“ (ვ. ჭელ., გვ. 7).

„იმან კიდე წერილი **აფრინა** ჩემთან - **მინდა, გნახო**, სანამ შინ **გაემგზავრებოდე**. **იცოდა**, პენსიში დამბრუნებელი აღარ **ვიყავი**“ (ვ. ჭუმბ., გვ. 7).

„Did I get in that house fast“ (p. 31).

„იცოცხლე, შევვარდი სახლში!“ (ვ. ჭელ., გვ. 11).

„ნამსვე დერეფანში ვდურთუ თავი“ (ვ. ჭუმბ., გვ. 10). ამ წინადადებაში სიტყვა **house**-ის ეკვივალენტი ყველა შემთხვევაში სახლია და არა დერეფანი.

„Grand. There's a word I really hate. It's a phony. I could puke every time I hear it“ (p.34).

„დიდებული!“ ჭირივით მიჰულს ეგ სიტყვა. მეტისმეტად გატყლარჭულია. გულს მირევს ხოლმე“ (ვ. ჭელ., გვ. 17).

„ღირსეული ხალხი. ასეთი რამის გაგონებაზე სულ პრუნუნის მინდება. აზრზე მოდით, რა გამოთქმები არ მოსდით ხოლმე თავში. ყალბზე-ყალბი“ (ვ. ჭუმბ., გვ. 15).


განა ორიგინალში სადმე შეგვხვდა ფრაზა „პრუნუნის მინდება“? ავტორს ხომ აქ უარგონი არ გამოუყენებია.

„Life is a game, boy. Life is a game that one plays according to the rules“ (p.33).

„ცხოვრება მართლაც თამაშია, ყმანვილო. ისეთი თამაშია, საცა ყველა წესი უნდა დაიცვა“ (ვ. ჭელ., გვ. 15).

„ეს კი მართალი უთქვამს, ხომ იცი, ცხოვრება მართლა თამაშია და ეს წესებიც უნდა დაიცვა“ (ვ. ჭუმბ., გვ. 16).

დავუკვირდეთ მიმართვის ფორმას ორიგინალსა და თარგმანში: „boy“ – „ყმანვილო“. გია ჭუმბურიძის თარ-



გმანში მიმართვის ფორმა გამოტოვებულია, რითაც წინადადების ექსპრესიულობის ძალა დაქვეითებულია. თანაც ფრაზა „ეს კი მართალი უთქვამს, ხომ იცი“ ორიგინალში საერთოდ არ მოიპოვება.

ჭუმბურიძე მთარგმნელს ენის განვითარებაში უდიდესი წვლილი შეაქვს. ენა უზარმაზარი სიმდიდრეა, საუნჯე, რომელიც ძვეს აბსტრაქტულად და მთარგმნელი ხშირად დაძვებს ისეთ სიტყვებსა და გამოთქმებს, რომელიც შეიძლება ორიგინალურ შემოქმედებაში არც აარს. ცდილობს შექმნას, შემოიტანოს ოკაზიური ნარმონაკმნები თარგმანში. ეს შეიძლება დასჭირდეს ამა თუ იმ ნაწარმოების თარგმნისას. მაგრამ შენი სალიტერატურო ენის ფარგლებიდან არ უნდა გახვიდე, ეს არ უნდა მოხდეს ენის დამახინჯების, ანდა ენაზე ძალდატანების ხარჯზე.

ჯერომ სელინჯერს ახასიათებს ოკაზიური სიტყვების შექმნა, ახალ-ახალი ცნებების, კომპოზიტივის შემოტანა, რაც ართულებს თარგმნას, რადგანაც იმ კომპოზიტს, რასაც ჯერომ სელინჯერი იყენებს, ქართული ენა ვერ ეგუება. სხვა გზა არ რჩება, კომპოზიტი უნდა დაშალო, მაგრამ მნიშვნელობა არ დაუკარგო. რასაც ძალიან კარგად ართმევს თავს ვახტანგ ჭელიძე.

„I'll admit, but I liked it that way. I looked good in it that way“ (p.42).

„ვიცი, დიდი სისულელეა, მაგრამ ასე **მომეხუშტურა**“ (ვ. ჭელ., გვ. 30).

„ცოტა გოიმურად კი გამოვიყურებოდი, მაგრამ მაინც ასე მომწონდა“ (ვ. ჭუმბ., გვ. 29).

„All of a sudden, he said, „For Chrissake, Holden. This is about a goddam baseball glove“.

„ეს რა ჯანდაბაა, ჰოლდენ! ეს ოხერი საბეისბოლო თათმანი საიდან გამოატყვრინე!“ (ვ. ჭელ., გვ. 66).

„შიგა გაქ, ჰოლდენ?! ეს რაღაც ბეისბოლის ხელთათმანი საიდან გამოთხარე“ (ვ. ჭუმბ., გვ. 61).

თარგმანი უფრო მკაცრად უნდა მოექცეს სალიტერატურო ენის ფარგლებში, ვიდრე ორიგინალური ლიტერატურა. სალიტერატურო ენიდან ყოველი გამოსვლა თავისებურ ხმოვანებას შემოიტანს თარგმანში, რაც ნაწარმოებს უკარგავს თავის ინგლისურობას. საერთოდ ნაწარმოების მხატვრულობა ფრაზოლოგიზმებისა და იდიომატური ფორმების სწორად და თავის ადგილზე გამოყენებით იზომება. რაც არც ჯერომ სელინჯერის ენისათვის არის უცხო და არც თარგმანებია ამ თვალსაზრისით ნაკლები:

„I was lucky“ (p. 30).

„**ბედმა გამიღიმა**“ (ვ. ჭელ., გვ. 30).

„გამიმართლა“ (ვ. ჭუმბ., გვ. 8).

„არ შეიძლება არ გამიკვირდეს - რა **ცას გამოეკრა** ეს ბერიკაციო“ (ვ. ჭელ., გვ. 12).

„ნეტა რისთვის და რატო ცხოვრობს ამ ქვეყანაზეო“ (გ. ჭუმბ., გვ. 11).

„They got a bang out things, though - in a half-assed way of course“ (p. 32).

„მაგრამ მაინც სიტკობებს ნახულობდნენ ცხოვრებაში. მიუხედავად იმისა, რომ **ცალი ფეხი სამარეში ედგათ**“ (ვ. ჭელ., გვ. 12).

„ოლონდ თავისას მაინც იღებდნენ ამ ცხოვრებისაგან. ბებრუცანები უძახე შენ“ (გ. ჭუმბ., გვ. 11).

ეს წინადადება საერთოდ მთარგმნელის გამოგონებაა, რადგამ ორიგინალში მსგავსი არაფერია.

„Chewed the rag with him while he was shaving“ (p. 49).

„მანამ ის წვერს გაიპარსავს, მე ცოტათი **ენას მოვიფხან-მეთქი**“ (ვ. ჭელ., გვ. 44).

„სანამ ის პარსვაში იქნება, ენას მოვიქავებ-მეთქი“ (გ. ჭუმბ. გვ. 42).

ქართული სიტყვას თავისი ელფერი აქვს, ფრაზა „სანამ ის პარსვაში იქნება“ - ქართული ენისათვის დამახასიათებელი არ არის. ვერცერთ ფრაზეოლოგიურ თუ ხატოვან სიტყვა-თქმათა ლექსიკონში ნახავთ ფრაზეოლოგიზმს „ენას მოვიქავებ“. თ. სახოკიასთან, ა. თაყაიშვილთან შეხვედრებით ფრაზეოლოგიზმს „ენას იფხანს“ ან „ზურგს ენით იფხანს“. დამკვიდრებული ფრაზეოლოგიზმის თუნდ უნებური შეცვლა გაუმართლებელია.

„It was raining like a bastard out“ (p. 94).

„წვიმდა - **ცა ფეხად ჩამოდიოდა**“ (ვ. ჭელ., გვ. 124).

„ცა ფეხად ჩამოდიოდა“ (გ. ჭუმბ., გვ. 110).

ეს არის ერთადერთი შემთხვევა, როცა გია ჭუმბურიძეს ფრაზეოლოგიზმი ზუსტად აქვს გამოყენებული. თუმცა, განსხვავებით ვახტანგ ჭელიძისაგან, შეეძლო გამოყენებინა „კოკისპირულად წვიმდა“.

ჟარგონი დროებითი მოვლენაა, რომელიც თაობიდან თაობაზე გადადის, იცვლება, რალაც ემატება, მაგრამ არის ისეთი ნაწილი, რომელიც ენაში მკვიდრდება. ჟარგონი გამჭვირვალე უნდა იყოს. ის ჟარგონი, რომელსაც ლიტერატურული ნაწარმოების სათარგმნელად იღებ, გასაგები უნდა იყოს ყველა თაობის მკითხველისათვის. „თამაში ჭვავის ყანაში“ ვახტანგ ჭელიძის ერთ-ერთი პირველი თარგმანია, სადაც მთარგმნელი შეეცადა ახალგაზრდული ჟარგონი ჩაერთო თარგმანში.

„Where I want to start telling is the day I left Pencey Prep“ (p. 28).

„სწორედ იმ დღიდან მინდა დავიწყო ჩემი ამბავი, როცა პენსიდან წამოვედი“ (ვ. ჭელ., გვ. 4).

„იმ დღიდან დავიწყებ, პენსის პრივილეგიურულ სკოლას რომ დავადე და წამოვედი“ (გ. ჭუმბ., გვ. 4).

„It was December and all, and it was cold as a witch's teat“ (p. 30).

„ერთი სიტყვით, დეკემბერი იდგა. ციოდა - ძალღი არ გაიგდებოდა კარში“ (ვ. ჭელ., გვ. 8).

„ახლა, დეკემბერი იყო და იმ დედაიმასქნებულ გორაზე ისე ციოდა, როგორც დედაბრის უბეში“ (გ. ჭუმბ., გვ. 7).

ამ წინადადებაში, გარდა იმისა, რომ ჟარგონი უადგილოდაა გამოყენებული, გრამატიკული შეცდომაცაა.

დროის ზმნიზედასთან „ახლა“ წარსული დროის ფორმით ზმნა „იყო“ არ გამოიყენება.

„I wasn't watching the game too much“ (p. 30).

„თამაშის ცქერით მაინცდამაინც არ ვინჯებდი თავს“ (ვ. ჭელ., გვ. 8).

„ცოდვა გამხელილი ჯობია და თამაში სულ ქინძზე მკიდა“ (გ. ჭუმბ., გვ. 8).

„Game, my ass. Some game“ (p. 33).

„კაი თამაში კია, თქვენმა მზემ!“ (ვ. ჭელ., გვ. 15).

„თამაში არა, ის კიდე... გავკარი ეგეთ თამაშს...“ (გ. ჭუმბ., გვ. 14).

თუკი მთარგმნელი სარგებლობს იმ ჟარგონით, რომელიც იმ დროისათვის არსებობს, ის თარგმანი არ შეიძლება მხატვრულ სიმაღლემდე იქნას აყვანილი. ქუჩაში რაც გესმის, იმის პირდაპირ გადმოტანა ლიტერატურა არ არის, ასეა ორიგინალურ ლიტერატურაში. რეალური სინამდვილე სხვაა და სხვაა მხატვრული სინამდვილე. კიდეც ერთი, არ არის აუცილებელი, რომ ჟარგონით გადმოცემული ტექსტი სიტყვა-სიტყვით თარგმნო, შეეცადო ზუსტი ქართული ადეკვატი მონახო. ჟარგონი მთლიანობაში უნდა იყოს თარგმანის წამყვანი სტილისტური ელემენტი.

„Mr. Haas, that was the phoniest bastard I ever met in my life“ (p. 38).

„იმისთანა ფუყესა და თვალთმაქც **ნაბიჭვარს** ჩემს დღეში არ შევხვედრივარ“ (ვ. ჭელ., გვ. 23).

„ბატონი ჰაასი კიდე იმისთანა **გოთვერანი** ვინმე იყო, მაგის სწორი ცხოვრებაში არავინ შემხვედრია“ (გ. ჭუმბ., გვ. 22).

შევადართ ბასტარდ - ნაბიჭვარი - გოთვერანი.

„I left Elkton Hills was because I was surrounded by phonies. That's all“ (p. 38).

„ელქტონ-ჰილიდან წამოსვლის მთავარი მიზეზი ის გახლდათ, რომ იქ თავიდან ბოლომდე ყველაფერი სიყალბეზე იყო აგებული, ყველაფერი გამოსაჩენად ჰქონდათ“ (ვ. ჭელ., გვ. 23).

„მთავარი კი ის იყო, ელქტონ-ჰილის სკოლა რომ სულ ტრაკილოკიებით იყო სავსე“ (გ. ჭუმბ., გვ. 22).

დავაკვირდეთ, გია ჭუმბურიძის ენისათვის დამახასიათებელი „ტრაკილოკიები“ ორიგინალში თუ გვხვდება?

ჩვენი აზრით, გია ჭუმბურიძის თარგმანის ჟარგონებით გადავსებამ დიდად დააზარალა ნაწარმოების მთავარი გმირიცა და მისი ავტორიც, რადგანაც მწერლის მიზანს ვულგარიზმები საერთოდ არ წარმოადგენს. ეს ხომ თარგმანი არ არის, ეს ტექსტის ადაპტირებული ვარიანტია.

ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ 2006 წლის 26-ში როსტომ ჩხეიძე წერს: „დრო-ჟამს უღმობლად მიაქვს ბევრი რამ, ხუნდება არაერთი სიახლე-მიმზიდველობაც და, რაც თავის დროზე შთამბეჭდავად გამოიყურებოდა, შესაძლოა ახალი ეპოქის გემოვნებასა და მოთხოვნებს ისე სახიერად და ზუსტად ვეღარ ესადაგებოდეს. თუმცა ესეცა: არის კი ვახტანგ ჭელიძე ის მოვლენა ქართულ მთარგმნელობით ხელოვნებაში, ვისი მიღწევანიც შესაძლოა გახუნდეს?“

ამ რიტორიკული კითხვით ვამთავრებთ ჩვენს ნაშრომსაც.

დაიბადა 1985 წლის 19 თებერვალს, თბილისში. 1991-2001 წლებში სწავლობდა პირველ ექსპერიმენტულ სკოლაში, 2001-2002 წლებში კი გადავიდა თბილისის 66-ე სკოლა-გიმნაზიაში. 2002 წელს ჩააბარა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე. 2003-2004 წლებში სწავლობდა თბილისის გოეთეს ინსტიტუტში. 2005 წელს გაემგზავრა გერმანიაში, ქალაქ ჰამბურგში ენის კურსებზე. იმავე წელს გადავიდა ფრანკფურტში. 2006 წელს დაამთავრა უნივერსიტეტი და დაიწყო მუშაობა კერძო კომპანია „ახალ მთვარეში“ იმპორტ-მენეჯერად. ენების საერთაშორისო სახლში გაიარა ინგლისური ენის კურსი. სამაგისტრო კურსის გასაგრძელებლად გაემგზავრა გერმანიაში.

ნათია ხორგუაშვილი
**ჭეშმარიტების
ბილიკამდე**

კამბურბული დღიური

მაშინ, როდესაც თმა შევიჭერი 21 წლის არ ვიყავი. ნელ-ნელა ვემშვიდობებოდი ჩემს ღია ყავისფერ, გრძელ თმას. მაშინ ვერ წარმომედგინა, ოდესმე თუ უარს ვიტყოდი კონსერვატიულ ვარცხნილობაზე.

შემდეგ მოხდა ასე: თმა ჯერ მხრებამდე შევიმოკლე, შემდეგ ნიკაბამდე და ბოლოს ყურებამდე. ჯერ ქერად შევიღებე, შემდეგ ყავისფრად და ბოლოს წითლად. ეს კი უკვე მეტისმეტი იყო. ჩემს დანახვაზე დედაჩემმა ტირილი დაიწყო.

უკვე აღარ ვგავდი რომანტიკულ არსებას. გარემოსთან მომიწია შეჯახება არაფის მოვწონდი, გარდა საკუთარი თავისა. მივხვდი, რომ მეტი ბრძოლა დამჭირდებოდა თავის დასამკვიდრებლად.

ამ დროს სამსახურსაც ვეძებდი; ყოველდღე ვდგებოდი ადრე და ავტობოგრაფიას ვაგზავნიდი სხვადასხვა დანესებულებებში. ავტობოგრაფიული მონაცემები კარგი მქონდა, როგორც აქვთ ადამიანებს ერთფეროვანი, მონესრიგებული ცხოვრებით რომ ცხოვრობენ.

ბევრი მირეკავდა, მიბარებდნენ. ავტობოგრაფიას დაიდებდნენ მაგიდაზე, სათვალის ზემოდან გადმოხედავდნენ და დამკითხავდნენ. მეც ხალისით ვპასუხობდი, თუ სად ვსწავლობდი, რა გამოცდილება მქონდა და რა მინტერესებდა. მერე მადლობას გადამიხდიდნენ, სათვალეს მოიხსნიდნენ და ბევჯერნაცადი ღიმილით მემშვიდობებოდნენ. მეუბნებოდნენ, რომ მოიფიქრებდნენ და დამირეკავდნენ.

შემდეგ გასაუბრებებზე უფრო გაბედული ვიყავი, ჩემი პროფესიული გამოცდილების გარდა სხვა ინტერესებზეც ვუყვებოდი:

- იცით, მე თხილამურებზე ვდგავარ, ცეკვაც ვიცი!
- კი, მაგრამ რა კავშირშია თხილამურებზე დგომა ამ ყველაფერთან, გოგონი?
- როგორ თუ რა კავშირში? ეს ხომ მუსიკალური სკოლაა. თუ მიმიღებთ, კარგი იქნება, მართალია ქართული ესტრადის არაფერი გამეგება, მაგრამ წარმოიდგინეთ: მოდიხართ მთიდან, ირგვლივ თოვლით დაფარული, მზით აბ-

რჭყვიალებული მყინვარებია., საბაგიროს მოძრაობაც მუსიკის რიტმს ჰგავს. თქვენ walkmans-ს უსმენთ. იცით რა მუსიკას? Queen-ის There no place for us., გარუჯული და ბედნიერი ხარო და 2300 მეტრიდან მთელი სისწრაფით ეშვებით. აი რა კავშირშია მუსიკა და თხილამურები.



ჩემი მონოლოგით კმაყოფილმა თავი ავწიე, თვალი მოვაველე ქალბატონს, რომელიც ჩემს გვერდით იჯდა და საგულდაგულოდ აკვირდებოდა ჩემს წითელ თმას. არც მოუსმენია ეს საუბარი, ალბათ იმაზე ფიქრობდა, თუ რა ნომერი საღებავით მქონდა თმა შეღებილი. ჩემს წინ თურმე ბიჭი იდგა. ის ალფრთოვანებით მისმენდა. გაცემისგან ქვედა ყბა ოდნავ ჩამოვარდნოდა, მაგრამ სამსახურებრივი მოვალეობის გამო სერიოზული გამომეტყველების შენარჩუნებას ცდილობდა.

ვერც გალიმებას ბედავდა და ვერც აზრის გამოთქმას. შემდეგ ყველას ჩაეცინა..

კარგი იუმორის გრძობა გქონიაო, – მითხრეს. მეც თვალი მოვაველე ბატონი -ის მრგვალ სახეს, საგულდაგულოდ გაპარსულ წვერს და მივხვდი, რომ ის არც თხილამურებზე მდგარა ოდესმე და არც უეწენ-ისათვის მოუსმენია. ამის აუმიღვრეველ ცხოვრებას ვერ აამღვრევდა და-თოვლილი მყინვარები და რედდები ერცურყ. ისე კი გულთბილად, მსუქანი კაცის გულკეთილობით გამიიღმა, თავი დამიკრა და მითხრა: გადავწყვეტთ და დაგირეკავთო. ალბათ ყველაფერი ჩემი, წითელი, მოკლედ შეჭრილი თმის ბრალი იყო...

წნეების ცვალებადობა ჩემზე ძლიერ გავლენას ახდენდა ყოველთვის. გაზაფხულის მოსვლისას მუდამ აღელვებული ვიყავი. სწორედ მაშინ დგებოდა ჩემთვის ახალი წელი, რომელიც დეკემბრის 31-ს კი არ უკავშირდებოდა, არამედ ახალ სიცოცხლეს, როდესაც ადამიანი სულის გარდა სხეულის ცხოვრებაზეც იწყებს ფიქრს. ქურქებიდან გამოდიან, სხეულებს აშიშვლებენ და საკუთარი ხორცის ფერით ძრწუნდებიან, ვინაიდან მათ ჯერ მზის სხივები არ შეხებიან.

გაზაფხული მოსვლას ცდილობდა, მაგრამ ეს არც ისე იოლად გამოსდებოდა.

სადღაც მთაში თოვდა გადაულებლად. ფანტელებს იმის ეშინოდათ, რომ მარტის მზე ამოჩახჩახდებოდა და

ერთიანად დაადნობდა მალალ თოვლს... ამიტომ თოვდა და თოვდა თავგამოდებით... უკანასკნელი ძალებით თოვდა.

ყოველ გაზაფხულს რაღაც განსაკუთრებულს ველოდი. ეს გრძნობა, შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ წნევების ცვალებადობით იყო გამონგეული. გაზაფხულზე ვეჭვიანობდი, იმიტომ, რომ ის უჩემოდ მოდიოდა და არ ფიქრობდა იმაზე, შევეგებებოდი თუ არა, რადგან მას ჩემგან განსხვავებით ყველა უყვარდა და მათგან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებდა.

როგორ ვთხოვე, ქვეყნიდან ჩემი წილი მზე გაეტანებინა, მაგრამ იუარა. ამბობდა, რომ მზე ყველგან ერთნაირად ანათებდა – ვიცოდი, რომ ცრუობდა. მე და გაზაფხული ერთმანეთს ველარ ვუგებდით. მიყვარდა და ვეჭვიანობდი.

უჩემოდ დააქორწინებდა ხეებს და ყვავილს გამოსხამდა, უჩემოდ დაანყვილებდა ადამიანებს და გამოალვიძებდა მიძინებულ არსებებს, ისე, რომ ერთხელაც არ მკითხავდა სწორად იქცეოდა, თუ არა. დამაშორებდა ჩემს თოვლიან მთებს და ძალიან რომ მომენდომებინა აღარ შემახვედრებდა მათთან.

და მე მაინც შევხვდი გაზაფხულს იქ სადაც შეხვედრა არ დაგვითქვამს, მაგრამ მოვიდა... მოვიდა გაციებული და შეცვლილი. მოვიდა უჩვეულოდ. ჩვენ დიდხანს ვუყურებდით ერთმანეთს, მაგრამ ველარ ვცნობდით, დამშვიდებული მეჩვენა. აღარც ისეთ სურნელებას აფრქვევდა და მის ნაფხუზრებსაც აღარ ასდიოდა წვიმის სუნი. გამაცია... ვთხოვდი, აეხსნა შეცვლის მიზეზი, მაგრამ სხვანაირი იყო, სიტყვა ტუჩებზე შემეყინა. დიდხანს დუმდა... ვხვდებოდი, რომ ჩვენს შორის კავშირი განყდა. ის მე აღარ მეკუთვნოდა. რა მიძიე იყო იმ დუმების წუთების ატანა! ეს წუთები იტევდა ერთად გატარებული დღეების სურნელს, ვარსკვლავიან ცას, სასაფლაოს ბალახის შრიას, კაშკაშა მზეს, აპრილის განთიადსა და მისის ღამეებს. დუმების წუთები ისევე ნამდვილი იყო, როგორც ეს მოგონებები და განშორება. მაგრამ დღეიდან მხოლოდ სიცრუე ჩამონვებოდა ჩვენს შორის. სიცრუე იქნებოდა ყველაფერი ჩვენს შორის.

ისევე ვდუმდით, ვიცოდით რომ სიტყვები ყველაფერს წაბილწავდა, სიტყვები, რომლებიც ხანდახან ძალიან ძვირფასია და ხშირად უადგილო. ღრმად ჩავისუნთქე მისი სურნელება. ვხვდებოდი, რომ ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა იყო. შებრუნდებოდა და წავიდოდა. კიდევ ბევრს აუფორი-აქებდა გულს თავნება და სისხლსავსე, მაგრამ აქ, ჩემთან აღარასოდეს მოვიდოდა. წავიდა... დამტოვა სიცრუეში.

წასვლის მერე ჩემი თავი მენატრებოდა... რა ძნელი იყო იმის გახსენება, როგორი ვიყავი მის მოსვლამდე. ყველაფერი წაელო რაც გამაჩნდა. მეუცხოვებოდა ჩემი ხმა, გარეგნობა, ფიქრები და მეშინოდა არ გავგიჟებულიყავი... მე ხომ მასში ჩემი თავი მიყვარდა. აღარაფერი მეკუთვნოდა... თან წაელო ყვავილები და მოგონებები. მენატრებოდა და მახსოვდა როგორც გუშინდელი დღე, რომელიც აღარასოდეს განმეორდებოდა.

არავინ იყო, რომ ჩემთვის ხმა გაეცა, ჩემი ვინაობა შეეხსენებინა და „შავი ლაქა ჭერზე“, რომ ვილაცხა ვუყვარდი სულ უფრო და უფრო ფერმკრთალი ხდებოდა. ძნელი იყო სიყვარული მენამა, როდესაც საკუთარი არსებობისაც კი არ მნამდა... გაურკვეველ სიზმარს დაემსგავსა ჩემი ცხოვრება. ეგონა რომ ცოტა ხანში გავიღვიძებდი და აღარც განშორება იარსებებდა და აღარც არსებობა. დღეები ისე ძალიან ჰგავდნენ ერთმანეთს, რომ სათვალავი ამერია. შეიძლება მრავალმა წელმა განვლო, რადგან ვგრძნობდი, რომ ძალიან ვიცვლებოდი, ვცვივდებოდი.

და მეც შევიძულე გაზაფხული ვცდილობდი. მას არსად გადავყროდი, წვიმის წვეთებიც აღარ შეადგენდა ჩემი ცრემლების ნაწილს. აუტანლად მიმაჩნდა ყვავილების გაშლა და პეპლების ფრენა. ამ „ჭარმონიაში“ ჩემი მარტოობა უფრო ნათლად იკვეთებოდა...

უკურნებელი სენივით დამატყდა თავს სიმახინჯე... მახსოვს, როგორ მიმაქანებდნენ საკაცით საავადმყოფოსაკენ... თითქოს ყველაფერი წინასწარ ვიცოდი... ვგრძნობდი ჩემი სისხლის მოძრაობას, ვგრძნობდი, თანდათან როგორ იყინებოდა იგი ძარღვებში. მერე აღარაფერი მახსოვს...

ჩემთან მოდიოდნენ და რატომღაც აღერსიანად მექცეოდნენ. ისინი ცდილობდნენ დაემორჩილებინათ სახის ნაკვეთები, რომლებიც შემზარავ სიბრაულს გამოხატავდნენ. მოდიოდნენ ყურადღების გამოსავლენად, თან ტკბილეული მოჰქონდათ (იცოდნენ, რომ მიყვარდა). ოთახიდან გასულები წელში იმართებოდნენ და თავიანთი ვალდებულებით ტკბებოდნენ...

მოდიოდნენ და დანვრილებით მიყვებოდნენ სამსახურის ამბებს, თუმცა იცოდნენ, რომ სცენას ველარ დავუბრუნდებოდი. გამართულადაც რომ გამეგლო, ველარ შევასრულებდი იმ ილეთებს, რომელთაც კოორდინაცია სჭირდებოდათ.

მოდიოდნენ ცნობისმოყვარეებიც. მათ უბრალოდ იარები აინტერესებდათ. რწმუნდებოდნენ რომ ცუდად ვიყავი და შემდეგ გაუთავებლად ლაპარაკობდნენ იმაზე, თუ როგორ შემომსუბუქეს განსაცდელი.

მოდიოდნენ ისეთებიც, ვისაც შეკრების მიზეზი და ადგილი არ ჰქონდა. თანდათან უფრო მშვიდად ვუყურებდი მათ და თავი ისეთი მეგონა, როგორიც ამ „უბედურ შემთხვევამდე“ ვიყავი. თუმცა ეს უბედური შემთხვევა, სულაც არ ყოფილა შემთხვევითი უბედურება. ეს განსაცდელი იყო, რომელიც მე ღირსეულად უნდა ამეტანა.

თითქოს ყველაფერი წინასწარ ვიცოდი. – მანქანის მოსრიალეებისას არ გამჩენია კითხვა – „რატომ?“ მძლოლი არ გადარჩენილა. იმ წუთებში მოვასწარი მისთვის მეთქვა, რომ არ იყო დამნაშავე. მიწოდდა, სხეულს სცოდნოდა ის, რასაც სული შემდეგ შეიტყოდა...

მერე სიზმარში ხშირად ვხვდავდი – ნათელი სახით მევლინებოდა. სრულიად გარდასახულს აღარც ახსოვდა „უბედური შემთხვევა“. უბრალოდ ხშირად მკითხულობდა, მეუბნებოდა გაიღიმეო. მეც ვიღიმებოდი, მაგრამ ამ ღიმილში მხოლოდ უიმედობა იგრძნობოდა.

მანქანის დამტვრევასთან ერთად, ჩემი ცხოვრებაც შეჩერდა. შეჩერებამდე მეგონა, რომ ყველაფერი ჯერ კიდევ წინ იყო – სიყვარულიც და სინანულიც. მეგონა გრძნობა ბევრჯერ მოვიდოდა და როცა მოვიცილდი, მაშინ გაუფლებდი კარს. სინანულიც ბევრჯერ უარყავი და პატიება არ მითხოვია.

ვერ წარმომედგინა, რომ სადმე გავჩერდებოდი. დამთავრდა სპექტაკლის პირველი მოქმედება და დაიწყებოდა თუ არა მეორე, ეს თავად უნდა გამამეწყვიტა. მეორე მოქმედების დაწყება კი იმაზე იყო დამოკიდებული, რამდენად სწორად გადავბამდი გზას.

მნახველების ნასვლის შემდეგ, ხარბად ვუყურებდი მაგიდაზე დაყრილ დამამშვიდებლებს. ყოველ დღე თითო აბს ვიპარავდი. მეგონა, რომ გზა ჩემს ხელთ იყო და როდესაც მოვისურვებდი შევწყვეტიდი სიცოცხლეს...

არაფერი მაკლდა. ერთადერთი, რასაც გამუდმებით ვითხოვდი – იყო სარკე. ყველა ცრუობდა, თავს არიდებდა ჩემს თხოვნას. ცხოვრება გაურკვეველ სიზმარს დაემსგავსა, სადაც სიცრუე და სიმართლე ველარ გამერჩია ერთმანეთისაგან... მოდიოდნენ, მამშვიდებდნენ, მაგრამ სარკეში არ მახედებდნენ. (სარკე ხომ სიმართლე იყო) უკვე ვხვდებოდი, რომ ჩემს თავს ველარ ამოვიცნობდი

დამსახურებული სიბრაღული ძნელი ასატანი იყო... ვგრძნობდი, ამ ხალხს აღარ ვეკუთვნოდი, საზოგადოებისათვის ზედმეტი ბარგი, მახინჯი არსება ვიყავი...

ყოველ დღე ჩემს პალატაში ისმოდა სულისშემძვრელი სიტყვები: „გადამირჩინეთ! ხომ გადარჩება?!“ – ვგრძნობი, რომ ემოციები სადღაც მიქრებოდა. მათ სასოვნარკვეთილ ამოძახილებს ყოველდღიურ სასაუბრო სიტყვებად მივიჩნევდი...

სალამობით არავინ მოდიოდა. მარტო ვერჩებოდი კედლებთან. ღამე ფანჯრიდან ვიხედებოდი. ვაკვირდებოდი სახლებიდან გამოსულ მოციმციმე შუქებს. დიდ ქალაქში ცხოვრება დულდა. ვფიქრობდი იმ ადამიანებზე, რომლებიც თვლიდნენ, რომ ბევრი დრო ჰქონდათ. მათ სამყაროში შესული წარმოვიდგენდი, როგორ სტყენდნენ ერთმანეთს გულებს – ეგონათ რომ სინანულს მოასწრებდნენ. მე ახლა ვნანობდი დაგვიანებული სინანულით. გზის გაგრძელება შემეძლო, თუ დავიჯერებდი, რომ სპექტაკლის პირველი მოქმედება დამთავრდა. მაგრამ არვინ მაძლევდა სიმართლე – სარკეს. ამიტომ დიდხანს ვიყავი გაჩერებული და გზის გაგრძელება მიჭირდა.

ასე გადიოდა დრო...

დილაუთენია მეგობარი დამადგა თავს. გაიღვიძეო – დამიყვინა. მისმა უხეშმა ტონმა გამომარკვია. (სხვები „კარგად“ მექცოდნენ)

და ნანწყენმა შეეხედე. რას მიყურებო, – მითხრა. რაღაც ნივთი ლოგინზე დამიგდო და კარი გაიჯახუნა. სარკე იყო... ჩემი სურვილი ასრულდა, მაგრამ ძალიან შემეშინდა, მაინც გავბედე და ჩავიხედე: ნაიარევმა ორეულმა შემომხედა. ვინ ხარ – მეთქი ვკითხე, ხმა არ გამცა. ხმა ამოიღე თორემ მოგკლავ – მეთქი, – ისევ დუმდა... დიდხანს ვუყურებდი... გამეცინა, სარკე დავახეთქე და აბებს დაუწყე ძებნა. ორეულის სიცოცხლე ახლა ჩემს ხელთ იყო. მსხნელი აბები

მუჭში მოვიგროვე – დრო ისევ შეჩერდა... ეხლა უკვე მეორედ ვიგრძენი სიკვდილის კოცნა, სიკვდილი ახლა მე მეკუთვნოდა. იგი ჩემს ყველა სურვილს შეასრულებდა.

გადავიფიქრე, ცოტა ხნით გადავდე...

განცდა იმისა, რომ ცოტა დრო კიდევ მქონდა, ბედნიერს მხდიდა, ეს დრო სიყვარულსა და სინანულზე უნდა გამენანილებინა. თავს აღარ მედგა მოსამართლე – ჯალათი სარკე და აღარ მახრჩობდა ჩემი იარები.

ტყეებზე, მინდვრებზე, ზღვებსა და მდინარეებზე ვოცნებობდი. მინდოდა დამეკოცნა ბალახი და ყვავილებში დავნოლილიყავი. გიჟად რომ არავის ჩავეთვალე არასოდეს განმიხორციელებია ეს სურვილი.. ახლა კი მზად ვიყავი მთელ სამყაროს გიჟად შევერაცხე.

ჩიტები დაბლა დაფრინავდნენ... წვიმას აპირებდა... სახსრების ტკივილმა შემახსენა თავი. უკვე დავდიოდი. ტკივილი არაფერი იყო იმ სიხარულთან შედარებით, რასაც სიარული მანიჭებდა. ჩავიცვი, გარეთ გავედი... უკვე წვიმდა..

ასეთი წვიმა არასოდეს მინახავს. ტროპიკულ წვიმის ნვეთებს თან ერთვოდა ჩემი ცრემლები. მივდიოდი და სველ სივრცეს მივარღვევდი. ჩემს გარდა ქუჩაში არავინ იყო... გუბებში ვხტებოდი, ვსველდებოდი... ასეთი მოძრაობა თითქოს მთლიანობიდან იყო ამოვარდნილი. ჩემს გარდა ქუჩაში არავინ იყო. მერე ვილაცხევი გამორჩენენ, თავპირისმტვრევით გარბოდნენ კაფეებისაკენ, მინისქვეშა გადასასვლელებისაკენ. თავშესაფარს ეძებდნენ გზაარეულები. ბევრი რამ ჰქონდათ დასაკარგი: ჯანმრთელობა (წვიმაში გაცივდებოდნენ), გარეგნობა (სალონში დავარცხნილი თმა.) ნივთები (ფეხსაცმელები, ჩანთები, ტელეფონები)

ამიტომ გარბოდნენ, არც კი იცოდნენ რა ღამაში იყო ქალაქი წვიმაში – უჩვეულო და მგლოვიარე... სახეზე არავინ მიყურებდა, სხვა დროს ალბათ მკითხავდნენ ტირილის მიზეზს. ახლა კი ჩემი ცრემლები და წვიმა ერთი მთლიანობა იყო...

უყურებდნენ მხოლოდ ამ მონოტონურ მოძრაობას და უკვირდათ, რატომ არ გავრბოდი მათთან ერთად.

წვიმისა და ცრემლებისაგან განვიბანე. მეგობართან ვაპირებდი გავლას. ზუსტად არ მახსოვდა მისი ბინა, უბრალოდ ვიცოდი ის სახლი, რომლის აივანზეც წითელი პირსახოცები იყო გაფენილი. პირსახოცები აეკრიფათ... წვიმდა...

იყო დღეები, როდესაც მახსენდებოდა ჩემი იარები, მაშინ გამუდმებით სარკეში ვიხედებოდი. შევეგუე იმას, რომ ველარ ვიცეკვებდი. კონცერტებზე მაინც დავდიოდი და ვუყურებდი მათ ცეკვას. შემდეგ მეგობრების მონახულებაც დავიწყე. ისინი ჩემს მიმართ გაუცხოვებულები ჩანდნენ. მათ ვუყვარდი, მაგრამ ვეცოდებოდი – ეს გრძნობა ჩვენს შორის თანასწორობას არღვევდა.

ამ ხნის განმავლობაში იმ რწმენით ვსულდგმულობდი, რომ დრო იყო ყოვლისშემძლე და ადრე თუ გვიან წელიწადების ბრუნვა ყველაფერს შეცვლიდა. ამ რწმენით გავითავისე იარები – ისინი ჩემს განუყრელ ნაწილებად მივიჩნიე.

დროის სვლასთან ერთად ვცდილობდი ახალი ადგილის პოვნას მზისქვეშეთში. თეორიულად ვიცოდი, რომ ყველა არსებას თავისი განუმეორებელი ფუნქცია გააჩნდა. საერთოდ, თეორიულად ყველაფერი უფრო ადვილია, ვიდრე პრაქტიკულად. ნააზრევის ცხოვრებაში გადატანა ძალიან მიჭირდა. სასონარკვეთილი ადამიანი-სათვის საჭირო იყო რწმენის დაბრუნება, რაც დამეხმარებოდა ადამიანად განხორციელებაში.

და კვლავ მოვიდა ჩემი სიმართლე. ის ადამიანი, რომელმაც სარკეში ჩამახედა. მითხრა, რომ ჭეშმარიტების ბილიკამდე მიმიყვანდა. დამაყენებდა გზაზე, რომელიც მარტო უნდა გამევიღო – მითხრა, რომ ბილიკამდე მისასვლელად საჭირო იყო მრავალფეროვნება. არცერთი დღე არ უნდა ჰგვანებოდა ერთმანეთს, არ მეცხოვრა წარსულით, რადგან წარსული ისედაც არსებობს ჩვენში შედეგების სახით. გამეხსენებინა მეგობრები თავიანთი პრობლემებით, დავხმარებოდი მათ ამ პრობლემების მოგვარებაში –

რასაც ბოლო დროს აღარ ვაკეთებდი, რადგან, მეგონა, რომ ჩემი ცხოვრება მათსაზე მძიმე იყო. მესამე პირობა იყო მოგზაურობა.

ვმოგზაურობდი, დავდიოდი უცნობ ქუჩებში, ვაკვირდებოდი უცხო ადამიანებს, არ ვესაუბრებოდი, მაგრამ მესმოდა მათი სხეულის ენა, ვითავისებდი მათ პრობლემებს, რასაც ასე გულმოდგინედ მალავდნენ. ვეცნობოდი ადამიანებს მთელი მათი სიცრუე – სიმართლით და ვხვდებოდი, რომ სულ ცოტა ხანში რალაცას მივხვდებოდი.

დროთა განმავლობაში პროფესია შევიძინე, რომელსაც ადამიანთმცოდნეობა დავარქვე. ვწერდი მათ ცხოვრებაზე, მათ უბედურება – ბედნიერებაზე და ჩემი ცხოვრებაც თანდათან იძენდა ახალ აზრს.

თვითონაც ვერ მივხვდი, როგორ მივალნიე ჭეშმარიტების ბილიკამდე, ვცხოვრობდი საზოგადოებაში და მის ინტეგრალურ ნაწილს წარმოვადგენდი.

დაუპინძარი სახელები

ციალა (ეთერ) თოფურიძე

ლეილა გამსახურდია

ლექსების კრებულის – „მე არ მოვკვდები, როცა მოვკვდები“ – ყდას ამშვენებს მისი ავტორის, ლეილა გამსახურდიას სურათი. სათნო, მიმზიდველი, ოდნავ მომღიმა რე სახეს თვალს ვერ ვუსწორებ, ვერ ვუყურებ, ვერ ვეგუბები იმ აზრს, რომ იგი ცოცხალი აღარ არის.

ჩემო საყვარელო ლეილა! ხშირად გიგონებ, შენზე ბევრს ვფიქრობ, რომც ვეცადო, ვერ გივიწყებ. შენ ახლა რომ შეძლო ეს სიტყვები წაიკითხო, ალბათ შენებურად გაიცინებდი და მეტყობდი, რა საჭიროა ასეთი ლირიკული გამოთქმები, განა თავისთავად არ არის ცნობილი, რომ ჩვენი ცხოვრება, ჩვენი არსებობა უერთმანეთოდ წარმოუდგენელი იყო; სამწუხაროდ, იყო. შენ აღარ ხარ ჩვენს გვერდით. მაგრამ იმდენი მოსაგონარი დაგვიტოვე, რომ შენი მეგობრები, ნათესავები, ახლობლები შენზე ვსაუბრობთ ხშირად, როგორც ცოცხალ ლეილაზე.

მთელი სტუდენტური წლები ერთად, განუყრელად გავატარეთ. შენს მომხიბლავ გარეგნობას შენი ნათელი გონება და ფართო ერუდიცია ამშვენებდა. მეტად ნიჭიერი, საქმიანი, უაღრესად სერიოზული სტუდენტი იყავი. მე მუდამ მაოცებდა შენი ფენომენური მეხსიერება. იყო დღეები, როდესაც ორასი ინგლისური სიტყვა გისწავლია და დაგისხომებია.

თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენს თაობაში ლეილა გამსახურდია აღიარებული იყო როგორც გამორჩეული სტუდენტი, არამარტო როგორც ინგლისური ენის ბრწყინვალე მცოდნე, არამედ ჩვეულებრივი განათლებული და კარგი მოაზროვნე.

ჭკვიანი იყავი და თანაც ლამაზი, მომხიბლავი, რაც ესოდენ იშვიათია, მაგრამ უფრო იშვიათი ისაა, რომ არც ჭკუა და არც ქალური სილამაზე-სინატიფე ხელს არ გიშლიდა, ყოფილიყავი ყველას მოსიყვარულე – მეგობრის თუ ნათესავისა, შემდგომში შევიღისა თუ შეილიშვილისთვის ხომ საოცრად თავდადებული იყავი. ადამიანური სითბო ყველასთვის გყოფნიდა. რაც მთავარია, ესოდენ დაძაბულ ცხოვრებაში არ გლალატობდა სიცოცხლის სიყვარული და გამორჩეულად იუმორის გრძნობა. რაც უნდა გავგჭირვებოდა, მაინც ახერხებდი ხუმრობას, მახვილ-სიტყვაობას, მძიმე გარემოს შემსუბუქებულ საშუალებას ეძიებდი. ბუნებით იყავი მომთმენი, მიმტყვებელი, პატიება გეხერხებოდა, გაჯავრება არ შეგეძლო, შენი კეთილგანწყობა უსაზღვრო იყო.

ბევრ გაჭირვებას იტანდი დანყებული ბავშვობიდან სიცოცხლის ბოლო წლებამდე, მაგრამ ნუნუნი არა გჩვეოდა, სხვას არ აწუხებდი. შენი გასაჭირი ბავშვობიდან დაიწყო, როცა 37-ში ჯალათებმა მამა წაგართვეს და ობლად დაგტოვეს.

ლეილა იყო რჩეული რჩეულთა შორის, ძლიერი ძლიერთა შორის. ეს ნათქვამი ლიტონ სიტყვებად რომ არ დარჩეს, მის სარწმუნოდ ზოგი ფაქტი მაინც უნდა გავიხსენოთ. ეს გამოჩნდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მისი სტუდენტობის პირველი დღეებიდანვე, 1943 წლის სექტემბრიდან. მაშინ სხვათა შორის ლეილა და მე პირველად შევხვდით ერთმანეთს და ამიერიდან დავრჩით განუყრელ მეგობრებად. ჩვენი ჯგუფი –

ფილოლოგიის ფაკულტეტის ინგლისურენოვანი ჯგუფი – გამოირჩეოდა თავისი აკადემიური მოსწრებითა და პიროვნული ღირსებებით. ამ ჯგუფის სტუდენტთა შესახებ ბევრი რამაა სასიკეთოდ მოსაგონარი. მაგრამ ეს იყო მძიმე პერიოდი, ომის მძვინვარება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც მწვავედ იგრძნობოდა, შეიძლება ითქვას, უნივერსიტეტი ცარიელი იყო, ვაჟები ჯარში იყვნენ განწვეულნი, ბევრი ფრონტზე ომობდა, ბევრნიც დაიღუპნენ, არც გოგონები ენაფებოდნენ სწავლას. უცხო ენების სასწავლებლად კანტი-კუნტად შედოდნენ უნივერსიტეტში გოგონები. მეტიც, საკმარისი იყო სულ სამეზიანი ატესტატი ჰქონოდათ სკოლიდან მოსულებს, მათ მაშინვე ყოველგვარი მისაღები გამოცდების გარეშე ლებულობდნენ ნებისმიერ ფაკულტეტზე. უცხო ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი ცალკე არ არსებობდა, ფილოლოგიის ფაკულტეტის სექტორად ითვლებოდა.

ომის ვითარებამ მოგვიანებით გავლენა იქონია უცხო ენების შესწავლაზე, ინგლისური ენის მიმართ გაჩნდა გარკვეული ინტერესი. ამიტომ იმ წელიწადს ინგლისურ ჯგუფში დადგენილ რაოდენობაზე მეტი, ოცდათხუთმეტი სტუდენტი ჩარიცხეს. მათ შორის ვიყავით ჩვეიც. სწავლა იოლი არ აღმოჩნდა, რადგანაც ინგლისურ ჯგუფს განსაკუთრებით ხელმძღვანელობდა ბატონი ერეკლე ტატიშვილი, უშიშროების საპატიმროში ნანამები და ახალგაზომშვებული. პრინციპული, დიდად მომთხოვნი პედაგოგი. იგი ინგლისურ ენასთან ერთად დიდ ყურადღებას უთმობდა ზოგად განათლებასა და აზროვნების უნარის გამოშვებას. თუმცა უნივერსიტეტის რექტორატი ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი სტუდენტობა ჰყოლოდა, შეენარჩუნებინა ისინი, მაგრამ ბატონ ერეკლესათვის მთავარი იყო არა რაოდენობა სტუდენტებისა, არამედ უკეთესი მომზადება. სწავლის დონე. ამიტომ უნარმოკლებულ სტუდენტებს იმთავითვე უშვებდა ჯგუფიდან. ასე რომ, იმ ოცდათხუთმეტიდან მხოლოდ ათმა მიაღწია მეორე კურსამდე, უნივერსიტეტი დაამთავრა მხოლოდ ხუთმა სტუდენტმა. იმ დროისათვის, სამწუხაროდ, ბატონი ერეკლე უკვე ცოცხალი აღარ იყო. აქვე ისიც უნდა გავიხსენო, რომ 1948 წელს ინგლისური სექტორი დაამთავრა ათმა სტუდენტმა, რომელთაგან დანარჩენი ხუთნი შემდგომ მაღალ კურსებზე შემოურთდნენ ჯგუფს.

აქვე უნდა მოვიხსენიო ისიც, რომ ამ დროისათვის ფილოლოგიის ფაკულტეტს გამოეყო უცხოური განყოფილება და ჩამოყალიბდა ცალკე დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი. ეს იყო ომისშემდგომი პერიოდი. საბედნიეროდ, სწორედ მაშინ ინტელექტი, გონებრივი აქტიურობა კვლავ დაფასდა. დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის პირველი გამოშვება და უმთავრესად ინგლისური ენის სპეციალობის კურსდამთავრებულები, იგივე ჩვენი ჯგუფი, გამოუკლებლო პასუხობდნენ დროის ამ მოთხოვნილებას და მათ შორის კვლავ პირველობდა ლეილა.

საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო, რომ ლეილა არ იმყოფებოდა ამბიციის ტყვეობაში, პირიქით, უშუალოდით, თბილი მეგობრული ურთიერთობით, თავმდაბლობით თანაკურსელებთან ერთად მუდამ ცდილობდა შეგვეუბოდით ჩვენს უღიმღამო ყოფას, ომისა და მომდევნო წლების მძი-

მე პერიოდს, გადაგველახა სიდუხჭირე. დაუვინყარია მისი კეთილგანწყობა ყველას მიმართ.

აქვე უნდა გავიხსენო სტუდენტობის წლებში სიდუხჭირესთან, მატერიალურ გასაჭირთან, სილატაკესთან ჩვენი ბრძოლის ზოგი ეპიზოდი. ლექციებიდან რომ ვბრუნდებოდით, გზაზე უნდა ჩაგვევლო ახალგაზსნილ კომერციულ მაღაზიასთან, რომლის ვიტრინა გამოჭედელი იყო გემრიელი ნამცხვრებით. ჩვენ, უჭმელ-უსმელ სტუდენტებს, მათი ყიდვის არავითარი სახსრები არ მოგვეპოვებოდა. მაღაზიას როგორც კი მივუახლოვდებოდით, ჩვენი ჯგუფელი ნიკო ყიასშვილი ვიტრინის მხრიდან ამოგვიდგებოდა და რაიმე ისეთის მოყოლას დაინყებდა, რომ მისთვის გვესმინა და ვიტრინისკენ როგორმე არ გაგვეხებდა. გავცდებოდით თუ არა ნამცხვრების მაღაზიას, ლეილა გულიანად იცინოდა, თან ნიკოს აქებდა, რომ ასე მარჯვედ გვიხსნა ნამცხვრების თვალიერებისაგან, ყიდვაზე ფიქრიც ხომ ზედმეტი იყო. ასეთი წვრილმანი ბევრი მაგონდება: ლეილა კობტა გოგო იყო. მახსოვს, ხავერდის ქუდები ბევრმა დაიხურა და არც ჩვენ ჩამოვრჩით, სადღაც სახლში ძველმანებში ნახმარი ძველი შავი ხავერდის ნავლეჯები გამოვქებნეთ და ბერეტები შევიფრეთ. ლეილას ეს ხავერდის ქუდი კობტად ეხურა. ერთხელ ერთმა ჩვენმა ჯგუფელმა გონებამახვილურად გვითხრა, ლეილასა და შენ, თქვენ ორივეს ერთნაირი „ბლინები“ გახურავთ, ოღონდ, როგორც ყოველთვის, ლეილასი კობტა და პრეტენზიულიაო. მართლაც, ლეილას ქუდისთვის წინ ამოედო მუყაო, ქუდი ლაზათიანად მოერგო და ამშვენებდა. როგორ არ გავიცინებდით ამგვარ გონებამახვილურ შენიშვნაზე. ეპიზოდები მრავლად შემოგვერჩა მოსაგონრად იმ დუხჭირი წლებიდან.

ერთხელ ლეილა და მე გამოცდაზე მივდიოდით. გადაულელებოვ წვიმდა. მე შინ ძლივს აღმოვაჩინე ერთი დანჯღრეული ძველი ქოლგა. რა გზა გვქონდა, ქოლგა ნავილეთ და ორივემ გადაწყვიტეთ როგორმე თავი შეგვეფარებინა, მაგრამ ქოლგა „ჯიუტობდა“, დრო და დრო თავისით იკეცებოდა და თავზე გვეცმებოდა. ჩვენ მაინც არ შევეპუეთ, ქოლგა დავიჭირეთ, რამდენჯერმე ძლივს გავშალეთ და დავთქვით, თუ ეს ქოლგა თავისთავად აღარ დაიკეცება, მაშინ გამოცდას კარგად ჩავაბარებთო. მთელი გზა სიცილით ვიგუდებოდით. წვიმაში ქოლგის ტარს ვებლაუჭებოდით და ბოლოს გადავრჩით, ქოლგამ აღარ გვიმტყუნა და იმ წვიმაში უნივერსიტეტამდე ისე მივალწიეთ, არ დაკეცილა. გადავრჩით, გამოცდაც ჩავაბარეთ, ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ქოლგის ეპიზოდი რა მოსატანი იყო, მაგრამ ის თავისთავად მეტყველებს, რომ მაშინ მეგობრებს ასეთი წვრილმანებიც კი გვამხნეებდა და გვახალისებდა.

სხვათა შორის, ნიშანდობლივია ქოლგის ეს ეპიზოდი: ის თითქოს მთელს ჩვენს ცხოვრებას შეესაბამება. ლეილა და მე ცხოვრობდით ამგვარი დანჯღრეული ქოლგის ქვეშ, 37 წლისა და ომის კომმარული ატმოსფეროს ქვეშ, მაგრამ მაინც არ ვეპუებოდით გარემოს. მადლობა ღმერთს, ცხოვრების სიდუხჭირისა და შიშის ქოლგა დახვრეტილ-დანჯღრეული ბოლომდე არ ჩამოგვეცვა თავზე, არ გვეგუა და ჩვენც სამშვიდობოს გამოვალწიეთ.

ლეილა ტყუილად კი არ მეუბნებოდა შემდგომ, გახსოვს უნივერსიტეტში კიბეებზე ასვლა-ჩამოსვლის დროს

ორ-ორ საფეხურს ვახტებოდით, გვიჭირდა, მაგრამ ახალგაზრდები თავს მაინც ლალად ვგრძნობდითო. დღე და ღამეს ვასწორებდით სწავლასა და შრომა-გარჯაში.

ყველაზე დიდი სიამოვნებით ვიგონებ ლეილასა და ჩემს ხშირ სეირნობას თბილისის ქუჩებში დაწყებული რუსთაველის გამზირიდან ძველი თბილისის უბნების გავლით. მთანმინდის პანთეონისა და ფუნიკულორის ხშირი სტუმრებიც ვიყავით, უმეტესად ფეხით ავდიოდით. ტკბილი მეგობრული საუბრით, ხან მსჯელობით, ხან კამათითაც გავივლიდით კარგად ნაცნობ, საყვარელ ადგილებს. ამიტომაც არ მიკვირს, რომ ჩემდამი მოძღვნილ ლექსში სწორედ ჩვენს გასეირნებებს იგონებს ლეილა. დრო და დრო თავისებურ იუმორსაც ჩართავდა ხოლმე საუბარში. ერთხელ, მახსოვს, აპრილისათვის უჩვეულო სუსხიან საღამოს რუსთაველზე საკმაოდ ცარიელ ქუჩაზე მივბაძვებდით სიცივისგან აბუზულები. ერთი კაცი მოდიოდა, ზაფხულის თეთრ ტილოს ტანსაცმელში გამონყობილი, თეთრი ტილოსვე ქუდი ეხურა, ტილოს ფეხსაცმელებიც თეთრი ეცვა და სიცივით კანკალებდა.

„საწყალი კაცი, – მითხრა ლეილამ, – ეტყობა კალენდარს დახედა და ისე გამოვიდა სასეირნოდ“. ორივემ გულიანად გავიციინეთ ამ სიტყვებზე. ლეილას ყოველ ხუმრობას თავისი ხიბლი ჰქონდა, თავისებურად იყო გააზრებული. ამ შემთხვევაზე შეიძლება ითქვას, რომ იგულისხმებოდა, კანონის ბრმა მორჩილება ზოგჯერ ადამიანს სულელურ საქციელამდე მიიყვანს. როგორც ამ ეპიზოდთან ჩანს, ზოგჯერ კალენდარიც კი „ტყუის“, აცთუნებს ადამიანს.

მოსაგონართა შორის განსაკუთრებული სიამოვნებით ვიხსენებდით ლეილა და მე, თუ როგორ შეუპოვრად ვძვრებოდით ელექტრონის ბოძის ქვედა რკინის ნაწილებზე. ზოგჯერ ლეილას სახლიდან გზად უნდა გაგვევლო იქვე ინგოროყვას (მაშინდელი ძერჟინსკის) ქუჩა, სადაც ბატონი ერეკლე ტატიშვილი ცხოვრობდა. მის სახლს გულგრილად ვერ ჩაუვლიდით. პირველ სართულზე ცხოვრობდა. მისი ფანჯრის პირდაპირ იმ ვინო ქუჩის მეორე მხარეს ელექტრონის ბოძი იდგა, მის რკინის ქვედა ნაწილებზე ავძვრებოდით ხოლმე და ვხედავდით თავის ერთადერთ პატარა ოთახში, სადაც ძლივს ეტეოდა ერთი ტახტი და საწერი მაგიდა, ბატონი ერეკლე ამ მაგიდასთან იჯდა და მუშაობდა, წერდა ან კითხულობდა. ბოძიდან უმაღლ ჩამოვხტებოდით და გალაღებული ვაგრძელებდით გზას. ბოძზე ეს ძრომა ერთგვარად ბავშვურიც იყო და თანაც ჩვენთვის დიდად შთამაგონებელი. ჩვენ ხომ ბატონი ერეკლეს სტუდენტები ვიყავით.



ლეილა გამსახურდია

ბატონ ერეკლე ტატიშვილს, ევროპაში განათლებამიღებული, იქ წლობით ნაცხოვრებს, მის კულტურას ნაზიარებს, მახვილად მოაზროვნეს, პრინციპულსა და კეთილშობილ, მიმზიდველ პიროვნებას განსაკუთრებით თავყვანს სცემდნენ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, ქართველთა მოწინავე საზოგადოება, სტუდენტობა და, რა გასაკვირია, რომ ჩვენც მისი მოთაყვანე ვიყავით, მისი დანახვაც კი გვიხაროდა, მუშაობის, სწავლის პროცესში ყოველმხრივ კიდევ ვბაძავდით, თან ვცდილობდით მისი შექება, მონონება როგორმე დაგვემსახურებინა, რაც, სხვათა შორის, არც ისე იოლი იყო.

ბატონ ერეკლესთან დაკავშირებით ერთი საგულისხმო ეპიზოდი არ მაინცდება: ფრიადოსანი სტუდენტებისათვის, მათ შორის ლეილასა და ჩემთვისაც, სახელობითი სტიპენდია უნდა დაეინიშნათ, მაგრამ არ გვინიშნავდნენ, რადგანაც არ ვიყავით კომკავშირლები. მაშინ ბატონმა ერეკლე ტატიშვილმა, თვითონ საბჭოთა პოლიტიკურ ციხეში ნანამებმა და ძლივს გამოშვებულმა, რომელსაც მხოლოდ უცხოენის (ინგლისურის) სწავლების უფლება მისცეს (თუმცა საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი იყო, უცხოეთში ჰქონდა დამთავრებული ეს ფაკულტეტი და ამიტომაც აუკრძალეს სპეციალობით მუშაობა), ასე მოგვმართა: „ჩვენ გვითმენდნენ, თქვენ კი არ მოგითმენენ“-ო.

კარგად მახსოვს ეს სიტყვები თავისებურად, რიხიანად, რუსულად წარმოთქვა. თვითონ შევიდა უნივერსიტეტის ალკა-ს კომიტეტში, ჩვენს შესახებ მოელაპარაკა კომიტეტის მდივანს. ჩვენ კომკავშირში მისაღებად განცხადებები დაგვანერინეს, ჩავვრიცხეს და ამის შემდეგ სახელობითი სტიპენდიები გვაღირსეს.

ლეილა თავისი ოჯახური გამოცდილებისა და გამწარების გამო პოლიტიკაზე არასოდეს არაფერს ამბობდა, ყველაფერს უხმოდ ითმენდა, დუმდა და თან მუყაითად ეუფლებოდა სპეციალობას.

ლეილა და მე იმ ბედნიერ თაობას ვეკუთვნოდით, რომელიც ბატონ ერეკლე ტატიშვილს მოესწრო და წილად ხვდა ორ-ნახევარი წელი მისი მონაფე ყოფილიყო. ბატონ ერეკლეზე ბევრი დაინერა და მომავალში უფრო მეტი დაინერება.

ლეილა გამსახურდია იყო ღირსეული პედაგოგის, მოაზროვნის, პროფესორ ერეკლე ტატიშვილის გამორჩეული მონაფე.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ბევრჯერ ნათელჰყო ლეილამ, რომ გამორჩეული ნიჭისა და შემოქმედებითი უნარის პიროვნება იყო. ჯერ ერთი, მოსკოვის ტორე-

ზის სახელობის უცხო ენათა პედინსტიტუტის ასპირანტურის წარმატებით დამთავრების შემდეგ ინგლისური ფონეტიკის განხრით დაიცვა იქვე სამეცნიერო ხარისხი, რომელიც იმ დროს იყო ქართულ-ინგლისურენოვან სპეციალისტთა შორის პირველი საკანდიდატო დისერტაცია. ამას მოჰყვა ლეილას შეუწელებელი მეცნიერული მუშაობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ფონეტიკის ლაბორატორიის შექმნა და ხელმძღვანელობა. ცხადია, კიდევ უფრო სრულყო და თან ასწავლიდა ინგლისურ ენას. სამწუხაროდ, მძიმე ავადმყოფობის გამო, ვერ მოასწრო სადოქტორო ნამუშაოს – „პოეტური ტექსტის სემანტიკური სტრუქტურა და მისი პროსოდიული თავისებურებანი“ – დაცვა. ალბათ ეს მონოგრაფია მოკლე ხანში გამოიცემა და დიდ ინტერესს გამოიწვევს სპეციალისტთა შორის. ლეილამ პირველმა შეადგინა ქართულ-ინგლისური სასაუბრო, რომელიც ისე კარგად გააზრებული და საჭირო აღმოჩნდა, რომ რამდენჯერმე გამოიცა. ხოლო მისი შრომების, გამოკვლევების, სტატიების ნუსხა შორს წავიყვანს. აქვე უსათუოდ უნდა მოვიხსენიოთ ის მოულოდნელი ფაქტი, რომ მძიმე ავადმყოფობის დროს ლეილამ ლექსების წერა დაიწყო.

ინგლისური ენის მენტორი თითქოს უცხო ენასა და კულტურას ეზიარა და ეთავყვანებოდა და აქ დაესვა წერტილი მის შინაგან მისწრაფებებს. არა, ეს ასე როდი იყო. სინამდვილეში პროფესიონალიზმმა ვერ დაჩრდილა, ვერ დათრგუნა, ვერ გადასძლია მის არსებაში მშობლიური ქვეყნის ღრმა განცდა. თბილისში მთაწმინდის გულში დაბადებულსა და აღზრდილს, ბუნებრივია, ცნობიერად თუ ქვეცნობიერად გულში მუდამ უღვივოდა მშობლიური მიწისა და კულტურის შეუწელებელი სიყვარული. ეს სიყვარული ხშირად მოულოდნელად იფეთქებდა. როგორც კი დროს იხელთებდა, მაშინვე ქართველ მწერალთა შედეგების ინგლისურ ენაზე თარგმნას ცდილობდა და ყოველთვის წარმატებითაც. ამის შედეგი გახლავთ მის მიერ ინგლისურად თარგმნილი ვაჟა-ფშაველას პროზა. არანაკლებ საგულგონო ხმობა მის მიერ ქართულ ენაზე თარგმნილი ინგლისურენოვანი ლიტერატურის შედეგები, შესრულებული დახვეწილი გემოვნებითა და მხატვრული ტექსტის ღრმა ცოდნით.

ქართველ მკითხველს ლეილამ დაუტოვა ედგარ პოს ლირიკის შესანიშნავი კრებული, რომელიც საყურადღებოა არამარტო ამერიკელი პოეტის რთულ თავისებურ მხატვრულ სახეთა, რითმისა და რიტმის ქართულ ენაზე ადეკვატური გადმოცემითა და ჟღერადობით, არამედ იმითაც, რომ კრებულს ერთვის მთარგმნელის, ლეილა გამსახურდიას ედგარ პოს შემოქმედების იმგვარი განხილვა, ისეთი ღრმა ფილოლოგიური ანალიზი, რაც მართო ლინგვისტიკის სფეროს არ განეკუთვნება, არამედ გამოცდილი ლიტერატურათმცოდნის საგულისხმო გამოკვლევად უნდა ჩაითვალოს.

ეს კრებული ლეილა გამსახურდიამ მიუძღვნა ბატონ ერეკლე ტატიშვილის ნათელ ხსოვნას.

სიყვარულითა და რუდუნებით ლეილამ იმიტომაც თარგმნა ინგლისურენოვანი რომანტიკული პოეზიის შედეგები ქართულ ენაზე, რომ თვითონაც ლირიკოსი პოეტი იყო, ოღონდ არ იჩემებდა პროფესიონალი პოეტის სახელს, ყოველთვის, ყველაფერში და ყველგან პოეზიით სულდგმულობდა. ამის მაუწყებელია მისი ლექსების ერთადერთი კრებული.

სხვათა შორის ინგლისურადაც წერდა და კიდევ გამოაქვეყნა ამავე კრებულში თავისი ლექსებიც. უცხოენოვანი პოეზიის სტიქია მისთვის არ აღმოჩნდა უცხო, პირიქით, თავისუფლად და ლაღად ფლობდა ინგლისურ ლექსთწყობას. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ მისმა ინგლისურ ენაზე დაწერილმა ერთ-ერთმა ლექსმა ინგლისურენოვან ქვეყანაში – ამერიკის შეერთებულ შტატებში – წარმატება მოიპოვა და იქვე დაისტამბა პოეზიის ერთ-ერთ ანთოლოგიაში.

მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ გატკეპნილ გზას არ მიჰყვებოდა, არც ექსპერიმენტატორობდა, ლექსის ტექნიკის ძიებით არ კოკეტობდა, მოდას კი არ იყო აყოლილი, არამედ ცდილობდა უშუალოდ გამოეხატა თავისი მდიდარი, მოუღვევარი, მრავალფეროვანი სულიერი სამყარო, სიხარული და სატკივარიც. სატკივარი კი, ფიზიკური და სულიერიც მძიმე ავადმყოფობით დაძაბუნებულს სიცოცხლის ბოლო წლებში დიდად ანამებდა. ცდილობდა ავადმყოფობის შემოტევა პოეზიით დაეძლია, შემოქმედებაში ეძიებდა თავდავიწყებას. ცდილობდა ავადმყოფობას არ დამორჩილებოდა, სულიერად არ დავარდნილიყო, სიხარულს ეძიებდა, სიცოცხლისათვის იბრძოდა, სწორედ ამ განცდების შედეგია მისი ორიგინალური პოეზია, აღსავსე ახალგაზრდობის მოგონებებით, ბუნების მშვენიერების სურათოვნებით, მედიტაციებით სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემებზე...

ლეილა გამსახურდიას პოეტურ ბიოგრაფიაში ჩართულნი არიან მისი ახლობლები, მეგობრები; განსაკუთრებული სათნოებით მიმართავს დედას, დას, ქმარს, შვილს, შვილიშვილს, ახლობლებს, მაგრამ მათდამი მიძღვნილ ლექსთა შორის მწვავე გულისტკივილით გამოირჩევა მამისადმი მიძღვნილი სტრიქონები, რომლებიც გვაუწყებს რეპრესირებული მამის, მისი ოჯახისა და მასთან ერთად ჩვენი ქვეყნის ტრაგიკულ წარსულს. და მაინც, ამ სტრიქონების ავტორს სიცოცხლე ისე უყვარდა, იმხელა ხალისი ჰქონდა, რომ ახლობლებს მფარველობდა და ამხნევებდა, თვითონაც ცდილობდა სიმხნევე მუდამ შეენარჩუნებინა, თითქოს ვერც კი წარმოედგინა, რომ როდისმე სიკვდილი მოერეოდა.

ლეილას 15 ნოემბერს მის დაბადების დღეს ყოველთვის ვულოცავდი და უსათუოდ ვწვევოდი. ერთ-ერთ ასეთ დღეს ლეილასთან ვიჯექი სუფრასთან. უკვე რამდენიმე წლის ავადმყოფი იყო და შინიდან თითქმის არ გამოდიოდა. ოჯახს მაინც მარჯვედ უძღვებოდა და არც საუნივერსიტეტო საქმეებს ლაღატობდა. იმ დღეს მოულოდნელად მკითხა: „ჩემს პანაშვიდზე ხომ მოხვალ“. ნამდვილად უცნაური შეკითხვა იყო. ალბათ თავს კარგად ვერ გრძნობდა, სიკვდილზე ბევრს ფიქრობდა. ახლა რომ ვისხნებ, ასე მგონია, თითქოს წინასწარ გრძნობდა, რომ მის დაკრძალვაზე ვერ მივიდოდი. უცნაურია, მაგრამ მართლაც ვერ მივედი. იმ საბედისწერო შეკითხვის შემდეგ წლები გავიდა, 2003 წლის 5 აპრილს ლეილა გარდაიცვალა. როცა მისმა დამ, ლამარამ, შემატყობინა, რას წარმოიდგენდა, რომ მე ლეილას დაკრძალვაზე მისვლაზე უარს ვეტყვოდი. სამწუხაროდ, ფეხმოტეხილი გაუწმრევლად ვინეკი.

შვილის, ანდროსადმი მიძღვნილ ლექსში ლეილა წერს: „მე არ მოვკვდები, როცა მოვკვდები... მაშინ ვიცოცხლებ მაინც ვიქნები!“ და მართლაც მისი სიკვდილი მის ახალ ცხოვრებად და სიცოცხლედ იქცა.

გიორგი გამსახურდია

ნიჰილიზმი და სიამაყე

ის, რომ ყველაფერი პირველად ხდება და ახლა ვინც კვებით ქვეყნის მშენებლობას, ხშირად ესმის თანამედროვე ქართველს. თუ ამგვარი რიტორიკა, კოლექტიური ამნეზიით ან უცოდინარობით არის გამოწვეული, კიდევ არა უშავს, ამნეზია ხომ ჩვენთვის ასე ნაცნობი და უწყინარი მოვლენა გახდა იმ ტელევიზორულ მხედვარე, ოთახებში გამოკეტილ ლათინურ ამერიკაში რომ იღვნიან. უცოდინარობა სწავლით აღმოიფხვრება და თუ ასეც არ მოხდა, მაინც დაჰკრავს უცოდველობის ელფერი, მაგრამ საშიში განზრახ, მიზანმიმართულად იგნორირებაა ქვეყნის წარსულისა. მისი აბუჩად აგდება და გაშარება, სწორედ ეს ბადებს ნიჰილიზმს და დაუჯერებლობას თაობებში, რომელიც წესით, ღირსეულ მემკვიდრეობაზე ფიქრში უნდა აღამ-ათენებდეს.

უდავოა, სხვა ცივილიზაციისა და კულტურის გაცნობის გარეშე, ნებისმიერი ერის გონი დაიმშვეა და დაიფიტება, მაგრამ ვიდრე უცხო კაცს ხელს ჩამოვართმევდეთ, იქნებ გურამ დოჩანაშვილის მოთხრობის ერთი გმირისა არ იყოს, ხელახლა ღირდეს თათქარიძეთა სახლ-კარის დათვალიერება და ფეხის მოტეხვა? სხვა თვალთ შეხედვა, რაც ერთხელ გაგვიგია და თითქოს გვისწავლია კიდევ. იქნებ ახალი რამ აღმოვაჩინოთ, გავიაზროთ და ასე მაინც შევამციროთ დღეს ასრერიგად ახორბოცებული, ფუყე ირონია წარსულისადმი, ყოველი ქუჩის მოსახვევში რომ ჩასაფრებულა. არადა, რომ გადაშლი ივანე ჯავახიშვილს: „ყურადღების ღირსია, რომ საქრისტიანო აღმოსავლეთში, საშუალო საუკუნეებში, ქართველებს გარდა არც ერთ ხალხს საერო პოეზია არ ჰქონია: არც ასურელებს, არც სომხებს, არც ბიზანტიელებს მაშინ მხატვრული სიტყვიერება არ მოეპოვებოდათ. ეს გარემოება რაც უნდა იყოს, რა ხელშემწყობი მიზეზებიც უნდა გამოიქმნათ მის ასახსნელად, მაინც თავისთავად ქართველი ერის ძლიერის მხატვრული ნიჭისა და შემოქმედების დამამტკიცებელია“. ეს თამარის ეპოქაა, რა დროსაც ქართული კულტურა, ყველა იმ სააზროვნო სფეროს მოიცავდა, რაც შუა საუკუნეების მსოფლიოს აღელვებდა და ამავე დროს, რაც ყველაზე არსებითია, ფორმითაც და შინაარსითაც, ღრმად ეროვნულ ფასეულობებს ქმნიდა.

სწორედ თამარის ეპოქას ეძღვნება ქალბატონ მანანა გაბაშვილის წერილი „თამარ მეფის აღმოსავლური და დასავლური პოლიტიკა“, რომელიც „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე დაიბეჭდა (№2, №3). ავტორი „ვეფხისტყაოსნის“, „აბდულმესიანის“ და „თამარიანის“ მიხედვით განიხილავს თამარის პოლიტიკის მასშტაბებსა და მიმართულებებს.

ქართული და უცხოური წყაროების ანალიზის შედეგად იგი ასკვნის, რომ თავისთავად ტრაპიზონის იმპერიის დაარსება არ იყო მაქსიმუმი, არამედ შორსმიმავალი, საგარეო პოლიტიკის ერთიანი და კოორდინირებული გეგმის ერთი ეტაპი. პარალელურად, თამარის 1210 წლის ცნობილი ლაშქრობა სპარსეთში, სცილდება ქალაქების უბრალო დარბევას, მკვლევარის თქმით: „საზღვაო და სპარსეთის პოლიტიკა, საქართველოს აღმოსავლური და დასავლური პოლიტიკის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს, რომლის უკანაც დიდი პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები იდგა. როგორც ცნობილია, თურიზისთვის ტრაპიზონი დიდ საზღვაო კარიბჭეს წარმოადგენდა. ვინც ზედამხედველობდა თავრიზ-ტრაპიზონის გზას, მის ხელთ იყო მსოფლიო ვაჭრობის სადავეები...“ „... თამარის აღმოსავლური და დასავლური პოლიტიკა, მის წინამორბედთა მიერ მიზანმიმართულად რომ მზადდებოდა, თამარის დროს აღწევს იმ მასშტაბს, რის გამოც მისი სახელი საქართველოში, თაობათა ხსოვნაში, განსაკუთრებული შარავანდით შეიმოსა და სამუდამოდ დაუკავშირდა ქართული პოლიტიკის ყველაზე დიდ ეპოქას“.

ამ წერილის კითხვისას (ავტორი გვპირდება, რომ მას საბოლოოდ მონოგრაფიის სახე მიეცემა, რაც ერთიორად გვახარებს) პირველი რაც გუფულება, ღირსების და სიამაყის განცდაა. თითქოს დღევანდელობას სწყდები და მშვიდდები. მშვიდდები ისე, როგორც ყინვისის ტაძრის კედლებზე გამოსახული ანგელოზის ცქერის დროს. ასე თავადაც ძლევამოსილი ხდები და უერთდები იმ საუკუნის მაჯისცემას. „სამივე ავტორი, რუსთაველი, შავთელი და ჩახრუხაძე – გამარჯვებული, ძლევამოსილი ქვეყნის პოზიციიდან წერს. ადიდებს თამარს და მის საუკეთესო თვისებებს წარმოაჩენს. სამივე ძლიერი ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბებას ემსახურება, ურომლისოდაც ქვეყნის წარმატება შეუძლებელია“.

ეროვნული თვითშეგნება, რვა საუკუნის შემდეგაც ესოდენ აუცილებელი და წარმმართველი ძარღვი უნდა იყოს ქართული სახელმწიფოს ცხოვრებასა და განვითარებაში. თამარის დროს შენდებოდა ქალაქები, დაბეები, სოფლები, გზები, ხიდები, ციხე-კოშკები, სასახლეები, ეკლესია-მონასტრები და მასთან არსებული სკოლები, „სასწავლო“ წოდებული საავადმყოფოები, არხები, რუები. ქვეყნის წლიური შემოსავალი ყმადნაფიცი ქვეყნების გარდა აღემატებოდა იმდროინდელ არაბულ, ერაყის, სპარსეთის, მცირე აზიის, საფრანგეთის შემოსავლებს ცალ-ცალკე და დიდად არც ინგლისის ჩამოუვარდებოდა. იყო სასტუმროები და ქარავანთა სამყოფლებიც. მწერლობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, პიკს მიანია ხელოვნების დარგების განვითარებამ: არქიტექტურამ, მხატვრობამ, ოქრომჭედლობამ, რომლის სამი სკოლა არსებობდა იმდროინდელ საქართველოში ოპიზის, ტბეთის და გელათის სახით. იყალთოსა და გელათის აკადემიებში შვიდი ძირითადი დარგი ისწავლებოდა, ეს იყო ცნობილი ტრივიუმ-კვადრიუმის სასწავლო ციკლი. მაგრამ იმ ეპოქის შვილთაგან არავინ ივიწყებდა წინაპართა დამსახურებას, რომ სწორედ მათი იდეებისა და მიზნების ხორცშესახსმელად იღვწოდნენ.

მანანა გაბაშვილი ერთ უმნიშვნელოვანეს დეტალზე ამახვილებს ყურადღებას, როდესაც ვარძიის ფრესკაზე გამოხატულ თამარის სამოსს აკვირდება. აქ თამარი ბიზანტიურ სამოსშია გამოწყობილი და ნითელი ფესხაც-მელები აცვია. „როგორც ცნობილია, ნითელი ფესხაც-მელები ბიზანტიის იმპერატორთა პრეროგატივა, მათი ხელისუფლების ერთ-ერთი სიმბოლოური გამოხატულება იყო. ბიზანტიის იმპერია ყოველთვის მძაფრად რეაგირებდა, როდესაც ამ სიმბოლოს სხვა ითვისებდა. თამარის შემთხვევაში, იმპერიის დასუსტებისა და საქართველოს გაძლიერების პირობებში, აღნიშნული ფაქტი, ბიზანტიის მემკვიდრეობაზე ამკარა განაცხადს ნიშნავდა, რაც შავთელის ცნობითაც დასტურდება...“ ის „... თამარს კეისრად მოიხსენიებს, რაც საზოგადოდ ქართველი მეფეების ამგვარად მოხსენიების ჩვენთვის ცნობილი ერთადერთი ფაქტია...“ შავთელს რამდენად კარგად ჰქონდა გააზრებული თამარის პოლიტიკის კიდევ უფრო შორსმომავალი მიზნები, ჩანს „აბდულმესიანის“ სხვა ადგილიდანაც, სადაც იგი თამარს „ახალო რომოს“ უწოდებს. ამით იგი თამარის ბიზანტიის იმპერიის მემკვიდრეობაზე პრეტენზიას ადასტურებს, პირველ რიგში იმპერიის საზღვაო მემკვიდრეობაზე პრეტენზიას“.

აღბათ ამიტომაც მოუსურვებიათ ევროპელ პრინციებს, რუსებსა და სპარსელებს, ქართულ სამეფო დინასტიასთან დამოყვრება. გერმანიის კაიზერს ფრიდრიხ I ბარბაროსასაც ხელი მოსცარვია ბაგრატიონთა და შტაუფენთა შორის ნათესაური ხიდის გადების საქმეში.

მკვლევარი არაერთხელ აღნიშნავს, რომ თამარის პოლიტიკა ვინრო რეგიონალურს სცილდება და უფრო ფართო მასშტაბებზე გადის. მისთვის ერთ-ერთი უმთავრესი მიმართულება საზღვაო ინტერესებია. „... როგორც შავთელს, ისე ჩახრუხაძეს, ვისთანაც ასევე გამოკვეთილია საზღვაო ინტერესები, მით უმეტეს რუსთაველს, კარგად უნდა სცოდნოდა საერთაშორისო მასშტაბით ზღვაოსნობაში არსებული სიტუაცია, მიზეზები, რის გამოც ამ ეპოქაში ზღვაოსნობამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა და რამაც განაპირობა აღნიშნული მიმართულებით ქართული სამეფოს ხედვა – ტრაპიზონის იმპერიის დაარსება და საზღვაო პოლიტიკის კიდევ უფრო გაღრმავება“. აბრეშუმის სახმელეთო-საქარავნო გზას VII-VIII საუკუნეებიდან დაუკარგავს უპირატესობა და ლოკალურ მაგისტრალად ქცეულა, რადგან საზღვაო გზა გაცილებით იაფი, რენტაბელური და უსაფრთხო აღმოჩენილა. თანდათან „მსოფლიო ვაჭრობის მთავარ ცენტრებად იქცა ორი გზა – ხმელთაშუა ზღვა და ინდოეთის ოკეანე: ამ ცენტრებში უდიდესი იყო მუსლიმთა როლი. იმ ვითარებაში, როდესაც საერთაშორისო ცხოვრებაში საზღვაო ვაჭრობა და საზღვაო ინტერესები წამყვანი ხდება, ეს არ შეეძლო მხედველობაში არ მიეღო ქართულ სახელმწიფოს, რომელიც ზღვაზე გადიოდა და რომლის ცხოვრებაშიც, მისი ისტორიის სხვადასხვა პერიოდში, შავ ზღვაზე არსებული ვითარება მნიშვნელოვან როლს ასრულებდა“. ტრაპიზონის იმპერიაც საქართველოს საზღვაო ინტერესების გამტარებელ სახელმწიფოდ დაარსებულა.

მკვლევარი საზღვაო პოლიტიკისადმი ქართველ მწერალთა დამოკიდებულებას აკვირდება და ვრცელ ადგილს უთმობს მის შესწავლას: „სამივე ავტორი, საზღვაო პოლიტიკისადმი ქართული სამეფოს დამოკიდებულებას გამოხატავს, თუმცა შავთელი და ჩახრუხაძე ამ საკითხშიც გაცილებით კონკრეტულნი არიან. ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩახრუხაძის ცნობა, სადაც შავი ზღვა ყველაზე გავრცელებული „პონტოს“ სახელითაა მოხსენიებული და რაც მთავარია, მასზე საქართველოს ჰეგემონიაა დადასტურებული („პონტოს ზღვისაგან არის უფლებანი“) შავთელთან არის კიდევ ერთი საზღვაო ინტერესების ამსახველი ინფორმაცია, რომელიც სცილდება შავი ზღვის ფარგლებს და ბევრად მასშტაბურია. იგი ასეა ფორმულირებული: „მონებენ ზღვანი, სიტყვაც, მავნიჰარვინ ჩნდა თქვენად ასწორებულად“.

თამარის, როგორც ძლევამოსილი მეფის სახელი რომ შორს გავარდნილა ბასილ ეზოსმოდვართანაც ჩანს: „ფრანგნი და ბერძენნი, ზღუასა შინა მენავენი ნიავ-კეთილობათა შინა თამარის ქებათა იტყოდიან“. აღმოსავლურ წყაროებში მკაფიოდ არის ასახული მისი წარმატებული პოლიტიკა აზუბექრისა და რუქნ-ად-დინის დამარცხებით გამოწვეული, ხოლო რუსული თქმულება ძლევამოსილი დინარას შესახებ, სწორედ თამარ მეფის სახელს უკავშირდება...

წერილში დიდი ყურადღება ეთმობა რუსთაველის დამოკიდებულებას იმდროინდელი ვითარებისადმი. ნესტანის ხვარაზმშაჰთან ურთიერთობა, სპარსეთთან ურთიერთობის და მეტოქეობის ჭრილშია განხილული. საგულისხმოა, ქაჯთა ქვეყნის ისმაილიტებთან, იგივე ასასინებთან დაკავშირება. „კაცის მკვლელნი მიპარვითა, რომელთა მულიდად უწოდებენ“ – აღნიშნავს ქართული წყარო და ისმაილიტებს, იგივე მულიდებს გვიხასიათებს. „ჩვენი კვლევებისთვის არსებითია აგრეთვე, ორივე უფლისწული, ნესტანის ხელის პრეტენდენტი, მიზანს რომ ვერ აღწევს, როგორც ხვარაზმელები, ისე ქაჯები მარცხდებიან. ორივე შემთხვევა სპარსეთზე ძღვევის მხატვრული ფორმით გამოხატულების ნიმუშია“, – ამბობს წერილის ავტორი.

მანანა გაბაშვილმა ამ ნაშრომით ბევრ საინტერესო და უთუოდ დასაფიქრებელ თემაზე გაამახვილა ყურადღება, რაც არა მარტო მეცნიერთა და სპეციალისტთა განსჯის საგნად იქცევა, არამედ უბრალო, თავის ქვეყნის წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე ჩაფიქრებული კაცის ინტერესსაც გამოიწვევს. იგი იმ ურწმუნოთაც მიმართავს, ვისაც ერი და ბედისწერა ზედმეტი ტვირთი და იდეალისტთა მონაჩმახი ჰგონია და ნიჰილიზმით შეპყრობილი, ნებსით თუ უნებლიედ მოდგმადაკარგულ არსებათა სამსახურში დგება. არადა, რუსთაველის, შავთელისა და ჩახრუხაძის გარდა, იმ ეპოქის ავან-ჩავანი ხალხურ პოეზიას და ზეპირსიტყვიერებას მოუტანია ჩვენამდე, მემატანეს შემოუნახავს, იმ უბრალო კაცსაც ერის ბედისწერით უტყვორია და დღეს, როდესაც მათ მიერ შექმნილ ეპოქას გაჰყურებ, ორივე თვალს ცრემლით გვევსება, ერთი განუზომელი ალტაცებით, ხოლო მეორე სევდით გამოიწვეულა. ეს ორი ცრემლი აღრეულა ერთმანეთში, საამაყოც და სამწუხაროც.

ვაჟა ზარნაძე

„მასსოვს ხარაგაულის სევდიანი სადგური“

ხარაგაულის სოფელ ფარცხნალში მასწავლებლობის დროს ერთ დღით სკოლაში მისულ გალაკტიონს რამდენიმე წლის წინათ დარგული ცაცხვი ნაქცეული დახვედრია. აფორიაქებულა, ხელებით მიწის ფხოჭნა და მოგროვება დაუწყია; გაუსწორებია ქარისაგან ნაქცეული ახალდარგული ნერგი.

იმ დროს მივედი, როცა ფეხებით მიწას ტკეპნიდა, იგონებდა მისი მოსწავლე, მერე ჭიგო მოვებნეთ; მასზე მივაბით და ისე საიმედოდ გავამაგრეთ, ქარი კი არა, ქარიშხალიც ვერაფერს დააკლებდა.

ფარცხნალში ამ ხეს დღესაც გალაკტიონის ცაცხვი ჰქვია.

ნაიქცა, უშველეს, გაასწორეს, საიმედოდ გაამაგრეს და დღეს ტოტებგანიერს ქარი ვერაფერს აკლებს, პირიქით, მის ფრთებქვეშ სულაც არ იგრძნობა მიმორხევა ჰაერისა:

ნაიქცა, უშველეს და დღეს ფარცხნალში, დიდი გალაკტიონის ნამასწავლებლარ სოფელში, მის სახელს ეს ხეც ატარებს, არავის ბრძანებით, ხალხის სურვილით გალაკტიონის ცაცხვადაა სახელდებული.

ნაიქცა, გალაკტიონმა წამოაყენა, ხელახლა ჩარგო მიწაში, გადაარჩინა...

ქართული კულტურის, მწერლობის, ენის, სულის გადარჩენის, შველის მოტივი გამოკრთოდა ყველა იმ სიტყვაში, რაც იმ დღეს ხარაგაულში ითქვა. დღე კი მართლაც რომ შინაარსიანი იყო, ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოებაც უნდა დაფუძნებულიყო, – კიდევ ერთი კერა აქაურთა სულის დაპურებისა, იზა ვეფხვაძის სპექტაკლი გვენახა, როსტომ ჩხეიძის საუბარიც მოგვესმინა ალექსანდრე ორბელიანზე.

ხარაგაული გახლდათ იმერეთის რაიონებში პირველი, სადაც ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების ფილიალის დაარსების სურვილი გაჩნდა და ამ საქმისათვის იზა ვეფხვაძეზე უკეთეს ვის გამოძებნიდნენ, ადამიანზე, რომელიც სადაც არ უნდა მსახურობდეს, მუდამ აქაურობისა და აქაურების სულიერ და კულტურულ აღმავლობაზე ფიქრობს. ამ თორმეტობე წლის წინათ მაშინდელი ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო სისტემის დირექტორმა იზა ვეფხვაძემ ჩამოაყალიბა ლიტერატურული თეატრი, რომლის პირველი სპექტაკლი ტიცინ ტაბიძისა და პაოლო იაშვილის შემოქმედებისა და ტრაგიკული ბედისადმი იყო მიძღვნილი. მას შემდეგ ამ საოცარი ნიჭისა და თეატრალური ტალანტის ქალბატონმა რამდენიმე სპექტაკლი დადგა, რომლებიც უმ-



იზა ვეფხვაძე

თავრესად ჩვენი სახელოვანი მწერლებისა და დიდი წინაპრების ცხოვრებისადმია მიძღვნილი...

იზა ვეფხვაძე თვითონაა ამ სპექტაკლების სცენარის ავტორი, რეჟისორი, მსახიობი... მისი საუბარი ამა თუ იმ შემოქმედზე კრიტიკული ანალიზის, უფრო პორტრეტის წარმოჩენის მცდელობაა, პორტრეტისა, თავისი განუმეორებელი შტრიხებით, გამორჩეული, მხოლოდ ერთისთვის ნიშანდობლივი ხასიათი რომ იკვეთება.

ეს ლიტერატურული თეატრი დღეს რეზო თაბუკაშვილის სახელს ატარებს, რომლის თაოსანმაც ვეგენი ხარაძეს, გურამ რჩეულიშვილს, გურამ დოჩანაშვილს, დავით სარაჯიშვილს, რეზო ჭყიშვილს, თვით რეზო თაბუკაშვილს და სხვებს უკვე უძღვნა მინი სპექტაკლები:

უშანგი ჩხეიძისადმი მიძღვნილი სპექტაკლის მერე ნინო ჩხეიძის

გამხელილი შთაბეჭდილება:

„მთელი სპექტაკლის მანძილზე ვკვითინებდი. მომაკლდა ათი წლის სიცოცხლე. მერე ორი დღე ვინექი მძიმე განცდებით შეპყრობილი.

– რას მერჩოდი, აა?

აღტაცებული ვარ იზა ვეფხვაძის ორატორული ნიჭით და მეხსიერებით, ემოციით. რამდენიმე საათი სხვა სამყაროში ვიყავი, ეს იყო თქვენი სამყაროა ღმერთისგან ბოძებული“

ჩვენც უნდა შეგვეგრძნო ამ სამყაროს ხიბლი, დავრწმუნებულიყავით იზა ვეფხვაძის აქტიორულ შესაძლებლობებშიც და მეხსიერების ფენომენალურობაშიც. ბარემ ვიტყვით, ნანახმა მომწუსხველად იმოქმედა თითოეულ ჩვენგანზე და სიმბოლურად კიდევ ერთხელ გავგახსენა ქარისაგან წანოლილი, მაგრამ გალაკტიონისაგან ხელახლა დარგული და მერე ზეცას და მიწას შექიფებული გალაკტიონის ცაცხვის ძალოვნება.

ისევ გალაკტიონი.

ფარცხნალში მასწავლებლობის მერე ლექსი უძღვნა ხარაგაულსა და მის მოწყენილი, სევდიან სადგურს:

**მასსოვს ხარაგაულის
სევდიანი სადგური,
მისი ყრუ სამკაული –
აცვივნილი აგური.
უმფოთველი ცხოვრება**

**წყნარი, როგორც გუგული
მესმის მოახლოებულ
ორთქმავალის გუგუნი.**

ხარაგაულს, მის განუმეორებელ მდებარეობას, იშვიათ ბუნებას იქნებ დიდი პოეტისათვის სხვა სტრიქონებიც ჩაუგონებია, მაგრამ მის პოეზიაში ეს გეოგრაფიული სახელი – ხარაგაული – მოწყენილ, სევდიან სადგურთან გაიგივდა, სადგურთან, სადაც ორთქმავლის მოახლოების მერე იცვლება უშფოთველი ცხოვრება – აცილებენ ან ელიან, მიდიან ან მოდიან, მართლაც და, ამ გუგუნის მოახლოება ცვლის გუგულივით მშვიდ და წყნარ ყოფას, ყოფას ფიქრიანს, დღემუდამ კახორის მთების ხილვით გალამაზებულს.

იქნებ სადგურიც ისევ აცივინული აგურით ჩაებეჭდოს ვინმეს ხსოვნაში, მაგრამ მაშინაც და ეხლაც ხარაგაულში იციან და იცოდნენ კულტურის ფასი, უყვართ ხელოვანნი...

და ეს იმიტომ, რომ იშვიათად, მაგრამ მაინც ორთქმავლის მოახლოებული გუგუნი ძალიან ახლო რომ მოვიდოდა და მატარებელიც ბორბლების ხრჭიალით შედგებოდა სევდიან სადგურზე, იქიდან ბამბასავით თეთრწვეროსანი ღმერთი აკაკი გადმოიხედავდა, სარკმელს გამოაღებდა, სადგურის სახელს წაიკითხავდა და ისევ მიხურავდა.

გალაკტიონს ეს სურათიც ჩარჩენოდა ხსოვნაში.

ეს ადრე. ახლა თვე არ გავა, ვინმე ცნობილი ხელოვანი არ ესტუმროს ამ ნალკოტს, ნალკოტს იქით ნალკოტი არ მოიხილოს და („ამ მთასა და იმ მთას შუა, თითქო უფალს გაუვლია, ნალკოტს იქით ნალკოტია, გაღმა ხარაგაულია“). ირაკლი ბაზაძე) ხარაგაულელთა გულითადი მასპინძლობით არ დატკბეს.

როსტომ ჩხეიძე, დავით მჭედლოური, გიზო თავაძე, ელგუჯა თავბერიძე, ბაბუა ალუდაური კიდეც ერთხელ ტკბებთან ნანახით, ერთმანეთს უამბობენ, წელიწადის რომელ დროსაა უფრო ლამაზი ეს მხარე, უფრო მომწუსხველიც, შთამბეჭდავიც...

ვისაც რა დროს უნახავს, იმას ასახელებს. გამოდის, მუდმივ მშვენიერი ყოფილა, მშვენიერი და განსაკუთრებული.

ამ განსაკუთრებულობას ადრე სარკმლიდან გამომზივრალი საქართველოს ბულბული მატებდა ხიბლს...

და მაინც, სევდიან სადგურად ჩაეჭვდა მესხიერებაში, აქაურთა ცხოვრება კიდე უშფოთველად...

როსტომ ჩხეიძემ დასაწყისშივე ალექსანდრე ორბელიანის საუბარი გაიხსენა აკაკი წერეთელთან და თანდათან გამოკვეთა აზრი, რომ არა მარტო ომი არსებობს უსამართლო, მშვიდობაც ასეთია, თუ სხვისი კირთების ქვეშე მყოფი არ იბრძვი, ეროვნულს ივინყებ, არ დრტყინავ. ასეთი მშვიდობა უსამართლო ომზე უსამართლოა და აქედან გააბა კავშირი, თუ რატომ ჰპოვა აკაკისა და ილიას თაობამ ალექსანდრე ორბელიანში გმირი, საუკუნეებს გამოტარებული ქართული იდეალის განსახიერება.

გმირი იყო და მათ თვალსა და გონებას რა გამოეპარებოდა. როცა ალექსანდრეს თანამედროვენი შამილს ებრძოდნენ თავგამეტებით, ის კავშირის გაბმას ცდილობდა, იქნებ ერთად დავისხნათ თავი ჩრდილოელი მეზობლებისგანო.

ორბელიანები შამილთან ომში მიღებულ ჩინ-მედლებს აყრილებდნენ, მათგან ერთი, ათასსატანჯველგამოვლილი ალექსანდრე ორბელიანი კი ქვეყნის თავდახსნის გზებს ეძიებდა...

მერე გიორგი მუხრან-ბატონის მოსაზრებასაც გადაწვდა, დიდ ერებთან პატარათა შერწყმას რომ ქადაგებდა და უფრო ღრმა უფსკრულს უმზადებდა ისედაც უფსკრულისაკენ დაქანებულ საქართველოს. მისი და ბარბარე ჯორჯაძის დიალოგიც გაიხსენა – პატარები დიდს თუ უნდა შეერწყან, თქვენ პატარა ტანისა ბრძანდებით, არ გინდათ, კახელი მოჭიდავესავით ზორბად იქცეთო. აქლემი კაცზე დიდია, მამუ, აქლემად ვიქცეთ, – შეპასუხებია ჯორჯაძის ქალი. მუხრან-ბატონს კიდევე: მე მწერლებსა და პოეტებზე მოგახსენებთ; პატარა ერის შვილი, რაც არ უნდა დიდი შემოქმედი იყოს, შეუძლებელია დიდად იქცესო. – ბულბული პატარაა, მაგრამ მშვენივრად გალობს, ასჯერ დიდია მამალი და ყიცილიყოს მეტი ვერა მოუხერხებიაო, – აქაც დაეჯაბნა ჯორჯაძეს.

როსტომ ჩხეიძემ ელიზბარ ერისთავიც გაიხსენა, მისი ნათქვამიც: ერისთავებმა შემოვიყვანეთ რუსები და ერისთავებმა უნდა განვდევნოთო. ერთი სიტყვით, ეპოქის ფონზე გამოკვეთა სახება ალექსანდრე ორბელიანისა, მსმენელებს დაანახვა, რომ როცა სხვები ჩინ-მედლებს დანატროდნენ, დამპყრობლის სამსახურში თავპირის მტკრევით შერბოდნენ, ალექსანდრე ყოველდღე მათ წასვლასა და ქვეყნის განთავისუფლებას ელოდა.

მერე ანდერძიც გაიხსენა ერეკლე მეორის შვილიშვილისა და ნათელი გახდა ამქვეყნად ყოფნის ვალი თითოეული ქართველისა – იყავ ქართველი თავისუფალ საქართველოში.

როსტომ ჩხეიძის საუბარს ალექსანდრე ორბელიანზე ბუნებრივად წაება დავით სარაჯიშვილის ღვანლის გახსენება, ორი დიამეტრალურად განსხვავებული პიროვნება, აბსოლუტურად განსხვავებული საქმით დარჩენ ქართველთა ხსოვნაში.

იზა ვეფხვაძის სპექტაკლები ამა თუ იმ ადამიანის სრულყოფილად წარმოჩენის ცდაა, მისი ნაღვანის გახსენებაცაა, ხასიათის უმთავრესი ნიშნების გამოკვეთაც, იმის ხაზგასმა, თუ რატომაა იგი ერთადერთი, განუმეორებელი.

ასე აცოცხლებს წინაპართა სახელებს, გვახსენებს მათ ღვანლს და გვეუბნება, რომ ძველ საქართველოში ბევრი რამ გახლდათ დიდებული, იყვნენ დიდებული ადამიანები, იყვნენ ქედუხრელნი, ზნეკეთილნი, სათნოებით სრულქმნილნი.

აცოცხლებს ძველ საქართველოს...

ამჯერად დავით სარაჯიშვილს ეძღვნება სპექტაკლი – „ჩვენც ვიდავითებთ, დავით!“ ერთი შეხედვით ადვილია მოუთხრო მსმენელს დიდი მრეწველისა და მეცენატის თავგადასავალი, მაგრამ ისე სახიერად დახატვა ძნელია. თანაც წარმოიდგინეთ, საათი, საათნახევარი ერთი ადამიანი დგას სცენაზე, გვესაუბრება, ხმის ტონალობით, მოძრაობით, უმცირესი შესტიითაც კი გამოხატავს მთავარ სათქმელს – აცოცხლებს დავით სარაჯიშვილს.

იგი არ ყოფილა პოეტი, მწერალი, მხატვარი, ერთი სიტყვით, ხელოვანი ამ სიტყვის ტრადიციული გაგებით, მაგრამ გახლდათ თავისი მოწოდებისა და საქმის უბაღლო ხელოვნებით შემსრულებელი. ძნელია, მრენველი, თუნდაც ძალიან ქველმოქმედი, ასე დარჩეს ხალხის ხსოვნაში, მაგრამ დავით სარაჯიშვილი დარჩა, დარჩა იმიტომ, რომ ფულის შოვნაც იცოდა და ისიც, სად და რისთვის დაეხარჯა – გვეუბნება იზა ვეფხვაძე და იაკობ გოგებაშვილის სიტყვებს გვახსენებს:

„დავითს მამისაგან დარჩა მცირედი თანხა და ეს თანხა მან თავისი ცოდნითა და მხნეობით მილიონებად გადააქცია. იგი რომ ჩვენებურის ბრწყინვალე ნოდების წევრი ყოფილიყო, მამისაგან დარჩენილ თანხას სწრაფად გაფლანგავდა, გაკოტრდებოდა, შაბათის გლახად გადაიქცეოდა...“

დავით სარაჯიშვილმა დაგროვილს დაუმატა და თავისი ოცნება – რუსეთის იმპერიაში პირველი კონიაკი დაემზადებინა – რეალობად აქცია.

უსმენ ამ სიტყვებს და თითქოს არც გჯერა, რომ დავით სარაჯიშვილის მამა იყო პირველი ქართველი ვაჭარი ან კიდევ ნიკო ნიკოლაძის ბაბუას რომ შემოეტანოს საქონელი პირველად გემით. რა ისეთი დროითაა ეს ადამიანები ჩვენგან დაცილებულნი, საუკუნე ან კიდევ საუკუნენახევარი, როცა სხვა ერებს ორი ან ხუთი ამდენი ხნის ვაჭრობის კულტურა და გამოცდილება გააჩნიათ.

დავით სარაჯიშვილს მოკლედ საუბარი ჩვეოდა, იტყოდა და მორჩა. ასე ამკვიდრებდა ევროპელი მრეწველის ტიპს; იგი პირველი ქართველი ევროპელი მრეწველი იყო.

ქვეყნის ხსნა შრომასა და განათლებაშია – იმეორებდა მინცივ. – გვეუბნება ქალბატონი იზა და მოგვითხრობს, თუ როგორ გახსნა საკვირაო სკოლა კავკავში მუშებისათვის, რაოდენ შეხაროდა მათ განსწავლულობასა და განათლებულობას.

ქვეყნის ხსნა შრომასა და განათლებაშიაო – კვლავ იმეორებს სარაჯიშვილის ნათქვამს და გვაგრძნობინებს, რომ დღესაც ასეა – უშრომელი, უცოდინარი საკუთარ ჩალენილ ორლობებსაც ვერ გადალაჯავს...

მერე დავით სარაჯიშვილის საქმეებს ჩამოთვლის, ბოლოს ანდერძს გაიხსენებს, ერთი სიტყვით, გააცოცხლებს ადამიანს, დაგვანახვებს მის განუმეორებელ ხიბლსა და შთამბეჭდაობას.

ამის შემდეგ იყო სუფრა. ისე რეპორტაჟი სუფრიდან არანაკლებ საინტერესო იქნებოდა, თუმცა ამას მშვენიერი სქესის წარმომადგენელი უკეთესად გაართმევს თავს. ეს ისე, სხვათაშორის.

ასე გაილია ქართული კულტურის შველის სურვილით ანთებული ერთი დღე ხარაგაულში. გონებაში ხშირად იმ ორ სიტყვას რომ ამოატივტივებს:

გალაკტიონის ცაცხვი...

ახალი თარგმანები

დაიბადა ათენში 1946 წელს. დაამთავრა იურიდიული და ეკონომიკური ფაკულტეტები. ამჟამად მუდმივად ცხოვრობს ლონდონში და რიდინგის უნივერსიტეტში კრიმინალისტიკის კურსს კითხულობს. არის სხვადასხვა უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი.

ვეგენიოს ტრივიზასი ცნობილია თავისი საბავშვო წიგნებით. მის ყველა ნაწარმოებს ორიგინალურობა, იუმორი და დიდი ფანტაზია გამოარჩევს. დაწერილი აქვს დაახლოებით 150 წიგნი: რომანები, ზღაპრები, პიესები, მოთხრობები, კომიქსები, სასწავლო წიგნები. მწერალი აქტიურად თანამშრომლობს საბავშვო ჟურნალებთან. მისი ყველაზე ცნობილი ნაწარმოებებია: „ფრუტოპია“ და „ფოიერვერკთა კუნძული“.

დაჯილდოებულია სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ: ათენის აკადემია, ბერძენ ლიტერატორთა კავშირი, ბერძნული საბავშვო წიგნის წრე, ქალთა ლიტერატურული ამხანაგობა. ასევე, მიღებული აქვს საბავშვო ლიტერატურის ბერძნული სახელმწიფო ჯილდო, შეფილდის ბავშვთა წიგნის, ჰუდსონის მასაჩუსეტსის ბავშვთა არჩევანისა და არიზონას ბიბლიოთეკის ასოციაციის ახალგაზრდა მკითხველის ჯილდოები.

ვეგენიოს ტრივიზასი

ჯადოსნური ბალიშები

თავი 1

შავი ფრთა და ოქროს ტალისკოპი

სადაც არპატილაოს¹ პირველი თავისი შავი ფრთითა და ოქროს ტელესკოპით ერთობა

ოდესღაც, ერთ შორეულ ქვეყანაში, რომელსაც ურანუპოლისს² ეძახდნენ, საძულველი მმართველი, არპატილაოს პირველი მეფობდა. იგი თორმეტ გვირგვინს ფლობდა, რომლებსაც ყოველ თვე იცვლიდა. მბრძანებელს ამის

გარდა ოქროს ტელესკოპი და ყვავის ფრთაც ჰქონდა. ჯერ იმას მოგახსენებთ, ფრთას რისთვის იყენებდა, მერე კი იმასაც გეტყვით, ტელესკოპი რისთვის სჭირდებოდა. ფრთით კანონებს წერდა. მაგრამ ეს კანონები უჩვეულო იყო, საზარელი და საშინელი.

ერთ მაგალითს მოგიყვანთ: არპატილაოსს სურდა, მის ქვეშევრდომებს შეუსვენებლად ემუშავათ მალარობში და ძვირფასი ქვები მოეპოვებინათ, რომლებითაც თავის თორმეტ სამეფო გვირგვინს შეამკობდა. ამის გამო კანონი გამოსცა, რომელიც კარნავალებს, სკოლის შესვენებებს, დაბადების დღის წვეულებებსა და



კვირა დღეებს აუქმებდა. ამ კანონის თანახმად, კვირა დღეს სახელი შეეცვალა. იგი „წინაორშაბათად“ მოინათლა და აღარაფრით განსხვავდებოდა ჩვეულებრივი ორშაბათისგან.

მეორე კანონის ძალით, ყველა კარუსელი და საბავშვო მოედანი უნდა დაკეტილიყო და მათ ადგილას ქვის საპყრობილები აგებულიყო. არპატილაოსს დილეგები მათ ჩასამწყვდევეად სჭირდებოდა, ვინც პირველ კანონს დაარღვევდა და დაბადების დღის სანთლების ჩაქრობას გაბედავდა, ან საკარნავალოდ ნილას მოირგებდა და ბალერინას კოსტიუმში გამოეწყობოდა, ან წინაორშაბათს სკოლაში არ წავიდოდა.

და რადგანაც საპყრობილებს ბოქლომები და მავთულხლართები სჭირდებოდა, კიდევ ერთი კანონი გამოსცა, რომლის თანახმადაც, ყვავილნარები და პარკები უნდა გადამწვარიყო, მათ ადგილას კი ბოქლომის მწარმოებელი ქარხნები და მავთულხლართების საქსოვი საამქროები აგებულიყო.

მხოლოდ ეს კანონები რომ ყოფილიყო, კიდევ რა უჭირდა!.. არპატილაოსს იმდენი კანონი ჰქონდა გამოცემული, რომ განამებულ ურანუპოლისელებს, რაც უნდა ეკეთებინათ, რომელიმეს მაინც შეჭვავლად დაარღვევდნენ.

მაგალითად, სლოკინი სასტიკად იკრძალებოდა. ვინც დააცემინებდა ან ცხვირს მოიფხანდა, მძიმე ჯარიმა უნდა გადაეხადა.

შავი ფრთით რას აკეთებდა, უკვე მოგიყვებით. ახლა დროა ისიც გიამბოთ, ტელესკოპი რიდასთვის სჭირდებოდა. არპატილაოსი მას ხელს დაავლებდა ხოლმე, სასახლის ყველაზე მაღალ, თორმეტფანჯრიან კოშკს მიაშურებდა და მის წინ ხელის გულივით გადამლილ სახელმწიფოს თვალს მოავლებდა. მოსანონარს რაიმეს დაინახავდა თუ არა, მაგალითად, მადისაღმძვრელ შემწვარ კართოფილს რომელიმე დიასახლისის ტაფაზე, ან მოსხმარტალე კაპარტინას რომელიმე მეთევზის ბადეში, მყისვე თავის მცველებს პორტატული გადამცემის მეშვეობით ატყობინებდა. ისინიც მოტოციკლეტებით გაქანდებოდნენ, ყველაფერს იტაცებდნენ, ოქროს ქალღალდის პარკში ათავსებდნენ და მასთან მიაბრუნებდნენ.

ამიტომაც არავის უკვირდა, რომ ურანუპოლისელებს საშინლად სძულდათ არპატილაოსი. ზოგჯერ ენას უყოფდნენ ან ზურგს უკან ეჯღანებოდნენ. ხანაც, ვითომ გაუფრთხილებლობით, ბანანის ქერქებს ყრიდნენ სასახლის ჭიშკრის წინ, მაღაროების დასაზვერად გამოსულს ფეხი დაუცურდებდა და ნაიქცევაო.

თავი 2

საიდუმლო საბჭო

სადაც არპატილაოსი საიდუმლო საბჭოს ინვესტორს იმის გასარკვევად, რატომ ეჯავრებათ იგი ქვეშევრდომებს

ერთ დღეს არპატილაოსმა სატახტო დარბაზში სამი ერთგული კარისკაცი მოინვია: ტილიოს ქსეფტილიოსი³, თავისი ადიუტანტი, ვულიმიოს ვლიმასი⁴, დაცვის უფრო-

სი, და სავრილიოს ვრისელი⁵, სასახლის უფროსი ჯადოქარი.

– შეგიძლიათ ამიხსნათ, – ჰკითხა მათ, – ქვეშევრდომებს რატომ ეჯავრები? ორმოცდაათზე მეტი კანონი გამოვეცი იმის შესახებ, რომ მათ სიგიჟემდე უნდა ვუყვარდე, მაგრამ შედეგს ვერ ვხედავ.

– რა ბრძანებაა, თქვენო უდიდებულესობა? გვეხუმრებით? რა თქმა უნდა უყვარხართ! – დაარწმუნა ტილიოს ქსეფტილიოსმა, რომლის ხელობაც პირფერობა იყო, დამთავრებული ჰქონდა გამოყენებითი მლიქვნელობის ფაკულტეტი ქლესვის უნივერსიტეტში. – ისინი გაღმერთებენ!

– მაშ რატომ ყრიან ბანანის ქერქებს ჭიშკრის წინ? – დაჟინებით იმეორებდა არპატილაოსი. – რატომ ვიმტვრევ ცხვირ-პირს, როცა სასახლიდან გასვლას ვაპირებ? რატომ?

– იქნებ... იქნებ ჰგონიათ, რომ ციგურებზე სრიალი გიყვართ! – ტილიოს ქსეფტილიოსმა სცადა აეხსნა.

არპატილაოსმა ცერად გახედა.

სავრილიოს ვრისელიემ, დაეჭვებულმა, ღვარძლიანად ჩაიღიმა.

– თავს ნუ მოვიტყუებთ... მართალია, უნდა ჰყვარებოდით, მაგრამ ეჯავრებით, თქვენო უდიდებულესობა, – თქვა და თან მძივის მარცვლებისაგან ასხმულ კრიალოსანს განუწყვეტილვით ათამამებდა გრძელ, გაძვალტყავებულ ხელებში. – და აგისხნით, რატომ...

– აბა, თქვი!

– ეჯავრებით, რადგან ღამ-ღამობით სიზმრებს ნახულობენ...

არპატილაოსმა წარბები შეჭმუხნა.

– ეგ რა შუაშია? – იკითხა.

– შუაში კი არა, თავშია, თქვენო უდიდებულესობა, – უპასუხა სავრილიოსმა. – სიზმრებში ტორტებს, ფოიერვერკებსა და კარუსელებს ნახულობენ, მათ მავთულხლართებსა და ბოქლომებს ადარებენ, რომლებსაც გამოღვიძებულები ხედავენ, და, რა გასაკვირია, რომ ყველაფერს თქვენ გაბრალებენ!

– დიდი თავსატეხია სიზმრები, – დაეთანხმა მსუქანი, ალაჟღაჟებული ვულიმიოს ვლიმასი, თვალბეჭევს პარკები რომ ეკიდა, მკერდი კი ორდენებით აევსო. – პანანინა სიზმრები, ნდობას რომ არ ალგიძრავენ, ზოგჯერ ისე იზრდებიან და ცეცხლივით ძლიერდებიან, რომ გრიგალად, ქარიშხლად იქცევიან და სამყაროს აფორიაქებენ!

არპატილაოსს ფერი ეცვალა, უკან მიიხედა და ნერწყვი ბურთივით გაეჩხირა ყელში.

– რას მთავაზობთ? – შეეკითხა და აფორიაქებულმა სკიპტრის კიდეს დაუნყო წოვა.

– სიზმრებს თუ წაართმევთ, მხოლოდ მაშინ დანყნარდებით, – ურჩია ვულიმიოს ვლიმასმა მჭექარე ხმით. – გთავაზობთ, გამოსცეთ კანონი, რომელიც სასტიკად აკრძალავს სიზმრებს. მის ამოქმედებაზე მე ვიზრუნებ. სიზმრის საპატრულო სამსახურს შეგიქმნით. კარებებს შეამტვრევენ, სახლებში შეცვივდებიან და ყველა კანონდამრღვევზე „იზრუნებენ“!

– მე გთავაზობთ, საწოლებთან სიზმრის მრიცხველები განვათავსოთ და სიზმრები დავბეგროთ, – ურჩია ტილი-

ოს ქსეფტილიოსმა, სახელგანთქმულმა ეკონომისტმა. – მათთვის არახელსაყრელი იქნება სიზმრის ნახვა და ამ ცუდ ჩვევას მოიშლიან.

არპატილაოსმა ეს ორი წინადადება გონებაში აწონდა.

– სავრილიე, შენ რას იტყვი? – ჰკითხა მესამე კარისკაცს.

– ვიტყვი, რომ ზომები, რომლებსაც ჩემი რჩეული კოლეგები გთავაზობენ, ბრძნულია, მაგრამ განუხორციელებელი. სიზმრებთან დაკავშირებული პრობლემა ისაა, რომ შემონმებას ადვილად არ ემორჩილებიან. შუბლს უკან არიან დამალულნი, ნაოჭებს უკან, ღრმად, ძალიან ღრმად თავებში.

– კი შემოგთავაზებდით, მათთვის თავი გაგვეტეხა, მაგრამ არ ვაპირებ. მერე გადასახადებს ვინლა გადაიხდის? აღმასის მალაროებში ვინლა იმუშავებს? მავთულხლართებს ვინლა დანნავს?... – თქვა ქსეფტილიოსმა, რითაც კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი გამჭრიახობა.

არპატილაოსს კიდევ უფრო მეტად წაუვიდა ფერი.

– მაშ არაფერი გამოვა? – ჰკითხა.

– როგორ თუ არ გამოვა! ავი ნება იყოს და ყველაფერი გამოვა, – განაცხადა სავრილიოსმა. – მცირეოდენი დრო მომეცით და გპირდებით, ერთ ვერაგულ აღმოჩენას გავაკეთებ, რომელიც ერთხელ და სამუდამოდ გვიხსნის თქვენს ქვეშევრდომთა სიზმრებისაგან.

– ერთი კვირა გეყოფა?

– არა. ბოროტ საქმეს დრო სჭირდება. ჯადოსნური აღმოჩენები ადვილი საქმე ნუ გგონიათ. დრო, ფიქრი და შთაგონება ესაჭიროება.

– რა დროა საჭირო?

– შვიდი თვე და შვიდი დღე.

– ექვსი რომ იყოს? – შეევაჭრა არპატილაოსი.

სავრილიოსმა უარის ნიშნად თავი გააქნია.

– არა, შვიდს არ დააკლდება. შვიდ თვესა და შვიდ დღეში კი ჩემს აღმოჩენას წარმოგიდგენთ!

ეს თქვა, თავი დაუკრა და კარისაკენ გაემართა... ექვსი სტოა და ექვსი დარბაზი გაიარა, ობობის ქსელით დაფარული კიბე აიარა და თავისი საიდუმლო ლაბორატორიისკენ გაემართა.

თავი 3

სავრილიოსის აღმოჩენა

სადაც სავრილიოს ვრისელიე არპატილაოსს წარუდგენს თავის გამოგონებას, რომელსაც ჯერ უნდობლობით შეხედებიან, შემდგომი კი – დიდი ენთუზიაზმით

შვიდი თვე და შვიდი დღე მუშაობდა სავრილიოს ვრისელიე თავის საიდუმლო ლაბორატორიაში. კარი ჩარაზა და გასაღების ჭრილი ლუქით ამოქოლა. ერთი-ორჯერ არპატილაოსი მალულად ავიდა და ჩუმად შეიხედა, რომ ენახა, რას აკეთებდა, მაგრამ წყვდიადში ვერაფერი გაარჩია და იქაურობას იმედგაცრუებული გაეცალა.

ერთ მშვენიერ დილასაც თვითონ სავრილიოსი გამოჩნდა სატახტო დარბაზში, სადაც არპატილაოსი და სხვა კარისკაცები ელოდნენ. მწვანენაქარგიანი შავი ხალათი ეცვა და ხელში ბალიში ეჭირა!

– აი, თქვენო უდიდებულესობავ! – უთხრა ისე ცბიერად და სტვენით, სისხლი გაგეყინებოდათ. – ინებეთ ჩემი გამოგონება. ნება მიბოძეთ, წარმოგიდგინოთ კომმარტა ბალიში!

არპატილაოსმა ბალიში უნდობლად გამოართვა და საგულდაგულოდ დაათვალიერა. ზემოდან დახედა, ქვემოდან ახედა, გვერდიდან შეხედა, თითი დააჭირა და გაკვირვება აღებუქდა სახეზე.

– ეს ხომ ერთი ჩვეულებრივი ბალიშია, – თქვა ბოლოს. – მასხრად მიგდებ, სავრილიე?

– ვერასოდეს გავბედავ-

დი თქვენნაირი მმართველის დაცინვას, თქვენო უდიდებულესობავ. მაგრამ ცდებით. ტყუევდებით! ეს ჩვეულებრივი ბალიში არაა. ასე ჩანს, მაგრამ სინამდვილეში არ არის! ჩვეულებრივი ბალიშები ბუმბულისაა.

– აბა, რისაა?

– ყოველ შემთხვევაში, ბუმბულისა არა!

– მაშ რისაა?

– გსურთ, მოგახსენოთ?

– აბა, რა. ამოღერღე! ნუ დაგეტანჯე!

სავრილიოს ვრისელიეს თვალეში ორმა პატარა მწვანე ნაპერწკალმა გაიელვა. არპატილაოსი, ვულიმიოსი და ქსეფტილიოსი პირში შესცქეროდნენ. უფროსმა ჯადოქარმა ცოტა ხნით კიდევ ალოდინა, მათი მოუთმენლობით ტკბებოდა. ბოლოს თქვა:



მხატვარი ზურაბ ნიჟარაძე

– კალიკანდაროსის ძუა შიგნით, – დაიწყო, – სევდის ზღვის წყალმცენარეები, სინდისის ქენჯნის მტვერი და ჩამქრალი შუქურის ობობას ქსელი, მოჩვენებათა ზენრები, ცრემლიანი ცხვირსახოცები და მომაკვდავთა კენესა; მოლაღატის ჩრდილი, შხამიანი გველის პერანგები და გამცემის სუნთქვა; ჭინჭარი და ჯაჭვების ჟანგი; დამწვარი თოჯინური სახლის ფერფლი, კრაზანის ნესტარი, მათრახი და ტორეადორის სისხლიანი ტილო. ბალიშის პირს რაც შეეხება, ის გაუხედნავი ცხენის ფაფრისაგანაა შეკერილი. მმართველი და კარისკაცები დამუნჯდნენ.

– ვინც ამ ბალიშზე დაიძინებს, – განაგრძო სავრილიოსმა, – მხოლოდ კომმარებს ნახავს. საშინელ, საზიზღარ, ავბედით კომმარებს! გესმით, თქვენო უდიდებულესო ბავ? თუ ურანუპოლისელებს ამგვარ ბალიშებზე დაძინებას ვაიძულებთ, ყოველდღიური ცხოვრება მათ სამოთხედ მოეჩვენებათ იმ კომმარებთან შედარებით, რომლებიც მათ ღამ-ღამობით თავზარს დასცემენ! ასე, ამგვარად, ამ მეთოდით თქვენს შენუხებას მოიშლიან!

არპატილაოსმა ენთუზიაზმი ვეღარ შეიკავა.

– ბრწყინვალეა! – დაიძახა. – ახლავე მასობრივ წარმოებაში ჩაუშვი კომმართა ბალიშები! თითო ურანუპოლისელისთვის თითო ბალიში დაამზადეთ. მე მათ ვუჩვენებ! ვასწავლი, როგორ უნდა ჩემი სიძულვილი! სასახლის დაცვა შენს განკარგულებაშია. მაგრამ, სანამ ნახვიდოდე, გთხოვ, ჩემს წინაშე მუხლი მოიყარე, ჩემო ერთგულო ჯაღოქარო.

– რატომ?

– ორდენი მიწა დაგიმარო!

სავრილიოსმა მუხლი მოიყარა და არპატილაოსმა შავი ხალათის საყელოზე მზაკვრულ გამოგონებათა ორდენი დაუმაგრა.

თავი 4 კომმართა ბალიშები

სადაც ურანუპოლისელები მახეში ებმებიან
და კომმართა ბალიშებზე იძინებენ

ასე მალულად და გაიძვერულად, დაიწყო კომმართა ბალიშების წარმოება ურანუპოლისში. უშველებელი ფურგონები და უზარმაზარი სატვირთოები სასახლეში ძვირადღირებულ და იშვიათ მასალას სამყაროს კიდიდან ეზიდებოდნენ. მოჰქონდათ: სევდის ზღვის წყალმცენარეებით დაძვეტილი ტომრები, ყვავის ბუმბულით სავსე სკივრები შიშველი მთიდან, მორიელის ნესტარი მენამული უდაბნოდან, დაჭრილ ლომთა ფაფრები და სხვა საჭირო საგნები. მცველები სავრილიოსის ზედამხედველობით ინტენსიურად, გადაჭარბებით მუშაობდნენ. ერთ კვირაში ყველა ბალიში მზად იყო.

მაშინ ვულიმიოს ბლიმასმა ურანუპოლისელები მთავარ მოედანზე შეკრიბა და თავად საბრძოლო მასალის ყუთებისაგან შეკრულ კვარცხლბეკზე შედგა და მათ მჭექარე ხმით არპატილაოსის გამოცემული ახალი კანონი წაუკითხა:

– მუხლი პირველი: უნდა მოხდეს ურანუპოლისის ყველა ბალიშის კონფისკაცია.

ბრბოში ჩურჩული გაისმა, მაგრამ ვულიმიოსმა ღრმად ჩაისუნთქა და უშიშრად განაგრძო.

– მუხლი მეორე: მოსახლეობას ახალი ბალიშები სრულიად უსასყიდლოდ დაუნაწილდეს. ეს ამტკიცებს არპატილაოსის სიყვარულს, მაღალ შეგნებასა და უსაზღვრო ინტერესს თავისი ხალხის მიმართ.

ბრბომ შვებით ამოისუნთქა. ერთ გულაჩუყებულ დედაბერს ცრემლებიც კი წამოსცვივდა. ვულიმიოს ვლიმასი პერგამენტის ბოლოში გასულიყო.

– მუხლი მესამე: ტკბილი სიზმრები!

ვლიმასმა პერგამენტი დაახვია და თავის ადიუტანტს გადასცა.

– აბა, გაიქეცი, თქვენი ბალიშები მოიტანეთ და ახლები ჩაიბარეთ! – უბრძანა ბრბოს.

ასეც მოხდა. ურანუპოლისელები სახლებში გაცვივდნენ. თავიანთი ბალიშები მოჰქონდათ და ახლები მიჰქონდათ. მცველებმა ბალიშები მოედნის შუაგულში დაახვავეს, გაგლიჯეს, ხანჯლებითა და შუბებით დაანაკუნეს. ქარმა თან წაიღო ბუმბული, რომელიც ჰაერში ღრუბლებივით გაიფანტა იმ იმედების მსგავსად, რომლებიც იკარგებიან და აღარ ბრუნდებიან. შემდეგ ბალიშისპირებს ცეცხლი წაუკიდეს და დაწვეს.

და იმ საღამოდან მოყოლებული ურანუპოლისელებმა ახალ ბალიშებზე დაიწყეს ძილი.

ღამ-ღამობით ფანჯრებიდან დატანჯულ ხროტინს, არითმულ სუნთქვასა და ბოდვას გაიგონებდით, მოთქმაგოდებასა და, აქა-იქ, ყრუ ამოძახილს.

გამთენიისას ურანუპოლისელები მალაროებისაკენ უფერულები, მოხრილები, ლოყებჩაცვენილები და თვალეგამოცარიელებულიები მიემართებოდნენ. კრინტსაც აღარ ძრავდნენ, როცა მცველები სიცოცხლეს ართმევდნენ. აღარსად იყო ბანანის ქერქები, აღარც ჩივილი. აღარავინ იფლანებოდა.

მიედინებოდა უღიმღამო, უფერული და გაყინული დღეები. კენესა და ხენემა ადიოდა ზეცაში, რომელიც ნელ-ნელა ჩაბნელდა და კუპრით გაშავდა.

არპატილაოსის ბედს დამორჩილებული ქვეშევრდომები მალაროებში ჩადიოდნენ, მავთულხლართების საამქროებში ოფლს ღვრიდნენ, არპატილაოსის დანახვაზე თავს ხრიდნენ და თავყვანს სცემდნენ.

ბავშვები გაყინულ წინაორშაბათებს იღვიძებდნენ და სიცვიისაგან აკანკალებულები სკოლაში მიდიოდნენ. ყველა გაკვეთილი უხალისო და მოსაწყენი იყო. ხატვის გაკვეთილზე არპატილაოსის პორტრეტების ხატვას სწავლობდნენ, ტანვარჯიშის გაკვეთილებზე – მუხლის მოდრეკას, რელიგიის გაკვეთილზე – არპატილაოსის სადიდებელ ტროპარებს, გრამატიკის გაკვეთილზე – ვნებით გვარს. დროებიდან ახლანდელსა და წარსულ დროს სწავლობდნენ და არავითარ შემთხვევაში მომავალს. მომავალზე საუბრის უფლება მხოლოდ არპატილაოსსა და მის კარისკაცებს ჰქონდათ.

საგანგებო საპატრულო სამსახურები მოულოდნელ რეიდებს ატარებდნენ სკოლებში, რათა შეემონებინათ, ბავშვები სწორად იზეპირებდნენ თუ არა იმას, რაც კანონით იყო განსაზღვრული.

**თავი 5
ანტონისი საიდუმლოს იგებს**

სადაც ანტონისი საზარელ საიდუმლოს იგებს და მოსწავლეებთან ერთად კომპარებისგან გათავისუფლების საშუალების პოვნას ცდილობს

ამ ქვეყანაში ცხოვრობდა ერთი მასწავლებელიც, სახელად ანტონისი. საღამოობით, სკოლიდან შინ მიმავალს, ჩვევად ჰქონდა ქვის ხიდზე, სადაც შუაში შეჩერებულიყო. იქ, ხიდის ქვეშ ერთი ალივით წითელი, იმედივით სათუთი ყაყაჩო იზრდებოდა. ანტონისი დამშრალი მდინარის პირას ჩადიოდა, ყაყაჩოს ფიქრიანი თვალებით უყურებდა და ოცნებობდა: როგორ იქნება, ერთხელაც ბედნიერი დღეები კვლავ არ გაგვიტენდესო.

მაგრამ ერთ დღეს, როცა ქვის ხიდს მიუახლოვდა, ლაპარაკი შემოესმა. შეყოვნდა და მიაყურადა. ორი მცველი იყო სასახლიდან.

– სადაც აქ უნდა იყოს ყაყაჩო, – ამბობდა ერთი, – იგი არპატილაოსმა დღეს დილით თავისი ტელესკოპით დაინახა. გამორიცხულია, შემცდარიყო!

ხელის ფათურის ხმა გაისმა, თითქოს ბალახებში ეძებნო. ანტონისი გაინახა.

– აი, ისიც. აქ არის, – მოისმა პირველი მცველის ხმა.

როგორც ჩანს, მოხერხებინა და სიკვდილმისჯილი ყაყაჩოსათვის მიეგნო.

– მშვენიერია! კარგად მიახსურე. ბლომად დაასხი წამალი.

– ბლომად ვასხამ, ბლომად. ვერა ხედავ?

– დაჭანა?

– მამ არა?! ერთი კიდევ რომ ყოფილიყო!

ანტონისოს გული მოეწურა.

– მშვენიერია, – თქვა პირველმა მცველმა. – ესეც ასე. ახლა წავიდეთ და დუქანში ნარდი ვითამაშოთ.

– ნარდი? რა, დღეს სამუშაო არა გვაქვს? არც ერთ ექვმიტანილს არ დავაკავეთ? არც ვინმეს სახლი გვაქვს გასაჩხრეკი? ბანანის ქერქები არ უნდა წამოვკრიფოთ? არპატილაოსის კოპებისათვის საფენები არა გვაქვს მოსამზადებელი?

– მეხუმრები? ეგ დრო წავიდა. კომპარტა ბალიშებს გაუმარჯოს! მას შემდეგ, რაც იმ ქათმისტივინებმა მათი გამოყენება დაიწყეს, სიმშვიდე გვეღირსა. აღარავინ ჩივის, როცა სიცოცხლეს ართმევენ. შეწყდა საჩივრები.

– შენ ეგა თქვი! დიდებული ჯადოქარია სავერილიოს ვრისელი!

– დიდებული, ვერაფერს იტყვი! ამგვარი ჯადოქრების წყალობით მიიწვეს ქვეყანა წინ!

ანტონისი იქაურობას ფეხაკრეფით, სულგანაბული გაეცალა. არავის არაფერი გაუგია.

შინ მივიდა თუ არა, კარი გადარაზა, საძინებელში შევარდა, ფარდები ჩამოაფარა და ჭრაქის მთრთოლავ ალზე ბალიშისპირიდან ბალიში ამოიღო. ხელში აწონა, კარგად შეათვალიერა. შემდეგ ჯიბის დანით ერთ-ერთი კიდე ოდნავ გასერა. უკან დაიხია და კივილი ძლივს შეიკავა. მუხლი მოეკვეთა, აცახცახდა. ხელის გულით შუბლიდან ჩამომავალი ცივი ოფლი მოინმინდა, ბალიში სასწრაფოდ გაკერა, ბალიშისპირში ჩადო და კვლავ თავის ადგილას დააბრუნა.

იმ ღამეს ანტონისის თვალი არ მოუხუჭავს. მაგიდასთან მჯდომი სანთლის მოპარპალები ალს უყურებდა და ფიქრობდა. გონებაში ძველი მოგონებები წამოეშალა. გარედან მცველთა მძიმე ნაბიჯების ხმა შემოდოდა, რომლებიც მეზობელ ქუჩებზე პატრულირებდნენ.

მეორე დილას, სკოლაში მისულმა, ერთი მოსწავლე შემოსასვლელში დააყენა საყარაულოდ და ბავშვებს თავისი აღმოჩენის შესახებ უამბო.

– ასე და ასეა საქმე... ესა და ეს ხდება... ამის გამო გვტანჯავენ მთელი ღამე კომპარები, ამის გამო ვწრიალებთ ლოგინებში. არპატილაოსი საკუთარი სიმშვიდის მოსაპოვებლად სიზმრებს გვართმევს.

– მეტი აღარ შემიძლია. ველარ ავიტან ყოველ ღამე კომპარებს! – წამოიძახა თოდორისმა, კლასში ყველაზე პატარამ და აღრიალდა.

– გამხნევი! – ანუგემა ანტონისმა. – ტირილით არაფერი გამოვა. ყველა ერთად თუ ვეცდებით, რაღაცას მოვიფიქრებთ.

– ერთი იდეა მაქვს! – თქვა მირტომ. – ვიცი, რა უნდა ვქნათ.

მირტო სუსტი, ტანმორჩილი, ცისფერთვალა გოგონა იყო. მამამისი ალმასის მალაროში მუშაობდა, დედა კი – მავთულხლართთა საამქროში.

– რა უნდა ვქნათ? – იკითხა ყველამ ერთხმად.

– საწოლებში არ უნდა დავიძინოთ, – შესთავაზა მირტომ.

– ცუდი იდეა არაა! – სრუტუნებდა თოდორისი.

– აბაზანაში დავიძინოთ! – დაიყვირა ენთუზიაზმით თანასისმა მეორე მერხიდან.

– მოდი, მოვსინჯოთ, – დაეთანხმა ანტონისი. – რას ვკარგავთ?!

რამდენიმე დღე მოსინჯეს, მაგრამ, სამწუხაროდ, უშედეგოდ. კომპარტა ნახვას განაგრძობდნენ. პატარები გაცივდნენ კიდეც, რადგან თავზე ონკანიდან ჩამომავალი წყლის წვეთები ეცემოდათ.

– მასწავლებელო, რატომ ვაგრძელებთ კომპარების ნახვას? – ჰკითხა თოდორისმა და სამჯერ დააცემინა.

– ვინ იცის? როგორც ჩანს, ამდენ ხანს კომპარტა ბალიშებზე ძილის შემდეგ, მშვენიერი სიზმრების ნახვას გადავიჩვიეთ. თავს ნულარ მოვიტყუებთ... იქნებ სინამდვილეს უნდა შევეგუოთ. ეგებ იმედი აღარ არსებობს...

– როგორ არ არსებობს? – წამოიყვირა მირტომ. – სავრისილიოს ვრისელიემ, უფროსმა ჯადოქარმა, კომპარული ბალიშები სამყაროს საზიზლარი და საძაგელი საგნებისაგან შექმნა. ჩვენც სამყაროს ღამაში, მხიარული და ნუგეშისმომცემი საგნებისაგან ანტიკომპარულ ბალიშთა შექმნა ვცადოთ?

კლასში მცირე ხნით სიჩუმე ჩამოვარდა.

კარგად დაფიქრდნენ და შეთანხმდნენ, მირტო მართალიაო.

მაგრამ როგორ უნდა შეექმნათ ამგვარი ბალიშები? ყველაფერი ღამაში, მხიარული და საოცარი მათი ქვეყნიდან ხომ გაუჩინარებულიყო ან არპატილაოსსა და მის სამეგობროს მოეტაცა?

– მოდით, ვცადოთ, – თქვა ანტონისმა. – რას ვკარგავთ?! მთელი გულით მოინადინეთ! ყველგან ეძებეთ!

მოძებნეთ ყველაფერი ლამაზი, რაც დარჩა, და ხვალ სკოლაში მოიტანეთ. ჭკუით კი იყავით, მცველებმა არ გაგიგონ, თორემ ვაი ჩვენი ბრალი!

**თავი 6
ანტიკომარული ბალიშები**

*სადაც მოსწავლეები ზღაპრის ძაფებს,
ბომბონიერას ტულებს და ბევრ სხვა რამეს აგროვებენ.
თუმცა, შესაძლოა, ყველაფერი სკოლაში მონყობილი
მოულოდნელი რეიდის გამო დაკარგონ*

ასეც მოხდა. აქეთ ეძებეს, იქით ეძებეს. ყველა მიყრუებულ კუთხეში დაძებნეს, ყველა საიდუმლო სამალავში შეიხედეს. მივიწყებული უჯრის კუთხეში მირტომ კონფეტის რამდენიმე ქალაღი, ხოლო მტვრიან სხვენში ფრანი იპოვა. ალექსისმა მავთულხლართებს შორის გედის ბუმბულს მიაგნო, ლუკიამ კი – ოთხფოთლიან სამყურას. ფროსომ ბებიის ჯიბეში ზღაპრის წითელი ძაფი იპოვა. თომამ ლურჯი კესანე აღმოაჩინა ძველი წიგნის გაყვითლებულ გვერდებს შორის. ანა კრამიტის სახურავზე აცოცდა და მტვერში მერცხლის ბუდის მცირეოდენი ნამჯის პოვნა მოახერხა.

გულისფანცქალით, ვინმემ არ შეგვაჩეროს ან პატრულმა არ შეგვაშინოსო, ყველაფერი სკოლაში მიიტანეს, ანტონისმა მაგიდაზე ფრთხილად დააღაგეს და ისე შესციცინებდნენ, თითქოს განძი ყოფილიყო. და მართლაც, საგანძური იყო, უძვირფასესი მთელ სამყაროში. ბნელი, გაყინული სახელმწიფოს სკოლის ამ მაგიდაზე იმედი ღვიოდა და კიაფობდა: ჟასმინები, ბრონეულის მარცვლები, ზღაპრის წითელი ძაფები, ვარდის ფურცლები, ბომბონიერას ტულები, ბუშტები, მზის სხივის ათინათები და კარნავალის ლენტები.

უცებ კარი გაიღო და აქოშინებული თანასისი შემოვარდა.

– განგაში! მცველები მოდიან!

ანტონისმა უჯრაში განძის გადამაღვა მოასწრო და ბავშვებს ნიშანი მისცა. მათაც ერთხმად, მთელი ძალით წამოიწყეს სიმღერა:

**არპატილოსი გვიყვარს.
სიხარულით ვეთაყვანებით.
არპატილოს, წინ!
მეფე ხარ
უბრწყინვალესი!**

იმავე წამს ხელის კვრით გაიღო კარი და ვულიმოს ვლიმასი და ექვსი მცველი შემოცვივდნენ.

- აქ რა ხდება? – იკითხა ვულიმოსმა.
- სიმღერის გაკვეთილი გვაქვს, – აუხსნა ანტონისმა.
- რას მღერით?
- არპატილოსის მარშს. სხვა რა უნდა ვიმღეროთ?!
- კარგია, მაგრამ ახლა შემოწმების დროა. ბავშვებს რამდენიმე კითხვას დავუსვამ. კითხვა პირველი: რისთვის გვაქვს ხელები?
- ბისზე რომ გამოვიძახოთ! – უპასუხა მაშინვე მირტომ.

- შეცდომაა! – უპასუხა ვულიმოსმა.
- ხეებზე საცოცად? – იკითხა ვასილისმა.
- არც მაგისტვის! ხელები იმისთვის გვაქვს, რომ არპატილოსს ტაში დავუკრათ, – დაიყვია ვულიმოსმა. – კითხვა მეორე: რისთვის გვაქვს ენა?
- ყინულკარამელის სალოკად! – დაიყვირა თოდორისმა.
- შეცდომაა! ენა ანკეტებზე მარკების დასაწებებლად გვაქვს. მესამე შეკითხვა: ყურები რილასთვის გვაქვს?
- მოსასმენად? – იკითხა გაუბედავად ალექსისმა.
- შეცდომაა, კვლავ შეცდომა! ყველანი ჩერჩეტები ხართ! ყურები იმისთვის გვაქვს, რომ დავემორჩილოთ. გუშინ რისი გაკვეთილი გქონდათ?
- ხატვის.
- რა დახატეთ?
- არპატილოსის პორტრეტები, – უპასუხა ანტონისმა.
- სადაა ნახატები?
- უჯრაში.
- მომეცი, უნდა შევამოწმო.
- ანტონისი შეყოყმანდა. უჯრა რომ გამოეღო, შესაძლოა დაცვას მათი საიდუმლო განძი დაენახა. ყელში ბურთი გაეჩხირა.
- აბა, ჰე! რაღას უცდი? – დაიღრინა ვულიმოსმა. – უჯრა გამოალე!
- ანტონისმა ვასილისს თვალი ჩაუკრა. ბიჭი მიხვდა, ჩანთიდან გარმონი ამოიღო და დაკვრა დაიწყო.
- გარმონის კონფისკაცია უნდა მოხდეს! – დაიღრინა ვულიმოსმა. – ურანუპოლისში საყვირთა გარდა ყველა სხვა მუსიკალური საკრავი სასტიკად იკრძალება. მცველებო! წაართვით გარმონი!
- მცველებმა ვასილისს ალყა შემოარტყეს, ხელიდან გარმონის გამოგლეჯას ცდილობდნენ. ანტონისმა შემთხვევით ისარგებლა, მთელი ყურადღება ხომ ვასილისკენ იყო მიმართული, უჯრა გამოაღო და ნახატები ამოიღო.
- ინებეთ! – თქვა. – აი, ნახატები! არპატილოსი ანფასში, პროფილში, ტახტზე მჯდომი, რაშზე ამხედრებული, გვირგვინით, მანტიით, ამალით, პიჟამაში... ინებეთ!
- ვულიმოსმა ნახატები გამოართვა და სათითაოდ გულდასმით შეამოწმა.
- ჰმ... აქ ცხვირი ოდნავ მობრეცილი აქვს... აქ მის გვირგვინს ერთი ლალი აკლია... აქ, ფეხსაცმელზე – პონ-პონი. ამ ნახატზე მის ცხენს სამი კუდი და ხუთი ფეხი აქვს. მსგავსი რამ აღარ განმეორდეს. შემდგომი რეიდისას სწორცხვირიანი არპატილოსი მინდა ვნახო. მის ცხენს იმდენი ფეხი უნდა დაუხატოთ, რამდენიც აქვს და არა ზედმეტი. გადაჭარბება საჭირო არაა! განაგრძეთ გაკვეთილი.
- მცველები საკლასო ოთახიდან რომ გავიდნენ, ანტონისმა და ბავშვებმა შევებით ამოიხუნთქეს.
- იოლად გადავრჩით, – თქვა ანტონისმა. – კინალამ გავეცით თავი. ახლა ბალიშების გაკეთების მეტი აღარაფერი დავგრჩენია.
- მაგრამ შეგროვილი ბევრის გასაკეთებლად საკმარისი არ იყო და გადაწყვიტეს, მხოლოდ ორი ანტიკომარული

ბალიში შეეკერათ: ერთი მირტოსთვის და ერთიც ანტონისთვის. ღამ-ღამობით მასზე დაიძინებდნენ და მეორე დღეს დანარჩენებს თავიანთ სიზმრებს დანვრილებით უამბობდნენ.

**თავი 7
სიზმრები და იმედი**

*სადაც მირტოსა და ანტონის სიზმრები იწყებენ
მოგ ზაურობას ერთი პირიდან მეორეში*

გეგმა წარმატებით განხორციელდა. მირტო და ანტონისი ყველაზე საოცარ, უტკბილეს, უმშვენიერეს სიზმრებს ხედავდნენ, როგორც შეიძლება ვინმემ წარმოიდგინოს, და მეორე დღეს თანაკლასელებს უყვებოდნენ. ბავშვები, თავის მხრივ, მეგობრებს უამბობდნენ და მეგობრები – თავიანთ მშობლებს, მშობლები კი – თავიანთ თანამშრომლებსა და ნათესავებს. სიზმრები ბავიდან ბავს გადაეცემოდა.

რამდენიმე დღეში ურანუპოლისელები მალაროებში მუშაობისას, საპურობილეთა შენებისას ან სამქროებში მავთულხლართების ქსოვისას ერთმანეთს დაბალი ხმით ეჩურჩულებოდნენ:

- რა გაიგეთ?
- რა?
- იცით, რა სიზმარი ნახა წუხელის მირტომ?
- რა ნახა? რა?
- დაბადების დღის ტორტი!
- სანთლებით?
- არა, ტელეგრაფის ბოძებით! რა თქმა უნდა სანთლებით!
- რა ფერის სანთლებით?
- მწვანე, ვარდისფერი და ლურჯი!
- სხვა ამბავი გაიგეთ?
- რა სხვა ამბავი?
- რა სიზმარი ნახა ანტონისმა წუხელის.
- არა. აბა, მოყვი!
- აბრეშუმის ყაითანი!
- სერიოზულად ამბობ?
- აბა, ტყუილს გეტყვი?! და განა მარტო ეს ნახა. არ-ლეკინოც დაინახა, რაჰათლუხუმს ცხვირის ჭვინტზე რომ იჩერებდა.
- ჩუ... ჩუ... ახალი ამბები მაქვს...
- რა ახალი ამბები?
- ზეგ ანტონისი სიზმრად ფოიერვერკს ნახავს.
- შავს თუ ფერადს?
- ფერადს.
- რა უნდა გითხრათ!.. რა უნდა გითხრათ!.. მირტომ სიზმრად ნახა, რომ წინაორმბათი კვლავ კვირად იქცა!
- ასეც უნდა იყოს! ამის გაფიქრებაზეც კი სიხარულით ლამის სირაქლემასავით ცაში ავიჭრა.
- მერცხალივითო, უნდა გეთქვა.
- მართალი ხარ. დამავიწყდა, მერცხლების არსებობა სრულიად გადამავიწყდა.
- ანტონისს ქვეყანა დაესიზმრა, სადაც საპურობილეები არაა. ყველა დანგრეულია. ნანგრევებადაა ქცეული! ქვა ქვაზე არაა დარჩენილი.

- კარგი ერთი!
 - მართალს გეუბნები!
 - მირტომ ნახა, რომ მავთულხლართების ადგილას უსამინები და იასამნები აყვავდა.
 - მირტომ და ანტონისმა დღეს ერთი და იგივე სიზმარი ნახეს.
 - რა სიზმარი? რა სიზმარი?
 - ქვეყანა ნახეს არპატილაოსის გარეშე!
 - შეუძლებელია! წარმოუდგენელია! ეს როგორ?
 - მირტოსა და ანტონისს დაესიზმრა-მეთქი, კაცო!
 - ქვეყანა არპატილაოსის გარეშე, არა?
 - ნამდვილად. არპატილაოსის გარეშე.
 - არპატილაოსის გარეშე!
 - არპატილაოსის გარეშე!
 - ქვეყანა კვირა დღეებით.
 - კარუსელებით.
 - იასამნებით!
 - მავთულხლართების გარეშე!
 - მცველებისა და საპურობილეების გარეშე!
- ამას მალულად, ჩურჩულით ამბობდნენ და იმედი ნელ-ნელა იზრდებოდა. თანდათან იჯერებდნენ, რომ მათზე ეკიდა, ეს სიზმრები ერთ დღესაც სიმართლედ ქცეულიყო. საიდუმლოდ გეგმის ჩამოყალიბება დაიწყეს. მცველებს რომ არაფერი გაეგოთ, იმედის ნასახს არ ამჟღავნებდნენ, სიხარულს მალავდნენ, არპატილაოსს უწინდებურად სცემდნენ თავყანს და ადრინდელივით უხალისოდ მიაბიჯებდნენ.

ასე გადიოდა დრო და დადგა ღამე, რომელიც ურანუპოლისის მათიანეში შევიდა სახელწოდებით „საზარელი შურისძიების ღამე“.

**თავი 8
ზიიმი და შურისძიება**

*სადაც არპატილაოსი და კარისკაცები ღრეობენ,
ზეიმობენ და არ იციან, რა მოვლით*

იმ საღამოს არპატილაოსი ბალიშის კანონმდებლობიდან მესამე წლისთვის აღნიშნავდა. სჯეროდა, მოსახლეობა უკვე სიამოვნებით ემორჩილებოდა თავის ბედს, ღელვის საშიშროება არ იყო და არც ღამის პატრულირება. საიუბილეო სუფრაზე ყველა მცველი და კარისკაცი მიიწვია.

შანდლები აენთოთ. სუფრა იშვიათ კერძთა სიმძიმით იზნიქებოდა: შემწვარი ჩიტბატონები, გირჩის სატენიანი კანარის ჩიტები, ცხაურაზე შემწვარი გედის კისრები, ბავშვის ცრემლების სანებელში ჩანყობილი ბულბულის ენები, მაცვლის სატენიანი ბაყაყები, ჩიტის რძის ნაყინი და სხვა ამგვარი ეგზოტიკური კერძი. მცველებმა საკუჭნაოდან ლუდის კასრები და რჩეული ღვინოები ამოიტანეს, ქეიფის დასაწყებად ემზადებოდნენ.

მაგრამ, ვიდრე შეუდგებოდნენ, არპატილაოსმა მოკლე სიტყვა წარმოთქვა.

- ჩემო ერთგულო კარისკაცებო და დიდებულო მცველებო, - დაიწყო, - სავსებით კმაყოფილი ვარ ჩემს სამეფოში გამეფებული მდგომარეობით. გადასახადები მძიმეა და არავინ არ ჩივის. სიხარულისაგან ათი კილო მოვიმატე

და, იმედი მაქვს, დღეს კიდევ ათ კილოს მოვიმატებ. ვალი-არებ, ასეთი გულქვა რომ არ ვყოფილიყავი, დღეს განსაკუთრებულად აღელვებული ვიქნებოდი. ხვალ, რა თქმა უნდა, ერთ ახალ კანონს გამოვცემ, რომელიც განსაზღვრავს, ჩემმა ქვეშევრდომებმა ღამით მალაროებსა და ქარხნებში დაიძინონ, წასვლა-მოსვლაში დრო რომ არ დაკარგონ. მათი სახლებიც გამოთავისუფლდება! სახლებს დავანგრევთ და მათ ადგილას უფრო მეტ მავთულხლართის საამქროს ავაშენებთ. მავთულხლართების ექსპორტს მთელს მსოფლიოში ვანარმოებთ!

ყველამ ტაში დაუკრა, ყველაზე მეტად კი ტილიოს ქსეფტილიოსმა. მერე მთელი თავით გადაეშენნენ საჭმელში. გასკდომამდე ჭამეს, თითომ თორმეტი ბოთლი გადაიყუდა და ნაშუალამევს ზოგი ბარბაცით წავიდა სანოლისაკენ და ზოგმა სანებლიან თევშში თავჩარგულმა დაიძინა. ხვრინვა და ბოყინი ურანუპოლისის საზღვრებამდე ისმოდა.

მაშინ... მაშინ მთვარეულებივით, ჩრდილებივით, წყდიადიდან გამოვიდნენ ურანუპოლისელები, მამაკაცები, ქალები და ბავშვები. ზოგს პიჟამა ეცვა, ზოგსაც ღამის პერანგი. ზოგი სკამს მოათრევდა, ზოგი - კაუჭსა და კიბეს, და ილღობს ქვეშ ყველას კომმარტა ბალიში ამოეჩარა.

ფეხისწვერებზე სასახლისაკენ მიემართებოდნენ. იქ მისულემა მცველები დაინახეს, რომლებიც თეთრ საფეხურებსა და ოქროს აივნებზე გაშხლართულიყვნენ და ხვრინავდნენ.

ურანუპოლისელებმა სასახლეს ალყა შემოარტყეს. რამდენიმე ვარსკვლავი კიაფობდა ცაზე. მთვარე სანახევროდ ღრუბლებს უკან დამალულიყო. კიბეები აღმართეს და უხმაუროდ დაიწყეს ფანჯრებიდან ბალიშების გადაყრა სასახლეში.

როცა ყველა დარბაზი, დერეფანი, ყოველი კუთხე-კუნჭული ყურთამდე გაივსო, ბალიშების დახვავება სასახლის გარშემო დაიწყეს. დაიფარნენ მცველები, დაიფარა დიდებული კიბეები, დაიფარა სასახლის ქონგურები. სასახლე ბალიშთა უზარმაზარ გროვაში ჩაიძარხა.

შემდეგ კრინტიც არ დაუძრავთ, ისევე ჩუმად, როგორც მოვიდნენ, ურანუპოლისელები სახლებში დაბრუნდნენ, კარებები გადარაზეს და უმამაცესები სანახევროდ გაღებული გისოსებიდან იყურებოდნენ, რათა ენახათ, რა მოხდებოდა.

წყნარ ღამეში, სიჩუმეში, ბალიშებით დაფარული სასახლე ჰყავდა უცნაურ თეთრ გორას. უფეხურა, რომელმაც თავზე გადაუფრინა, გაკვირდა, გაასწორა ფრთები და დაიჩხავლა. და ეს დაჩხავლება გაისმა, როგორც წინასწარმეტყველება და საბედისწერო ნიშანი.

არპატილაოსს მძიმე, აუტანელი სიმძიმისგან გამოედვიდა, მკერდზე რომ აწევებოდა. ვერ სუნთქავდა. იხრჩობოდა. თვალების გახელას ცდილობდა. მალე მიხვდა, რომ უამრავი - რამდენი? - ასობით, ათასობით ბალიშით იყო დაფარული! შიშისაგან ძარღვებში სისხლი გაეყინა.

- მიშველეთ! - ქოშინებდა და თან ყვიროდა. - ღალატია! მიშველეთ! განგამი!

გამოიღვიძის მცველებმაც და, თავბრუდახვეულებმა, მთვარალებმა, ნახევრადმძინარეებმა, ისე, რომ რიგიანად ვერ გაეგოთ, რა ხდებოდა, ხმლები იმიშვლეს და გადარე-

ულებივით ეცნენ ბალიშებს, რომლებიც ახრჩობდათ და სუნთქვას უკრავდათ.

რა მოხდა მაშინ, არ ითქმის! სიტყვებით აღწერა შეუძლებელია. ამდენი წლით გამოკერილი, გამოკეცილი, გაზრდილი და გამრავლებული კომმარები ბალიშებიდან ამოცვივდნენ. დიახ. ბალიშებიდან ამოცვივდნენ და მიმოიფანტნენ ღამურები და ხვლიკები, კალიკანძაროსები, მინოტავროსები, სლიკინა შავი გველები, მოჩვენებები, ქოსა ყვავები და საზარელი აჩრდილები, მოივლები და ბანჯგვლიანი არსებები, ამაზრზენი, ფერმკრთალი, თვალებამოღამებული მოჩვენებები, აფთრები, სისხლმონყურებული ადამიანები, ფრთიანი ჭიანჭველები, ურჩხულები, ავი სულები, მოჩვენებები, ციკლოპები და გველეშაპები, არპატილაოსსა და მის მეგობრებს გამოუდგნენ.

მირბოდა არპატილაოსი. მირბოდნენ ვულიმიოსი და ვრისელიე. გულამოვარდნილი, გადარეული მცველებიც გარბოდნენ. სადაც უნდა წასულიყვნენ, კომმარები უკან მიყვებოდნენ! მათ ქოშინით, ღრენით, წყევლითა და გადარეული ღრიალით, ჯაჭვების ჟღარუნით, ქერცლის შრიალით, კბილების ღრჭენით, ორკაპაკუდიანი, მოკაუჭებულფრჩხილებიანი კომმარები მისდევდნენ ფეხდაფეხ და ნესტოებიდან შხამსა და ცეცხლს აფრქევდნენ.

არავინ იცის, შემდგომ რა მოხდა. არავინ იცის, რა ბოლო ეწიათ არპატილაოსსა და მის მეგობრებს. ზოგი ამბობს, კომმარები მთის ტყიან მხარეს, ნაცრისფერი გრანიტის ხეობაში წამოენივნენო. სხვები ამტკიცებენ, გაიტაცეს და მუნჯი ბაყაყების ჭაობის სიღრმეებში წაიყვანესო. მაგანნი ისწმუნებიან, გაქცევა მოახერხეს, მაგრამ შიშისაგან ჭკუიდან შეიშალნენ და გონებაარეულები ერთი მხარიდან მეორეში, ქალაქიდან ქალაქში დაეხეტებიან და მათხოვრობენ, ძაღლები უყეფენ, ბავშვები კი დასცინიან და ქვებს ესვრიანო. სხვები ყვებიან... მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს? ერთი კი ნამდვილია, მათ ურანუპოლისში ფეხი აღარ დაუდგამთ. ისინი აღარავის უნახავს. ურანუპოლისელებმა მავთულხლართები ამოძირკვეს, საპყრობილები დაანგრეს, ბოქლომები გადაყარეს და მას აქეთ ბედნიერად ცხოვრობდნენ... ნეტავ დედამინაზე ყველა ადამიანი ცხოვრობდეს მათსავით ბედნიერად.

9 წლის ზემოთ ასაკის მკითხველისათვის

ახალბერძნულიდან თარგმნა
მაია კაპაშვილმა

- 1 მტაცებელი, მძარცველი
- 2 ზეციური ქალაქი
- 3 ცაცხვია სიკვდილაძე
- 4 ღორმუცელა ჭურვა
- 5 ხვლიკო ლანძღვია
- 6 ავი სული ახალბერძნული ხალხური რწმენა-წარმოდგენების თანახმად. მიწის წიაღში ბინადრობს და მიწის ზედაპირზე ქრისტესშობის დღეს ამოდის, ზარალსა და მცირე შფოთს იწვევს და ნათლისღების დღესასწაულზე წყლის კურთხევის შემდეგ კვლავ ქრება.

ქალბატონი ილბალი

ამბობენ, ამქვეყნად ყველაფერი კანონზომიერად ხდებაო. შემთხვევითობასაც კანონზომიერებას მიაკუთვნებენ. არადა, ზოგჯერ უბრალო შემთხვევა გადაატრიალებს ხოლმე არა მარტო კაცის, მთელი ქვეყნის ბედსაც.

რა მოხდებოდა, რომ... არაერთხელ დაუსვამთ ასეთი შეკითხვა და კატეგორიული პასუხიც მზად არის: ის მოხდებოდა, რაც უნდა მომხდარიყო და რაც მოხდაო.

...კინორეჟისორი ვლადიმერ მოტილი გახლავთ ავტორი თავის დროზე ერთობ პოპულარული ფილმისა „უდაბნოს თეთრი მზე“, რომელსაც პირველი „საბჭოთა ვესტერნი“ უწოდეს.

მოტილმა ეს ფილმი გადაიღო 1970 წელს, მაგრამ მაშინვე აკრძალეს მისი გაშვება ეკრანზე. დაიბეჭდა ერთადერთი ასლი „შიდა მოხმარებისათვის“ და სანყოფინი მიუჩინეს ბინა.


ალაჰმა უწყის, რატომ აკრძალეს. ანტისაბჭოთა ფილმი იყო? როგორ გეკადრებათ! ალბათ გახსოვთ, რამდენს ირჯება რუსი წითელარმიელი შუა აზიაში, რათა ჰარამხანის ქალებს სრული თავისუფლება მიანიჭოს და ახალი ცხოვრებისაკენ გაუხსნას გზა. მეტი რაღა უნდა ყოფილიყო?

ეგებ იმიტომ აკრძალეს, რომ მყვირალა, პროზაგანდისტული ფილმი არ იყო? ძნელია მოძებნო სხვაგვარი ახსნა.

მაგრამ არცთუ იშვიათად ხდება ხოლმე, რომ სამეფო ტახტთან ფუსფუსებენ მეფეზე უფრო მგზნებარე როიალისტები თუ რომის პაპზე უფრო მართლმორწმუნე კათოლიკენი. და ზოგჯერაც ბატონი უფრო ღმობიერია, ვიდრე მისი ყურცქვიტა ლაქიები.

იმხანად საბჭოთა კავშირის „ხაზენი“ იყო ლეონიდ ილიჩ ბრეჟნევი. აგარაკზე ყოფნისას უყვარდა ფეხბურთისა და კინოს ყურება. ეს ერჩინა ინტელექტუალთა ჭადრაკსაც და მდაბიორთა დომინოსაც. რომელიღაც ამერიკული ვესტერნი რომ შეუყვებოდა, საუბედუროდ, ვერ იპოვეს. სანყოფინს გამგე იგინებოდა, მტრებმა დივერსია მომიწყვესო. აღარ იცოდნენ, რა ელონათ. დამლაგებელმა ქალმა თქვა, „უდაბნოს თეთრი მზე“ გაუგზავნეთ, უთუოდ მოეწონებაო. დრო აღარ ითმენდა და გარისკეს.

ბრეჟნევიმ თავისი უღრანი წარბები ასნია გაკვირვების ნიშნად, მაგრამ კრინტი არ დაუძრავს. თქვენ წარმოიდგინეთ,



ვლადიმერ მოტილი

სასტიკად მოეწონა ფილმი. თვითონაც კი წაილილინა ბულატ ოკუჯავას მშვენიერი რომანსი: „Ваше благородие, госпожа удача...“

მთავარი „ხაზენი“ მეორე დილითვე ურეკავს კინემატოგრაფიის „ხაზენს“ და მაღლობას უხდის, ეს რა კარგი ფილმი გადავიღიათო. ის კი რიგიანად ვერც ხვდება, რაშია საქმე. ბუნდოვნად ახსოვს აკრძალული ფილმის ამბავი.

ბრეჟნევის ვიზა, რა თქმა უნდა, სავსებით საკმარისი აღმოჩნდა, რომ ფილმი ულაპარაკოდ გაეშვათ ეკრანზე.

სხვათა შორის, საბჭოთა კოსმონავტიკის თილისმად გადაქცეულა. ყოველი გაფრენის წინა დამეს უყურებდნენ ხოლმე „უდაბნოს თეთრ მზეს“.

ამერიკელებმა „ვესტერნის“ ანალოგიით „ისტერნი“ შეარქვეს. მართალიცაა – აღმოსავლეთის ჩადრიანი ქალები; გავარვარებული უდაბნო; სამი ადგილობრივი ბერიკაცი, უდრტინველად რომ შეჰყურებენ კატაკლიზმების გათამაშებას და ნირვანაში ჩაძირულნი მარადისობის სიმბოლოდ წარმოგვიდგებიან; ბასმაჩები, რომელთა მეთაურის როლს ჩინებულად ასრულებდა კახი კავსაძე; დაუვინყარი ლუსპეკაევი – მეფის რუსეთის საბაჟოს მოხელე, „დერჟავას“ რომ მისტიროდა და თავის უიღბლობას შესწიოდა „ქალბატონ ილბალს“.

გავიდა ხუთი წელიწადი და ვლადიმერ მოტილს ისევ გაუხსლავართდა საქმე. განიზრახა ფილმის გადაღება დეკაბრისიტთა ცოლებზე, რომლებიც ნიკოლოზ პირველის მიერ გაციმიბირებულ ქმრებს გადასახლებაში გაჰყვანენ.

სცენარი წარადგინა „მოსფილმში“ და არ დაუმტკიცეს.

ახლა „ლენფილმს“ მიადგა. სცენარი მსჯავრისათვის გადასცეს ლენინგრადის ქალაქკომის მდივანს იდეოლოგიის დარგში ამხ. კრუგლოვას. მთელი დღის მუხლწაუხრელი შრომით დაღლილ მოღვაწეს ნაკითხვა დაეზარა და თავისი შვილს, მეთაუკლასელ გოგონას, მიაჩერა. იმან კი თვალი ველარ მოსწყვიტა სცენარს და ზედ ალალი ცრემლი აჰკურა.

ამხ. კრუგლოვამ მეორე დღესვე დაურეკა კულტურის მინისტრს და თავისი გულწრფელი აღტაცება გაუზიარა. სცენარს მწვანე შუქი აუნთეს.

აბა, ამის შემდეგაც ამტკიცეთ, ამქვეყნად შემთხვევით არაფერი ხდებაო... მეთაუკლასელ კრუგლოვას კითხვა რომ არ ჰყვარებოდა, მაშინ რას იტყოდით?!

სპარსული ხალათი

სპარსულ საისტორიო წყაროებში შეიძლება შეგხვდეთ ასეთი გამოთქმა, რომელიმე ქართველ მეფეს რომ ეხება: ოსმალური სამოსელი გაიხადა და ყიზილბაშური ჩაიცვაო.

ამ ტექსტში, ცხადია, უნდა ვიგულისხმოთ, რომ მავანმა ზურგი შეაქცია ოსმალებს და ერთგულება შეჰფიცა სეფიანთა ირანს.

ეს ფიგურალური გამოთქმა, ალბათ, წარმოქმნილა ყოფაცხოვრებითი სინამდვილიდან, რაც კიდევ ერთხელ დას-

ტურდება საქართველოში დამკვიდრებული იტალიელი მისიონერის დიონიჯო კარლის (XVII ს.) თხზულებაში შემონახული ინფორმაციიდან.

ამ ავტორის რელაცია, დაახლოებით ნახევარი საუკუნის წინათ, ქართულად თარგმნა და გამოაქვეყნა ან განსვენებულმა ბეჟან გიორგაძემ (სხვათა შორის, სწორედ მან გამოცა კრისტოფორო კასტელის ლირსშესანიშნავი ალბომი, იქ დართული ცნობების თარგმანით, გამოკვლევითა და კომენტარითურთ).

დიონიჯო კარლი თავის რელაციამი აღწერს თბილისში გამართულ ერთ ცერემონიალსაც, რომლის თვითმხილველი ყოფილა 1681 წელს. იტალიელი მისიონერის კალამს ჩვენთვის შემოუნახავს უნიკალური მასალა.

როგორც ირკვევა, ქართლის მეფეს გიორგი XI-ს სეფიანთა ირანის ხელმწიფემ უწყალობა საპატიო ხალათი, რომელიც თბილისის მეციხოვნეთა უფროსს გადმოეგზავნა. ხალათის ჩასაცმელად მეფე უნდა ასულიყო ციხეში, სადაც ყიზილბაშთა გარნიზონი იდგა.

ამ ცერემონიალამდე ერთი კვირით ადრე ქართლის ყველა გამოჩენილ დიდებულს შეუთვალეს, რომ დანიშნულ დღეს თბილისში გამოცხადებულიყვნენ აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობისათვის.

ეს დღეც დადგა. დიდებულებმა დილაბნელზე მეფის სასახლის წინ მოიყარეს თავი. ცხენებიც და პატრონებიც საუცხოოდ იყვნენ მორთულ-მოკაზმულნი.

დიონიჯო კარლი გვაუწყებს, რომ მეფე ქართულად ჩაცმული გამოსულა სასახლიდან. ავტორი იქვე აღწერს იმდროინდელ ქართველთა სამოსელს: თეთრი ფერის ბამბის შეიდიში ფეხის კოჭებამდე, ზედ მენამული ან სხვა ფერის შარვალი (შეიდიშის სიგრძისა), ახალუხის კალთები – შუა წვივებამდე; ფერადი, მუხლამდე ჩამოშვებული ჩოხა; ზამთარში – მოვერცხლილი და ოქრომკედით შემკული ქურქი; სომხური ყაიდის ქუდი, რომელსაც ნაწილი შიგნით ჰქონდა ჩაყვანილი და ირგვლივ შემოვლებოდა ხუჭუჭი მატყლი – თმა გეგონებო.

იტალიელი მისიონერი განაგრძობს:

ქართულად გამოწყობილი და საუცხოო ცხენზე ამხედრებული მეფე სასახლიდან გამოვიდა. ცხენმა მოედანს რომ მიაღწია, წიხლი შეჰყარა, ყალყზე შედგა, ერთ ადგილზე ტოკვა დაიწყო და ჭიხვინით გვამცნო, ჩემზე უკეთეს ცხენს ვერსად იპოვითო.

მეფეს თან ახლდა ხმლითა და ხელთოფით აღჭურვილი ორმოცდაათამდე ქვეითი მეომარი. დიდებულებმა გაიარეს ბაზარი, სადაც დიდალ ხალხს მოეყარა თავი და მეფე ციხემდე მიაცილეს. იგი ამალის გარეშე შევიდა ციხეში. იქ ქართული სამოსელი გაიხადა და ირანის შაჰისგან ნაწყალობევი ხალათი ჩაიცვა.

დიონიჯო კარლის სიტყვით, სპარსული ხალათი წარმოადგენდა მინამდე დაშვებულ გრძელ სამოსელს, სადაა და ხორცისფერი გადაჰკრავსო. მეფეს თავზე დაუხურავს ხალა-

თის ფერისავე დიდი დოლბანდი, ისეთივე, როგორსაც ირანის შაჰები ატარებდნენ, და სპარსულად გამოწყობილი გამოსულა გარეთ.

იტალიელი მისიონერი ამბობს, რომ არ მცოდნოდა მისი ვინაობა, ღმერთმანი, ველარც კი ვიცნობდით.

ქართლის მეფეს, ხალათის სანაცვლოდ, შაჰისათვის თორმეტი საპალნე საუკეთესო ქართული ღვინო გაუგზავნია ძღვნად, რადგანაც კარგად მოეხსენებოდა, რომ სეფიანთა ირანის ხელმწიფე, თავის წინამორბედთა დარად, ფრიად ეტრფოდა ღვინოს. ტრფობა რა სათქმელია, თურმე უზომოდ სვამდა. ამგვარ გატაცებას, მართალია, რჯული უკრძალავს, მაგრამ შაჰ-სულეიმანი ამას აიწუნებდა არ ავდებო.

დიონიჯო კარლი აღნიშნავს, ქართლის მეფეს სპარსული ხალათი მთელი დღე ეცვაო... ამით მოიხდიდა ვალს, მაგრამ სპარსული ხალათის ჩაცმა ზოგჯერ ქართულ ზნე-ჩვეულებებზე უარსაც მოითხოვდა.

იმავე ხანებში გიორგი XI-ს მეუღლე გარდაეცვალა და, რასაკვირველია, ეკლესიაში შესულა დასატირებლად. ყიზილბაშთა სარდალს, შიკრიკის პირით, თავისი უკმაყოფილება გამოუხატავს.

ქართლის მეფეს ასეთი პასუხი გაუცია: რადგან ქართველად დავიბადე და საქართველოში ვცხოვრობ, ჩემი ქვეყნის ძველისძველ წეს-ჩვეულებებს ვერ ვუღალატებო. გამაჰმადიანება ვერ ამიკრძალავს ცოლის გამოსატირებლად ეკლესიაში შესვლას, მით უმეტეს, რომ სხვა დროს იქ ფეხიც არ შემედიგამსო (გაივლის თითქმის ოცდაათი წელიწადი და ყანდაარში ვერაგულად მოკვლემ მეფეს, როგორც გვამცნობს ვახუშტი ბატონიშვილი, მკვლელმა „აჰყარა ხატნი და ჯვარნი და ფსალმუნნი“).

1687 წლის 29 აპრილს გიორგი XI სწერდა რომის პაპს: „ჩვენ და ჩვენი სამეფო ვემორჩილებით სპარსეთის მეფეს, თვინიერ მისი ბრძანებისა არაფერი შეგვიძლია, გარნა მსგავსად თქვენის საყვარელი შვილებისა, გვირგვინოსან მეფეებისა, რომლებიც მუდამჟამს ებრძვიან ურჯულოებს და მათზე იმარჯვებენ, თქვენის ლოცვა-კურთხევითა ჩვენცა ვძლეეთ ამ ურჯულოთა“.

ეს მხოლოდ ოცნება იყო. შინაური შფოთითა და ურთიერთიქიმპით მოცულ საქართველოს ისიც კი არ ძალუძდა, რომ საკმაოდ დასუსტებულ-დაძაბუნებული ირანისათვის ღირსეული წინააღმდეგობა გაენია და თავი დაეხსნა მორჩილების უღლიდან.

ქრონიკა

ამერიკელი მწერალი კორმაკ მაკარტი, რომელმაც 2007 წლის გაზაფხულზე პულიცერის პრემია მიიღო ბოლო რომანისათვის „გზა“, ამ წიგნისათვის უძველესი ბრიტანული ლიტერატურული ჯილდოს James Tait Black Prize მფლობელიც ხდება.

ეს პრემია 1919 წლიდან ედინბურგის უნივერსიტეტის მიერ გაიცემა. ახალი ლაურეატის სახელი ედინბურგის წიგნის ფესტივალზე გაცხადდა. როგორც „ნიუ-იორკ თაიმსი“ იტყობინება, 74 წლის მაკარტი გადაცემის ცერემონიაზე არ ჩასულა.

„გზა“ – ეს მწერალ-უკარებას მეთაურობდა. ის არაფრისდიდებით არ აძლევს ინტერვიუს პრესას. წიგნი პოსტაპოკალიფსურ ამერიკაში მამა-შვილის მოგზაურობაზე მოგვითხრობს.

ამ პრემიის მფლობელები იყვნენ მწერლები, რომლებიც შემდგომ ინგლისურენოვანი ლიტერატურის კლასიკოსები ხდებოდნენ – ედუარდ ფორსტერი, დევიდ ჰერბერტ ლოურენსი, ოლდოს ჰაქსლი, გრემ გრინი, ივლინ ვო, ლოურენს დარელი, აირის მერდოკი, სალმან რუშიდი 2006 წელს პრემია იენ მაკიუნეს მიენიჭა.

ქრონიკა

ბუქერის „ლონგ-ლისტი“ წელს მრავალფეროვნებით გამოირჩევა. მასში ოთხი ავტორი-დებიუტანტი და შედარებით ცნობილი სახეები მოხვდნენ. „ყველა შერჩეული წიგნი კარგადაა დაწერილი და მკითხველთა ფართო წრეზეა გათვლილი“ – განაცხადა პრემიის ყოფილი თავმჯდომარე, ლონდონის ეკონომიკისა და პოლიტიკურ მეცნიერებათა სკოლის დირექტორმა ჰოვარდ დევისმა. ყველაზე ცნობილი ბუქერის პრემიის პრეტენდენტთა შორის ბრიტანელი იენ მაკიუნია მოთხრობით „ჩეზილის პლაჟზე“. დიდ ბრიტანეთს წარმოადგენენ ასევე ნიკოლა ბარკერი ლინგვისტური რომანით, ენდრიუ უილსონი და ქეთრინ ოფლინი, ირლანდიას – რამდენიმე ეროვნული პრემიის ლაურეატი ენ ენრაიტი. მათ გარდა ლონგ-ლისტში შევიდნენ პაკისტანელი მოხსინ ხამიდი, ინდოელები: ინდრა სინხა და ნიკიტა ლალვანი, ახალი ზელანდიის წარმომადგენელი ლოიდ ჯინსი და კანადელი მაიკლ რედპოლი.